

ეკონომიკური მიზნები

I ნაწ.

მოსხრობილი ალ. მიქაბერიძის მიერ



საქ. აღკვ. ცენტრალური კომიტეტის
საგაგვმოსო და ახალგაზრდობის
ლიტერატურის ცენტრის

თბილისი 1938

პ/მ რედაქტორი – შ. თაბუკაშვილი

სტამბა გამოცემლობა „ბოეც რეკა-ს“

შეკვეთა № 1236

მთავლიტი № 2038

ტირაჟი 10.000

პ რ ო მ ე თ ე

იყო დრო, როცა ქვეყნად ადამიანი არ მოიპოვებოდა. მთელ დედამიწას მხოლოდ ცხოველები დაუფლებოდნენ.

ზღვა თევზებით იყო სავსე. განთიადის მოახლოებისას ფრთო-შანთა ქიქიკი მთელ არემარეს აყრუებდა. ულრან ტყეებში ცხოვე-ლების ხმაური და ყრიაბული მხოლოდ სალამოხანს მიწყდებოდა.

ქვეყნად ყველაფერი თითქოს რიგზე იყო მოგვარებული, მაგ-რამ დედამიწის ზურგზე არ გაისმოდა ადამიანის ხმა, დედამიწას აკლდა მხოლოდ ადამიანი.

სწორედ ამ ხანებში ოლიმპოს მთის მწვერვალიდან განდევნილი ღმერთების შთამომავალი ტიტანი პრომეთე ჩამოეშვა საუცხოვო მცენარეებით უხვად მოფენილ დედამიწაზე, რომელზედაც ადამიანს ჯერ კიდევ ფეხი არ დაედგა.

ტიტანს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ დედამიწის გულში ჩამარხულია ღვთაებრივი თესლი, რომლის სულის ჩადგმა, გა-ცოცხლება შესაძლებელია.

პრომეთემ აიღო ნელლი თიხა და მისგან გამოძერწა ისეთი გამოხატულება, რომელიც მთლიანად მარად მშვენიერ ღმერთებს წააგავდა.

ტიტანმა თიხისაგან ამგვარად გამოძერწილ ჯერ კიდევ უსი-ცოცხლო გამოხატულებას გულში ჩაუნერგა ცხოველების ბოროტი და კეთილი გრძნობები.

სიბრძნის ქალღმერთმა ათენა პალასმა ნახევრად ცოცხალ გა-მოხატულებას ღვთაებრივი სული შთაბერა.

ამრიგად გაჩნდნენ დედამიწის ზურგზე პირველყოფილი ადა-მიანები, რომლებიც პირველ ხანებში ბავშვებზევით სუსტნი და უძ-ლურნი იყვნენ.

ადამიანებს ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინათ სხეულების ნაწი-ლების სასურველად ამოძრავება.

ღვთაებრივი ხაერწკალი, რომელიც ადამიანების გულში ღვიოდა, თანდათან ქრებოდა და ირგვლივ შემორტყმულ წყვდიადს ვერ ფანტავდა, დედამიწას სინათლის შუქს ვერ ჰფენდა.

მართალია, ადამიანები თვალებს ახელდნენ, მაგრამ ხედვით კი ვერაფერს ხედავდნენ, ერთ საგანს მეორე საგნიდან ვერ არჩევდნენ. ადამიანის ყურებს თუმც ხმა სწვდებოდა, მაგრამ გონებას კი ვერ სწვდებოდა, ეს ხმა მას არაფერს ეუბნებოდა.

ადამიანის ცხოვრება პირველ ხანებში ასე უმწეოდ და უნუგეშოდ მიმდინარეობდა. საბრალონი უაზროდ და უმიზნოდ დაძრწოდნენ დედამიწის ზურგზე, თითქო საღათას ძილში იმყოფებიანო.

ამ უხსოვარი დროის ადამიანმა არ იცოდა რა არის ხელოსნობა. უბრალო ხისა და ქვის გათლასაც კი ვერ ახერხებდა, უბრალო ქოხის აშენება უძნელდებოდა, ქურაში აგურის გამოწვაზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა.

ადამიანი ამ პირველყოფილ ხანაში გაზაფხულს ზამთრისაგან ვერ არჩევდა, ყველგან და ყველაფერს უწესრიგოდ აკეთებდა. საბრალონი დედამიწის ზურგზე კიანჭველებივით დაბობლავდნენ და ერთი ადგილიდან მეორე ადგილს უმწეოდ აწყდებოდნენ.

მაგრამ ადამიანთა უსაზღვროდ მოსიყვარულე პრომეთე არ ივიწყებდა მის მიერ შექმნილ ჯერ კიდევ სუსტსა და უმწეო არსებებს.

ძლევაგამოსილი ტიტანი მუდამ ადამიანის მომავალ ბედზე, მის კეთილდღეობაზე ფიქრობდა და ერთ წუთსაც არ ივიწყებდა ადამიანთა გვარეულობის უნუგეშო მდგომარეობას.

კაცობრიობისათვის თავდადებულმა პრომეთემ პირველყოფილ ადამიანს შეასწავლა საცხოვრებელი ბინის აშენება, საქონლის უღელში შებმა, ზღვასა და მდინარეებში ნავებით მოგზაურობა და ცის მნათობთა მოძრაობის აღნუსხვა და აღრიცხვა.

პრომეთემ ადამიანებს შეასწავლა, რომელი ფრინველი, რომელი ცხოველი სასარგებლოა და რომელი მავნებელი, ზედმიწევნით შეასწავლა სამკურნალო ბალახებიდან წამლების მომზადება.

ადამიანებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ლითონების დამუშავებაზე, — კაცთა მოსიყვარულე პრომეთემ დაწვრილებით აუხსნა ხალხს ოქროს, რკინის და ვერცხლის ნიშნობლივი თვისებები და შეასწავლა, როგორ უნდა ამოეღოთ ეს ლითონები მიწიდან და როგორ დაემუშავებინათ.

ერთი სიტყვით, პრომეთე, როგორც პატარა ბავშვებს, თავს დასტრიალებდა ახლადგაჩენილ ადამიანთა მოღვაწის და ასწავლიდა

ქველადფერს, რაც კი სარგებლობას მოუტანდა და საუკეთესო ცხოვრების პირობებს შეუქმნიდა ჯერ კიდევ სუსტსა და უმწეო ადამიანს.

სწორედ ამ დროს ოლიმპოს მწვერვალზე მბრძანებლობდა ღმერთების მამამთავარი, ყოვლად შემძლებელი ზეესი, რომელმაც სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო თავისი მამა კრონიონი და ძველი ღმერთების მთელი გვარეულობა, რომლის შთამომავლობასაც პრომეთე ეკუთვნოდა.

ოლიმპოზე იმეამად მცხოვრები ახალგაზრდა ღმერთები დიდის ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ. დედამიწაზე ახლადმოვლენილ მცხოვრებლებს და ყოველგვარ ზომებს იღებდნენ, რომ ადამიანებს თავისი ცხოვრების პირობები გაეუმჯობესებინათ, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვდნენ პატივისცემას და ოლიმპოს მბრძანებლებისათვის თავთავის დროზე მსხვერპლის შეწირვას.

ადამიანების უფლება-მოვალეობანი რომ ზუსტად განესახლება, ღმერთებმა მოიწვიეს კრება, რომელზედაც მოკვდავთა წარმომადგენლებიც მიიპატიჟეს.

ღმერთების მიერ გამართულ ამ კრებაზე პრომეთეც გამოცხადდა. ტიტანი შიშობდა, რომ ღმერთებს ზედმეტი სამუშაო არ დაეკისრებინათ ადამიანების ჯერ კიდევ სუსტი გვარეულობისათვის.

პრომეთემ მთელი თავისი ჰკუთა-გონება, ცოდნა და გამოცდილება სავსებით აამოძრავა იმისათვის, რომ ღმერთებს გადაჰარბებული მოთხოვნები არ წაეყენებინათ ჯერ კიდევ ფეხნოშმაგრებელი ადამიანებისათვის და ამრიგად ეს სუსტი არსებანი კიდევ უფრო ცუდ პირობებში არ ჩაეყენებინათ.

ადამიანთა გვარეულობის წარმომადგენლებმა კრებაზე მოიყვანეს საუცხოვო დეკეული, რომელიც ღმერთებისათვის მსხვერპლად უნდა შეეწირათ.

პრომეთემ დაკლა მსხვერპლად შესაწირავი დეკეული და ხორცი ორ უთანაბრო გროვად გაანაწილა. ტიტანმა მოაგროვა ხორცის რჩეული ნაჭრები, შიგნეულის საუკეთესო ნაწილები, ხარის ტყავი გადაათარა და ზედ ხორცის გამოუსადეგარი ნაჭრები ჩამოაწყო.

მეორე გროვაში პრომეთემ დააწყო ხორცის ძელიანი, მეორე-ხარისხოვანი ნაჭრები და შიგნეულის გამოუსადეგარი ნაწილები, რომლებზედაც შემოაწყო ხორცის საუკეთესო, ქონიანი ნაჭრები.

ყოვლისმცოდნემა და ყოვლისმხედველმა ღმერთების მამამთავარმა, როგორც კი თვალი მოჰკრა სამსხვერპლოდ დაკლული დეკეულის ხორცის ვანაწილებას, მყისვე შეამჩნია პრომეთეს ცბიერება

და ღიმილით მიმართა ადამიანთა გვარეულობის უხიზელ მცველს და თავდადებულ მეგობარს: „განა ეს მოსათმენია, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომ სამსხვერპლო დეკეული ასე უთანასწოროდ და შეუფერებლად გაგინაწილებია!“

„ყოვლად შემძლებელო ზევსო!—ცბიერი ღიმილით უპასუხა პრომეთემ.—გთხოვთ აირჩიოთ ხორცის ის გროვა, რომელიც თქვენ გსურთ და მოგწონთ!“

ზევის მეტად განარისხა პრომეთეს ცბიერმა საქციელმა და განზრახ აირჩია ხორცის ის გროვა, რომელიც საუკეთესო ქონიანი ხორციით იყო გარშემოწყობილი.

ბრაზმორეულმა ოლიმპოს მბრძანებელმა უხეშად ჩამოაცალა ღმერთებისათვის გამზადებულ გროვას ხორცის ქონიანი ნაჭრები და როცა დეკეულის ძვლიანი ხორცის ნაჭრები და უვარგისი შიგენეული დაინახა, მრისხანედ შეჰყვირა ტიტანს: „იაფეტის უღირსო შვილო, ახლა კი დაწვწმუნდი, როგორი ცბიერებით ყოფილხარ აღჭურვილი! აიცილდე, ღმერთების ასეთ უპატივცემულობას არაასოდეს არ გაპატიებ!“

განრისხებულმა ოლიმპოს მბრძანებელმა, ყოვლად შემძლებელმა ზევსმა, დიდი ზებედურება დაატება თავს ადამიანთა გვარეულობას, რომლის მოსარჩლეობას პრომეთე ასე თავდადებულად ეწეოდა.

ადამიანთა გვარეულობისათვის პირველყოველისა საჭირო იყო ცეცხლი, მაგრამ პრომეთეს მიერ განაწყენებულმა ოლიმპოს მბრძანებელმა უარი განაცხადა ხალხისათვის საჩუქრად ცეცხლი დაეთმო.

ამრიგად ზევსმა მოუსპო ადამიანთა გვარეულობას ცხოვრებისათვის უსაჭიროესი საგნით სარგებლობის საშუალება.

ზევის მრისხანებამ სრულიადაც ვერ შეაშინა ხალხისათვის თავდადებული გმირი. პრომეთემ გადაწყვიტა, რაც არ უნდა დასჯდომოდა, ადამიანთა გვარეულობას მედგრად გამოსარჩლებოდა და ღმერთების წინააღმდეგ ერთხელ კიდევ გაელაშქრა.

კაცობრიობისათვის მარადის თავდადებულმა პრომეთემ ღმერთებს ფარულად მოსტაცა ცეცხლი და ქვეყნად ჩამოიტანა, რომ ხალხს საჭიროების მიხედვით ეს ცხოველმყოფელი ნაპერწკალი გამოეყენებინა.

დედამიწის ზურგზე ყველგან მოხდენილად გიზგოზებდა ცეცხლის ხის მალალი ტოტები ცეცხლის ალში ეხვეოდა. ცეცხლისაგან ავარდნილი კომლი თვალუწვდენელ მანძილზე ბურავდა მთელ მიდამოს.

ოლიმპოს მბრძანებლის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დედამიწიდან ავარდნილი კომლის სვეტები დაინახა.

ოლიმპოს მბრძანებელმა გადაწყვიტა ადამიანთა გვარეულობისა და მისი შედგარი მფარველის სასტიკად დასჯა.

ზევის ბრძანებით, დიდად დახელოვნებულმა ჰეფესტმა გამოქედა ახალგაზრდა ქალის, საკვირველად ლამაზი ქალის, გამოხატულება.

ქალღმერთმა ათენამ ამ გამოხატულებას წამოასხა საუცხოვო მანდილი და გულში მარადის მაცოცხლებელი ძალა და მხნეობა ჩაუნერგა.

ქალღმერთმა აფროდიტემ ეს მშვენიერი გამოხატულება ღვთაებრივი სიკეთეებით და მშვენიერებით დააჯილდოვა.

ღმერთების მოამბემ, ძღვეამოსილმა ჰერმესმა, მშვენიერ გამოხატულებას ენა აუშეტყველა და იშვიათის მქვერმეტყველებით დაასაჩუქრა.

ამრიგად ღმერთების წინაშე წარსდგა მშვენიერი ახალგაზრდა ქალწული, რომელსაც სახელად პანდორა უწოდეს, რაიცა „ყოველი სიკეთით დაჯილდოვებულს“ ნიშნავს.

ყოვლად შემძლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა პანდორა ქვეყნად გაგზავნა და თან გაატანა ოქროს ყუთი, რომელშიც ჩაკეტილი იყო ყოველგვარი სენი.

პანდორა დაუყოვნებლივ ელვის სისწრაფით დაეშვა ქვეყნად.

მკირედი ხნის ძებნის შემდეგ ქალწული ქალი პრომეთეს ძმის ეპიმეთეს სასახლეს მიუახლოვდა.

პრომეთეს ეშინოდა ღმერთების შურისძიებისა და ამიტომ ძმა წინასწარ გააფრთხილა ღმერთებისაგან არასგზით საჩუქარი არ მიეღო.

მაგრამ როცა მშვენიერი ახალგაზრდა ქალწული ოქროს ყუთით მიადგა ეპიმეთეს სასახლის კარებს, ციდან მოვლენილი ახალგაზრდა სტუმრის სილამაზით და მშვენიერებით მოხიბლულ ეპიმეთეს დაავიწყდა ძმის გაფრთხილება და მოულოდნელად მოსულ ღვთაებრივ ქალწულს განუსაზღვრელი აღტაცებით მიეგება.

მკირედი საუბრის შემდეგ პანდორამ, ეპიმეთეს თხოვნით, ოქროს ყუთს თავი ახადა.

ყუთიდან დაუყოვნებლივ ამოფრინდა შიგ ჩაკეტილი ათასგვარი სენი და ელვის სისწრაფით მთელ ქვეყანას კილით კიდემდე მოედო.

ყოვლად შემძლებელი ზევსის ბრძანებით, პანდორამ მოულოდნელად ყუთს თავი დახურა და ამრიგად საშუალება მოუსპო მწუხარების წამებში ადამიანის გულის გამაქარებელ და ნუგეშისმცემელ იმედს ყუთიდან ამოფრენილიყო.

ქვეყანას თავს დაატყდა საშინელი უბედურება. გაჩნდა ათასგვარი სენი, რომელიც არავის ინდობდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი განურჩევლად იტანჯებოდნენ და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს სასოწარკვეთილებით ებრძოდნენ.

ულმობელი ავადმყოფობა მძლავრად იღვამდა ფესვებს ადამიანთა სხეულში, დღითიდღე აუძლურებდა მათ და გამოუსადეგრად ხდიდა ცხოვრების აუტანელ პირობებთან საბრძოლველად.

ადამიანის სხეულის გამანადგურებელი საშინელი ციებ-ციხლება ყველგან ჯოჯოხეთის გენიას აყენებდა. სიკვდილის სულთამხუთავი აჩრდილი დედამიწას თავს დასტრიალებდა და ათასობით უდანაშაულო მსხვერპლს იწირავდა.

დიდის მწუხარებით და გულისტკივილით შეჰყურებდა ადამიანთა გვარეულობის უმაგალითო ტანჯვას ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული პრომეთე, და მისი ამაყი, შეუდრეკელი გული ღმერთებზე შურის საძიებლად ჯერ კიდევ მედგრად ძგერდა.

მაგრამ ყოვლად შემძლებელ ზევსს პრომეთეს კადნიერი ურჩობა სრულიადაც არ დაჰვიწყებია. ამიტომ უდრეკი ტიტანიც კი ვერ ასცდა ოლიმპოს მბრძანებლის საშინელს მსჯავრს.

ყოვლად შემძლებელმა ზევსმა გადაწყვიტა პრომეთეს სასტიკად დასჯა და იგი დასასჯელად ჩააბარა მქედლობაში დიდად დახელოვნებულ ღმერთს ჰეფესტს.

ზევისის ბრძანებით, ჰეფესტმა კაცობრიობისათვის თავდადებული ტიტანი პრომეთე კავკასიის მაღალკლდოვან ქედზე მიაჯაჭვა და უზარმაზარი რკინის კომბლით მთის წვერვალის ციცაბო კლდეზე მაგრად მიაქედა.

ჰეფესტი დიდის მწუხარებით და გულისტკივილით ასრულებდა ყოვლად შემძლებელი ზევსის საშინელ დავალებას, მაგრამ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან ოლიმპოს მბრძანებლის სურვილი მისთვის კანონი იყო, რომელიც უეჭველად უნდა შეესრულებინა.

კავკასიის მთის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე ღუმილით, გამოუთქმელი მოთმინებით ამაყად იტანდა საშინელ ტკივილებს.

ამაყი ტიტანის ტანჯვა ერთიორად გაძლიერდა მის შემდეგ, როცა ჰეფესტი გმირს ჩამოშორდა და ოლიმპოს მწვერვალისაკენ გაემართა.

პრომეთეს ხმამალალი გმინვა და გოდება ცის მაღლობს სწვდებოდა და თვალუწვდენელ სივრცეზე ადამიანთა ყურთასმენას აყრუებდა.

ამაყი ტიტანის დედა, ქალღმერთი თემიდა, როგორც კი შვილის მწარე გმინვასა და გოდებას მოჰკრა ყური, დაუყოვნებლივ ფეხაკრფით მიიქრა საყვარელ შვილთან და დედობრივი აღერსით უნელებდა ტანჯვის მწარე ცრემლებს.

ქალღმერთი თემიდა თვალცრემლიანი ემუდარებოდა ტკივილებსაგან უზომოდ ტანჯულ პრომეთეს — ყოელად შემძლებელ ზევსს წინააღმდეგობას ნუ უწევ და მორჩილება გამოუცხადეო.

— ჩემო ძვირფასო, საყვარელო შვილო, ღმერთების წინააღმდეგობა მოკვდავს, რაგინდ ძლევამოსილი იყოს ის, არ გამოადგება! შვილო, თუ ჩემ რჩევას არ მიიღებ და ღმერთებს მორჩილებას არ გამოუცხადებ, იცოდე, ოლიმპოს მბრძანებელი ზევსი კიდევ უფრო დიდსა და საშინელ უბედურებას მოგივლენს! — ეუბნებოდა თემიდა.

პრომეთემ ამაყად უარყო ქალღმერთ თემიდას რჩევა.

— განგების განაჩენი აუცილებლად უნდა შესრულდეს! — უპასუხებდა პრომეთე საყვარელ დედას: — ვაჟკაცი, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული აუცილებლობის ძალა, განგების განაჩენს არასოდეს არ გაექცევა!

ზევსმა მართლაც კვლავ მოუვლინა პრომეთეს ახალი საშინელი სასჯელი: ოლიმპოს ღმერთების მამამთავრის ზევსის ბრძანებით, უზარმაზარი არწივი ყოველ მესამე დღეს კავკასიის მთების თავზე ეშვებოდა და თავისი მძლავრი კლანჭებით ტანჯულ გმირს მუცელს უფატრავდა და აღმასივით ბასრი ნისკარტით გულ-ღვიძლს გაუმადლრად უკორტნიდა.

ტანჯული გმირის გმინვისა და გოდების საშინელი ხმა მთელ ქვეყანას აყრუებდა და მსმენელთ გულს უსაზღვროდ უშფოთებდა.

როცა თავის სისხლიან საქმეს მორჩებოდა გაუმადლარი ფრთოსანი, ოლიმპოს მწვერვალისაკენ სასწრაფოდ მიფრინავდა, რომ მესამე დღეს კვლავ დაბრუნებულიყო თავისი „საგმირო დავალების“ შესასრულებლად.

დატანჯული გმირის დაფლეთილი გულ-მუცელი ძალიან სწრაფად მთელდებოდა, მაგრამ გაუმადლარი არწივი დანიშნულ დროს კვლავ მოფრინდებოდა და თავის სისხლიან საქმეს ყოველთვის პირნათლად ასრულებდა.

ამრიგად მისდევდნენ წლები წლებს და საუკუნეები საუკუნეებს. ტიტანის ტანჯვასა და წამებას დასასრული არა ჰქონდა.

ყოველ მესამე დღეს კავკასიის მთების თავზე, ერთსა და იმავე დროს, გამოჩნდებოდა საშინელი არწივის უზარმაზარი აჩრდილი, რომელიც მყისვე სადღაც გაქრებოდა.

მტაცებელი ფრთოსანი ტყვიასავით თავს ესხმოდა ტანჯულ გმირს და გულ-მუცელს გაუმადლრად უძიძგნიდა.

შეუდრეკელი ტიტანის გმინვისა და გოდების მწარე ხმა მთელ მსოფლიოში კიდიტ-კიდემდე გაისმოდა და მსმენელს მკვერმეტყველურად მოუთხრობდა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის თავდადებული გმირის ტანჯვისა და წამების სამწუხარო ამბავს.

სალამოჟამს კი მტაცებელი ფრთოსანი ისევ ოლიმპოსაკენ მიფრინავდა და მისი გასისხლიანებული ნისკარტი და კლანჭები ნათლად ადასტურებდა იმ საქმიანობას, რომელსაც გაუმადლარი არწივი ყოველ მესამე დღეს ეწეოდა კავკასიის ქედზე მიჯაჭვული სახელოვანი გმირის პრომეთეს სხეულის გარშემო.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. დროთა მიმდინარეობის ნაკადს მოაქვს ტანჯული გმირის სრული განთავისუფლება.

სწორედ იმ ადგილას, საცა დიდებული პრომეთე კლდეზე იყო მიჯაჭვული, სრულიად შემთხვევით გაჩნდა მთელ საბერძნეთში სახელგანთქმული გმირი ჰერკულესი.

კონთა დიდებული გმირის შორსსატყორცნმა ისარმა, რომელიც შიზანს არასდროს არ ასცდებოდა, სასიკვდილოდ დაჭრა საზარელი არწივი სწორედ იმ დროს, როცა ეს საშინელი ფრინველი კავკასიის ქედის თავზე ეშვებოდა თავისი სისხლიანი საქმის შესასრულებლად.

ძღვევამოსილმა ჰერკულესმა თავისი უზარმაზარი კომბლის მძლავრი დარტყმით ერთბაშად დაამსხვრია ტანჯული პრომეთეს ტანზე საღრესავით შემორტყმული ჯაჭვები, რომლების დაღეწილი რგოლები გმირის ფერხთით ცვიოდა.

მაგრამ ჯაჭვის ერთი რგოლი, კლდის მოზრდილი ნახეთქით, პრომეთეს ხელის თითზე შერჩა, და ამ რგოლს გმირი შემდგომ მუდამ ატარებდა იმ დიდი ტანჯვისა და წამების აღსანიშნავად, რაც კაცობრიობისათვის თავდადებულმა ტიტანმა განიცადა იმ ხნის განმავლობაში, როცა იგი, ღმერთების მამამთავრის ბრძანებით, კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული.

განთავისუფლებული პრომეთე ისევ დატრიალდა მის მიერ შექმნილ აღამიანთა შორის და თავისი ყოველდღიური საქმიანობით უმსუბუქებდა კაცობრიობას იმ მძიმე ტვირთს, რომელიც უღმობელმა ცხოვრებამ არგუნა.

დევკალიონი და პირა

ქლინთა ღმერთების მამამთავრის ზევსის ყურამღე შიალწია ხმამ: ქვეყნად, ხალხთა შორის, მეტად გავრცელდა უკანონობა და ყოველგვარი უწყესობაო.

ზეესი მეტად შეაწუხა ამ მართლაც სამწუხარო ამბავმა და მან უმაღლე გადაწყვიტა თვითონვე შეემოწმებინა, რამდენად საშართლიანი იყო ეს ხმა. ღმერთების მამამთავარი დაიძრა ზეციდან. სამწუხაროდ, ზევსმა უფრო მეტი უწყესობა იხილა ქვეყნად ვიდრე ამის შესახებ ზეცას მოსდიოდა ხმები. სადაც კი მივიდა ღმერთების მამამთავარი, ყველგან დიდი უწყესობა და უკანონობა ჰპოვა.

ერთხელ, სალამოს, ზევსი არკადიაში მიბრძანდა მეფე ლიკაონის სასახლეში. ყოვლად შემძლებელი ოლიმპოს მბრძანებელი, სანამ მეფე ლიკაონის სასახლეში მივიდოდა, გზაში მრავალ სასწაულს ახდენდა და თავის ღვთაებრივ მადლს ადგილობრივ მკვიდრთ არ აკლებდა: ხალხმა ამის გამო ლოცვითა და კურთხევით თაყვანი სცა ქვეყნად კაცის სახით მოვლენილ ღმერთს.

მეფე ლიკაონი მეტად განარისხა ხალხის მიერ ამგვარი პატრიისციემის გამოცხადებამ. მეფემ გადაწყვიტა ძილში მოეკლა თავისი სტუმარი, მაგრამ, სანამ ამ სასტიკ განზრახვას შეასრულებდა, ზევსის გამოცდა მოისურვა, რათა დარწმუნებულიყო, ღმერთია იგი, თუ ზებრალო მოკვდავიო.

მეფეს სასახლეში ჰყავდა ერთი მონა. ლიკაონმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ გამოეჭრათ ყელი ამ მონისათვის, მოეხარშათ იგი და ზევსისათვის მიერთმიათ: აბა, გამოიცნობს ჩემი სტუმარი ამ საკმეღს თუ ვერაო.

ზეესი მეტად შეაწუხა ამ საზიზღარმა ამბავმა და ლიკაონის დასასჯელად მეფის სასახლეს მოუვლინა თავზარდამცემი ქუხილი, რომელმაც ყველაფერი ერთიანად გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ სასახლის პატრონი მეფე ლიკაონი, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას.

ზეესმა ლიკაონი მგლად გადააქცია. მეფემ ამ დღიდან კაცურად ლაპარაკის უნარი დაკარგა, იგი მგელივით ღმუის, სახე იცვა-

ლა, ხელებმა და ფეხებმა სულ სხვა შეხედულება მიიღო. ერთი სიტყვით, მეფე ლიკაონმა სავესებით მგლის სახე მიიღო.

ზევის ზეცას დაბრუნდა და დაუყოვნებლივ მოიწვია ღმერთების კრება. ღმერთები შეიკრიბნენ მარმარილოს ქვეებით მოფენილ სასახლეში და ირველივ შწყობრად ჩამოსხდნენ. გამობრძანდა თვით ზევსიც დაღვრემილი იყო, თავი ორჯერ მძლავრად ჩაიქნია და შემდეგ დიდებულ კრებულს ასე განუმარტა საქმის ვითარება და თათბირის უახლოესი საგანი: „ზე არასოდეს არ მშინებია ჩემი სამეფოსი ისე, როგორც ამჟამად. მთელი სამეფო მოვიარე კიდრთ-კიდმდე, მაგრამ უკანონობისა და საშინელი საზიზღრობის მეტი ვერა ვპოვე რა. ამიტომ გადავწყვიტე მთელი კაცობრიობის სასტიკად დასჯა“.

როცა ამასთანავე ზევსმა თათბირზე დამსწრე ღმერთებს უამბო მეფე ლიკაონის მიერ ჩადენილი ყოვლად დაუშვებელი საქციელი, ყველანი შიშის ჭარმა აიტანა და ერთხმად მოუწონეს ყოვლად შემძლებელ ზევსს მთელი კაცობრიობის დასჯის გადაწყვეტილება. ხოლო ზოგიერთმა დამსწრეთაგანმა შემრწუნებით თქვა: როცა დედამიწის ზურგზე ხალხი ამოწყდება, ღმერთებს მსხვერპლს ვინ შესწირავს, ვინ უკმევს მათ საკმეველსო?

მაგრამ ყოვლად შემძლებელმა ზევსმა ამრიგად ანუგეშა შეშინებული ღმერთები: ამ მხრით შიში ნუ გექნებათ, დედამიწაზე უფრო ღვთისმოყვარე ხალხს მოვამრავლებო.

ღმერთები დაკმაყოფილდნენ ამ განმარტებით და მთელი კაცობრიობის წარღვრით დასჯა ერთხმად დაადგინეს.

ყოვლად შემძლებელი ზევსის ბრძანებით ქვეყნის ოთხივე მხრით ამოვიარდა მძლავრი ქარი, ცა ერთიანად შეიმოსა შავი ღრუბლებით, ქექა-ქუხილმა დედამიწა ჯოჯოხეთად აქცია; მდინარეები აღიდდნენ და ნაპირებიდან გადმოსვლას მოულოდნელად მოელოდნენ; ზღვისა და ოკეანის გამხეცებელი ზვირთები ცის სიმაღლეზე ერთმანეთს შეუბრალებლად ეჯახებოდნენ და დედამიწას წალეკვას უქადდნენ. შიშისაგან სულგანაბული ხალხი არსაიდან შეელას არ მოელოდა და გაშტერებით შეჰყურებდა სტიქიონის გამხეცებულ ვარჯიშობას. ერთი წამიც—და დედამიწა წყლის ზვირთებით უნდა წალეკილიყო.

მართლაც, დაბერა თუ არა ცოტათი უფრო ძლიერმა ქარმა, ცის სივრცემდე ამართული ზღვისა და ოკეანის გამხეცებელი ზვირთები დედამიწას ელექტრობასავით მოედო. ხალხი მთვების მწვერვალებისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ შეუბრალებელი წყლის ზვირთები მთების მალლობზედაც მუსრს ავლებდა ყველაფერს. ყველაფერი გაქ-

რა იქ, სადაც ამ ერთი თუ ორი წუთის წინათ სიცოცხლე დულდა და გადმოდირდა.

როცა ამრიგად აზვირთებულმა ტალღებმა ერთიანად წალეკა დედამიწის ზურგიდან ყველა სულიერი და უსულო არსება, ყოვლად შემძლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა გასცა ბრძანება წყლის ზვირთები თავთავის ადგილას მოთავსებულყო.

ყოვლად შემძლებელი ზევსის ბრძანება დაუყოვნებლივ შესრულდა. აზვირთებული წყლის ტალღები ელვის სისწრაფით გაეშურნენ ზღვებისა, ოკეანეებისა და მდინარეებისაკენ და თავთავის კალაპორტებში მოთავსდნენ.

როდესაც წყალი სავსებით აიკრიფა დედამიწის ზურგიდან, პარნასის მთის მალალ მწვერვალზე გაირიყა პატარა ნავი, რომელშიაც უვნებლად გადარჩენილიყვნენ ელინთა ძლევაშემოსილი გმირის პრომეთეს ვაჟიშვილი, ლეთისმოყვარე დევკალიონი, და უკეთილმსახურესი მეუღლე მისი პირა.

აი, ორად ორი სულიერი არსება, რომელიც მოიპოვებოდა წარღვნის შემდეგ დედამიწის ზურგზე.

დევკალიონი და პირა გადმოვიდნენ ნავიდან და, როცა დედამიწა დაცარიელებული დაინახეს, როცა ქვეყნად არავისი ხმა და ძახილი არ ისმოდა, თვალები ცრემლებით ავესოთ და ობლად დარჩენილნი დიდხანს, დიდხანს გულამოსკვნით ქვითინებდნენ.

„ჩემო საყვარელო დაო და მეუღლე!— ცრემლიან თვლებით შეხმაურა დევკალიონი თავის საყვარელ მეუღლეს პირას:— მთელი დედამიწის ზურგზე, მზის ამოსვლის და ჩასვლის სივრცეზე, ერთადერთო დიაცო, ერთადერთო მეუღლე! ჩვენს გარდა დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი სულიერი, ყველანი წყლის შეუბრალებელმა ზვირთებმა შთანთქეს. ჩვენც კიდევ რა მოგველის, ცინ იცის! თვითეული ღრუბლის ნაწყვეტი შიშის ზარს მგვრის, სულს მიხუთავს, გონებას მიხზობს! კიდევაც რომ უვნებლად გადავრჩეთ, ჩვენი სიცოცხლე რა სიცოცხლე უნდა იქნეს! ამ ვეებერთელა, დაცარიელებულ ქვეყანაზე ჩვენ მარტონი რას მოვიმოქმედებთ, რის გაკეთება შეგვიძლია!“

ასე მწუხარებით, ცრემლების დაპალუპით ითვალისწინებდნენ თავის უმწეო მდგომარეობას ქვეყნად მარტოდმარტო დარჩენილნი დევკალიონი და პირა.

ბოლოს და ბოლოს დევკალიონმა და პირამ გადაწყვიტეს მიემართათ დელფოს სამისნოსათვის, სადაც ღმერთი თემიდა ელინთა მკვიდრს ყოველ ვაჭირვების დროს ამცნობდა ხოლმე მომავალ ბელს.

მართლაც, დიდის ძეგლის შემდეგ, კეთილმსახურმა ცოლ-ქმარმა მოძებნეს დელფოს სამლოცველოს ნანგრევები და გულმოდგინედ შეევედრნენ ქალღმერთს თემიდას: „გვამცნე, მოწყალეო თემიდაჲ, როგორ და რა საშუალებით უნდა გავაშენოთ დაცარიელებული ქვეყანა?“

თემიდამ ამნაირი ნახევრადგაუგებარი პასუხი მისცა უკეთილმსახურეს დევკალიონსა და პირას: „დიდი დედის ძვლები გადაისროლეთ თავზე, ზურგს უკან!“

საბრალო დევკალიონი და პირა დიდხანს უხმოდ იდგნენ ერთსა და იმავე ადგილას და გაკვირვებით გულში ბჭობდნენ, თუ რას მოასწავებდა თემიდას ამგვარი ბუნდოვანი სიტყვები.

დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, დევკალიონმა ამნაირად განმარტა თემიდას წინასწარმეტყველება: დიდი დედა—დედამიწაა, ხოლო ძვლები კი დედამიწაში ჩაფლული ქვები უნდა იყოსო.

უკეთილმსახურეს ცოლ-ქმარს მოეწონათ ეს განმარტება და საქმით ამის შემოწმება მოისურვეს.

მართლაც, დევკალიონი და პირა ჩამოვიდნენ ერთ დაბალ ხეობაში და შეუდგნენ ქვების თავზე ზურგს უკან გადასროლას.

დახეთ საკვირველებას! დევკალიონის მიერ ზურგს უკან გადასროლილი ქვები მამაკაცებად გადაიქცნენ, პირას მიერ გადასროლილი კი დედაკაცებად.

ამნაირად, წარღვნისაგან დაცარიელებული დედამიწა სულ მოკლე ხანში გაშენდა, და ადამიანმა განახლებულ ქვეყანაში განახლებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

უ ა ე თ ო ნ ტ ი

მზის ღმერთის ჰელიოსისა და კლიმენას შვილი ფაეთონტი მთელ ეთიოპიაში სახელგანთქმულ ვაჟაკად ითვლებოდა. ეთიოპიელები დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ ახოვან ყმაწვილს.

ფაეთონტი მუდამ ამაყობდა თავისი ღვთაებრივი ჩამომავლობით. ერთხელ ყმაწვილი იმდენად გაკადნიერდა, რომ ღმერთების მამამთავრის ზევსის შვილის ეპათის თანასწორობაც კი გამოაცხადა საჯაროდ. ეპათს სიცილადაც არ ეყო ფაეთონტის ამგვარი კადნიერება და ეპეი შეიტანა ყმაწვილის ღვთაებრივ ჩამომავლობაზე. შეურაცხყოფილი ყმაწვილი დაუყოვნებლივ დედასთან მიიქრა.

„საყვარელო დედავ!—თვალცრემლიანი ემუდარებოდა ფაეთონტი თავის საყვარელ დედას კლიმენას:—მომეც რაიმე სარწმუნო საბუთი, რომ დედამიწის მანათობელი მზის ღმერთი ჰელიოსი მართლაც მამაჩემია!“

— „ვფიცავ ყოვლად შემძლებელ მაღალ ღმერთებს, ვფიცავ ყველაფერს, რაც კი წმინდათა წმინდა გამაჩნია, ვფიცავ შენს ყველგან და მარადის ჩემთვის ძვირფას სახელს და სიყვარულს, რომ შენ ნამდვილად ჰელიოს ღმერთის შვილი ხარ!“—სიყვარულის კილოთი ანუგეშებდა კლიმენა თავის საყვარელ, ძვირფას შვილს ფაეთონტს: „უკეთუ ჩემი სიტყვები არ გჯერა, მამაშენის სასახლეები ხომ ახლოა ჩვენზე და თვითონვე შეგიძლია გამოჰკითხო ყველაფერი შენი ვინაობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, მამაშენი ჰელიოსი შესძლებს დაგარწმუნოს შენს ვინაობაში და ყოველგვარი ეჭვები სრულიად გაგიფანტოს“.

ფაეთონტს მოეწონა დედის რჩევა და დაუყოვნებლივ ფეხაკრეფით გაეშურა მზის ღმერთის ჰელიოსის ბრწყინვალე სასახლეში საკენ.

ჰელიოსის სასახლეები ამაყად გადმოიყურებოდნენ მაღალი მთის მწვერვალიდან. ოქროთი და ფერადი ქვებით შემკული მარ-

მარილოს სვეტები გარს ერტყნენ სპილოს ძვლებით დახურულ სასახლეებს. მოვერცხლილ ალაყაფის კარებზე ხელოვნურად გამოქანდაკებული იყო ცა, დედამიწა და თვალუწვდენელი ოკეანე. წყლის ფერად უფსკრულში მოჩანდნენ ზღვისა და ოკეანის ღმერთები. დედამიწის ზურგზე გაეშენებინათ ქალაქები და სოფლები, სადაც ხალხი ირეოდა და ყოველდღიური საქმიანობის ფერხულში ჩაბმულიყო. განაპირა ადგილები მთის საუცხოვო გრეხილებით დასერილიყო, ხოლო ირგვლივ პიტალო კლდეები არწივივით ამაყად გადმოიყურებოდნენ. მთის კალთები უხვად შემოსილიყო დაბურული ტყეებით, რომლებშიც მხეცები ათასგვარად ფუსფუსებდნენ. მდინარეები მთის გრეხილებზე საამურად იკლაკნებოდნენ, მტრედისფერი ცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოქედილიყო.

ფაეთონტი მოკრძალებით შევიდა სასახლეში. ჰელიოსი დიდებული ტანსაცმელით იჯდა აღმასებით შემკულ ტახტზე. მარჯვნივ და მარცხნივ დიდებულ მზის მფლობელს გვერდს უმშვენებდნენ კეკლუცი და მორცხვი გაზაფხული, ნაზი ზაფხული, ბარაქიანი შემოდგომა და სუსხიანი, თეთრწვერა ზამთარი.

ფაეთონტი გაკვირვებით შეჰყურებდა ძვირფას, ბრწყინვალე სასახლეს და გონს ვერ მოსულიყო, ყოველივე ამას ცხადად ხედავდა თუ სიზმრად.

ჰელიოსმა დიდის თავაზიანობით მიიღო ფაეთონტი, მამობრივი სიყვარულით ოქროს სავარძელი შესთავაზა და გვერდით ჩამომჯდარ საყვარელ შვილს ღმობიერად შეეკითხა: „ჩემო საყვარელო შვილო, გულახდილად მითხარი, ვის ან რას დაეძებ მამაშენის სასახლეში“.

„ბრწყინვალე და დიდებულო მამავ!—გახარებული კილოთი უპასუხა ფაეთონტმა:—ნება მომეცი ერთი რამ გკითხო. ნებას მძალევე შენ შვილად ვიწოდებოდე? ქვეყნად არ სჯერათ, რომ მე შენი შვილი ვარ, მაგრამ, როგორც ახლა შენი სიტყვებიდან ირკვევა, მე მართლაც შენი შვილი ვყოფილვარ. ამიტომ გთხოვ, მამავ, ნიშნად ჩემი ღვთაებრივი ჩამომავლობისა, მომეც რამ სარწმუნო საბუთი“.

„ჩემო საყვარელო ფაეთონტ, — განაგრძო ძლევა მოსილმა ჰელიოსმა, — მე შენს შვილობაზე არასოდეს უარს არ ვიტყვი. ამიტომ მთხოვე რაც გსურს და აგისრულებ“.

„გმადლობ, საყვარელო მამავ! მაშ თუ ასეა, ერთი დღით დაბითმე მზის ფრთოსანი ეტლი“—მოკრძალებით სთხოვა ჰელიოსს სიბაზრული ალყაყაყი ფაეთონტმა.

ჰელიოსი ფაეთონტის შეუსაბამო თხოვნამ მეტად დაალონა. მზის მფლობელი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ფაეთონტი ფრთოსანი ეტლით მოგზაურობას ვერ შესძლებდა. „ოლიმპოს თვითმპყრობელიც კი ვერ ბედავს ჩემი ეტლით მოგზაურობას“—მკვერმეტყველად უმტიციებდა მამა შვილს, მაგრამ ფაეთონტი მაინც თავისას არ იშლიდა. ბრწყინვალე მზის მფლობელმა თავისი სიტყვა ვერ გატეხა და იძულებული შეიქნა ეტლი ერთი დღით შვილისათვის დაეთმო.

უკვე დილის განთიადმა დაჰკრა. მეჯინიბებმა თავლიდან გამოიყვანეს ცეცხლისმფრქვევი დარახტული ცხენები და შეაბეს მალათველებიან ოქროს ეტლში.

„შვილო!—მწუხარებით გამოესალმა ჰელიოსი ფაეთონტს:—ცხენებს მაგრად დაუჭირე სადავეები, მძლავრად ნუ გარეკავ, თორემ სამწუხაროდ გათავდნება შენი მოგზაურობა“.

ალმისივით დაღესილი ოთხი ცხენი საგზაოდ იყო გამზადებული, მოუთმენლობისაგან ელვასავით თრთოდნენ, მათი ტორების ცემა და ქიხინი შორს, შორს გაისმოდა.

ფაეთონტი გაბედულად ჩაჯდა ეტლში, მოიმარჯვა სადავეები, ერთი-კი განზე შეარხია მათარახი, და ცხენებმა ჩიტვივით მოიტაცეს ცის სივრცისაკენ ჰელიოსის ფრთოსანი ეტლი. ეტლის პირველ შექანებაზე ცხენებმა იგრძნეს შეეტლის გამოუცდელი ხელი და ჩვეულებრივ გზას ასცდნენ. ყმაწვილი მეტად შეშინდა. შიშმა მაშინ უფრო აიტანა, როცა ცის სივრციდან დედამიწის სიშორეს ჩამოხედა. ფაეთონტს მუხლები აუცახცახდა, ძარღვები მკლავებში მოუდუნდა, თვალებში სინათლე მთლად გამოელია. გააფთრებული ცხენები ერთიანად დაგიჟდნენ და უგზოუკვლოდ მიაქროლებდნენ ეტლს. მზის ღმერთის ჰელიოსის ეტლი ხან ცის სივრცეში დატრიალებდა, ხან მიწის მახლობლად ჩამოეშვებოდა. ნაეტლარი გზა ერთიანად იბუგებოდა. ღრუბლებს ცეცხლის ალი ასდიოდა, მთის მწვერვალნი, ქალაქები, სოფლები, მინდორი და ტყეები ცეცხლის მორევში ცურავდნენ. ილუპებოდა ყველაფერი, სულიერი და უსულო. მდინარეებისა და ტბის ღმერთები შესაზარლად ქვითინებდნენ. წყალი მეტის სიცხისაგან კალაპორტებში შრებოდა. ნილოსი ადიდებული წყლის ზვირთებს შორეული ქვეყნებისაკენ ტყორცნიდა, მაგრამ შეუბრალებელი სიცხე კვალდაკვალ მისდევდა. თევზში წყლის სიღრმეს ეტანებოდნენ, მაგრამ მყუდრო თავშესაფარს აქაც ვერ პოულობდნენ, მიწა დასკდა და დაიღარა. ერთი წამიც—და მთელი დედამიწა ცეცხლისაგან უნდა დაფერფლილიყო.

ქვეყნიერება დალუპვისაგან რომ გადაერჩინა, ღმერთების მამა-მთავარმა ზევსმა ქექაქუხილი მოუვლინა ფაეთონტის ფრთოსან ეტლს და ერთიანად დაამსხვრია. ქვეყნიერება დალუპვას გადაარჩა. ფაეთონტის გაცივებული, მთლიანად შეტრუსული გვამი სამშობლოს მოშორებით იპოვეს. და იქვე დაასაფლავეს.

საყვარელი შვილის სიკვდილია ჰელიოსი მეტად შეაწუხა. ყოვლად შემძლებელი დედამიწის მანათობელი ჰელიოსი დღედღამ მღუღარე ცრემლებს აფრქვევდა. ჰელიოსის ღვთაებრივ თვალთაგან ჩამოდენილი ცხარე ცრემლებისაგან მზე დაბნელდა და დედამიწას არ ანათებდა.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, საბრალო კლიმენამ იპოვა თავისი საყვარელი შვილის ფაეთონტის განმარტოვებული საფლავი.

მთელი ოთხი თვის განმავლობაში საცოდავი დედა და უდროოდ დაკარგული ყმაწვილის დები მუდამდღე მწუხარედ დასტიროდნენ ფაეთონტის საფლავს. გავლელ-გამომვლელნი ცოდვით იწვოდნენ და საბრალო კლიმენასა და მისი ქალების მღუღარე ცრემლებს თავიანთ ცრემლებსაც უერთებდნენ.

ერთხელ დები ძმის საფლავს მწუხარედ დასტიროდნენ. უეცრივ უფროსმა დამ, ფაეთუსამ, შესაზარლად შეჰყვირა. საბრალომ იგრძნო, რომ ფეხები თანდათან უხევდებოდა. მეორე დას, ლამპეციას, ჰსურს მიეშველოს, დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრის, ხის ფესვები აკაებენ. მესამე და შიშისაგან თმას იგლეჯს, მაგრამ თმების მაგივრად ხის ფოთლები ჩამოაქვს. დები გაკვირვებით ერთმანეთს შესცქერიან და ხედავენ, რომ ისინი ხის ფოთლებით იმოსებიან. საბრალოებს მთელი სხეული ხის ქერქით და მწვანე ფოთლებით შეემოსათ, დარჩათ მარტოდმარტო ბაგენი და საყვარელ დედას კლიმენას შეელას ემუდარებოდნენ.

საბრალო დედა ხან ერთ ქალთან მიიქრება, ხან მეორესთან, ხან ერთს ჰკოცნის მხურვალედ, ხან მეორეს და მესამეს, ერთს აცლის ფოთლებს, მეორეს—ხის ქერქს, მესამეს—ტოტებს. ფოთლები-სა და ტოტების ჩამონაგლეჯზე საბრალოებს სისხლის ნაკადულები ღვარებად ჩამოსჩქეფთ.

„შეგვიბრალე, საყვარელო დედაე, ხის ფოთლებს და ტოტებს კი არა ჰგლეჯე, არამედ ჩვენ საკუთარ სხეულს! მშვიდობით, მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო საყვარელო დედაე! მშვიდობით, სამუდამოდ გეთხოვებით!“—ერთხმად წესძახეს სასიკვდილოდ გან-

წირულმა დებმა და მყისვე მათი ბაგენი ხის ქერქით დაიფარნენ, სა-
პუდამოდ დადუმდნენ. სამივე და ალვის ხეებად გადაიქცა და
საბრალო ფაეთონტის განმარტოებულ საფლავს გარს შემოერ-
ტყნენ.

ირგვლივ სამარისებული სიჩუმე მეფობდა. წყნარი და საამუ-
რი ნიავე ხანგამოშვებით არღვევდა ამ იღუმალ სიჩუმეს. შოლტი-
ვით ავარდნილი ალვის ხეები კი ამ დროს მწუხარედ დასცქეროდნენ
უდროოდ დალუბულის საფლავს და განუწყვეტლივ იცრემლე-
ოდნენ.

ორფევი და ევრიდიკე

ნახის ღმერთის ეაგრის შვილი ორფევი ძველ დროში სახელგანთქმულ მომღერლად ითვლებოდა. ორფევის სამშობლო თრაკია-სამართლიანად ამჟობდა თავისი სახელოვანი მომღერლით, ორფევის ნაზი, ნარნარი ხმა მთელ ქვეყანას ხიბლავდა. მთელი თრაკია სულგანაბული ყურს უგდებდა, როცა ორფევი სიმებს ჩამოჰკრავდა და გასაოცრად ააქლერებდა ჩანგს.

ორფევის მეუღლე ევრიდიკე მთელ თრაკიაში შესანიშნავი ლამაზი და ხასიათით სათნო ქალი იყო. ცოლ-ქმარს ერთმანეთი გაგიჟებით უყვარდათ. ერთხელ ევრიდიკე ამხანაგ ქალებთან მინდორში ყვავილებს აგროვებდა. უეცრივ მან ფეხი დაადგა ბალახებში ჩამალულ გველს, რომელმაც თავისი შხამიანი ენით დაკბინა. ორფევის საყვარელი მეუღლე, ევრიდიკე მყისვე გარდაიცვალა. ამხანაგები გულამოსკვნით დასტიროდნენ უდროოდ გარდაცვალებულს და საცოდავი ქეთინით აწუხებდნენ ცასა და ბარს. ორფევის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ძვირფასი მეგობრის დაკარგვით ზარდაცემული ორფევი სრულიად განმარტოებულ ცხოვრებას შეუდგა და თავის უსაზღვრო მწუხარებას მხოლოდ ჩანგის სიმებს ამცნობდა. ყოველდღე, დილიდან დაწყებული საღამომდე, საღამოდან დილამდე, განმარტოებით იჯდა მდინარის ნაპირას საცოდავი მომღერალი და უნუგეშო მწუხარებას ჩანგის სიმებზე იქარებდა ისეთი ნაზი და გულსაკლავი კილოთი, რომ მხეც-ნადირნი, ფრინველთა გუნდი და თვით პიტალო კლდეებიც კი მწუხარებას ეძლეოდნენ.

კარგმა ხანმა განვლო, მაგრამ ორფევიმ სულის სიმშვიდე ვერ მოიპოვა, მას უევრიდიკეოდ სიცოცხლე შეუძლებლად მიაჩნდა. ამიტომ საბრალო მომღერალმა გადაწყვიტა თავისი უსაზღვრო მწუხარება „საიქიოს“ მბრძანებლისათვის შეეჩივლა და ძვირფასი მეგობარი „სააქაოს“ დაებრუნებინა. მართლაც, ორფევიმ თავისი განზრახვა სულ მოკლე ხანში შეასრულა. დიდის დაბრკოლებით და გაკირვებით განვლო ორფევიმ „საიქიოს“ საბითათო გზები და „მიცვალებულთა სამეფოს“ მბრძანებლის წინაშე სათხოვნელად გამოცხადდა.

„ყოველად შემძლებელი ღმერთო და „საიქიოს“ დიდებული მპყრობელი—დაბალის ხმით დაიწყო ორფევიმ:—გვედრებით, დამიბრუნეთ ჩემი გულითადი მეგობარი, ჩემი უძვირფასესი და უსაყვარლესი ვერიდიკე, რომელიც გველის გესლიანმა ენამ უდროოდ გამოასალმა სიცოცხლეს! სული და გული მეხუთება, გონება მეზვის, სინათლე სიბნელედ მეცვლება, სულიერად ვიტანჯები, სიცოცხლე მეწამლება! გვედრებით შემიბრალოთ და დამიბრუნოთ ჩემი ძვირფასი მეგობარი, ჩემი კმუნისა და მწუხარების თანამოზიარე ვერიდიკე!“

ამ სიტყვებით ემუდარებოდა ორფევი „საიქიოს“ მბრძანებელს და თან ჩანგის სიმებს საცოდავად აკენესებდა. მიცვალებულთა აჩრდილები სიბრალულით აღივსნენ და უცეცხლოდ იწვოდნენ ორფევის მწუხარებით. „საიქიოს“ თვითმპყრობელი და მისი მეუღლე პერსეფონე გულამოსკვნით ტიროდნენ, ცრემლების დაპალუპით ისმენდნენ ორფევის ჩანგის სიმთა ჟღერის სამგლოვიარო ხმას, ღმერთებმა შეიბრალეს ორფევი და ნება დართეს ვერიდიკე წაეყვანა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ვიდრე იგინი „სასინათლოს სამეფოში“ არ გავიდოდნენ, ორფევის უკან არ უნდა მოეხედა, წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთების წყალობა სამგლოვიაროდ შეეცვლებოდა, ვერიდიკე ისევ სიცოცხლეს გამოესალმებოდა.

ორფევი და ვერიდიკე გახარებულნი დაბრუნდნენ „სააქაოსკენ“. ორფევი წინ მიუძღოდა სახიფათო ბილიკზე თავის საყვარელ ვერიდიკეს. მთელი გზა სახელოვან მომღერალს ფიქრიდან არ განუშორებია ღმერთებისათვის აღთქმული პირობა.

მგზავრები ის იყო „სასინათლოში“ უნდა გამოსულიყვნენ, ორფევიმ ვერ მოითმინა და თავისი საყვარელი მეგობრისაკენ მოიხედა. ვერიდიკე მყისვე გარდაიცვალა. ორფევის ტანჯვასა და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. საბრალო მომღერალმა გადაწყვიტა ხელმეორედ ჩასულიყო „საიქიოს“, მაგრამ, საუბედუროდ, ღმერთებმა ეს არ ინებეს და „საიქიოს“ ჩასვლა ორფევის აუკრძალეს. ამნაირად ორფევი სამუდამოდ განშორდა საყვარელ მეგობარს, ძვირფას ვერიდიკეს. უსაზღვრო მწუხარებით მოცული ორფევი თრაკიაში დაბრუნდა და მთელი დღეები განმარტოებით თავს აფარებდა დაბურულ ტყეებს, სადაც ერთადერთი მანუგეშებელი იყო ჩანგი, რომლის სიმების საცოდავი გმინვა არემარეს ატყევევებდა. მთა, ბარი, კლდე და ღრეები მუდამდღე იხიბლებოდნენ ორფევის ჩანგის სიმთა საცოდავი ჟღერით.

ერთხელ ორფევი ჩვეულებრივ იჯდა განმარტოებულ ბეჭობზე და მწუხარე ხმით აელერებდა სიმებს. ხეები ერთიანად იხიბლებოდ-

ნენ ჩანგის ნარნარი ხმებით და თავის ჩრდილს უხვად აწვდიდნენ-
დიდებულ მომღერალს. პიტალო კლდეები გულჩათხრობილნი შეჭ-
ყურებდნენ საცოდავი მომღერლის სიმთა ჟღერას. ფრინველთა-
გუნდებმა დატოვეს ბუდეები და დიდებულ მომღერალს გულნარტყე-
ნად თავს დასტრიალებდნენ. მხეცებიც განშორდნენ თავის ხვრე-
ლებს და სულგანაბლნი ყურს უგდებდნენ საკვირველ ხმებს.

ამ დროს მახლობელ მთებში თრაკიელი ქალები დიონისე-
ლმერთის პატივსაცემლად დღეობას იხდიდნენ.

როგორც კი ორფევის ჩანგის სიმთა სამწუხარო ჟღერა შემო-
ესმათ, მოდღესასწაულენი მოგროვდნენ და უშვერი სიტყვებით დაუწ-
ყეს ლანძღვა დიდებულ მომღერალს.

თრაკიის ქალები მეტად გაჯავრებულნი იყვნენ, რომ ევრიდი-
კეს სიკვდილის შემდეგ არცერთი მათგანი დიდებულ მომღერლის
სიყვარულისა და მეგობრობის ღირსი არ გახდა.

ორფევი თრაკიის ქალების ლანძღვათრევას ოდნავაც ყურა-
დღებდას არ აქცევდა. საბრალო თავისი კმუნვის განძაქარებელ ჩან-
გის სიმებს მწუხარედ განუწყვეტლივ აქლერებდა და ირგვლივ მთელ
ბუნებას ერთიანად ხიბლავდა.

თრაკიის ქალები კი უფროდაუფრო ბრაზობდნენ, ასეთი
გულგრილობითა და უყურადღებობით გაჯავრებულებმა ბოლოს
ძალმომრეობასაც მიმართეს და საბრალო მომღერალს ქვები დაუ-
შინეს.

ორფევი არც ახლა შედრკა, იგი ისევ საუცხოვო სიმთა ჟღე-
რით თავისი საყვარელი, ძვირფასი ევრიდიკეს ხსოვნას შესტრფოდა-
და შეჰხაროდა.

ქალები გარს შემოერტყნენ დიდებულ მომღერალს და შეუ-
ბრალებლად სცემდნენ ქვებს ესროდნენ, ჯოხებს თავზე ამსხვრევე-
დნენ, არაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, მისთვის არ იშუ-
რებდნენ.

ორფევი სიმებს ხელს მაინც არ ამორებდა და თავისი საყვა-
რელი ევრიდიკეს ხსოვნას მწუხარე ჰიმნებს უგალობდა.

გააფთრებული თრაკიის ქალები კი განგაშითა და საოცარი
ხმაურით თანდათან უფრო შეუპოვრად გარს ერტყმოდნენ, თავსა
და პირისახეს უსისხლიანებდნენ და შეუბრალებლად განუწყვეტლივ
ტანჯავდნენ ისედაც უსაზღვროდ მწუხარე დიდებულ მომღერალს.

უდიერი ცემისაგან დაუდუმდა დიდებულ მომღერალს ის ბა-
გენი, რომელნიც სულ ერთიანად ატყვევებდნენ, მთელ მეტყველ და
უტყვე ბუნებას.

ორფევიმ სამუდამოდ დახუჭა თვალები და განუტევა მრავალტანჯული სული.

ორფევის სიკვდილმა დედამიწა მწუხარებით შეიპყრო. ფრინველთა გუნდი საცოდავად დასტიროდა უდროოდ გარდაცელებულს. მხეცები თავჩაქიდულნი გლოვობდნენ საყვარელი მომღერლის დაკარგვას, პიტალო კლდეები ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ დაობლებულ ჩანგის სიმებზე. თრაკიის ქალები კი ამ დროს უსირცხვილოდ ჰგვემდნენ და ამახინჯებდნენ ორფევის უგრძნობ გვანს. დაობლებული ჩანგი და ორფევის სხეულისაგან განშორებული თავი გაახუთრებულმა თრაკიის ქალებმა მდინარე ჰებრის ზვირთებს შეუერთეს.

მაგრამ მდინარის ზვირთებში მცურავი ჩანგი თავისთავად აქლერებდა სიმებს, ნაზსა და გულის ჩამთუთქველ ხმებს წყლის ნაპირებს აწვდიდა. ენა კი მოკვეთილ თავში ოდნავ გასაგები ხმით ბუტბუტებდა და მომღერლის მწუხარებას ქვეყანას ამცნობდა. მდინარის ნაპირები მწუხარებით ბანს აძლევდნენ ზვირთებში ამონაკენეს ჩანგის ელერას.

ამნაირად, დაობლებული ჩანგი და ორფევის მოკვეთილი თავი განუყრელად მოგზაურობდნენ მდინარე ჰებრის ზვირთებში, ხოლო მრავალტანჯული მომღერლის სული გადასახლდა „საიქიოს“, სადაც შეუერთდა თავისი ძვირფასი მეგობრის ევრიდიკეს სულს და მას შემდეგ ერთმანეთს არ განშორებიან.

დედალე და იპარა

მთელს საბერძნეთში ათენის მკვიდრთა შორის დედალე საუკეთესო მოქანდაკედ და ხელოვნად იყო მიჩნეული.

ამ დიდბუნებოვანი ხელოვნის თითოეულ უბრალო ნაწარმოებსაც კი ალტაცებაში მოჰყავდა დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი.

მარმარილოს ქვებიდან გამოქანდაკებული ნაწარმოებნი მნახველთა თვალში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქო ცოცხალი ხორცი შეუსხამთ, ადამიანებზე თ სუნთქავენ, იხედებიან და მოძრაობენო.

დედალეს სახელი და დიდება დღითიდღე იზრდებოდა. თითოეული ქალაქი და დაწესებულება, შორეული და მივარდნილი სოფელიც კი დიდად აფასებდა ბუნებით დაჯილდოვებულ ქეშმარიტ ხელოვანს და თავის მოვალეობად თვლიდა შეეძინა ამ იშვიათი მოქანდაკის ხელოვნური ნაწარმოებნი.

დიდებულმა და უკვე შორს სახელგანთქმულმა ხელოვანმა მოწაფედ აიყვანა თავისი დისწული ტალი, რომელსაც იგი დღითიდღე წვრთნიდა, ასწავლიდა და ამცნებდა თავის ხელოვნებას.

ნიკიერმა მოწაფემ სულ მოკლე ხანში შეითვისა მასწავლებლის ხელობა. ტალის მიერ გაკეთებულ თითოეულ ნაწარმოებს განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველი, რომელიც დიდ მომავალს უქადიდა ჯერ კიდევ ქაბუკ ხელოვანს.

დედალე შიშობდა, რომ ტალი თავისი ნიჭითა და შემოქმედებით სულ მოკლე ხანში დაჩრდილავდა თავისი მასწავლებლის სახელს და ამიტომ შურის თვალით დაუწყყო ცქერა თავისი დისწულის ხელოვნების ასპარეზზე წარმატებას.

ახალგაზრდა ხელოვანის უტყუარი ნიჭის გაფურჩქნა დედალეს მოსვენებას არ აძლევდა და ამიტომ თავისი მეტოქის თავიდან მოსაშორებლად გადაწყვიტა მისი მოკვლა.

ერთხელ დედალე და ტალი ათენის სიმაგრეების მაღალ მწვერვალზე ისხდნენ და ირგვლივ მდებარე მიდამოებს ათვალეობდნენ.

ბიძა და დისწული მარტოდმარტონი იხსდნენ ამ მალლობ ადგილას. ირგველივ საშარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. არსაიდან ხმა, არსაიდან ძახილი. ყველაფერი თითქო რაღაც საიდუმლოებას მოეცვა.

შეუბრალებელმა დედალემ ამ მოხერხებულ დროს უეცრივ ხელი ჰკრა ახალგაზრდა ხელოვან ქაბუკს და თვალუწედენელი სი-მალლიდან ძირს ჩაავდო თავისი ნიჭიერი მოწაფე, თავისი ღვიძლი დისწული.

საბრალო ტალი უსულოდ დაეცა ათენის სიმაგრეების ქვემო კალთებზე, და სამუდამოდ გამოეთხოვა წუთისოფელს ბუნებით უხ-ვად დაჯილდოვებული ნიჭიერი ხელოვანი.

დედალე დაუყოვნებლივ ჩამოვიდა სიმაგრეების მწვერვალიდან და ფარულად შეუდგა საფლავის გათხრას, რომ ამნაირად დაეშალა თავისი ბოროტმოქმედება.

მაგრამ ათენელებმა ყველაფერი გაიგეს და თავის სახელოვან მო-ქანდაკეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც მან ასე უსირცხვილოდ ჩაიდინა.

დედალე, სიკვდილით სასჯელი რომ თავიდან აეცილებინა. კუნძულ კრეტას გაიპარა, საცა იმ დროს მეფედ იყო ღმერთების შამშთავრის ზევსისა და ფინიკიელთა მეფის აგენორის მშენიერი ასულის ევროპის ვაჟიშვილი მინოსი.

კუნძულ კრეტას ძლევაშოსილმა მეფემ დიდის ღმობიერებით და სიყვარულით მიიღო მთელ საბერძნეთში სახელგანთქმული დი-დებული მოქანდაკე და თავის მფარველობას, თავის მზრუნველობას არ აკლებდა.

დედალე დიდის გულმოდგინეობით შეუდგა მუშაობას და სულ მოკლე ხანში მთელი კუნძული გაამდიდრა თავისი ხელოვნური ნა-წარმოებით.

მეტე მინოსი დიდად აფასებდა საბერძნეთიდან გადმოხვეწილი დიდებული ხელოვანის ნიჭს და საშუალებას არ აძლევდა, რომ დე-დალე კუნძულ კრეტას საზღვრებს თუნდ ერთი წამით გასცილებოდა. მეფეს ჰსურდა, რომ დიდებული ხელოვანის შემოქმედებითი ნაწარ-მოებნი მხოლოდ და მხოლოდ მის და მისი სამეფოს კუთვნილებად დარჩენილიყო.

საბერძნეთის სახელგანთქმულ ხელოვანს მეფის ასეთი თავისე-ბურება და ძალდატანება სრულიადაც არ მოსწონდა და ამიტომ იგი დღითიდღე სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, აწუხებდა თავისი

განმარტოებული მდგომარეობა და სულ თავის სამშობლო მხარეს დაბრუნების ოცნებაში იყო.

სამშობლოში დაბრუნების სურვილი თანდათან უფრო იპყრობდა დიდბუნებოვანი ხელოვანის მთელ არსებას, იგი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მისი შემოქმედებითი ნიჭის ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ კუნძულ კრეტას კუთვნილებად იყო მიჩნეული, და ამიტომ სულით ობლობას, გულით მარტოობას განიცდიდა.

დიდებულმა ხელოვანმა საბოლოოდ გადაწყვიტა კუნძული კრეტა სამუდამოდ დაეტოვებინა და ამრიგად თავისი ტყვეობისათვის ბოლო მოეღო.

— თუ მინოსის ბრძანებით ხმელეთისა და ზღვით ჩემი მოგზაურობა აკრძალულია, ჰაერით რომ გადავფრინდე, ეს ხომ მოსახერხებელია? — სიხარულით წამოიძახა დედალემ.

— დიახ, ტყვეობას შემოძლია თავი დავალწიო მხოლოდ ჰაერში მოგზაურობით! აი ერთადერთი ჩემი მხსნელი გზა! ყველა გზა, მინოსის ბრძანებით, ჩემთვის შეკრულია. დარჩა მხოლოდ ჰაერი, ცის სივრცე, რომელზედაც მინოსის ძლევამოსილი უფლება არაა გავრცელებული. აი, ეს გზაა ჩემთვის სრულიად საიმედო, და აი ამ მხრივ უნდა ავამოძრაო ჩემი ნიჭი და შემოქმედება, რომ უვნებლად დავალწიო თავი კუნძულ კრეტას და მის ძლევამოსილ მეფე მინოსს, რომელიც აგრე ვიწრო ფარგლებით ზღუდავს ჩემს ხელოვნებას.

ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე შეუდგა დედალე მუშაობას. დიდებულმა ხელოვანმა გადაწყვიტა გამოეგონა ისეთი საფრენი მანქანა, რომ მისი საშუალებით უვნებლად გადაეღებინა ცის სივრცე და თავისი გულითადი მისწრაფება განეხორციელებინა.

დედალემ მოაგროვა ფრთები, სელის ძაფებით შეკრა ეს ფრთები და წმინდა სანთლით გასანთლა მხრებზე მისამაგრებელი ადგილები, ფრთები ოდნავ მოლუნა და ფრინველთა ფრთების სახე მისცა.

სწორედ იმ დროს, როცა დედალე ამ ახალს, ჯერ ყველასათვის სრულიად უცნობ გადასაფრენ მანქანას ამზადებდა, იქვე მამის გვერდით მხიარულად თამაშობდა მისი პატარა ვაჟიშვილი იკარე.

ცნობისმოყვარე პატარა იკარე მამის მუშაობის დროს ხან ხელით იპერდა ქარის გატაცებულ ფრთის ბუმბულს, ხან ხელით ქულებდა დარბილებულ წმინდა სანთელს და ამრიგად უდარდელად ერთობოდა მამის მუშაობის დროს.

დედალემ უკვე დაამთავრა გასათრენი მანქანები. მანქანების ერთი წყვილი მარჯვედ მიიმაგრა ზურგსა და მხრებზე და წყნარად, ხელოვნური მხრების ქნევით დაიძრა დედამიწიდან.

მძლავრად მოქნიულმა ხელოვნურმა მხრებმა მოაშორეს ეს დიდებული ხელოვანი დედამიწას და გააფრინეს შორს, ჰაერის თვალუწვდენილ სივრცეში.

განცვიფრებით შესცქეროდა პატარა იკარე თავის საუვარელ მამას, რომელიც ცის სივრცეში უზარმაზარ ფრინველივით მოხდენილად დანავარდობდა.

როცა დედალე ჰაერში დიდი ხნის ნავარდობის შემდეგ დედამიწაზე ჩამოეშვა, პატარა იკარე მამას ყელზე მოეხვია და დაჟინებით მოსთხოვა მისთვისაც გაეკეთებინა ასეთი ხელოვნური მხრები და ჰაერში მოგზაურობის დროს ისიც თან წაეყვანა.

დედალე ხან უჯავრდებოდა, ხან ალერსიანად ამშვიდებდა თავის პატარა პირმშოს, მაგრამ როცა ამ გზით ვერას გახდა, დასთანხმდა მისთვისაც მოემზადებინა ხელოვნური მხრები, ხოლო ამასთანავე თავისი საყვარელი პატარა ვაჟიშვილი ასე გააფრთხილა

„ჩემო საყვარელო, ძვირფასო იკარე, მე მზადა ვარ აგისრულო ასე დაჟინებული თხოვნა! მე გადაწყვეტილი მაქვს კუნძულკრეტიდან გადავფრინდე ჩვენს სამშობლო ათენაში და, რასაკვირველია, შენც თან უნდა წაგიყვანო. მაგრამ წინასწარ გაფრთხილებ: როცა ჩემ მიერ მომზადებულ ხელოვნურ მხრებს შემოისხამ, დიდის დაკვირვებით დ სიფრთხილით უნდა იფრინო ჰაერში! ჰაერით მოგზაურობა, კარგად უნდა იცოდე, ჯერჯერობით მეტად საშიშო და სახიფათოა! გაფრთხილებ, ფრენის დროს ძლიერ ქვემოთ არ დაეშვა, თორემ ზღვის ზვირთები დაასველებენ შენს ფრთებს და ზღვაში ჩაგძირავენ, მაგრამ არც ძალიან მალლა უნდა აფრინდე! იცოდე, რომ მზის სხივები, როცა მიუახლოვდები, დაადნობენ წმინდა სანთელს, რომლითაც ფრთები მიმაგრებულია მხრებზე, და სამუდამოდ დაილუპები! ცის სივრცის შუა ადგილას უნდა იფრინო და არც ერთ წუთს მე არ ჩამომშორდე! გახსოვდეს ეს ჩემი დარიგება, თუ გსურს მშვიდობიანად იმგზავრო ჰაერში და უვნებლად დავადწიოთ, თანა ამ სულისშემხუთავ საზარელ კუნძულს!“

ამ სიტყვებთან ერთად დედალემ მხურვალედ ჩაიკრა გულში თავისი საყვარელი პატარა შვილი და ალერსიანად დაუკოცნა ლამაზი ტუჩები. მამის მღუღარე ცრემლები ნამივით ეპკურებოდა იკარეს პირისახეს.

მაგრამ ვერც საბრალო მამა და ვერც საბრალო მისი შვილი ვერა გრძნობდნენ, რომ ეს მხურვალე ამბორი, უსაზღვროდ მოსიყვარულე მშობლის გულის სიღრმიდან ამონახეთქი, უკანასკნელი გამოსათხოვარი „მშვიდობით“ იყო.

მამამ საფრენი ხელოვნური მხრები ჯერ შეიღს მიუმაგრა ზურგსა და მხრებზე და შემდეგ თვითონაც მოიმარჯვა თავისი ხელოვნური მანქანა.

დედალე და პატარა იკარე მსუბუქად და მოხდენილად მოწყდნენ დედამიწის ზურგიდან და მწყობრად შეცურდნენ მტრედისფერი ცის თვალუწვდენელ სივრცეში.

მეთევზე, რომელსაც ანკესი თევზის დასაჭერად წყალში შორს გადაესროლა, მწყემსი, თავის სამწყესო ყავარჯენზე დაყრდნობილი, და მეგუთნე, რომელიც დედამიწის წიაღში ღრმა კვალს ავლებდა, განცვიფრებით შესტკეროდნენ ჰაერში ფრინველებივით მონავარდე მამა-შვილს და სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცის თვალუწვდენელ სივრცეში უბრალო მოკვდავნი კი არ დაფრინავენ, არამედ თვით ყოვლად შემძლებელი ოლიმპოს მბრძანებელი ღმერთები.

შორს, დიდ მანძილზე, მამა-შვილმა მარცხნივ დატოვეს კუნძულები სამოსი, დელოსი და პაროსი, ხოლო მარჯვნივ კი ლებინფოსი და თაფლით უხვი კლიმნე.

ელვის სისწრაფით მიფრინავენ შორს, შორს, სულ მალბა, მწყობრად და მოხდენილად, ცის სივრცეში ჩვენი მოგზაურები.

აი, ელადის მშვენიერი ნაპირები კიდევაც გამოჩნდა, და დედალეს სიხარულს ჭაზღვარი არა აქვს, იგი გამალებით მიისწრაფის საყვარელი სამშობლოსაკენ თავისი საყვარელი პირმშო შვილის თანხლებით.

იკარე ალტაცებაში მოდიოდა თავისი გაბედული მოგზაურობით. ამ უსაზღვრო ალტაცებამ დაავიწყებინა ახალგაზრდა მფრინავს მზრუნველი მამისა და მასწავლებლის დარიგება და გაფრთხილება.

იკარემ განიზრახა ცახ უფრო მიახლოებოდა და ამიტომ უეცრივ ჩამოშორდა საყვარელ მამას და გაბედულად შეცურა ცის მახლობლივ სივრცეში.

მზის მხურვალე სხივებმა პირველი მიახლოებებისთანავე დააღნეს წმინდა სანთელი, რომლითაც მიმაგრებულნი იყო იკარეს მხრებზე ხელოვნურად გაკეთებული საფრენი ფრთები.

დედალეს პირმშო მყისვე შურდულივით დაეშვა ცის თვალუწვდენელი სივრციდან და სამუდამოდ განუტევა სული ზღვის აბობოჭრებულ ზვირთებში.

საბრალო მამამ, როცა უკან მოიხედა და თავისი საყვარელი შვილი მახლობლად ვერ დაინახა, შიშისაგან ზარდაცემულმა საცოდავად შეჰყვირა: „იკარე! იკარე! ჩემო საყვარელო შვილო, სად ხარ? ხმა გამეცი, ჩემო ძვირფასო პირმშო, ჩემო მუდამეამს გულის სიღრმიდან განუყრელო, ჩემო მარადის და ყველგან სათაყვანებელო შვილო!“

სამწუხაროდ, იკარე არსადლა ჩანდა და პასუხსაც არაეინ არ აძლევდა, ხოლო ამ დროს ზღვის გაათრებული ზვირთები ერთიმეორეს მძლავრად ეხეთქებოდნენ და ზღვის ზედაპირზე უთავბოლოდ აქანავებდნენ საბრალო იკარეს მხრებიდან ჩამოცვენილ ხელოვნურად მომზადებულ საფრენ ფრთებს.

საბრალო დედალე მხოლოდ ახლა მიხვდა თავისი უბედურების სამწუხარო ამბავს და თვალთაგან მდლარე ცრემლები ნაკადულეზრ წასკდა.

ზღვის აბობოქრებული ტალღები კი ისევ მედგრად და შეუბრალებლად ეხეთქებოდნენ ერთიმეორეს და აინუნშიაც არ მოსდიოდათ ის დიდი, უსახლერო მწუხარება, რომელიც გულს უკლავდა მთელს ელადაში სახელგანთქმულს დიდებულ ხელოვან—მოქანდაკეს.

აბობოქრებულმა ზღვის ტალღებმა საბრალო იკარეს გვამი შორეული კუნძულის ნაპირას გარიყა.

მწუხარებით აღსავსე მამამ თავისი პირმშო შვილი ამ კუნძულზე დაასაფლავა და საყვარელი შვილის სახელის აღსანიშნავად ამ შორეულ კუნძულს იკარია უწოდა.

შვილის დასაფლავების შემდეგ დედალე სიცილიაში გადასახლდა. ამ კუნძულის მეფემ კოკალმა სთხოვა დიდებულ ხელოვანს სამუდამოდ სიცილიაში დარჩენილიყო და თავის მხრით დიდი დახმარება აღუთქვა.

დედალემ სიამოვნებით მიიღო მეფის საპატიო წინადადება და მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, მთელი თავისი დიდი ნიჭი სიცილიელთა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ აამოძრავა.

დიდებულმა ხელოვანმა სიცილიის ერთერთ თვალსაჩინო ადგილას გამართა ისეთი ხელოვნური ტბა, რომ სიცილიის მთელი მოსახლეობა აღტაცებაში მოდიოდა. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, ყველანი ამ თვალწარმტაცი ტბის მშვენიერებით იხიბლებოდნენ და უზომოდ აღტაცებულნი სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ.

სიციაბო კლდის თავზე, საცა გარეულ ნადირსაც კი უჭირდა ფეხის მოკიდება, დიდებულმა ხელოვანმა აღმართა საუცხოვო კოშკი, რომელიც მთელ კუნძულს ამაყად თავს დასცქეროდა.

დიდის ხელოვნებითა და მხატვრული შემოქმედებით გამართა დედალემ კოშკის ყელამდე მიმავალი გზები.

მეფე კოკალს ისე მოეწონა დიდის გემოვნებით გამართული კოშკი, რომ თავისი სასახლე ამ საუცხოვო კოშკში გამართა.

დიდებულმა ხელოვანმა სიცილიაში აფროდიტე ქალღმერთის სახელობაზე ააგო მშვენიერი ტაძარი და ქალღმერთს შესწირა ისეთი ხელოვნებით მომზადებული ოქროს ფიჭა, რომ კაცს ასე ეგონებოდა თითქო ნამდვილი თაფლი გადმოლევნისო.

კუნძულ კრეტას მეფემ, მინოსმა, დედალეს მოღვაწეობის ამბავი შეიტყო და დაუყოვნებლივ თავისი სამხედრო ამალით გაემგზავრა სიცილიაში, რომ დიდებული ხელოვანი ისევ თავის სახელმწიფოში დაებრუნებინა.

მეფე მინოსის საუბედუროდ, კოკალის ქალწილებმა სთხოვეს მამას მინოსის მოთხოვნა შეესრულებინა, და მართლაც, მინოსი ისე მიიღეს სასახლეში, როგორც სტუმარი. მაგრამ კოკალის ქალიშვილებმა ცბიერება იხმარეს: როცა მინოსი აბაზანას ღებულობდა, მღულარე წყალი თავზე გადაასხეს, და მინოსი საშინელი ტანჯვით მოკვდა.

ამის შემდეგ დიდებული დედალე სიკვდილამდე სიცილიაში დარჩა.

დიდებუნებოვანმა ხელოვანმა მთელი სიცილია გაალამაზა და გაამშვენიერა, სიცილიელ მკვიდრთა ყოველდღიური ცხოვრება ბედნიერი და ლამაზი გახადა.

სიცილია ბედნიერი, სიცილია ლამაზი და საამური კარგად გრძნობდა ხელოვნების დიდი ოსტატის უდიდეს ღვაწლს და კიდევაც ამიტომ იყო, რომ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი მწუხარედ იცრემლებოდნენ, როცა ამ დიდებუნებოვან ხელოვანს საუკუნოდ განსასვენებელ ადგილისაკენ მიაცილებდნენ.

კადმოსი და თევზს დაარსება

ფინიკიალთა მეფის აგენორისა და მისი მეუღლის ტელეფას შვილს კადმოსს მამაცი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა დამსახურებული მთელ სახელმწიფოში.

ახალგაზრდა ვაჟკაცს მხარს უმშვენიებდა მთელს ფინიკიაში სილამაზით სახელგანთქმული ღვიძლი და, მეფე აგენორის მშვენიერი ასული ევროპა.

სახელმწიფოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი სიხარულით შესცქეროდნენ ევროპას და მისი კალმით აუწერელი სილამაზით, მისი სიმშვენიერით ტკბებოდნენ და იხიბლებოდნენ.

ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა სადღაც თვალი მოჰკრა ევროპას და ისე მოიხიბლა მისი სიმშვენიერით, რომ გადაწყვიტა მეფის ასულის მოტაცება.

ოლიმპოს მბრძანებელმა თავისი გადაწყვეტილება მყისვე განახორციელა.

ყოვლად შემძლებელი ზევსი გარდაიქცა ხარად, რომელსაც ჯერ კიდევ უღლის სიმძიმე არ ეგრძნო, ზურგზე წამოიკიდა და გაიტაცა მეფის საყვარელი ასული.

მეფე აგენორის და დედოფლის ტელეფას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

სახელმწიფოს მკვიდრნი სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ მეფის ასულის ასე უგზოუკვლოდ დაკარგვის გამო და ყველანი გულმტკივნეულად მღუღარე ცრემლებს აფრქვევდნენ.

ჯავრითა და მწუხარებით თავზარდაცემულმა აგენორმა მოიწვია შვილები და უბრძანა: „საყვარელო შვილებო, გაფრთხილებთ: თუ ჩემს ძვირფას ასულს, მშვენიერ ევროპას არ მოსძებნით და არ დამიბრუნებთ, გახსოვდეთ, რომ ვერცერთი თქვენგანი ჩემს სასახლეში ფეხს ვერ შემოდგამს. ჩემი საყვარელი ევროპა უხდა მომიძვბნოთ და თავის მშობლიურ სახლში დააბრუნოთ!“

კადმოსი საყვარელი დედის ტელეფას თანხლებით დაუყოვნებლივ გაემგზავრა თავისი დის, შშენიერი ევროპის საქმენელად.

დედამა და შვილმა მრავალი ქალაქი და ქვეყანა შემოიარეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზევსის მიერ ასე ანაზღეულად გატაცებული მეფის ასულის კვალს ვერსად მიაგნეს.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ კადმოსი და დედამისი ტელეფა მივიდნენ თესალიაში, საცა, სამწუხაროდ, მოგზაურობით დაღლილი ტელეფა ავად გახდა და გარდაიცვალა.

კადმოსის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. საყვარელი დედის ასე მოულოდნელად დაკარგვამ და დის უნაყოფო ძებნამ ახალგაზრდა გმირი დიდ სასოწარკვეთილებებში ჩააგდო.

საბრალომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მამასთან დაბრუნებას ვერ ბედავდა და გატაცებული დის პოვნის იმედიც გაუცრუვდა.

ამ გამოურკვეველი და მძიმე მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, კადმოსმა გადაწყვიტა დელფში წასულიყო და აპოლონ ღმერთის გულთმისანს შეჰკითხებოდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და რა გზას დასდგომოდა.

გულთმისანმა დელფში კადმოსს ასე უპასუხა: „დის ძებნას თავი დაანებე. მახლობელ მინდორში შენ დაინახავ ძროხას, რომელსაც კვალდაკვალ უკან უნდა გაჰყევი. გააშენე ქალაქი იმ ადგილას, საცა ეს ძროხა დაწვეს“.

კადმოსმა, როგორც კი აპოლონ ღმერთის გულთმისნის გამოქვამულიდან გამოვიდა, ფოკიდის ფართოდ გადაშლილ ველზე მართლაც დაინახა პელაგონის ჯოგს ჩამორჩენილი ძროხა.

კადმოსი დაუყოვნებლივ უკან გაჰყვა მწვანე ბალახით აბიზინებულ ველზე მიმავალ ძროხას.

ახალგაზრდა ქაბუკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ძროხა ბეოტიის ერთერთ საუცხოვო ადგილას, არესის წყაროს მახლობლად, შეჩერდა და ხვევრდივით ამწვანებული ბალახებით დაფარულ ველზე წამოწვა.

აპოლონ ღმერთის წინასწარმეტყველება აღსრულდა. კადმოსმა სწორედ იმ ადგილას, საცა ძროხა ველზე ბალახებში დაწვა, საბოლოოდ გადაწყვიტა ქალაქის გაშენება.

სიხარულით აღსავსე კადმოსმა გადაწყვიტა ყოვლად მფარველი ღმერთისათვის სამადლობელი მსხვერპლი შეეწირა, ძროხა დაკლა და წყლის ამოსატანად წყაროზე ამხანაგები გაგზავნა.

არესის წყაროს იმ დროს სდარაჯობდა საოცარი გველეშაპი, რომლის საშინელი უზარმაზარი ტანი, მუდამ ფართოდ დაღებულნი პირი, თავზე გადაყოლებული სისხლივით წითელი გრეხილები და პირში სამ წყებად დალაგებული კბილები რაღაც საშინელ სანახაობას წარმოადგენდნენ.

საზარელი ცხოველი გამოქვაბულში იწვა და საშინელი სისინითა და ქშენით ირგვლივ მთელ მიდამოს შიშის ზარს ჰგვრიდა.

არესის წყაროს ეს თხიზელი დარაჯი ელვის სისწრაფით თავს დაესხა წყლის წასაღებად ჩამოსულ ფინიკიელებს და ყველანი შეუბრალებლად გამოასალმა სიცოცხლეს.

როცა ფინიკიელებს შეაგვიანდათ, ხმლითა და ისრით შეიარაღებული კადმოსი დაუყოვნებლივ გაემართა წყაროსაკენ ამხანაგების ამბის შესატყობად.

კადმოსის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ახალგაზრდა გმირმა წყაროს გარშემო თავისი ერთგული ამხანაგების უთავბოლოდ დაყრილი გვამები დაინახა.

შურისძიებით აღესიღმა ახალგაზრდა გმირმა მყისვე ხელი დასტაცა კლდის უზარმაზარ ნახეთქს და ისეთი ძალით სტყორცნა საზარელ გველეშაპს, რომ კაცს ასე ეგონებოდა, საშინელ ცხოველს ნაფლეთ-ნაფლეთად აქცევსო.

მაგრამ ქერტლით სქლად დაფარულმა შხამიანმა კანმა სიკვდილს გადაარჩინა საზარელი ცხოველი, რომელიც ცოფებისა და შხამის ნთხევით საშინლად მძინვარებდა და ახალგაზრდა გმირისაკენ საბრძოლველად მოიწვედა.

ძლევეამოსილი ჭაბუკი არ შედრკა, დროზე მოიმარჯვა ხელში აღმასივით მკრელი ისარი და ისეთი ძალით სტყორცნა, რომ საშინელი ცხოველის სქელი ტყავის უჯრედები ისარმა მთლიანად შეანგრია და შიგ სხეულში მაგრად გაიჭედა.

გველეშაპი აუტანელი ტკივილებისაგან საშინლად სისინებდა, იკლანებოდა, სხეულის მთელი სიმძიმით მიწას ეხეთქებოდა და ქრილობიდან ისრის ამოგლეჯას ცდილობდა.

კადმოსმა ამ საშინელი ბრძოლის დროს თავისი ბასრი ხმალი მოიშველია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გველეშაპს კისერში დაჰკრა.

მწვავე ტკივილებისაგან გაცოფიანებული გველეშაპი მთელი სხეულით შოლტივით წელში გაიმართა და ის იყო მტერს მთელის საშინელებით თავს მედგრად უნდა დასხმოდა, რომ ახალგაზრდა ჭაბუკმა თავი უშიშრად შეათარა მახლობლად მდგომ ხის დაბურულ

ტოტებს და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა გველეშაპს, რომელიც მწარე ტკივილებისაგან საზარლად იკლავებოდა.

სწორედ იმ დროს, როცა გველეშაპი მწვავე ქრილობებს თავისი შხამიანი ენით ილოკავდა, კადმოსმა ხელმეორედ სტყორცნა ისარი, რომელმაც სრულიად გაცოფებულ ცხოველს კისრის შუაგულში ელვის სისწრაფით გაუარა და ეს საზარელი ცხოველი მახლობლად მდგომ უზარმაზარ ხეს სვეტივით გააკრა.

საშინელი ტკივილებისაგან გამწარებული გველეშაპი გარს შემოერთყა ხის ვეებერთელა ტანს და ისე მძლავრად ეხეთქებოდა ხის ტანსა და მის მაღალ ტოტებს, რომ ეს უზარმაზარი ხე საშინელი გრიალით მოწყდა ადგილიდან და თავს დაეცა საზარელ ცხოველს, რომელიც ველურის ღრიალით სამუდამოდ გამოეხალმა სიცოცხლეს.

სწორედ იმ დროს, როცა კადმოსი ათვალეერებდა გველეშაპის საზარელ ლეშს, ოლიმპოს მწვერვალისაგან სასწრაფოდ ჩამოემევა ათენა პალასი და გამარჯვებულ გმირს წინადადება მისცა გველეშაპის კბილები ფხვიერ მიწაზე დაეთესა.

კადმოსმა დაუყოვნებლივ შეასრულა ქალმერთის ბრძანება.

გველეშაპის კბილები რომ დათესა, მიწიდან უეცრივ თავები ამოყვეს მძიმედ შეიარაღებულმა მეომრებმა, რომლებიც იარაღის ეღარუნით ახალგაზრდა გმირს მრისხანედ ემუქრებოდნენ.

კადმოსი უკვე შხად იყო სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებრძოლებოდა მიწიდან ასე ანაზღეულად მოვლენილ მტერს.

ძლევაშობილმა გმირმა იძრო ბასრი ხმალი და ის იყო მრისხანე მტერზე იერიში უნდა მიეტანა, რომ უეცრივ იგი ერთერთმა მეომარმა შეაჩერა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩააგე ხმალი ქარქაშში! ჩვენ საქმეს თვითონ გამოვასწორებთ, ერთი-მეორეს თვითონ გაუუმკლავდებით!“

ამ სიტყვებთან ერთად მიწიდან ამოსული შეიარაღებული მეომრები ერთი-მეორეს დაერივნენ და სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს.

მეომრები თავდავიწყებით ეკვეთებოდნენ ერთი-მეორეს და მოწინააღმდეგეს შეუბრალებლად ასალმებდნენ სიცოცხლეს.

ამ ცხარე, შეუბრალებელ ბრძოლაში სიკვდილს გადარჩა ხუთი საუკეთესო მეომარი: ენიონი, უდეოსი, ხთონი, პელორი და პიპერენორი.

სიკვდილს გადარჩენილმა მეომრებმა იარაღი დაყარეს და კადმოსს სთხოვეს ზავი ჩამოეგდო.

ახალგაზრდა გმირს მოეწონა მეომრების წინადადება და ამიტომ კიდევაც სიამოვნებით დასთანხმდა.

ძღვევამოსილმა გმირმა ამ ხუთი რჩეული მეომრის დახმარებით ააშენა ციხე კადმეა, რომლის ძირში შემდგომ ფართოდ გაიშალა ქალაქი თებე.

კადმოსი გულმოდგინედ ზრუნავდა ახლადდაარსებული ქალაქის კეთილდღეობაზე.

ხალხის თქმულებით, ფინიკიიდან მოტანილი ანბანით კადმოსმა პერძნებს წერაკითხვა შეასწავლა, ლითონისა და მადნეულობის დამუშავებას შეაჩვია.

ძველი საბერძნეთის მკვიდრნი ამიტომ ყოველთვის დიდის პატივისცემით იგონებდნენ ქ. თებეს დამაარსებელ გმირს და მის დაუფიწყარ სახელს შარაევანდის სხივებით მოსავდნენ.

ს რ ა ქ ნ ე

ქრამნე, ერთერთი სამღებროს პატრონის იდმონის ქალიშვილი. მთელს ლიდიაში სახელგანთქმული იყო ქსოვა-ქარგვის ხელოვნების საუკეთესო ცოდნით.

არაქნეს საუცხოვოდ დამზადებულ ქსოვილებს ყველანი განცვიფრებაში მოჰყავდა. შორეული ქვეყნებიდან მოდიოდნენ ახალგაზრდა ქალის ნაწარმოების სანახავად და ყველანი გაკვირვებით შეჰყურებდნენ ძვირფას, ხელოვნურად ნაქარგ ნივთებს.

არაქნე იმდენად დახელოვნებული იყო ქსოვა-ქარგვაში, რომ ასე გეგონებოდათ თვით ქალღმერთ ათენას შეუსწავლებია ეს ხელობაო.

ახალგაზრდა ქალს ყველანი ქებათა-ქებას ასხამდნენ თავისი ხელობის ასე ზედმიწევნით ცოდნისათვის.

არაქნე, როცა ამგვარ ქებას მოჰკრავდა ყურს, ხშირად იტყოდა: „მე იმდენად დახელოვნებული ვარ ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში, თვით ქალღმერთი ათენა რომ ჩამოვიდეს ზეციდან, ისიც კი ვერ გამიწევს მეტოქეობას! ჩემი ცოდნა, გამოცდილება და გამჭირიანობა ყოვლად შეუდარებელია! ღიახ, თვით ქალღმერთი ათენაც კი ვერ შემედრება ქსოვა-ქარგვის საქმეში!“

ქალღმერთი ათენა ისმენდა მოკვდავის ამ საამაყო, წრესგადასულ სიტყვებს და ძლიერ ჯავრობდა. ქალღმერთს ჰსურდა რჩევითა და დარიგებით გავლენა მოეხდინა თავგასულ ამაყ ქალზე, ერთხელ ათენამ მოხუცებული ქალის სახე მიიღო და არაქნეს ესტუმრა.

— არაქნე, — ასე დაიწყო მოხუცმა: — ხანშესულებთა რჩევა-დარიგებას ნუ უკუაგდებ, ერთგვარი ანგარიში გაუწიე შენი საქმიანობის დროს! მოხუცებულები ცხოვრებაში უკვე საკმაოდ გამოცდილნი არიან, და დარწმუნებული იყავი, რომ ცუდს არასოდეს არ გირჩევენ. იცი, არაქნე, რა უნდა გითხრა? რასაკვირველია, ეცადე ყველა მოკვდავს წაუსწრო ქსოვა-ქარგვის ხელოვნებაში, ხოლო ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ ქალღმერთს ათენას არ უნდა გაეჯიბრო, ხელოვნებაში ქალღმერთის თანასწორადაც ნუ გამოაცხადებ

თავს და შენს ამაყ სიტყვებს ნუროსოდეს ნუ გააგონებ! პირიქით, შე გირჩევ ყოვლად მოწყალე ქალღმერთის წინაშე ბოდიშიც კი მოიხადო და პატიება სთხოვო, დღემდე რაც შეგიცოდავს! ღრმად დარწმუნებული ვარ, ყოვლად შემძლებელი და ყოვლად მოწყალე ქალღმერთი შენს შეცთომას და დანაშაულს გაპატიებს!“

არაქნემ ამ სიტყვების გაგონებაზე სიბრაზით ხელიდან გააგდო ღვიმ-სავარცხელი და მრისხანედ შეჰყვირა უცნობ სტუმარს:

„ეგონებ, ქკუთზე შემცდარხარო!—მღელვარებდა არაქნე:—მე სხვისი ქკუთ არ მიცხოვრია და არც მომავალში ვიცხოვრებ. რასაც კი ვლაპარაკობ ქალღმერთ ათენას შესახებ, სრული ქეშმარიტებაა! თუ ჩემი სიტყვები მას საეჭვოდ მიაჩნია, დეე საქმით შეამოწმოს, ჩამოვიდეს ამ ქვეყნად და გამეჯიბროს! აი, ეს შეჯიბრება ყველაფერს გამოააშკარავებს!“

— აი, კიდევაც მოვედი!—თქვა ქალღმერთმა ათენამ და თავისი ნამდვილი სახე მიიღო.

არაქნეს სახელოსნო ოთახში მომუშავე ქალებმა შესაფერი პატივი სცეს ქალღმერთს, არაქნე კი ამაყად იდგა და სრულ უპატივემლობას იჩენდა ქალღმერთისადმი. ახალგაზრდა ქალი ხელობაში შეჯიბრებას მოითხოვდა ქალღმერთისაგან, თითქო თავის გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებული იყო.

ქალღმერთი ათენა და არაქნე მიუსხდნენ ღვიმ-სავარცხელს და გააჩაღეს მუშაობა. ათინა პალადამ მოქსოვა მშვენიერი წამოსასხამი, რომელზედაც ფერადი ძაფებით გამოხატული იყო ქ. ათენის სიმაგრეები და თვითონ ათენას პოსეიდონ ღმერთთან დავა ათენის დაპყრობის შესახებ. ქსოვილის შუაგულს თორმეტი ღმერთი იჯდა სათათბიროდ. ღმერთებს შორის შუა ადგილი ყოვლად შემძლებელ ზევსს დაუქვრია. პოსეიდონ ღმერთს თავისი სამთითით კლდიდან წყალი გადმოჰყავს, ხოლო ქალღმერთი ათენა შუბის წვერით მიწიდან აწვდის ატიკის ზეთისხეს. ღმერთების სათათბიროს წვერები გამარჯვებას ქალღმერთ ათენას ერთხმად ულოცავენ. ქსოვილის კუთხეებში ხელოვნურად ამოფერადებულა სურათები, რომლებზედაც გამოხატულია, თუ როგორ სასტიკად სჯიან ყოვლად შემძლებელი ღმერთები ადამიანებს თავგასულობისა და ამაყობისათვის.

არაქნემ იშვიათის ხელოვნებით ამოაფერადა თავის ქსოვილზე ის მომენტები, თუ როგორ მოიტაცა ყოვლად შემძლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა ევროპა. ზევსმა ხარის სახე მიიღო. ღმერთების მამამთავარი ზურგზე იკიდებს მოტაცებულ ქალს და მედგრად მიცურავს ზღვის თვალუწვდენ სივრცეში. ამავე დროს ტილოზე ამოკერილი

იყო ისეთი სურათებიც, რომლებიც ღმერთების ნაკლოვანებას ცხად-
პყოფდნენ.

შესანიშნავი ხელოვნებით იყო მოქსოვილი არაქნეს დაფერადე-
ბული სურათები, თვით დაუძინებელ მტერსაც არა ეთქმოდა რა.

არაქნეს ქსოვილი ათენა პალასის ქსოვილს სრულიად არ ჩა-
მოუვარდებოდა. ქალღმერთ ათენასაც კი დიდად აკვირვებდა
არაქნეს ასეთი ხელოვნება. არაქნეს ქსოვილის გრეხილები ისე ხე-
ლოვნურად იყო ამოწყობილი ტილოზე, რომ ადვილად გამოსაცნო-
ბი იყო არაქნეს განუსაზღვრელი ზიზღი ღმერთებისადმი.

ათენა ქალღმერთმა, როგორც კი ეს შენიშნა, დაუყოვნებლივ
ნაფლეთ-ნაფლეთად აქცია ეს მშვენიერი ნაქსოვი და საქსოვი მაქო-
რამდენჯერმე თავში ჩასცხო ახალგაზრდა ქალს.

არაქნემ ვერ მოითმინა ასეთი შეურაცხყოფა, დაუყოვნებლივ
ჩამოაბა თოკი ხეზე და თავი ჩამოიხრჩო.

ქალღმერთ ათენას შეეცოდა ახალგაზრდა ხელოვანი ქალი, ჩა-
მოხსნა იგი ხიდან და უთხრა: „შენი სიკვდილი მე სრულიადაც არა
მსურს! სიცოცხლე მინდა გაჩუქო, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჰაერ-
ში უნდა იქნე მუდამ ჩამოკიდებული დეე, ეს სასჯელი სამარადი-
სოდ მიენიჭოს მთელ შენს ჩამომავლობას!“

ქალღმერთმა სასწაულმოქმედი ბალახის წვენი აპყურა ახალ-
გაზრდა ნიჭიერი ქალის გაცივებულ გვამს.

საბრალო ქალს თავიდან თმა გასცივდა და საზიზღარ ობო-
ბად გადაიქცა.

ლიბიელი ქალები, თუმცა სწამდათ არაქნეს ნიჭი და ქსოვა—
ქარგვაში დიდი დახელოვნება, როცა ახალგაზრდა ხელოვანი ქალის
თავგასულობა, სიამაყე და სხვისი შრომის შეუფასებლობა მოაგონდე-
ბოდათ, ქალღმერთ ათენას განაჩენს სრულიად სამართლიანად
თელიდნენ.

ლიკიის მკვიდარი

ლიკიის თვალუწვდენ ვაკეზე გადაქიმულია ანკარა წყლით საესე ტბა.

ტბის შუაგულს ამობურთულია პატარა კუნძული, რომლის მშვენიერი მიდამოები ახოვანი ლერწმის ხეებითაა დამშვენებული. კუნძულის თვალსაჩინო ადგილას გამართულია ელინთა ქალღმერთის ლატონას სახსოვრად კოპწია საკურთხეველი.

ელინთა ღმერთების მამამთავრის ზევსის მეუღლეს ჰერასა და ლატონას შორის კარგახანია დიდი უსიამოვნება იყო ჩამოვარდნილი.

ოლიმპოს მბრძანებელი ზევსი, სანამ ქალღმერთს ჰერას შეერთავდა, ფარულად ქალღმერთ ლატონასთან ცხოვრობდა, რომლისგანაც ორი შვილი შეეძინა—აპოლონი და არტემიდე.

ამ საიდუმლოდ შენახულ ამბავს ქალღმერთმა ჰერამ, როცა იგი ყოვლად შემძლებელ ღმერთს ზევსს შეუუღლდა, ყური მოჰკრა და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ ამაყი ქალღმერთი ჰერა მუდამ სდევნიდა და ავიწროებდა საბრალო ლატონას.

დიდად შევიწროებული ლატონა თავისი ორი პაწია ქალ-ვაჟით იძულებული შეიქნა დაეტოვებინა სამშობლო დელოსი და სხვა ადგილას მოეძებნა უფრო მყუდრო თავშესაფარი.

ზაფხულის გულშემზარავი პაპანაქება დედამიწას ანადგურებდა, როცა ქალღმერთი ლატონა ლიკიის საზღვრებს მიუახლოვდა.

ლიკიის ფართოდ გადაშლილ მინდვრებზე ლატონამ უპირველეს ყოვლისა დაინახა ანკარა წყლით საესე ტბა, რომლის გარშემო ლიკიელები ლერწმის ხეებს კრიდნენ და ერთ ადგილას ეზიდებოდნენ.

ელინთა ქალღმერთსა და მის პაწია ქალ-ვაჟს, გზაში ძალზე დაღლილთ და დაქანცულთ, წყურვილისაგან ხახა უშრებოდათ.

წყლის დანახვისთანავე ლატონა ტბისაკენ გაეშურა ფეხაკრფით, მაგრამ დახეთ ლიკიელების გულქვაობასა და შეუბრალებლობას: ლატონას არა თუ წყლის დაღვეის ნება არ მისცეს, პირიქით, დამუქრება და ლანძღვა-გინება დაუწყეს.

ელინთა ქალღმერთმა თავაზიანი კილოთი შესჩივლა ბრახმორეულ ლიკიელებს: „რა დაგიშავეთ, რატომ გვიკრძალავთ დამაშვრალთ წყლის დაღვეას? წყალი ხომ საზოგადო კუთვნილებაა, ისე, როგორც პაერი, მზე და სინათლე. ჩვენ ხომ ტბის ანკარა წყალში ბანაობა არ გაგვიზრახავს! ჩვენ გვინდოდა მხოლოდ, წყალი დაგველია. ლამის აუტანელმა წყურვილმა შორის გზით დაქანცულთ სიცოცხლე მოგვისპოს! ლაპარაკის ილაჯი გვიწყდება, ერთი ცვარი წყალი მაცხონებელ ნექტარად გადაგვექცევა, სიცოცხლეს დაგვიბრუნებს. გევედრებით, მე თუ არა, ეს საცოდავი ყმაწვილები მაინც შეიბრალებთ! ხედავთ, საწყლები წყურვილისაგან როგორ საცოდავად გმინავენ, რა მუდარებით შემოგცქერიან და შევლას გთხოვენ!“

ლიკიელების გულქვაობა ვერც ამ თხოვნამ მოაღბო. ლიკიელები ისევ გაბრაზებითა და სასტიკი მუქარით ერეკებოდნენ ტბის ნაპირებიდან საცოდავ ბავშვებს და მათ ერთიანად მოქანცულ საბრალო დედას.

ლატონასა და მისი შვილებისათვის რომ წყლის დაღვეის შესაძლებლობა სრულიად მოესპოთ ლიკიელებმა შესტოპეს წყლის სიღრმეში და ტბის ფსკერზე ნადები ტალახითა და სილით ერთიანად აამღვრიეს ანკარა წყალი.

ლატონამ ლიკიელების ასეთი თავხედობა და სტუმართმოყვარეობის სრული უგულვებელყოფა, ახლა კი ვერ მოითმინა, ზეცას ხელები აღაპყრო და ყოვლად შემძლებელ ზევსს ღმობიერად შესთხოვა: „ყოვლად შემძლებელო მაღალო ღმერთო, გევედრები, ეს სამარცხვინო ადამიანები თავისი საზიზღარი, შემადრწუნებელი მოქმედებისათვის სასტიკად დასაჯო, სამუდამოდ დასტოვო მათ. მიერ აფორიაქებული წყლის წუმბეში!“

ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა შეისმინა ქალღმერთ ლატონას ვედრება.

მართლაც, ლიკიელები ამ დღიდან წყალს არ მოშორებიან და ტბაში ცხოვრება თითქო კიდევაც გაუტკბათ. ზოგჯერ ეს რაინდი ვაებატონები ტბის სიღრმეში ჩაეშვებიან, ზოგჯერ წყლის ზედაპირზე ამოცურდებიან, ამოსუპდებიან ტბის ნაპირას და ისევ წყალში

ჩაეშვებიან. ძველებური ჩვეულება წყალშიაც ვერ დაკარგვს, მუდამ ერთი-მეორეს ლანძღავენ და ათრევენ. ახლა მხოლოდ ხმა გამოიცივალეს: უხეიროდ და ულაჯათოდ დღედაღამ განუწყვეტლივ ყიყინებენ.

მუდამ წყლის წუმპეში ყოფნისაგან ლიკიელებმა სახე და შეხედულება გამოიცივალეს, კისერი დაუმსხვილდათ და დაუმოკლდათ, ზურგი მწვანე ზოლებით დაესერათ, ხოლო მუცელი გაუმსხვილდათ და გაუთეთრდათ.

დღესაც ეს ვაჟბატონები ლიკიის ტბის წუმპეში იშალებიან, ხოლო ლიკიელების მაგიერად ბაყაყების სახელს ატარებენ.

მ ე ფ ე ზ ი დ ა ს ი

ფრანკის მეფის მიდასის საბრძანებელში მზიარულების ღმერთს დიონისეს ჩვეულებრივი ნადიმობის დროს თავისი გულითადი მეგობარი და მასწავლებელი სილენე სადღაც დაეკარგა.

მეგობრის ასე მოულოდნელად დაკარგვამ დიონისე მეტად შეაწუხა. სილენე დიონისე ღმერთის ნადიმისა და დროსგატარების სული და გული იყო და კიდევაც ამიტომ წუხდა იგი თავისი მეგობრის ასე უგზოუკელოდ დაკარგვას.

ფრიგიელები შემთხვევით წააწყდნენ ტყეში მოხეტიალე სილენეს და დაუყოვნებლივ მეფე მიდასს მიჰგვარეს.

მიდასმა პირველ შეხედვისთანავე იცნო დიონისეს გულითადი მეგობარი და მყისვე დიდის თავაზიანობით სასახლეში მიიპატიჟა.

მეფე დიდის პატივისცემით დაუხვდა სილენეს, დიდი ნადიმი და წვეულება გაუმართა. მთელი ათი დღის განმავლობაში მეფე მიდასის სასახლეში განუწყვეტელი ლხინი იყო გამართული.

სილენე სულითა და გულით კმაყოფილი დარჩა მეფე მიდასის ასე გულუხვი მასპინძლობით.

მეთორმეტე დღეს სილენე და მეფე მიდასი დიონისე ღმერთს ესტუმრნენ.

დიონისე სილენეს ასე მოულოდნელად პოვნამ დიდად გაახარა და, ნიშნად ღრმა მადლობისა, მეფე მიდასს დაჰპირდა, ყველაფერს შეგისრულებ, რასაც კი მოისურვებ და მთხოვო.

— მოწყალეო და ყოვლად შემძლებელო ღმერთო, — მოკრძალებით შეჰკადრა მეფე მიდასმა დიონისე ღმერთს: — თუ კეთილინებებთ და ჩემზე მოწყალებას მოიღებთ, გთხოვთ შემდეგი შემისრულოთ: რასაც მე ხელს შევახებ, ოქროდ აქციეთ!

დიონისე ძლიერ გააკვირვა ფრიგიის მბრძანებლის ასეთმა კადნიერებამ, მაგრამ სიტყვის შეუბრუნებლად შეიწყნარა მეფე მიდასის ახირებული თხოვნა.

შეფე მიდასი სიხარულით ფეხზე არ იღვა, მან არ იცოდა, როგორი მადლობა უნდა გადაეხადა ასეთი უხვი საჩუქრისათვის. მეფის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

თითოეული ნიეთი, თითოეული საგანი, რომელსაც მეფე მიდასი ხელს ახლებდა, მყისვე ოქროდ იქცეოდა.

მეფე ბედნიერად თვლიდა თავისთავს.

სიხარულით გატაცებულმა მიდასმა მეგობრებს და რჩეულ კარისკაცებს დიდი წვეულება გაუმართა, რომელზედაც ჰსურდა თავისი უსაზღვრო ბედნიერება ყველასათვის შეეტყობინებინა.

სამეფო სუფრა სასახლის დახელოვნებულმა მზარეულებმა ათასნაირი სასმელითა და საქმელთ შუამკეს.

მზიარული სტუმრები მადიანად შეგქცეოდნენ ნუგბარ სადილს, მეფე მიდასი კი გულდაწყვეტილი შესუქეროდა მდიდრულად გაწყობილ სუფრას: როგორც კი რომელსამე საქმელს მეფე ხელით შეეხებოდა, პირთან მიტანამდე იგი ზოდ ოქროდ იქცეოდა და მისი შექმნა, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. მეფე ყოველ ცისმარე დღეს ამგვარად იტანჯებოდა და მუდამ ოქროებში ჩაფლული სიკვდილს ნატრობდა.

მეფე მიდასმა, როცა ძალზე გაუქირდა და ამასთანავე ნათლად შეიგნო თავისი თხოვნის სრული უგნურება, ისევ მოკრძალებით შეჰკადრა დიონისე ღმერთს: „ყოვლად მოწყალეო ღმერთო, მაპატივე, დამნაშავე ვარ შენს წინაშე! შემიბრალე, ყოვლად შემძლებელო, მაპატიე ჩემი შეცდომა და გამათავისუფლე ჩემი დამლუპველი ოქროებისაგან!“

დიონისემ შეიწყნარა მეფე მიდასის თხოვნა და ამნიარად იხსნა ფრიგის მბრძანებელი აუცილებელი სიკვდილისაგან, რომელიც მას მოელოდა თავისი უგნურებისაგან.

მეფე მიდასი ამის შემდეგ დიდი ზიზლით შეჰყურებდა ოქროებს და საზოგადოდ ყოველგვარ სიმდიდრეს, რაც კი კაცის კეთილგონიერ ცხოვრებას მუდამ ხელს უშლიდა და აფერხებდა.

მართალია, მეფე მიდასმა ამჟამად თავი დააღწია სასტიკსა და შეუბრალებელ სასჯელს, მაგრამ მეფის წინდაუხედაობამ და უგნურებამ ერთხელ კიდევ იჩინა თავი და იგი ამ წინდაუხედაობისა და უგნურებისათვის სამუდამოდ სასტიკად დაისაჯა.

ერთხელ ღმერთები პანი და აპოლონი ერთმანეთს გაეჯიბრნენ, აბა ვინ უფრო დახელოვნებულია მუსიკის ცოდნაშიო.

ყოველად შემძლებელმა ღმერთებმა მოიწვიეს გამოცდილ მსაჯულთა კრებული, რომელსაც უნდა შეეფასებინა შეჯიბრებაში მონაწილეთა მუსიკალური ცოდნა და ხელოვნება.

მსაჯულთა კრებულის ერთერთ წევრად მეფე მიდასიც მიიწვიეს.

აპოლონ ღმერთმა ისეთის ხელოვნებით ააქლერა კითარის სიმები, რომ მთელი უტყვი და მეტყველი ბუნება ერთიანად მოხიბლა. საუცხოვო საკრავის სიმთა ნარნარი ქლერა მარგალიტებს აბნედა ცის თვალუწვდენელ სივრცეში და მსმენელთ ნეტარების გრძნობას ღრმად უნერგავდა გულში.

აპოლონის შემდეგ მსაჯულთა კრებულის წინაშე წარსდგა ღმერთი პანიც, რომლის საუცხოო საკრავის სიმთა ქლერა მთელ არემარეს ფიანდაზად ეფინებოდა.

მსაჯულთა კრებულმა მცირე თათბირის შემდეგ პირველობა მუსიკის ზედმიწევნით ცოდნაში აპოლონ ღმერთს არგუნა.

მაგრამ მეფე მიდასი არ დაეთანხმა მსაჯულთა კრებულის ასეთ განაჩენს. ფრიგიის მბრძანებლის აზრით, პირველობა შეჯიბრებებში პანს ეკუთვნოდა.

აპოლონ ღმერთი ძლიერ განრისხდა და, რომ საგრძნობლად დაესაჯა თავისი უსამართლო მსაჯული, მეფე მიდასს ვირის ყურები გამოაბა.

მეფე მიდასი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. აბა, ვირის ყურებით შემკობილი სად ან ვისთან გამოჩნდებოდა!

მეფემ დაუყოვნებლივ აიხვია სამარცხვინო გრძელი ყურები და გადაწყვიტა არავისათვის არ გაემელავებინა ეს თავისი უბედურება.

მაგრამ ამ საიდუმლოების დაფარვა შეუძლებელი იყო სასახლის კარის დალაქის წინაშე, რომელიც მეფე მიდასს მუდამ წვერულვამსა და თმას ჰკრეკდა.

მწუხარებით სასოწარკვეთილმა მიდასმა თავის დალაქს უბრძანა, რომ მეფის ამ უბედურების შესახებ არავისთან კრინტი არ დაეძრა.

მართლაც, დალაქმა დიდხანს ინახა მეფის საიდუმლოება, მაგრამ ბოლოს შაინც ვერ მობითმინა, გავიდა ქალაქგარეთ, ამოთხარა დიდი ორმო და შიგ ჩასძახა: მეფე მიდასს ვირის ყურები გამობმიაო, და მყისვე მიწით მაგრად დამარხა მეფე მიდასის სამარცხვინო ამბავი.

რამდენიმე წლის შემდეგ სწორედ იმ ადგილას, სადაც დალაქმა მეფე მიდასის საიდუმლოება ჩამარხა, სწორი და მაღალი ლერწმის ხეების ხშირი ტყე გაშენდა.

როცა ქარი ამოვარდებოდა და შოლტივით აეარდნილი მა-
ლალი ლერწმები ირხეოდა, ქარის დროს აშრიალებული ნაზი ლერწ-
მები რხევის დროს ერთი-მეორეს წასჩურჩულებდნენ მათ ფესვებ-
ქვეშ დამარხულ საიდუმლოებას: მეფე მიდასს ვირის ურები გა-
მობშიაო.

გამვლელ-გამომვლელი ისმენდა ლერწმების საიდუმლო ჩურჩულს,
და ამნაირად ვრცელდებოდა ფრიგის მკვიდრთა შორის მეფე მი-
დასის სამარცხვინო ამბავი.

ცეისი და ალციონა

ტრახინის ახალგაზრდა მეფის ცეისის და მისი მეუღლე ალციონას კეთილგანწყობილება და ერთი-მეორის სიყვარული ყველასაგან სამაგალითოდ იყო აღიარებული. ცეისი მთელი თავისი არსებით ალციონას ეკუთვნოდა, ალციონა კი ცეისს. ტრახინის მკვიდრნი, დიდი და პატარა, კარგად გრძნობდნენ სამეფო ოჯახის კეთილგონიერ განწყობილებას, ამიტომ ყველანი დიდის სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. თითოეული ტრახინელი ოჯახის უფროსი თავის კერძო ცხოვრების კეთილდღეობას სამეფო ოჯახის მაგალითის მიხედვით აწესრიგებდა. ახალგაზრდა მეფე სული და გული იყო თავისი მოსიყვარულე ერისა, იგი მუდამდღე საერთო წარმატების ზრუნვაში იყო, მთელ თავის ძალღონეს საზოგადო საქმეს ახმარებდა.

მეფემ ერთხელ გადაწყვიტა კლაროსში გამგზავრება ზღვით. ცეისს ჰსურდა აპოლონ ღმერთისაგან გაეგო, ტრახინის სამეფოს მომავალში თუ რაიმე განსაცდელი მოელოდა. მეფემ ეს გადაწყვეტილება გამოუცხადა თავის საყვარელ მეუღლე ალციონას. ცეისის გადაწყვეტილებამ დედოფალს თავზარი დასცა. მეფის უსაზღვროდ მოსიყვარულე დედოფალი შეშინდა და მთელი სხეულის ცახცახით საზარლად ქვითინი მორთო. ალციონას თითქო გულმა უგრძნო, რომ მეფის გადაწყვეტილებას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, და ამიტომ იგი მეტად შეაწუხა ცეისის შორეული გზით გამგზავრებამ.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მეგობარო!— ცრემლების დაპალუპით, საცოდავად ქვითინებდა საბრალო ალციონა.— განა შევძლებ უშენობას, განა ერთი წამითაც შევეურიგდები შენს განშორებას, ჩემო უძვირფასესო მეგობარო?! მე გულს მიკლავს, სლოს მიხუთავს შენი ასეთი სამძირო გადაწყვეტილება, მე მაშინებს შენი შორეული გზა, და ისიც ზღვით! განა არ იცი, ჩემო კარგო, რარიგ საშიშია მოგზაურთათვის ზღვის შეუბრალებელი ზვირთები! ზღვის გაუმაძღარი უფსკრული გვირგვინოსნებსაც არ დაინდობს, და სამუდამოდ გულში ჩამიკლავს უსაზღვრო სიყვარულს, სამუდამოდ

გულიდან ამომგლეჯს ჩემს ძვირფასს მეგობარს, ჩემს ძვირფასს მესიდეშუმლეს! ჩემო კარგო, თუ წაუსვლელობა მაინცადამაინც შეუძლებელია, მეც თან წამიყვანე, მეც შენთან ერთად გავიზიარებ შენი შორეული მოგზაურობის ჭირსა და ლხინს! დეე, შეუბრალებელმა ზღვის ზვირთებმა შენთან ერთად მიმიბაროს თავის გაუმძღარ უფსკრულში! დეე, მეც იქ დავიმარხო, სადაც ჩემი ერთგული მეგობარი სამუდამო მყუდრო ბინას მოსძებნის!

ცივის მეტად ჩააფიქრა ალციონას გულსაკლავმა სიტყვებმა. მაგრამ თავისი გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა. ცივის ღრმად სწამდა, რომ შორეული გზით ზღვაზე მოგზაურობა საშიში იყო, და კიდევაც ამიტომ ვერ ბედავდა ალციონას წაყვანას. ახალგაზრდა მეფემ დიდის გაჭირვებით დაარწმუნა დედოფალი, სულ მოკლე ხანში უვნებლად დაებრუნდები სამშობლოშიო.

საგზაოდ გამზადებული გემი ზღვის ნაპირას იდგა. ტრახინის რჩეული მეზღვაურები გამგზავრებას მოუთმენლად მოელოდნენ. გემის დანახვაზე ალციონას თვალთ ცრემლების ნაკადული წასკდა და მწარე ქვითინი მორთო, თითქო თავისი უბედურება წინათვე იგრძნო. ცივის დიდხანს და დიდხანს სიყვარულის კილოთი ეალერსებოდა დედოფალს. ალციონა სრულიად უხმოდ ამცნობდა საყვარელ მეგობარს თავის უღრმეს მწუხარებას და გულამოსკენით საცოდავად იცრემლებოდა. დადგა განშორების საათიც. მეფე-დედოფალმა უკანასკნელი „მშვიდობით“ უთხრეს ერთი-მეორეს და განშორდნენ. მეზღვაურებმა ერთგულად მოუსვენს ხოფები წყლის ზვირთებს და ტრახინელი მეფის სამგზავრო ხომალდი ზღვის აბობოქრებულ ტალღებში შეაცურეს. ხომალდი ელვის სისწრაფით მიქროლავდა ზღვის თვალუწვდენ სივრცეში.

ალციონა დიდხანს, დიდხანს მწუხარედ გასცქეროდა ზღვის აზვირთებულ ტალღებს, რომელნიც ასე გამალებით მიაქროლებდნენ ტრახინელ მეფე ცივის შორეული უცხო ქვეყნისაკენ.

მეზღვაურების მძლავრად მოქნეული ხოფების ჯარასავით ტრიალმა ხომალდი სასწრაფოდ მოაცილა სამშობლო ნაპირებს. მთელი დღის განმავლობაში ზღვას საამური ნიავე დაჰქროლავდა. ცა ერთიანად მოწმენდილი იყო. ხომალდი მარდად მისწიალებდა დაწყნარებულ ზღვის ზედაპირზე. მოახლოვდა სალამო. უეცრივ დასავლეთით ამოვარდა მძლავრი ქარი. ზღვა ერთიანად შემფოთდა, შეტორტმანდა, ეღვა და ჰეტა-ჰუნალი ერთიანად თავს დაატყდა მოგზაურებს. დასავლეთის ქარი შესაზარად ზუზუნებდა, ტალღები ერთი-მეორეს მძლავრად ეჯახებოდნენ. ზღვა საშფორად შყოთავდა,

მღელვარებადა, ზვირთებს ზვირთებზე ცის სიმაღლეზე ერთი-მეორეს ახლიდა. მამაცი მეზღვაურები აბობოქრებულ ზღვის ტალღებს თავდავიწყებით ეომებოდნენ, მაგრამ შეუბრალებელი ზღვის სტიქიონი ტრაზინელ მოგზაურებს ოდნავაც არ ინდობდა. გამხეცებული ზღვის ტალღები უფროაღუფრო მეტის სიმძლავრით ეჯახებოდნენ ხომალდის კედლებს და ყოველ წუთს სრულ განადგურებას უქადოდნენ. ზღვაოსნები შიშმა აიტანა და გამძვინვარებულ სტიქიონთან ბრძოლაში დაღლილებმა გადარჩენის იმედი სრულიად დაკარგეს. ხომალდის მძლავრი კედლები შეირყა, დაზიანდა, და ზღვის შეუბრალებელმა ტალღებმა სისწრაფით დაიწყეს დენა ხომალდის კუნჭულებში. დადგა უკანასკნელი გულსაკლავი წამი. მეზღვაურებმა ცისაკენ აღაპყრეს ხელები და ღმერთებს საზარელი ქვითინით დახმარებას შესთხოვედნენ. თითოეული მეზღვაური ამ საშინელი განცდის დროს გულში მაგრად იკრავდა ძმის, დის, საყვარელი დედ-მამის, მეუღლისა და ნაცნობ-მეგობრების ხსოვნას. ცეისიც ამ საშინელ წამს თავის ძვირფას ალციონას იგონებდა და გულამოსკვნით ქვითინებდა.

დასავლეთის მძლავრმა ქარმა ერთი კიდეც მძლავრად დაჰბერა, ტრაზინელი მოგზაურები გამძვინვარებულ ტალღებში შეაცურა და სამუდამოდ ზღვის უფსკრულში ჩამარხა.

ალციონამ საყვარელი მეუღლის დაღუპვის შესახებ ჯერ კიდეც არაფერი იცოდა, იგი მუდამ წამს-ღმერთებს მხურვალე ლოცვას სწირავდა ცეისის სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებისათვის. ალციონამ თავის საყვარელ მეუღლეს ძვირფასი ქსოვილების ტანსაცმელი მოუშადა, რომელიც ცეისს დაბრუნების შემდეგ უნდა ჩაეცვა. დედოფალი უკვე დღედღეზე მოელოდა თავის საყვარელ მეუღლეს.

ამგვარ ლოდინში ატარებდა ალციონა ყოველ ცისმარე დღეს. ერთ ღამეს დედოფალმა მეტად საზარელი სიზმარი ნახა: ალციონას საწოლის წინ იდგა მკვდარივით ფერმიხდილი და სრულიად ტიტველი ცეისი. მეტად საშიში სახე ჰქონდა ცეისს ვწვერები და უღვაშები დასველებოდა და თმიდან წყალი განუწყვეტლივ წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა, — „საბრალო ალციონა, იცანი შენი საყვარელი მეუღლე ცეისი? ვერა ხედავ, როგორ გამოუცვლია მისი პირისახე შეუბრალებელ სიკვდილს?“ ასე ელაპარაკებოდა სიზმრად საბრალო ალციონას მისი საყვარელი მეუღლე ცეისი. „შენ საყვარელ მეუღლეს, შენ საყვარელ ცეისს კი არა ხედავ, არამედ მის აჩრდილს-ვერა მიშველა რა ვერც შენმა ლოცვა კურთხევამ, ვერც შენმა განუსაზღვრელმა საყვარულმა და აღთქმებმა. შენი მეუღლე არ დაგიბრუნდება. ეგვოსის ზღვის შუაგულში უეცრივ ამოვარდა მძლავრი

ქარი, რომელმაც ერთიანად დაამსხვრია ჩვენი ხომალდი. და შეუბრალებელმა ზღვის ტალღებმა დამიდუმეს ტუჩები სწორედ იმ დროს, როცა ჩემი საყვარელის, ჩემი ძვირფასი ალციონას სახელს ვახსენებდი. აღსდექ, საცოდავო, შეიმოსე ძაძებით და ცრემლების ფრქვევით პატივი ეცი ჩემი სახელის ხსოვნას, რომ საიქიოს დაუტირებელი არ ჩავიდე“.

ამ სიტყვებზე ალციონამ ძილში ღრმად ამოიოხრა და ოთახიდან გამავალ მუღულეს მოსახვევად სასწრაფოდ გაუწვდინა ხელები.

— დარჩი, ჩემო ძვირფასო, სად მიეშურები, ერთად წავიდეთ!

ასე ბუტბუტებდა ალციონა, როცა გამოეღვიძა. საბრალო შემლილივით წამოიჭრა ლოგინიდან და საზარელი, გულისგამგმირავი კვითინი მორათო. „ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო ცეის, განა შენს შემდეგ შენი ალციონა ცოცხალი უნდა დარჩეს! არა და არა, მეც შენთან ერთად უნდა დავიმარხო, თუ ერთ კუბოში არა, ერთ საფლაგში მაინც, რომლის წარწერა ყველას ამცნებს ორი გულითადი მეგობრის, ცეისისა და ალციონას, სახელთა ხსოვნას“.

მშვენიერი, დაწყნარებული დილა იყო, დილის საამური ცხოველმყოფელი ნიავე ნაზად დაქროლავდა დედამიწაზე. ყველაფერი ლხინობდა, ყველაფერი ხარობდა, ყველაფერს სიხარულის ელფერი ედო. საცოდავი ალციონა კი მწუხარებით გულს იშხამავდა და ხელებდაკრებილი მწუხარედ იჯდა ზღვის პირას, სწორედ იმ ადგილას, საიდანაც ამ რამდენიმე დღის წინათ საბრალო ცეისი ხომალდით კლაროსს გაისტუმრა, და თვალცრემლიანი გასცქეროდა ზღვის თვალუწვდენელ სივრცეს. უეცრივ ზღვის ნაპირის მოშორებით ალციონამ დამხვრჩალი კაცის გვამი დაინახა. ამ სანახაობამ უფრო მეტად დაამწუხრა საცოდავი დედოფალი. „საბრალოვ, მეცოდები! განსაკუთრებით კი—თუ ამასთანავე მეუღლეცა გყავს“. ცრემლების დაპალუპით, შემლილივით ესაუბრებოდა საბრალო ალციონა ზღვის ტალღებში მცურავ უცნობის გვამს. ტალღები დამხრჩვალის გვამს უფრო და უფრო უახლოვებდა ზღვის ნაპირს. აი, ტალღებმა უცნობის გვამი ალციონას მახლობლად შემოაცერეს. „ისაა“—გიჟივით შეჰკივლა ალციონამ და ელვის სისწრაფით ტანსაცმელი ერთიანად შემოიგლიჯა: „აგრე დამიბრუნდი, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მეგობარო?!“—გულსაკლავად შეჰყვირა ალციონამ და დაუყოვნებლივ აზვირთებული ზღვის ტალღებში შეიჭრა. მაგრამ უეცრივ ალციონას ფრთები გამოესხა, იგი ჰარლად გადაიქცა და საცოდავი ჭყვილით ზღვას თვალუწვდენელ სივრცეზე მწუხარებას ჰგვრიდა.

ალციონამ ცეისის გაციებული გვამი დაუყოვნებლივ მაგრად ჩაიკრა ფრთებში და თავისი ნისკარტით მეუღლის დადუმებულ ტუჩებს მძლავრად ჩაეკონა.

ცეისის უსულო გვამმა კარგად იგრძნო საყვარელი მეგობრის ტკბილი ამბორი. ცეისიც ღმერთებმა კარლად გარდააქციეს.

ცეისი და ალციონა ამის შემდეგ ერთმანეთს არ განშორებიან და ისევ კვლავინდებურად ტკბილად უყვართ ერთმანეთი.

ე ა კ ი

მინოკიას კუნძულზე მდინარის ღმერთის ასოპეს ქალს, ეგინას, ღმერთების მამამთავრის ზევსისაგან მიეცა ვაჟიშვილი, რომელსაც ეაკი დაარქვეს. როდესაც ეაკი დაეაჯკაცდა, იგი გამეფდა ოინოპიას კუნძულზე, რომელსაც მეფის დედის ეგინას პატივსაცემლად ეგინა ეწოდა.

ეაკი თავისი სათნოებით, სისწორით, მართლმსაჯულებითა და სიმშვიდით მთელს საბერძნეთში კიდით-კიდემდე სახელგანთქმული იყო. სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ახალგაზრდა მეფეს. ეაკიმაც მზურვალედ შეიყვარა სახელმწიფოს მკვიდრნი და მთელ თავის ძალღონეს საყვარელი ერის საკეთილდღეოდ სწირავდა. ღმერთებიც ღიდის სიყვარულით ეპყრობოდნენ ეგინას მფლობელს. ეაკის მართლმსაჯულება და სისწორე ისე სწამდათ ღმერთებს, რომ თავიანთი უთანხმოების დროს მეფეს ძლიერ ხშირად მსაჯულადაც კი ირჩევდნენ.

ერთხელ, როდესაც მთელი საბერძნეთი გვალვამ თითქმის მთლად გაანადგურა, დელფოს მისანმა უწინასწარმეტყველა საბერძნეთის მკვიდრთ: სანამ ღეთისნიერი ეაკი არ შექვედრება ღმერთებს, უბედურების თავიდან აცილება ყოვლად შეუძლებელიაო.

ეაკი ხალხის თხოვნით შექვედრა ღმერთებს, და, მართლაც, ღმერთების მამამთავარმა, ყოვლად შემძლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა, საბერძნეთს მოუვლინა ჟუჟუნა წვიმა, რომელმაც იხსნა მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი დიდის განსაცდელისაგან.

ყველა ღმერთს უყვარდა ღეთისნიერი ეაკი. მხოლოდ ქალღმერთი ჰერა სდევნიდა ყველასაგან საყვარელ ეგინას მფლობელს. ჰერას თვალის დასანახავად ეჯავრებოდა ეაკი: ღმერთების მამამთავრის მეუღლეს სწყინდა, რომ ეაკი ზევსის შვილის სახელს ატარებდა და ამასთანავე დიდის პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებოდა ყველგან და ყველასაგან.

ქალღმერთი ჰერა ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდა, რომ ეგინას მფლობელი დაესაჯა. ეაკის სამფლობელოს, მთელ კუნძულ ეგინას, ჰერამ მოუვლინა საშინელი უბედურება: მთელი ოთხი თვით კუნძული დაბურა სქელმა, ერთიანად მოშხამულმა ნისლმა. როდესაც ნისლი გაიფანტა, მთელს სამეფოში, მდინარეებსა და წყაროებში, ზღვასა და ხმელეთზე ათასობით გაჩნდნენ სხვადასხვა შხამიანი ქვეწარმავალნი, რომლებიც უბრალო შეხებითაც კი შხამავდნენ ყველადერს. საქონელი, შინაური და გარეული ფრინველები საცოდავად გმინავდნენ მოწამლული ჰაერით და სამუდამოდ ეთხოვებოდნენ წუთისოფელს.

ტყე, მინდორ-ველები და მკვიდრთა მთელი კარმიდამო აივსო დახოცილ ცხოველთა ლეშებით, და ისედაც მოწამლული ჰაერი კიდევ უფრო მეტად იწამლებოდა.

სახელმწიფოს მკვიდრიც ვერ გადურჩა ამ საშინელ განსაცდელს. მოწამლულმა ჰაერმა ხალხს მუსრი გააელო. შეუბრალებლად ესალმებოდნენ სიცოცხლეს დედა, მამა, შვილები. ოჯახები დღითიდღე ცარიელდებოდა. შეშინებული ხალხი სახელმწიფოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს აფარებდა თავს, მაგრამ შველას კი ვერსად პოულობდა.

ეგინას მფლობელი ღვთისნიერი ეაკი მწუხარებით შეჰყურებდა საყვარელი ერის დღითიდღე განადგურებას, მაგრამ დახმარებას ვერ უწევდა, ვერას შველოდა. აქა-იქ ცოცხალმკვდრად დარჩენილი მკვიდრნი ღმერთებს შესავედრებელ მსხვერპლს სწირავდნენ, მაგრამ მკვიდრთა ამ საყოველთაო უბედურებას ბოლო არ ეღებოდა. განადგურდა მთელი სახელმწიფო, დაიხოცნენ ერთიანად ქალი, კაცი, დიდი და პატარა, მთელ სახელმწიფოში გადარჩენ მხოლოდ თვითონ მეფე ეაკი და მისი სამი შვილი.

ხალხის უბედურებით თავზარდაცემულმა მეფე ეაკმა ცისკენ მწუხარედ აღაპყრო ხელები და ღმერთების მამამთავარს მხურვალედ შეევედრა: „მაღალო ღმერთო ზევსო, თუ მე შენი შვილობის სახელის ტარების ღირსი ვარ, იხსენ ჩემი სამეფო საშინელი განსაცდელისაგან, დამიბრუნე ჩემი საყვარელი, უდანაშაულოდ დასჯილი ერი, და თუ ეს შეუძლებელია, მეცა და ჩემ შვილებსაც მოგვივლინე სიკვდილი, რათა უკან არ ჩამოვრჩეთ ჩვენ საყვარელ ერს. ღმერთების მამამთავარო, შენ ჩემზე კარგად უწყვი, რომ მეფე ერის საკეთილდღეოდაა გაჩენილი, და არა ერი მეფის საკეთილდღეოდ“.

ეგინას მფლობელმა ამ სიტყვებთან ერთად მიაპყრო თვალები იქვე მდგომ მალალ მუხას, რომლის ტოტებზე ჭიანჭველების მთელი გროვა ათასნაირად ფუსფუსებდა და გულმოდგინე შრომას ეწეოდა. „ღმერთების მამამთავარო—კვლავ შეევედრა მეფე ეაკი ზევსს: მომეც სახელმწიფოს იმდენი მკვიდრი, რამდენიც ამ მუხაზე ჭიანჭველაა, რათა სრულიად დაცარიელებული ჩემი სახელმწიფო კვლავ აღვადგინო“.

დაღამდა. დამწუხრებულ მეფეს ჩაეძინა. ძილში ეაკმა გრძელ-ტოტებიანი მუხა ნახა და იმ მუხაზე ის მშრომელი ჭიანჭველები, რომელნიც საქმიანად ფუსფუსებდნენ ცხადად ნახულ მუხის ტოტებზე. ჟეცრივ მუხის ტოტები შეინძრა, და ჭიანჭველები ყველანი ერთიანად ძირს ჩამოცვივდნენ.

მეფე ეაკი სიზმრად ხედავს, რომ ჭიანჭველები სიგამხდრესა და სიშავეს თანდათანობით კარგავენ, ტანი უმსხვილდებათ და ადამიანის შეხედულებას ღებულობენ, კაცებად იქცევიან. ეაკი სიხარულისაგან ფეხზე არა დგას. იგი კვლავ თავის საყვარელ მკვიდრთა შორის არის. -

მეფეს გამოეცვიდა და, როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყო, მეტად დაღონდა. გული მწუხარებით აევსო. დადარდინებული მეფე ღმერთების მამამთავარს უჩიოდა, რომ ამოდენა ხანს დახმარებას არ აწედიდა.

ჟეცრივ მეფეს გარედან რალაც ხმაურობა შემოესმა. ეაკს გარკვევით ესმოდა ხალხის ხმამალალი ლაპარაკი და ჩოჩქოლი, რასაც იგი რამდენი ხანია გადაჩეული იყო. „ნუთუ ესეც სიზმარია?“ — ფიქრობდა და გონს ვერ მოსულიყო.

მეფეს ამ დროს შემოესმა თავისი შვილის, ტელამოს, მხიარული ხმა: „ჩემო ძვირფასო, საყვარელო მამავ! იცი, რა უნდა გახარო! მე მიინდა გახარო ისეთი სასიამოვნო ამბავი, რომელიც შენ სულიერად და ხორციელად დაგამშვიდებს! აბა, ჩემო საყვარელო მამავ, თუ გამოიცნობ, რა სასიხარულო ამბავი მოგიტანე?“

მეფე მიდის სასახლის კარებთან და განცვიფრებული ხედავს იმ მამაკაცებს, რომელთაც რამდენიმე წუთის წინათ სიზმრათ ხედავდა.

მამაკაცები მოკრძალებით მიუახლოვდნენ ეაკს და თაყვანი სცეს, როგორც თავის საყვარელ მეფეს.

სიხარულისაგან ცრემლებმორეული ეაკი გულშეზღვრულად მიესალმა თავის ქვეშევრდომ მამაკაცებს.

როცა მეფე მეტის აღელვებისაგან ცოტათი დამშვიდდა, მან დიდის სასოებით მხურვალე მადლობა შესწირა ღმერთების მამამთავარს ზევსს ასეთი დიდი წყალობისათვის.

„მეფე მკვიდრთათვის, და არა მკვიდრნი მეფისათვის“—მუდამეამს ასე იმეორებდა მეფე ეაკი და ამ ცნების მიხედვით აწესრიგებდა მკვიდრთა შორის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეებს. მკვიდრნიც კარგად გრძნობდნენ მეფის ამ სიტყვების გულწრფელობას და ამიტომაც იყო, რომ ეაკი მთელ სახელმწიფოში სათაყვანებელ გმირად ჰყავდათ მიჩნეული.

მინაისის ქალიშვილები

მხიარულების ღმერთის ბახუსის დღეობა იყო. ორქომენის ქუჩებს სადღესწაულორ ელფერი ედვა. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, ყველანი სადღესწაულოდ მორთულნი მახლობელი ტყისაკენ მიისწრაფოდნენ ღმერთის სადიდებლად.

ყველას დაეტოვებინა თავისი ჩვეულებრივი სამუშაო და საერთო მხიარულების ფერხულში ჩაბმულიყო. სიმღერა, სიცილი, ჩანგის სიმთა საამური ელერა მთელს ქალაქს კიდით-კიდემდე მხიარულების საუცხოო, საოცნებო მოედნად ხდიდა. ყველა ზეიმობდა საერთო დღესასწაულს, გარდა ორქომენის მეფის მინაისის სამი ასულისა, რომელნიც მოსამსახურე ქალების დახმარებით დგიმ-სავარცხელზე ძვირფასი ქსოვილებისათვის ძაფს ართავდნენ.

მეფე მინაისის ასულებს არ სწამდათ ბახუსის ღეთაებრივი ჩამომავლობა და კიდევაც ამიტომ საერთო დღესასწაულში მონაწილეობას არ ლებულობდნენ.

მთელი დღე, საღამომდე, მეფის ასულები ჩვეულებრივ სამუშაოს უსხდნენ.

საღამოს ეამს მეფის ქალიშვილები მოსვენებას უნდა მისცემოდნენ, როცა სამუშაო ოთახში გაისმა საღამურის საოცნებო ხმა.

მთელი ოთახი საამური სურნელებით გაიჟღენთა. ძაფის სართავი ჯარა და დგიმ-სავარცხელი მწვანე სუროთი და დაგრებილი ვაზის ფოთლებით შეიმოსა. ძვირფასი ქსოვილებისათვის დართული ძაფები ყურძნის ვაზებად გადაიქცა.

ამ დროს სახლის კედლები ერთიანად შეირყა და ყველა ოთახში თვალწარმტაცი სინათლე გაჩაღდა.

მინაისის ასულები შიშის ზარმა აიტანა და ოთახების ბნელსა და მივარდნილ კუნჭულებში გამალებით დაეძებდნენ თავშესაფარს.

ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს აწყდებოდნენ, მაგრამ თვალის მომქრელ სინათლეს ვერსად ემალებოდნენ.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! მინაისის ქალიშვილებს უც-რივ გამოესხათ ფრთები, სამივენი ლამურებად გადაიქცნენ და ოთახს ფრენით ირგვლივ თავს დასტრიალებდნენ.

ლამურები დღემდისაც ადამიანთა ბინას თავს არ ანებებენ. მათ ჭირივით სძულთ ტყე და განსაკუთრებით ბრწყინვალე მზის სინათლე, რომელსაც ისინი ყველგან და მარადის გაუარბიან.

ფილოზოფია და პროცნა

დიდი ხანია, რაც ათენელების მეფე პანდიონსა და თებელს შორის ამტყდარი ომი ორივე სახელმწიფოს მკვიდრთ შებრალებლად ანადგურებდა. ომი თებელების გამარჯვებით უნდა გათავებულყო, რომ პანდიონისათვის დახმარება არ აღმოეჩინა თრაკიელების მძლავრ მეფეს ტერევის.

მართლაც, ტერევის დახმარებით, ათინელებმა სამშობლოზე მოსეული მტერი დაამარცხეს.

ნიშნად ღრმა მადლობისა, პანდიონმა თავისი უფროსი ქალი პროცნა ტერევის მიათხოვა. ათინელებმა დიდის ამბითა და აღტაცებით გადაიხადეს სამეფო ქორწილი. ტერევიმ და პროცნამ, დაქორწინების შემდეგ, სამაღლობელი მსხვერპლი შესწირეს ღმერთებს და სამშობლო თრაკიაში დაბრუნდნენ.

ახლადდაქორწინებული მეფე და დედოფალი თრაკიელებმა დიდის აღტაცებით მიიღეს. ადგილობრივ მკვიდრთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ხუთი წლის განმავლობაში ტერევი და პროცნა ბედნიერად ცხოვრობდნენ, ახლადდაქორწინებულების ერთი-მეორესთან დამოკიდებულება არაფრით არ შელახულა, არაფრით არ შერყეულა.

პროცნას დიდი ხანია თავისი სამშობლო ქვეყანა არ უნახავს, დიდი ხანია, რაც იგი თავის მოხუც მამას და საყვარელ დას ფილოზელას მოშორდა. პროცნას სამშობლო ქვეყნის და საყვარელი მშობლების ნახვის სურვილი დღითიდღე უფრო და უფრო უძლიერდებოდა.

პროცნამ გულმხურვალედ სთხოვა საყვარელ მეუღლეს, მეფე ტერევის: სამშობლოში გამისტუმრე მშობლების სანახავადო.

მეფემ სხვადასხვა საპატიო მიზეზის ჩამოთვლით დედოფალი დაარწმუნა, რომ ამჟამად შორეულ სამშობლოში, და ისიც ზღვით, მისი გასტუმრება მოუხერხებელი იყო.

მხოლოდ, რომ დედოფალი უფრო დარწმუნებულიყო და შობ-
ლების უნახაობით მწუხარება არ დასჩემებოდა, ტერევიმ ალუთქვა
ფილომელას მოგიყვან სულ მოკლე ხანში თრაკიაშიო.

ტერევი, შართლაც, რამდენსამე დღის შემდეგ ზღვის აბობოქ-
რებულ ტალღებს აპობდა და თავისი სიმამრის სამეფოსაკენ მის-
წრაფოდა.

პანდიონი და ფილომელა დიდის სიხარულით შეხვდნენ თავის
საყვარელ სიძეს. ტერევიმ ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ გამო-
უცხადა მოხუცებულ პანდიონს პროკნას სურვილი ფილომელას
თრაკიაში წაყვანის შესახებ. პანდიონისათვის მეტად სამძიმო იყო,
განსაკუთრებით ამ სიბერის დროს, ფილომელას მოშორება, მაგრამ
ტერევისა და პროკნას მუდარებით თხოვნას წინ ვერ აღუდგა.

მეფე პანდიონმა ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა სიძე და
მთელ სახელმწიფოში სილამაზით სახელგანთქმული თავისი საყვარე-
ლი ასული ფილომელა. მოხუცი მამა თვალცრემლიანი ემუდარებო-
და სიძეს, გაფრთხილებით მოპყრობოდა მის საყვარელ ფილომელას
და რაც შეიძლება მოკლე ხანში დაებრუნებინა სამშობლოში.

ზღვის სამღრი ნიაფი გამალებით მიაქროლებდა მგზავრებს
შორეული თრაკიისაკენ. ფილომელა მთელი არსებით ზღვის სიმშვე-
ნიერით ტკბებოდა, მომხიბვლელი პირისახე ერთიანად უბრწყინავდა.
ტერევი კი ფილომელას დიდებული სახის სიმშვენიერით ერთიანად
იხიბლებოდა. თრაკიის მეფე მთელი გზა ახლა სულ იმის ფიქრში
იყო, რომ ამ მშენიერებათა მშვენიერებას კანონიერად შეუღლებო-
და, მაგრამ ამ განზრახვის გამომქლავებას ფილომელას ვერ უბე-
დავდა.

რამდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ ტერევის სომალდმა
თრაკიის ნაპირებს მიატანა. ხომალდის მოსამსახურენი თავიანთ
სახლებში დაბრუნდნენ. ტერევიმ, იმის მაგივრად, რომ ფილომელა
სასახლეში შეიყვანა, იგი ერთერთ შორეულ ციხეში მოათავსა და
მცველებად ურიცხვი დარაჯი მიუჩინა.

ფილომელამ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ტერევიმ იგი რა-
ღაც სხვა აზრით მოაცილა სამშობლო ქვეყანას. ფილომელა თვალ-
ცრემლიანი ემუდარებოდა ტერევის ჩემ საყვარელ პროკნასთან წა-
წყევანყო.

თრაკიის მეფემ ფილომელას მწუხარებით გამოუცხადა, პროკ-
ნა დიდი ხანია გარდაიცვალაო. მეფემ მმასთანავე გაუმქლავნა ცო-
ლილას მასთან კანონიერად შეუღლების სურვილი.

ტერევი მკვერმეტყველურად და თავდავიწყებოთ უმტკიცებდა თავის ცოლიდას, რომ პროკნას გარდაცვალების შემდეგ თრაკიის დედოფლის ადგილი ღირსეულად მას ეკუთვნოდა.

ფილომელას მეფის სიტყვები ძრიელ აკვირებდა. იგი ეპკის თვალით უყურებდა ტერევის თითოეულ სიტყვას. თუკი პროკნა მართლა გარდაიცვალა, — ფიქრობდა ფილომელა, — რა საჭირო იყო, რომ ტერევმ ციხეში მომათავსა და არა თავის სასახლეში? ფილომელას ეს ფიქრები შეუბრალებლად სტანჯავდნენ. საბრალო თვალკრემლიანი ემუდარებოდა თითოეულ მცველს თავისი საყვარელი დის ნამდვილი ამბის მოთხრობას. მართლაც, ერთი მცველი გამოუტყდა ფილომელას, პროკნა ცოცხალიაო.

ფილომელამ ამ ამბის გაგონების შემდეგ უშიშრად, გაბედულად ნიშართა თრაკიის მეფეს: მე იძულებული ვარ საჯაროდ გამოვაცხადო ჩემი ტყვეობის ამბავი, საჯაროდ ვამცნო ადგილობრივ მკვიდრთა საზოგადო კრებას შენი ტყუილები და ბოროტი განზრახვაო.

ტერევი ძლიერ შეაშინა ფილომელას გაბედულმა სიტყვებმა, რომ ეს ბოროტი განზრახვა მართლაც საქვეყნოდ არ გამომჟღავნებულყო. ბრანზორეულმა მეფემ გაელვარებული ხმლით ენა ამოსჭრა. საცოდავ და სრულიად უდანაშაულოდ დატყვევებულ ქალს.

ტერევი ახლა დაშვიდდა, ჩემი ბოროტი განზრახვა საქვეყნოდ არ გამომჟღავნებო, და, როცა სასახლეში დაბრუნდა, დედოფალს მწუხარებით მოახსენა ფილომელა გარდაიცვალაო.

საცოდავი პროკნა დის სიკვდილის გაგების ამბავმა ძლიერ შეაწუხა.

დედოფლის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ნაკვლად-ოქრომკერდით ნაქსოვი ტანსაცმელისა, დედოფალი შიშველ ძაძვებით შეიმოსა.

ფილომელა ციხეში საცოდავად ატარებდა დროს და თავისი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ვერავისთვის ხმა ვერ მიეწვდინა. ათასგვარ შევიწროებას ითმენდა საცოდავი ქალი, მაგრან მეფეს ცოლქმრობაზე მაინც არ სთანხმდებოდა. ფილომელა ახლა სულ იმის ფიქრში იყო, რომ პროკნასათვის ემცნო როგორმე თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. დიდის ფიქრის შემდეგ, ახალგაზრდა პატიმარმა მოქსოვა თეთრი წამოსასხამი და შიგ ფერადი ძაფებით ჩააქსოვა თავისი გაჭირვების ამბავი. ფილომელას თხოვნით, მსახურმა ეს წამოსასხამი დედოფალ პროკნას ფარულად გადასცა.

პროკნამ საიდუმლო წამოსასხამის ფერადი ქსოვილების საშუალებით ყველაფერი გაიგო. საყვარელი დის გაქირვებული მდგომარეობის ამბავმა პროკნა ერთიანად შეაშფოთა. დედოფალმა გადაწყვიტა თავისი გამხეცებული მეუღლის სამართლიანად დასჯა.

პროკნამ ერთ დღეს მოიწვია სამეფოს წარჩინებული მანდილოსნები და მათთან ერთად გაემგზავრა ვითომდა ღმერთებისათვის მსხვერპლის შესაწირავად.

როცა დედოფალი თავისი თანამზღებლებით ციხეს მიუახლოვდა, სადაც ფილომელა იყო დამწყვდეული, პროკნამ მზღებლებს გააცნო საქმის ნამდვილი ვითარება და დახმარება სთხოვა ციხიდან უდანაშაულო საყვარელი დის გასათავისუფლებლად.

დედოფალი და სახელმწიფოს წარჩინებული მანდილოსნები ერთბაშად შეიქრნენ ციხეში. ციხის მცველებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედეს დედოფალს და სახელმწიფოს წარჩინებულ მანდილოსნებს. საბრალო ფილომელა გაათავისუფლეს.

პროკნამ ახლადგანთავისუფლებული პატიმარი სასახლეში წაიყვანა. საცოდავი სანახავი იყო უენო, ფერმიხდილი და ძალზე გამხდარი ფილომელა. დები ერთმანეთს გულში მაგრად ჩაეკონენ და დიდხანს გულამოსკენით ქვითინებდნენ. სასახლეში მყოფი მანდილოსნები ცოდვისაგან იწოდნენ და თავის მწარე ცრემლებს დების მღულარე ცრემლებს უერთებდნენ.

პროკნას მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, იგი იტანჯებოდა დის კალმით აუწყრელი საცოდაობით, დედოფლის მგრძნობიარე გული მეუღლისადმი უსაზღვრო სიძულვილით ივსებოდა.

— „შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია ტერევის სიმხეცე ასე დაუსჯელად ჩაეატარო! ცეცხლით გადავებუგავ მთელ სასახლეს, გულს ბასრი ხმლით შუაზე გაეუპობ ჩემი საყვარელი ფილომელას ენის ასე შეუბრალებლად ამომკვეთელს, თვითონვე მას ენას ამოვჭრი, თვალებს დავთხრი! ყოვლად შემძლებლო ღმერთებო, მიხსენით ამ საშინელი უბედურებისაგან! ვფიცავ ოლიმპოს მბრძანებლის, ღმერთების მამამთავრის ზევსის დიდებულ სახელს, რომ რაღაც საშინელებას ჩავიდენ!“ პროკნა ამ სიტყვებს ხმამაღლივ გაიძახოდა და რაღაც საშინელი საქმისათვის ემზადებოდა.

სწორედ ამ დროს სასახლის დარბაზში შემოვიდა ტერევის პირმშო პატარა ვაჟიშვილი იტისი. პროკნამ შემოვიდა საზარლად შეშფოვრდა: „ღმერთო ჩემო, რარიგად ჰგავს ეს საზოზლარი თავის გამხეცებულ მამას!“ ამ სიტყვებთან ერთად საბრალო დედა და ფი-

ლომელა დაუყოვნებლივ, სრულიად დაუფიქრებლად, მიიჭრნენ უდა-
ნაშაულო მსხვერპლთან და ნაკუწნაკუწად აკეპეს საცოდავი ბავშვი-
ტერევი სასახლეში დაბრუნდა. მეფემ ფილომელას განთავის-
უფლებიისა და იტისის მკვლევლობის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი
არ იცოდა. სასახლის დარბაზში შემოსვლისთანავე მეფემ თავისი
პირმშო შეილი მოიკითხა.

— „შვილო იტის, სადა ხარ?“ — ჩვეულებრივ სიყვარულის კი-
ლოთი შეეხმაურა ტერევი თავის საყვარელ პირმშო იტისს.

ამ დროს დარბაზში უეცრივ შემოვიდა ფილომელა და საბრა-
ლო მშობელ მამას იტის გასისხლიანებული თავი თეფშზე დადებუ-
ლი მიართვა.

ტერევიმ ამ საშინელი სურათის დანახვაზე ერთი სახარლად
შეჰყვირა და ამოღებული ხმლით მეფე პანდიონის ქალებს მოსაკ-
ლავად უკან დაედევნა.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! ფილომელას და პროკნას უეც-
რივ ფრთები გამოესხათ და ერთი ტყისაკენ გაეშურა, ხოლო მეორე
კი ბანზე შეფრინდა. ფილომელა მერცხლად გადაიქცა, პროკნა კი
ბულბულად. ნიშნად იმ დანაშაულობისა, რომელიც მეფე პანდიონის
ქალიშვილებმა ჩაიდინეს, ბულბულისა და მერცხლის ფრთები დღე-
საც სისხლისფრადაა შეღებილი. თრაკიის გამხეცებული მეფე ტერე-
ვი ოფოფად გარდაიქცა. ბულბილს, მერცხალსა და ოფოფს შორის
ამის გამო მუდამ დაუცხრომელი შუღლი და სიძულვილია ჩამოვარდ-
ნილი.

ოფოფი აქამდე განუწყვეტლივ სდევნის ბულბულსაც და მერც-
ხალსაც.

კალიდონიაში ნადირობა

ქართვალ კალიდონიის მეფემ ოინევიმ ღმერთებს საშადლო-პელი მსხვერპლი შესწირა. თითოეული ღმერთის საკურთხეველზე იკმეოდა მიწის ის ნაყოფი, რომლის მფარველად ესათუის ღმერთი იყო ქვეყნად მოვლენილი.

ღმერთებს, ბახუსის, ათენას და სხვა ღმერთების საკურთხეველები უხვად იყო შემკული მიწის ნაირნაირი ნაყოფიერებით: ღვინით, ზეთისხილით და ათასი სხვა ხილეულობით. მსხვერპლის შეუსწირავად დარჩა მხოლოდ ქალღმერთ არტემიდეს საკურთხეველი. არტემიდე ამგვარი უპატივცემლობით მეტად შეურაცხყოფილი დარჩა. ქალღმერთი ძრიელ განრისხდა და მეფე ოინევისათვის რომ სამაგიერო გადაეხადა, კალიდონიის სამეფოს მეტად საშინელი გარეული ღორი მოუვლინა. მთელი სამეფო გარეული ღორის შიშით ძრწოდა. უზარმაზარი ხარის ტოლი ტანის, ცეცხლისმფრქვევი ჩასისხლებული თვალები, ისარივით გრძელი და მაგარი ჯაგარისა და ყურებამდე მოღერებული ეშვების მქონე გარეული ღორი მეტად საშიშარი იყო. ღორის ერთი ამოსუნთქვით ამწვანებული ბალახი, კალიდონიის მინდვრებზე ერთიანად იბუგებოდა, ხეების მალალ ტოტებზე ფოთლები ხმებოდა და ძირს ცვიოდა. გარეული ღორი დიდად აზარალებდა კალიდონიის მთელ სამეფოს. ჯეჯილები, ყანები, ბალები, ვენახები ერთიანად აოხრებული იყო ამ საშინელი მხეცისაგან. ეშვის ერთი მოქნევით გარეული ღორი ძირიან-ფესვიანად თხრიდა მიწიდან ზეთისხილის უზარმაზარ ხეებს და ბალის სხვა სასარგებლო ხეხილებს. კალიდონიის მწყემსები გარეული ღორის შიშით იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საძოვარი მინდვრები და თავშესაფარი ეძებნათ ქალაქების გალავნის შიგნით.

სამეფოს მკვიდრნი თავის ქონებას უზრუნველად ვერა თვლიდნენ და არ იცოდნენ ზვალინდელი დღე რას მოუტანდათ. ამ საშინელი ზღვოზარეობიდან თავის დასაღწევად ოინევის მემკვიდრემ, მელეაგრმა, კალიდონიაში მოიწვია მთელი ელადის რჩეული, მამაცი ზონადირეები სამეფოს საშიშარი მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ელადის სხვადასხვა კუთხიდან კალიდონიაში მოიყარეს

თავი რჩეულმა მონადირეებმა. ან სახელგანთქმულ მონადირეებს შორის მელეაგრეს არკადიიდან ესტუმრა მზეთუნახავი. ლამაზთა ულამაზესი ქალწული ქალი ატლანტაც.

ცხრა დღის განმავლობაში მელეაგრე დიდის გულუხვობით უმასპინძლდებოდა სტუმრებს, ხოლო მათე დღეს კი მთელმა შეიარაღებულმა მონადირეთა რაზმმა სტუმარ-მასპინძლებისა გაილაშქრა სამეფოს მტრის წინააღმდეგ. მონადირეები მივიდნენ კალიდონის ერთ დაბურულ ტყეში, საცა თვალუწვდენელი ხეების ტანზე მკვიდრთა ცულს ჯერ ერთხელაც არ გაეხმაურა.

მონადირეებმა მოხერხებულ ადგილებზე დააგეს ხაფანგები და შემდეგ შეუდგნენ გზაწვრილებისა და ტყის სხვადასხვა ბილიკების გამაგრებას. მონადირეები მოუთმენლად მოელოდნენ საშიშარი მხეცის თავშესაფარიდან გამოგდებას და მასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებრძოლებას. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მონადირეები მიადგნენ ისლითა და ლერწმის ხეებით დაფარულ დაბლობს, საიდანაც უეცრივ ელვის სისწრაფით გამოიჭრა გარეული ღორი.

მონადირეებმა ხმა მისცეს საშიშარ მხეცს და ერთბაშად დაუმოხინეს თავისი ბასრი მშვილდ-ისრები. მხეცი სრულიადაც არ შედრა, მეხივით მძლავრად მიქროლავდა და თავისი ბასრი ეშვებით შეუბრალებლად ანაკუწებდა თავდავიწყებით მიმდევარ ძაღლებს. მონადირეებმა ამ დროს დაუშინეს მშვილდ-ისრები, მაგრამ ვერც ერთმა ისარმა ვერა დააკლო რა გარეული ღორის მაგარი ჯაგრით შემოსილ ტყავს. მონადირეები მაინც არ ეშვებოდნენ გარეულ ღორს. მათმა თავგასულობამ მხეცი მეტად გააფთრა, იგი უეცრივ შემოტრიალდა და ტყვიასავით ეკვეთა მონადირეებს. სამი მონადირე თვალის დანახვამებზე შეუბრალებლად გაემირა და ის იყო მეოთხეც უნდა ემსხვერპლა, რომ ამ უკანასკნელს თავი არ შეეფარებინა მახლობელ მალალ მუხაზე.

ამ საშიხელი ბრძოლის ადგილას მოგროვდნენ დანარჩენი მონადირეებიც და მათ შორის მონადირე ქალი ატლანტაც. მონადირეები თავდანიწყებით ებრძოდნენ მთლად გამხეცებულ გარეულ ღორს, მაგრამ მათი მშვილდ-ისრები ვერას აკლებდნენ კალიდონის გამძვინვარებულ საშინელ მტერს. გარეული ღორი თავისი საშინელი ბასრი ეშვებით კათავდა ელადის მონადირეთა რჩეულ რაზმს. გმინვა, ვაება, წუხილი და განწირულება, ერთიმეორესთან შეერთებული. ბრძოლის ველს მეტად საზარელ სურათს ჰფენდა. ამ დროს ქალწულმა ატლანტამ მოიმარჯვა მშვილდ-ისარი და დაუმოხინა გამხეცებულ მტერს. ატლანტის მიერ მარჯვედ ნატყორცვა ისარმა ყურის

ძირში დაქრა გამხეცებული მტერი. ეს იყო გარეული ღორის პირველი ქრილობა, საიდანაც სისხლი ნაკადულივით გადმოჩქეფდა და ღორის გამაგრებულ ჯაგარს სისხლის გუბეში ხვევდა.

ღორის ქრილობა ყველაზე უწინ მელეაგრემ შენიშნა და საჯაროდ გამოუცხადა ატლანტას: „დიდებულო მონადირე ქალწულო ქალო, ქეშმარიტად, ეს ბრწინვალე გამარჯვება შენ უნდა გეკუთვნოდეს“.

ელადის გამოჩენილი მონადირეები სირცხვილისაგან იწვოდნენ, რომ მტერზე გამარჯვების პირველობა ამ შესანიშნავ და საზარელ ბრძოლაში სხვას რჩებოდა, და ისიც უცხო ქვეყნის ქალს.

ამ სიტყვებთან ერთად მელეაგრე კვალდაკვალ გამოუდგა დაქრილ გარეულ ღორს. მელეაგრეს ბასრმა ისარმა გზადაგზა კიდევ რამდენსამე ადგილას დაქრა სამეფოს დაუძინებელი მტერი და ერთი უკანასკნელად მძალერად ნატყორცნი ისრის შემდეგ მხეცი უსულოდ დაეცა მიწაზე. მონადირეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველანი გამარჯვებას ულოცავდნენ მელეაგრეს.

კალიდონიის ტახტის მემკვიდრემ დაუყოვნებლივ გააძრო ტყავი გარეულ ღორს, მიართვა იგი ატლანტას და თან დასძინა: „ინებე, არკადიის ქალწულო, ეს ჩემი კუთვნილი ნანადირევი. ქეშმარიტად, რომ შენ სავესებით ღირსი ხარ გაიზიარო მტერზე ჩემი გამარჯვება“. თავმომწონე ატლანტამ დიდის სიხარულით ჩამოართვა მელეაგრეს ძვირფასი საჩუქარი.

მონადირეებს არ მოეწონათ მელეაგრეს ამგვარი საქციელი. მელეაგრეს დედით ბიძებმა, პლექსიპმა და ტოქსიმ, ბრაზმორეულად შეტყვირეს ატლანტას: „დაუყოვნებლივ დასტოვე ნანადირევი, ნუ ითვისებ იმას, რაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს! კარგად იცოდე, რომ არ გიშველის არც შენი სილამაზე და არც მელეაგრეს გამოსარჩლება!“

მელეაგრემ ვერ მოითმინა ბიძების ასეთი თავგასულობა და ორთავენი იქვე ბასრი ხმლით სასიკვდილოდ დაქრა.

საშინელ მტერზე გამარჯვებით განხარებული მელეაგრეს დედა, ალთეა, ტაძარში მიდიოდა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირავად.

სწორედ ამ დროს ალთეას წინ ჩამოატარეს პლექსიპისა და ტოქსიის გაცივებული გვამები. ძმების ასე შეუბრალებელმა სიკვდილმა საბრალო დედას თავზარი დასცა. ალთეას მწუხარება ერთიორად გაორკეცდა, როცა უამბეს, რომ პლექსიპი და ტოქსიი სასიკვდილოდ დაქრილ იქმნენ. მისი ღვიძლი შვილის მელეაგრეს

ბასრი ხმლით. ალთეას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი იტან-
ჯებოდა როგორც დეჯა, იგი იტანჯებოდა, როგორც უდროოდ და-
კარგული ძმების განუსაზღვრელად მოსიყვარულე და.

დიდი ფიქრისა და ტანჯვის შემდეგ, მწუხარებით თავხარდა-
ცემულმა ალთეამ საბოლოოდ გადაწყვიტა ძმების ეერაგულად მკვლე-
ლი შვილი მელეაგრე სასტიკად დაესაჯა.

მელეაგრეს დაბადების დღეს ალთეას საწოლ ოთახში ოლიმ-
პოს მთის მწვერვალიდან ჩამოვიდა სამი ქალღმერთი, რომლებმაც
გაჩაღებულ ცეცხლის კერაში ჩაადგეს მუგუზალი და ერთხმად დაად-
გინეს: ვიდრე მუგუზალი არ დაიწვის, ახლადდაბადებული ბავშვიც
ცოცხალი უნდა დარჩესო.

ალთეა სახლიდან ქალღმერთების გასვლისთანავე სასწრაფოდ
მიიქრა აგიზგიზებულ კერასთან, დაუყოვნებლივ აიღო საბედისწერო
მუგუზალი და სრულიად უვნებელ ადგილას გადამალა. ამრიგად
გადაარჩინა მოსიყვარულე დედამ თავისი პირმშო შვილი აუცილე-
ბელ სიკვდილს, რომელიც ახლადდაბადებულ მელეაგრეს მუგუზა-
ლის დაწვისთანავე მოელოდა.

აი, ახლა ალთეამ, როცა შვილის დასჯის სურვილი აღძრდა,
მოუფიქრებლად წამოავლო ხელი დიდი ხნის შენახულ საბედისწე-
რო მუგუზალს და შეშლილივით მიიქრა გაჩაღებულ კერასთან.

საბრალო დედის გული ორგვარი სიყვარულით იტანჯებოდა:
შვილისა და ძმებისა. ალთეამ არ იცოდა, რომლის სიყვარული
რომლის სიყვარულისათვის ენაცვალებინა.

გონებამიხდილი, სრულიად გაფითრებული ალთეა მუგუზლით
ხელში დიდხანს დასცქეროდა აგიზგიზებულ კერას და ჯერ კიდევ
ვერ გადაეწყვიტა, როგორ უნდა მოქცეულიყო. დიდის ტანჯვის
შემდეგ, ალთეამ ცრემლების დაპალუპით ერთი საზარლად შეჰყვირა
და საბედისწერო მუგუზალი გაჩაღებულ კერაში გადაისროლა.

მუგუზალს ერთბაშად მოედო ალი. საბრალო მელეაგრე კი,
როცა საბედისწერო მუგუზალს ცეცხლის ალი თანდათან ეკიდებო-
და, მეტად აუტანელ ტკივილებს განიცდიდა. რამდენადაც უძლიერ-
დებოდა ცეცხლი მუგუზალს, იმდენად მელეაგრე მწვავე ტკივილე-
ბისაგან თანდათან უფრო იწვოდა და იტანჯებოდა.

კალიდონიის ტახტის მემკვიდრე, საცოდავი მელეაგრე, უციო-
ხლოდ იწვოდა და იტანჯებოდა. საბრალო ყველას დახმარებას
სთხოვდა, ყველას ემუდარებოდა, მაგრამ მშველელი კი არსაიდან
ჩანდა.

მელეაგრე საცოდავის ხმით შველას სთხოვდა მოხუც მამას. დებს და, უეჭველია, დედასაც, მაგრამ აბა რას მოიფიქრებდა, თუ მშობელი დედა თავისი ხელით სწავდა თავის პირმშო შვილს.

საბედისწერო მუგუზალი დაიწვა, და კალიდონიის სათაყვანო გმირმაც განუტევა სული.

მთელი კალიდონია დაამწუხრა მელეაგრეს სიკვდილმა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი გულწრფელად ნაკადულებრ აფრქვევდნენ ცხარე ცრემლებს საბრალო მელეაგრეს საფლავზე და ირგვლივ არემარეს მდუმარედ რწყავდნენ.

მოხუცი მამა, დები, ძმები ყოველ ცისმარე დღეს გულსაკლავად ქეითინებდნენ. გამვლელ-გამომვლელნი მწუხარებით შეჰყურებდნენ საცოდავი მშობლების მწუხარებას და მათ მწარე ცრემლებს თავის ცრემლებსაც უერთებდნენ.

საცოდავი გმირის მელეაგრეს დედამ ალთეამ ახლა კი იგრძნო თავისი დანაშაული და თავისივე ხელით გაიგმირა ბასრი ხმლით ის გული, რომელიც ასე შეუბრალებლად მოექცა და დვიძლი შვილი მელეაგრე სასიკვდილოდ გაამეტებინა.

ფილემონი და ბავკიდი

ფილემონის ერთერთ მადლობ გორაკზე განმარტოებით დგას დაბერებული შუხა და მის მაზლობლად ცაცხვის ხე. ხეებს გარშემო არტყია პატარა ბუჩქნარი. ამ ხეების შორიახლოს მოჩანს დიდი ტბა, რომლის ადგილას ოდესღაც სოფელი ყოფილა გაშენებული.

ერთხელ ღმერთების მამამთავარი ზევსი და შვილი მისი ჰერმესი ესტუმრნენ ამ სოფელს. 'სტუმრებს უნდოდათ გაეგოთ, სოფლები რამდენად სტუმართმოყვარე და პურმარილიანი ხალხი გამოდგებოდნენ.

ღმერთებმა თითქმის მთელი სოფელი შემოიარეს, მაგრამ კარი არცერთმა მოსახლემ არ გაუღო.

ბოლოს, მთელ სოფელში აღმოჩნდა ერთადერთი ღარიბი სახლობა, რომელმაც დიდის თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით მიიპატიჟა კაცის სახით მოვლენილი ღმერთები.

ოჯახის უფროსები—უკეთილმსახურესი მოხუცი ფილემონი და შეუღლე მისი, ღვთისმოყვარული ბაკვიდი, სიხარულით მიეგებნენ სტუმრებს და საპატიო ადგილი დაუთმეს თავის ღარიბ ქოხში.

ბაკვიდმა დაუყოვნებლივ ცეცხლი დაანთო კერაში და წყლით ზაესე სპილენძის ქვაბი შემოდგა. ფილემონმა ჩამოჭრა ღორის ხორცის მოზრდილი ნაჭერი, ჩადო კერაზე წამოდგმულ სპილენძის ქვაბში და შეშა ბლომად შეუქეთა.

სადილობამდე სტუმრებს რომ არ მოსწყენოდათ, უკეთილმსახურესი ცოლ-ქმარი ღმერთების ფეხთით ჩამოსხდნენ და, როგორც კი ეხერხებოდათ, ართობდნენ მუსაიფით თავის ძვირფას სტუმრებს.

ამ სასიამოვნო ბაასის დროს სადილიც უკვე დამზადდა. ბაკვიდმა მარდად გაშალა სუფრა, მოიტანა ღამაზად გარჩეული მწვანილი, ჰეთისხილი, კვერცხები, შარბათივით ტკბილი ღვინო, პური, მარილი და ცხლად მოხარშული ღორის ხორცის დიდი კერძი.

სტუმრები მადიანად შეექცეოდნენ კეთილის გულით გაშლილ ფხვ სუფრას. უკეთილმსახურესნი მოხუცებულნი თავს დასტრიალებდნენ ძვირფას სტუმრებს და გულმოდგინედ ემსახურებოდნენ.

ღმერთები შადიანად შეექცეოდნენ სულითა და გულით შიძღვნილ სადილს, შაგრამ დახეთ ფილემონისა და ბავკიდის გაკვირვებას: სასმელი და საჭმელი სუფრას არა თუ აკლდებოდა, პირიქით, თანდათან ემატებოდა.

ფილოძენი და ბავკიდი ახლა მიხვდნენ, თუ ვინ იყვნენ მათო სტუმრები, თუ ვინ გააბედნიერა მათი ღარიბი ქოხი, და შოკრძალე-ბით ბოდრიში მოიხადეს ღმერთებთან მცირე მასპინძლობისათვის.

ღმერთებმა დიდი მადლობა შესწირეს სტუმართმოყვარე მოხუც მასპინძლებს და ამასთანავე გამოუცხადეს: „ჩვენ ღმერთები ვართ, ჩვენ გადავწყვიტეთ სასტიკად დავსაჯოთ ღმერთებისა და კაცის დამგმობი თქვენი მეზობლები, ამიტომ დაუყოვნებლივ დასტოვეთ ეს თქვენი ქოხი და თავი შეაფარეთ მალალი მთის მწვერვალს“.

უკეთილშესახურესნი მოხუცნი, ფილემონი და ბავკიდი, ხმაამო-ულეבלავ დაემორჩილნენ ღმერთების ბრძანებას და მყისვე შთისაკენ გაეშურნენ.

როცა მოხუცებულები მთის მწვერვალზე ავიდნენ და უკან მოიხედეს დაინახეს, რომ მთელი სოფელი აზვირთებული ტბის მო-რევეში ცურავდა.

მთელი სოფელი წყლის ტალღებს წაელეკა, მხოლოდ ტბის შუაგულში უვნებლად იდგა ფილემონისა და ბავკიდის ქოხი, რომე-ლიც ყოველად შემძლებელ ღმერთებს მდიდრულად მორთულ ოქროე-ბით შემკულ ტაძრად გადაექციათ.

ფილემონი და ბავკიდი, ცაში ხელებაპყრობილნი, განცვიფრე-ბით დასცქეროდნენ წყლის აზვირთებული ტალღებით განადგურე-ბულ სოფელს.

ამ დროს მოხუცებულებს შემოესმათ ყოველად შემძლებელი ზევ-სის მეგობრული ხმა: „უკეთილშესახურესო ფილემონ და შენ, ღირ-სეულო მისო მეუღლეე ბავკიდი, თქვით, რაიცა გსურთ, და ყველა-ფერს აგისრულებთ!“

„თუ კეთილს ინებებთ და გაგვაბედნიერებთ“ — შეჰკადრა ფილე-მონმა ღმერთების მამამთავარს: „ნება გვიბოძეთ თქვენს ტაძარში სიკვდილამდე ვინსახუროთ, ხოლო მოვკვდეთ კი ერთსა და იმავე სა-ათს, რომ ერთი-მგორეს სიკვდილს არ შევესწროთ!“

ოლიმპოს, მბრძანებელმა ზევსმა შეისმინა უკეთილშესახურესი მო-ხუცებულების ვედრება.

ფილემონი და ბავკიდი დიდხანს ერთგულებითა და სასოებით მსახურობდნენ ზევსისაგან დანიშნულ ტაძარში.

ერთხელ ფილემონი და ბაკიდი ტაძრის ზღუდესთან იდგნენ და თავისი სოფლის დაღუპვის ამბავს მწუხარებით იგონებდნენ. მოხუცებულები ერთმანეთს შესტკერიან და ხედავენ, რომ ისინი მწვანე ფოთლებით იმოსებიან.

მოხუცებულები ტკბილად და სასიამოვნოდ ესაუბრებიან ერთ-მეორეს, მათი სხეული ამ დროს კი ხის ქერქით იმოსება და ტოტები ესხმის. ფილემონისა და ბაკიდის აღსასრულის დღემაც მოაღწია.

„მშვიდობით, ფილემონ!“ „მშვიდობით, ბაკიდ!“—ერთსა და იმავე დროს უკანასკნელად შესძახეს უკეთილმსახურესმა მოხუცებულებმა და მყისვე მათი ბაგენი ხის ქერქით დაიფარნენ და სამუდამოდ დადუმდნენ.

ყოველად შემწლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა ფილემონი მუხად აქცია, ბაკიდი კი ცაცხვის ხედ.

ხალხმა კარგად იცის ამ მუხისა და ცაცხვის ამბავი და კიდევაც ამიტომ ასე უხვად ამკობს ამ ხეების ტოტებს გვირგვინითა და თაიგულებით.

პირამე და თისბე

მთელს დედამიწის ზურგზე პირამესთანა ვაყვაცი და თისბენც სიმშენიერით სახელგანთქმული ქალიშვილი იშვიათად თუ სადმე მოიძებნებოდა. პირამესა და თისბეს სილამაზე, ახოვანი ტანის მოყვანილობა ყველას ერთხმად სამაგალითოდ ჰქონდა მიჩნეული.

ახალგაზრდა ჭაბუკთა სამშობლოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი საოცნებო, სანატრელ არსებად ატარებდნენ გულში მეგობრების სახელის ხსოვნას.

პირამე და თისბე მეზობლად ცხოვრობდნენ. ახალგაზრდები ყმაწვილობიდანვე მეგობრულად იყვნენ დაკავშირებულნი. პირამესა და თისბეს ერთმანეთი გაგიჟებით შეუყვარდათ. პირამე მთელი თავისი არსებით თისბეს ეკუთვნოდა, თისბე კი პირამეს.

რაც უფრო გადიოდა დრო, ახალგაზრდების სიყვარული და მეგობრული განწყობილება თანდათან ძლიერდებოდა. ახალგაზრდების მეგობრულმა კავშირმა ისე მძლავრად გაიდგა ფესვები, რომ პირამეს უთისბეოდ და თისბეს უპირამეოდ სიცოცხლე შეუძლებლად მიანდათ.

გულითადმა მეგობრებმა, დიდის ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტეს თავისი მკვიდრო მეგობრული კავშირი დაქორწინებით დაეგვირგვინებინათ. მაგრამ, დახეთ უბედურებას, ორივე ახალგაზრდის მშობლები წინააღმდეგნი გახდნენ ამდენი ხნის გულითადი მეგობრების დაქორწინებისა. მშობლების ამგვარმა წინააღმდეგობამ პირამე და თისბე მეტად დაალონა, დიდ საგონებელში ჩააგდო.

მშობლები ისე სასტიკად მოექცნენ ერთმანეთისათვის თავგანწირულ მეგობრებს, რომ ერთი-მეორის ნახვასაც კი უკრძალავდნენ. რაც უფრო სასტიკად ეპყრობოდნენ მშობლები მეგობრებს, მეგობრული კავშირი პირამესა და თისბეს შორის მით უფრო ძლიერდებოდა.

პირამესა და თისბეს ოთახებს მალალო სქელი ქვის კედელი აშორიშორებდა. ამ უზარმაზარ კედელში შემთხვევით დარჩენილიყო პატარა ჭუჭურუტანა, რომელიც თავის დღეში არავის შეუმჩნევია.

პირამემა და თისბემ ისარგებლეს კედელში დარჩენილი პატარა ქუ-
კრუტანით და მთელი დღე და ღამე განუწყვეტლევ ერთი-მეორეს
ენმაურებოდნენ და სიყვარულის კილოთი ჩიტებივით კიკიკობდნენ
და კიკიკობდნენ.

მეგობრები ერთი-მეორის ნახვის სურვილით იწვოდნენ, ერთი-
მეორის შეხვედრას, პირისპირ აზრების გაზიარებას ნატრობდნენ,
ხოლო მათ შორის ამართულ უხმო და უგრძნობ ქვის კედელს, თით-
ქო განგებცათამდე თავი მიუბჯენიაო, აზრადაც არ მოსდიოდა
გულითადი მეგობრების უსაზღვრო მწუხარების შემსუბუქება.

ერთ დღილას პირამემა და თისბემ შეჰკრეს პირობა, რომ სალა-
მოხანს ქალაქგარეთ გასულიყვნენ და საბოლოოდ რაიმე მოესაზ-
რებინათ მომავალი დაქორწინების შესახებ.

ქალაქგარეთ ერთერთი ბეჭობის კალთებზე საამურად გადმოჩუხ-
ჩუხებეს ანკარა წყარო. ამ წყაროს თავს დასცქერის მალალტოტებიანი
თუთის ზე, რომლის ძირას უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს გულითადი
მეგობრები პირამე და თისბე და პირისპირ მოლაპარაკებით გადაეწ-
ვეტიათ მათი ასე გამოურკვეველი მდგომარეობა.

ღამის წყვილიაღმა მოიცვა მთელი არემარე, როცა გულაძგერე-
ბულმა თისბემ ფარულად დატოვა მშობლიური სახლი და მეგობრის მიერ
დანიშნული ადგილისაკენ ფეხაკრეფით გაეშურა. მეგობრის განუსაზ-
ღვრელმა სიყვარულმა თისბეს თითქოს ფრთები გამოასხა, იგი ელ-
ვის სისწრაფით მიიჭრა დანიშნულ ადგილას, თუთის ძირას ჩამოჯდა
და თავის მეგობარს მოუთმენლად, გულის ძგერით ელოდე-
ბოდა.

არ გასულა ერთი წამიც, და მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს უეც-
რივ თავს წამოადგა უზარმაზარი ლომი, რომელსაც ამ რამდენიმე
წუთის წინათ ხბოები გაენადგურებინა და წყაროზე წყლის დასალე-
ვად წამოსულიყო.

ნადირთა სამეფოს ძლიერი მეფის ასე ანაზღვეულად გამოჩენამ
თისბეს თავზარი დასცა. საბრალო ფეხაკრეფით ჩამოშორდა საბე-
დისწერო ადგილს და საჩქაროდ უღრან ტყეს შეათარა თავი. შავრამ
შიშისა და სიჩქარის გამო თისბეს წყაროს თავზე შემთხვევით დარ-
ჩა თავისი მშვენიერი მოსასხამი.

ნადირთა ძლევაამოსილმა მეფემ, როცა ანკარა წყლით წყურვი-
ლი მოიკლა და ის იყო უღრან ტყეში დაბრუნებას აპირებდა, უეც-
რივ წყაროს თავზე შენიშნა თისბეს მოსასხამი. გაუმაძლარმა ტყის

ნადირმა თავისი გასისხლიანებული კბილებით ნაკუწნაკუწად აქცია საბრალო თისბეს ძვირფასი მოსასხამი.

პირამე თისბეზე ცოტა უფრო გვიან გამოვიდა ქალაქიდან. საბრალო ყმაწვილი დაუყოვნებლივ მიიჭრა დანიშნულ ადგილას, მაგრამ დახეტ მის განუსაზღვრელ თავზარდაცემას: პირამემ თუთის ხის მახლობლად დაინახა ნაკუწნაკუწად ქცეული, სულ ერთიან სისხლში ამოსვრილი თისბეს მოსასხამი.

„ღმერთო ჩემო!“ გაგიჟებით, სრულიად გონებადაკარგული დრტივინავდა საბრალო პირამე: „ნუთუ ეს საბედისწერო ღამე უკანასკნელი ღამეა ორთავესათვის! ჩემო გულითაღო მეგობარო, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო თისბე! მე ვარ შენი უდროოდ სიკვდილის მიზეზი, მე ვარ შენს წინაშე დამნაშავე, რომ ამ უდაბნოში გამოგიპატიე და თან კი არ გამოგყევი! ჩამქოლეთ მე ბედშავი, მე უბედური!“

ასე მწარედ მოთქვამდა საბრალო პირამე და თვალთაგან ცხარე ცრემლები ნაკადულებრ გადმოსჩქედდა.

გასისხლიანებული თისბეს მოსასხამის ნაგლეჯები პირამემ ერთად მოაგროვა. საბრალო პირამე ამ ნაგლეჯებს გულში იკრავდა, ჰკოცნიდა და ცხარე ცრემლებს აბკურებდა.

გონებადაკარგულმა და ნადირივით გაათრებულმა პირამემ უეცრივ საზარლად შეჰყვირა: „ჩემო ძვირფასო, გონებიდან განუყრელო თისბე! განა შენი სახელის სამარადისო ხსოვნას მარტო ჩემს ცრემლებს ვაკმარებ! განა შენს ჩემთვის ძვირფას ტანსაცმელს ჩემი სისხლით არ ვაბკურებ!“

ამ სიტყვებთან ერთად პირამემ ბასრი ხმლის ერთი მოქნევით შუაზე განიგმირა თავისი მგრძნობიარე გული. საბრალო პირამე უგრძნობლად დაეცა თუთის ხის ძირას წყაროს თავზე. საბრალოს მკერდიდან ამონახეთქი სისხლის შადრევანი თუთის ხის მაღალ ტოტებს სწვდებოდა და წითლად ლებავდა აღმასივით მოელვარე თუთის ხის მომწითლებულ ნაყოფს.

როცა ნადირთა სამეფოს ძლევა მოსილმა მეფემ თავი დაბურულ ტყეს შეაფარა, თისბე დაუყოვნებლივ გამობრუნდა თუთის ხის ძირას მოჩუხჩუხე წყაროსაკენ. თისბე გაფაციცებით დაეძებდა თავის გულითად მეგობარს, რომ მისთვის ეხარებინა, ასეთ უბედურებას რომ თავი უვნებლად დააღწია.

თისბე აი კიდევაც მივიდა საბედისწერო ადგილას, მაგრამ დახეტ მის განცვიფრებას! საბრალო ამ ადგილს ვერ ცნობილობს, თუ-

თის ხე სულ სხვა ფერად შეღებილა, წყარო თითქო ძველგზურად არ ჩუხჩუხებს.

— ნუთუ დანიშნულს ადგილს აცდდი? — ფიქრობს საბრალო თისზე და დაკვირვებით ათვალერებს თუთის ხის მახლობლად მდებარე შიდამოებს.

მაგრამ წარმოიდგინეთ საცოდავი თისბეს მდგომარეობა, როცა შან ბასრი ხმლით განგმირული მეგობრის გვაში დაინახა იქვე ახლოს შიდაბარე!

თისბე 'შიშის ზარმა ერთიანად აიტანა. საბრალო პირისახეს იკაწრავს, თავიდან თმებს იგლეჯს, საზარელი ხმით ქვითინებს და თავალთავან ჩამოდენილი ცრემლების ნაკადულით ასველებს თავისი ძვირფასი მეგობრის სამუდამოდ დაღუპებულ ტუჩებს. თისბემ მძლავრად ჩაიკრა გულში პირამეს გაცივებული გვაში და დიდხანს, დიდხანს მსურვალედ ჰკოცნიდა და ჰკოცნიდა. „პირამე, ჩემო ძვირფასო მეგობარო!“ გულსაკლავად ბუტბუტებდა თისბე: „გამიგონე, ერთის თავალით მაინც გადმომხედე! შენი თისბე, შენი კარგი გულითადი მეგობარი გელაპარაკება! არ მისმენ, ჩემო ძვირფასო, ჩემო მარადის გონებიდან განუყრელო მეგობარო! გვედარები, გემუდარები, ერთი წუთით მაინც გაახილე ჩემთვის ყველგან და მარადის ძვირფასი შენი მშვენიერი, ვარსკვლავივით მოელვარე თვალები!“

დიდხანს, დიდხანს ჩაქაბოდა ასე გულსაკლავად საბრალო თისბე თავის გულითად მეგობარს; მაგრამ პირამეს გაცივებული გვაში ვერას გრძნობდა, მას სამუდამოდ დაეხუჭა თვალები, რომელნიც ამ ერთი წუთის წინათ ასე ელვარებით ანათებდნენ.

საბრალო თისბემ პირამეს გაცივებული გვამის მახლობლად დაინახა თავისი გასისხლიანებული მოსასხამის ნაფლეთები და მეგობრის ხმლის დაცარიელებული ქარქაში. საბრალო თისბე ახლა კი მიხვდა, თუ რამ აიძულა საცოდავი პირამე ასე გაეწირა სიცოცხლე.

„საცოდავო, ჩემმა უსაზღვრო სიყვარულმა გაიძულა თავი სასიკვდილოდ გაგემეტებინა! ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მეგობარო, შენი სიყვარული მეც მომცემს ძალასა და მხნეობას შენთან ერთად მოვისპო სიცოცხლე! თუმცა სიკვდილი ამ ქვეყნად გაგვაშორებს, სამაგიეროდ იგივე სიკვდილი საიქიოს შეგვაერთებს, სულიერად სამუდამოდ შეგვაკავშირებს! დეე, ჩემო ძვირფასო, მეც შენთან ერთ საფლავში დავიმარხო, მეც შენთან ერთად განვისვენო მე სრულიად ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს, თუ ჩვენი მშობლები ჩემ ამ უკანასკნელ სურვილს მაინც აღასრულებენ! შენ, თუთის ხეც, შეიფარე შენი

მაღალი ტოტების ჩეროს ქვეშ ერთ კუბოში ჩასვენებული ორი გვამი სიცოცხლეში განუსაზღვრელად მოსიყვარულე მეგობრებისა! შენ იყავ საიდუმლო მოწამე ჩვენი სიკვდილისა! დეე, ჩვენი სისხლით წითელ-ყვითლად შეღებილმა შენმა ფოთლებმა ყველას ამცნოს ორი გულთადი მეგობრის ასეთი საბედისწერო თავგანწირულება!“

თისბემ ამ სიტყვებთან ერთად მძლავრად დაიცა გულმკერდში საბრალო პირამეს სისხლით ჯერ კიდევ სველი ბასრი ხმალი და სიცოცხლეს გამოესალმა თავისი გულითადი მეგობრის გაცივებული გვამის გვერდით.

საბრალო მშობლებმა ერთ კუბოში ჩასვენებული პირამე და თისბე სწორედ იმ ადგილას დაასაფლავეს, საცა ამ ორმა გულითადმა მეგობარმა უკანასკნელად საძუდამოდ დახუჭა თვალები და თავისი უმწიკელო, ფაქიზი სიყმაწვილის საუკეთესო გრძნობები სამარეში ჩაიტანა.

თუთის ხის მაღალი ტოტები გულმოდგინედ უჩრდილებენ უდროოდ სიცოცხლეს გამოსალმებულთა საფლავს და ყველა გამგლეღ-გამომგლეღს სისხლისაგან გაშავებული ფოთლების შრიალით გასაგებად ყურში ჩასჩურჩულებენ საბრალო პირამესა და თისბეს თავგანწირული მეგობრობის სამწუხარო ამბავს.

გულსაკლავია თუთის ხის ფოთლების ამგვარი შრიალი და აბა რომელი გულქვა გამგლეღ-გამომგლეღი უხვევს გვერდს მეგობრობისათვის ამ თავდადებულ გმირთა სავანეს, რომ თვალთაგან ცხარე ცრემლების ნაკადული არ წასკდეს...

ქ ვ ი ვ ა რ ო ს ი

ქაოსის კუნძულის თვალუწვდენელ და ლამაზად დაფენილ მინდვრებ-ქალებში გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას მუდამდღე უნებლიედ იპყრობდა რმერთების სახელობაზე შეწირული საკვირველი ირემი, რომელიც სრულიად უშიშრად სძოვდა ნოყიერს, ყელამდე მოღერებულ ამწვანებულ ბალახს.

ყოველი სულდგმული ირმის სიკეკლუცე-სიმშვენიერით იხიბლებოდა. ირმის ტანისა და თავის მომხიბლავე, მეტად ლამაზ მოხაზულობას ყველანი შესტროფონენ და შეჰხაროდნენ. ფართო და მაღალტოტებიანი რქები კოპწია და მოხდენილ თავზე საამურად გადაგრეხოდა. ლამაზი რქების შუა წვრილ, ოქროსფერ თასმაზე ჩამობმული ვერცხლის პატარა ზარი წამდაუწყუმ საამურად წკარუნებდა, ძვირფასი ქვებით მორთული ლამაზი, მოხდენილი კისერი და აღმასის თვლებით შემოსილი ძვირფასი საყურეები ერთიორად აშვეენებდნენ ირმის ისედაც ლამაზი თავისა და ტანის წარმტაც მოხაზულობას.

ირემმა დიდი ხანია დაკარგა თავისი ველური თვისება, იგი მოშინაურდა, უშიშრად, მოურიდებლად შედიოდა სახლებში, ყველას თავაზიანად ეპყრობოდა, ყველანი ეალერსებოდნენ, ყველას ეალერსებოდა.

კუნძულის მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი სიყვარულით შეჰყურებდნენ მოშინაურებულ თეინიერ ცხოველს.

კუნძულის მკვიდრთა შორის საკვირველი ირემი ყველაზე უფრო ძლიერად, ყველაზე გადამეტებით უყვარდა კუნძულ კეოსის მეფის ვაჟს კვიპაროსს. ირემი და კვიპაროსი განუყრელი ერთგული მეგობრები იყვნენ. ტახტის მემკვიდრე დიდი ალერსითა და სიყვარულით ეპყრობოდა თავის მეგობარს, საძოვრად დაჰყავდა იგი ნოყიერი ამწვანებული ბალახით შემოსილ მინდორ-ველებზე.

ყმაწვილი ათასი სხვადასხვა ფერადი ყვავილებით უშკობდა ირემს ფართოტოტებიან, ლამაზად გადაგრეხილ რქებს. კეპაროსი ზოგჯერ კიდევაც შეაჯღებოდა ზურგზე თავის ერთგულ მეგობარს და ისე დასიერნობდა კუნძულის მთავორიან ადგილებზე, საცა

თვალწარმტაცი ანკარა წყაროები და მთაგრებიდან მოწყვეტილი შფოთიანი მდინარეები ირკველივ ატეხილ ქალა-მინდვრებს საამურად ანოყიერებდნენ.

ერთხელ ირემი, ერთერთი გასეირნების დროს, სიცხისაგან მოღლილი და მოქანცული ლალად იწვა ამწვანებულ ხავერდისფერ ბალახებში და სასიამოვნო სიგრილით ტკებოდა.

შემთხვევით ამ ადგილის მახლობლად ნადირობდა ირმის გულითადი მეგობარი კვიპაროსი.

ტახტის მემკვიდრის მიერ ნატყორცნმა შორსმსროლმა ისარმა სასიკვდილოდ დაქრა ბალახში განცხრომით მწოლარე ირემი.

კვიპაროსმა იგრძნო თავისი საბედისწერო შეცდომა და მყისვე თავისი საყვარელი მეგობრის საწოლ ადგილას მიიჭრა.

კვიპაროსის დანახვაზე საბრალო მომაკვდავი ირემი საცოდავად შეტორტმანდა, უკანასკნელად გადაატრიალა მეგობრისაკენ ცრეპლით აღსავსე, მაგრამ კიდევ მოსიყვარულე თვალები. უცაბედად ნასროლმა ისარმა ულმობელად გამოასალმა სიცოცხლეს ყველასათვის საყვარელი, მშვიდი, უწყინარი ირემი.

კვიპაროსის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, იგი ტიროდა, ცხარე ცრემლებს აფრქვევდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

საბრალო ყმაწვილს ცხარე ცრემლები თვალთაგან ნაკადულებრ მოსჩქეფდა და მახლობლად მდებარე მიდამოებს რწყავდა.

კვიპაროსი გულამოსკენით დასტიროდა უდროოდ დაკარგულ თავის გულითად მეგობარს და საცოდავი ქვითინით მთელ დედამიწას აყრუებდა.

სასოწარკვეთილი, მწუხარებისაგან თავზარდაცემული კვიპაროსი ღმერთებს სიკვდილს შესთხოვდა, მაგრამ ყოველად შემძლებელი ღმერთები ყმაწვილის გულითად ვწოდებას უგულბებლყოფდნენ.

პირიქით, კვიპაროსის გულითადი მეგობარი და მფარველი აპოლონ ღმერთი ნუგეშს სცემდა მეფის საბრალო მემკვიდრეს და ყოველმხრივ ცდილობდა ყმაწვილისათვის ასე ანაზღეულად თავს დატეხილი უსაზღვრო მწუხარება მცირედად მაინც შეემსუბუქებინა.

მაგრამ, საუბედუროდ, უსაზღვრო მწუხარებით ზარდაცემული საბრალო კვიპაროსი სულის სიმშვიდეს ვერ პოულობდა, საბრალო ყმაწვილის მოსიყვარულე გული დღითიდღე მღუღარებით ივსებოდა და მის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ეღებოდა.

ყოველად შემძლებელი ღმერთებო! ჩემს მწუხარებას ნურასოდეს ბოლოს ნუ მოუღებთ! მე ღირსი ვარ სასტიკი სასჯელისა მხურ-

ვალედ გივედრებით, გემუდარებით, ღირსეულად დამსახვით ჩემ-
საუკეთესო, გულათადი მეგობრის სიცოცხლის სრულიად უდანაშაუ-
ლოდ მოსპობისათვის!”

საბრალო კვიპაროსი დღედაღამ ამ სიტყვებით „განუწყვეტლად
ემუდარებოდა ყოვლადშემძლებელ ღმერთებს.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! ტირილისა და მწუხარებისაგან
დაღლილი და ფერმიხდილი საბრალო კვიპაროსის სხეული თანდა-
თან ხევდებოდა, ხის ფოთლებითა და ტოტებით იმოსებოდა, ხის
სახეს ლებულობდა. ერთი წამიც—და კუნძულ კეოსის შფფის ტახტის
საბრალო მემკვიდრე სიცოცხლეს გაროესალმა და მალალ კვიპარო-
სის ხედ გადაიქცა.

—„მშვიდობით, მეგობარო!“—მწუხარებით გამოეთხოვა აპო-
ლონ ღმერთი თავის გულითად მეგობარს: „შუდამ ვიგლოვ და მღუ-
ლარე ცრემლებს ვაფრქვევ შენი უმანკო სახელის ხსოვნას!“

კვიპაროსის ხე კი ამ დროს მწუხარედ იცრემლგბოდა და
მღუღარე ცრემლების ფრქვევით ასეელებდა იმ სამწუხარო ადგილს,
საცა მისმა ერთგულმა და განუსახლერელად საყვარელმა ირემმა
სამუდამოდ დახუჭა თვალები და ასე უდანაშაულოდ სიცოცხლეს
გამოესალმა.

ა ქ ტ ე ო ნ ი

უნიკიალთა მეფის კადმოსის შვილიშვილი აქტეონი მთელს სახელმწიფოში იშვიათ მონადირედ იყო მიჩნეული. ახალგაზრდა მონადირის მშვილდ-ისარი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული იყო. სახელმწიფოს მონადირეები პირველობას ნადირობაში მუდამ კადმოსის ახალგაზრდა შვილიშვილს უთმობდნენ. თითოეულ დახელოვნებულ მონადირეს სასახლეოდ მიაჩნდა, როცა აქტეონი თავისი მშვილდ-ისარით ნადირობაში მონაწილეობას იღებდა. ყველას ღრმად სწამდა ახალგაზრდა აქტეონის ნადირობის ნიჭი და უნარი, ყველანი ალტაცებაში მოდიოდნენ აქტეონის შეუღარებელი ნადირობით. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მთელ სახელმწიფოში თუ ვინმე კი ნადირობას განიზრახავდა, ახალგაზრდა მონადირის მოპატივებას თავის მოვალეობად სთვლიდა.

ერაზხელ აქტეონი დილაადრიან თავისი თანამონადირეებით კითერონის მაღალსა და დაბურული ტყით დაფენილს მთაგრეხილებზე ნადირობდა. მშენიერი დილა იყო. მზის სხივები ცის მაღალ სივრცეში ათასნაირად ბრწყინავდა და მარგალიტებრ ცვიოდა კითერონის მთაგრეხილზე გაშენებული თვალუწვდენი უღრანი ტყის მწვერვალებზე. ჩიტების ჟრიაბული და სტვენა მთა და ბარს ერთიანად მოსდებოდა და შორს, ქვემოთ დაფენილ ქალა-მინდვრებს ფიანდაზად ეფინებოდა. ნადირთა გუნდი მთის კალთებს შეჭფარებოდა და გულის ფანქვალით თვალყურს ადევნებდა მონადირეთა და მწვეარმეძებრების თავდავიწყებით ატეხილ ხმაურობას. ცხრათვალა მზე თანდათან უფრო უხვად ჰფენდა თავის ცხოველმყოფელ სხივებს კითერონის მთაგრეხილების მიდამოებს. მხდალ ნადირთა გუნდი, შიშით თავზარდაცემული, მთაგრეხილების მიუვალს და საშიშ ადგილებს ეტანებოდა. მონადირენი კვალდაკვალ მისდევდნენ შეშინებულ ნადირს და შეუბრალებლად სტყორცნიდნენ მშვილდ-ისარებს. საცოდავი ნადირნი ერთი ადგილიდან მეორე ადგილს აწყდებოდნენ, ეგების სადმე თავი უფნებლად შევაფაროთო, მაგრამ ყოველი ცდა ამ მხრით უნაყოფო იყო: აქტეონის მახვილი ისრები

შეუბრალებლად ასალმებდნენ წუთისოფელს უდანაშაულო ნადირთა გუნდს. ტყის ცხოველნი ნაკადულივით აფრქვევდნენ ცრემლებს და გულამოსკვნით კვითინებდნენ.

„რატომ, რისთვის, რისთვის, ვის რა დაეუშავეთ!“ — თვალცრემლიანნი უხმოდ ეკითხებოდნენ შეშინებული ნადირები თავიანთ თავს, და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ტყის შუაგულისაკენ გარბოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, კერც აქ პოულობდნენ თავშესაფარს. მონადირეთა შეუბრალებელი მშვილდ-ისარი აქაც მარჯვედ ჰგმირავდა საბრალოებს და უხმოდ უკლავდა გულში საბედისწერო საკითხს: „რატომ, რისთვის, რისთვის, ვის რა დაეუშავეთ!“

ნადირობამ ჩინებულად ჩაიარა. შედეგებით კმაყოფილი მონადირეები სიხარულისაგან ფეხზე არ იდგნენ. უკვე შუაღღამაც მოატანა. მზემ, თავისი სხივების სიძლიერე გააორკეცა. ნადირობისაგან დაღლილი მონადირეები ჩრდილებში ჩამოსხდნენ და მოსვენების თავდარიგს შეუდგნენ.

აქტონი თავის ამხანაგებს ჩამოშორდა და მთის მახლობელ მიდამოებში უფრო მყუდრო თავშესაფარის ძებნას შეუდგა. დიდხანს დაეძებდა ახალგაზრდა მონადირე უფრო მყუდრო და განმარტოებულ მოსასვენებელ ადგილს.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ აქტონი სრულიად შემთხვევით მიუახლოვდა ერთს კვიპაროსისა და არყის ხეებით დაფენილ ქალას. ეს ბუნების მშვენიერი წალკოტი მონადირე ქალღმერთის არტემიდეს თავშესაფარ მოსასვენებელ ადგილად იყო თურმე მიჩნეული. ქალის შუა ადგილას ხელოვნურად გაშენებული იყო ლამაზი გამოქვაბული. მარჯვნივ, იქვე, ბალახებით ამწვანებულ ნაპირებზე ანკარა მთის წყარო გადმოჩუხჩუხებდა. ხშირად ქალღმერთი არტემიდე ნადირობის შემდეგ ისვენებდა ამ გამოქვაბულში და მთის ანკარა წყაროს დაღლილ-დაქანცული უხვად ეწაფებოდა.

სწორედ იმ დღეს, როცა აქტონი სრულიად შემთხვევით ამ მშვენიერ გამოქვაბულს მიუახლოვდა, მონადირე ქალღმერთი თავისი მხლებელი ქალებით ამ ტურფა ადგილას ჩრდილში განისვენებდა. მხლებელი ქალები წყაროდან ანკარა წყალს ოქროსა და ვერცხლის თასებით ეზიდებოდნენ და უხვად აბკურებდნენ მონადირე ქალღმერთის სიცხისაგან დაოსებულ სხეულს.

აქტონის დანახვაზე არტემიდეს მხლებელმა ქალებმა ერთი უეცრივ შეკივლეს და უმაღვე მონადირე ქალღმერთს ირგვლივ შემოერტყნენ, რომ ამნაირად დაეფარათ თავისი მბრძანებლის ტანხალვათობა. აქტონის დანახვაზე მონადირე ქალღმერთს სიწითლემ

პირისახეზე გრთიანად დაუარა. ქალღმერთს არტემიდეს რომ ამ დროს მშვილდ-ისარი ხელთ ჰქონოდა, ახალგაზრდა მონადირეს, ასე ძალზე გაკადნიერებულს, გულმკერდს შეუბრალებლად გაუგმირავდა, სიცოცხლეს გამოასალმებდა. ქალღმერთს სირცხვილისაგანსი წითლის აღმური ასდიოდა მთელ პირისახეზე.

ახალგაზრდა მონადირე ქალღმერთმა, შეასწრო თვალი თუ არა, დაუყოვნებლივ ოქროს თასიდან ამოიღო ერთი პეშვი წყალი და ერთბაშად მიასხურა ელვის სისწრაფით უკან გაბრუნებულ აქტეონს.

„წადი და ახლა ყველას უამბე, მთელ ქვეყანას კილით-კიდე-დე მოსდე, რომ შენ ტანჩაუტმელი, სრულიად ტიტლიკანა დამინახე, თუ კი, რასაკვირველია, შენი ბაგენი რისამე თქმას მოახერხებენ!“ — აღელვებული კილოთი გასძახა მონადირე ქალღმერთმა უკანვე სასწრაფოდ გაბრუნებულ მეფე კადმოსის შვილიშვილს, ნადირობაში სახელგანთქმულ თავმომწონე აქტეონს.

აქტეონი თავისი ამხანაგებისაკენ ფეხაკრეფით მიეშურებოდა, მაგრამ, დახეთ საკვირველებას, კადმოსის ახალგაზრდა შვილიშვილს თავზე ირმის რქები ეზრდება. საბრალოს კისერი თანდათან უგრძელდება, ხელები ფეხებად ექცევა, ჩლიქები შესამჩნევად ეზრდება. მთელი სხეული თმებით ემოსება, ფეხებში სიმარდე და მოქნილობა ემატება. სახელგანთქმული მონადირე, ყველგან და მარადისთავმომწონე აქტეონი ირმად გადაიქცა, მხოლოდ ქუუა-გონება კი ისევ თავისი შერჩა.

როცა ახალგაზრდა მონადირემ თავისი აწინდელი სახე წყალს სიღრმეში დაინახა, ერთი გულამოსკენით ამოიხრა და თვალთავანცხარე ცრემლების ნაკადული წასკდა.

საბრალო აქტეონი, ამჟამად ირმად ქცეული, ყელმოღერებული ირემი მწუხარედ დგას კითერონის მთაგრეხილების ტყის შუაგულში და არ იცის, როგორ უშველოს თავს. გული დარდისაგან უფრო და უფრო ვითანაღრება და თვალთავანცხარე ცრემლები ნაკადულებად დამოსჩქეფს.

წუხს საბრალო აქტეონი, არ იცის, შინ დაბრუნდეს, თუ ტყის კალთებს შეაფაროს თავი, საშინელს, აუტანელ მდგომარეობას განიცდის.

უეცრივ აქტეონმა თვალი მოჰკრა თავის მწვეარ-მეძებრებს. სიხარულისაგან საბრალოს თვალები ვარსკვლავებივით გაუბრწყინდა: ჩემი ერთგული მწვეარ-მეძებრები გამომისხნიან ამ უბედურებისაგანო, — გაიფიქრა. ირმად ქცეულმა აქტეონმა და ლმობიერად

შიპყრო ცრემლიანი თვალები იქითკენ, საიდანაც ყფა-ყიჟინი მისი მწვეარ-მეძებრები გამალებით მოქროლავდნენ.

მაგრამ მოტყუედა საბრალო აქტეონი. მწვეარ-მეძებრებმა დაინახეს თუ არა ტყის შუაგულს ყელმოღერებული ირემი, საშინელი ყფა-ყიჟინი ატეხეს, უკან დაედევნენ შიშისაგან ზარდაცემულ ირემს და მთის მიუვალ კლდე-ღრეებში მიიმწყვდიეს ირმად ქცეული საბრალო აქტეონი.

საბრალო აქტეონი! იგი თავისი ერთგულის მწვეარ-მეძებრებისაგან მოელოდა შველას, და აბა იმას როგორ მოიფიქრებდა, რომ იმათგანვე განსაცდელს ეწეოდა.

გააფთრებულმა ძაღლებმა შეიპყრეს საცოდავი ირემი და შეუბრალებლად ჩასჭიდეს გვერდებში ბასრი კბილები. საბრალო ირემი მწვავე ტკივილებისაგან ოდნავ-ლა სუნთქავდა და მწუხარე თვალების მოძრაობით თითქო ემუდარებოდა თავის მწვეარ-მეძებრებს, აბა რას ჩადიხართ, ნუთუ თქვენს მოკირანახულე პატრონს ვერა სცნობთ და ასე ზღიერად, შეუბრალებლად ექცევიითო.

მწვეარ-მეძებრებს აქტეონის ხეწნა-ვედრება აინუნშიაც არ მოსდიოდათ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ბასრი კბილებით შედგრად უსარავდნენ გვერდებს საცოდავ ირემს.

მწვეარ-მეძებრების ყფა-ყიჟინზე აქტეონის თანამხლებელი მონადირეებიც შემოერთყვნენ გრძობამიხდილ ირემს და ერთიორად ამხნევებდნენ ისედაც გააფთრებულ მწვეარ-მეძებრებს.

საბრალო აქტეონს გული უკვდება, სული ეხუთება, იგი ხედავს, რომ ყველა მის წინააღმდეგ თავდავიწყებით ამხედრებულა, ყველას მის წინააღმდეგ მიაქვს იერიში და არცერთი სასიკვდილოდაც არ ინდობს.

ირემი-აქტეონი აცრემლებული თვალებით ღმობიერად შესთხოვდა თავის მეგობარ-ამხანაგებს. ნუ გამწირავთ, თქვენი ერთგული მეგობარი აქტეონი ვარო. მაგრამ ვინ იყო ამ განწირული სულისკეთების გამსჯელი და გამკითხველი!

მეფე კადმოსის საბრალო შვილიშვილმა, მწარე ტკივილებისაგან დაუძლურებულ-დაოსებულმა, ერთი უკანასკნელად მწუხარედ გადახედა თავის მეგობარ-მტარვალებს და სამუდამოდ დახუჭა ცხარე ცრემლებით აღვსილი თვალები.

ასე სამწუხაროდ დაამთავრა თავისი სახელოვანი სიცოცხლე

თავმომწონე აქტეონმა, მონადირე ქალღმერთის არტემიდეს წყალობით.

იმ ადგილას, საცა ქალღმერთის არტემიდეს გამოქვაბულია, ფინიკიელებმა აღმართეს შესანიშნავი ძეგლი, რომელიც გამეფელ-გამომეფელს მქვერმეტყველურად მოუთხრობს საბრალო აქტეონის დაღუპვის სამწუხარო ამბავს, და აბა რომელი გამეფელ-გამომეფელი ჩაუვლის გულგრილად ამ ძეგლს, რომ თვალთაგან ცრემლების ნაკადული არ წასკდეს!

/

ნარბიზი და ეხო

მდინარის ღმერთის კეფისესა და ქალღმერთის ლეირიონის ვაჟიშვილი ნარგიზი იშვიათი სილამაზით იყო სახელგანთქმული მთელს დედამიწის ზურგზე.

ყველანი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, თაყვანს სცემდნენ ნარგიზის კალმით აუწერელ სიმშვენიერეს.

მთელი სულიერი და უსულო ბუნება იხიბლებოდა ყმაწვილის სილამაზით. მხეცნი, ფრინველთა გუნდნი, ტყე-ველები და თვალ-უწვდენელი პიტალო კლდეები მოწიწებით თავს უხრიდნენ სილამაზით სახელგანთქმულ ახალგაზრდას და ნეტარების ფიალას ეწაფებოდნენ ყმაწვილის დანახვაზე.

ნარგიზი კარგად ხედავდა თავისი სილამაზის სიდიადეს და ამიტომაც ძალიან მოჰქონდა თავი, მეტისმეტად ამაყობდა.

ნარგიზის გარეგნობას მომხიბვლელი შინაგანი სიმშვენიერე და გულწრფელობაც რომ თან შეზრდოდა, ახალგაზრდა ყმაწვილის გულში სიამაყის მაგივრად სიყვარულსა და სათნოებას უფრო ფართო ადგილი სჭეროდა, ნარგიზზე უბედნიერესი ახალგაზრდა ძნელად თუ სადმე მოიძებნებოდა.

ერთხელ ნარგიზი კითრონის უზარმაზარი მთის კალთებზე ნადირობდა. დაბურული ტყის მიდამოებში ნარგიზს თვალი მოჰკრა ქალღმერთმა ეხომ და დანახვისთანავე ყმაწვილის სილამაზით ერთიანიად მოიხიბლა.

ქალღმერთი კვალდაკვალ გამოუდგა ყმაწვილს. ეხოს მგრძნობიარე გულში თანდათან უფრო იღვიძებდა ყმაწვილის სიყვარული, ქალღმერთს სულითა და გულით სწადდა გამოლაპარაკებოდა ნარგიზს, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ქალღმერთს ჰერას ეხო ოდესღაც რალაც დანაშაულისათვის დაესაჯა. ეხოს პირველად არავისთან არ შეეძლო გამოლაპარაკება, ზოლო თუ ვინმე ლაპარაკს დაუწყებდა, გაჩერებას ვერ ახერხებდა.

ეხოს სულითა და გულით სურდა სიყვარულის კილოთი გამო-
ლაპარაკებოდა ნარგიზს, მაგრამ აბა როგორ უნდა მოეხერხებინა,
როცა პირველად გამობაასება არ შეეძლო.

ახალგაზრდა ყმაწვილმა ნაღირობის დროს ტყეში გზა დაკარგა.
და თანამზღებლებს შესძახა: „არის ვინმე აქა?“

— „არის ვინმე აქა?“—გაისმა დაუყოვნებლივ პასუხად ქალ-
ღმერთის ეხოს ხმა.

ნარგიზი გააკვირვა ასეთმა პასუხმა. „აქეთ!“—კვლავ განაგრძო.
ნარგიზმა „აქეთ!“—უპასუხებს იღუმალი ხმა.

— „რათა მღიენი?“—ხმამალლა ეკითხება ნარგიზი.

— „რათა მღიენი?“—ჰაერში გაისმის იღუმალი ხმა.

— „თვალთ დამენახეთ, დაემობილდეთ!“—განაგრძობს გან-
ცვიფრებული ახალგაზრდა.

— „თვალთ დამენახეთ, დაემობილდეთ!“—ღმობიერად და
სიყვარულის კილოთი უპასუხებს ისევე იგი იღუმალი ხმა.

ამ სიტყვებთან ერთად ქალღმერთი ეხო ნარგიზის წინ წარსდ-
გა და სიყვარულის გამოცხადების ნიშნად ხელები ღმობიერად გა-
უწვიდინა ყმაწვილს.

— „შორს, შორს!“—დაუყოვნებლივ შესძახა ნარგიზმა ქალ-
ღმერთს: „უმალ სიკვდილს ვარჩევ და შენ კი არ დაგიძმობილდები!“

— „არ დაგიძმობილდები!“—განიმეორა ქალღმერთმა და დარ-
ცხვენილი ფეხაკრფით ტყის ამწვანებულ ფოთლებში მიიშალა. ნარ-
გიზის სიამაყით აღსავსე გულმა გადაჭრით უარჰყო ქალღმერთის
უსაზღვრო მეგობრული სიყვარული.

ამ დღიდან დარცხვენილი ეხო იძალება თვალუწვიდნელ ტყესა
და განმარტოებულ გამოქვაბულებში.

მართალია, ნარგიზმა თუმცა ზიზლით უარყო ქალღმერთის
მეგობრული სიყვარული; მაგრამ ეხოს ნარგიზი მაინც თავდაუიწყებით
უყვარს, ნარგიზისათვის ქალღმერთი თავს გასწირავს, ყმაწვილის სა-
ხელის ხსოვნას ყველაფერს, თვით სიცოცხლესაც კი, ანაცვალებს.

სწუხს ქალღმერთი ნარგიზის ასე შეუბრალებლად, ასე უხეშად
მოპყრობას, აუტანელი მწუხარება დღითიდღე უღრღნის გულს.

ქალღმერთის სილამაზემ, სიმშვენიერემ და ახოვნამა ტანადობამ
წინანდელი ელფერი დაკარგა. ქალღმერთი მწუხარებისაგან ერთი-
ნად ჩამოხმა, მთელი სხეული და მშვენიერი პირისახე შემოაქცნა,
შერჩა მხოლოდ ძველებური ხმა და მარტოდმარტო ძვლები. ქალ-
ღმერთის ხმას წინანდელი სიძლიერე არ დაუკარგავს.

ქალღმერთის ეხოს ძეგლები კლდედ გარდაიქცა. ამჟამად ეხოს ცხოველმყოფელი ხმა მხოლოდ ტყესა და გამოქვაბულთა სივრცეში შეგიძლიათ გაიგონოთ. ქალღმერთის ხილვა შეუძლებელია, ხოლო მისი ძლიერი ხმის გაგონება მსურველს ადვილად შეუძლია.

უგულო ახალგაზრდა ნარგიზის სიყვარულისა და ურადღების ღირსი ყოვლად შემძლებელი ქალღმერთებიც კი ვერ გახდნენ.

ამაყი ნარგიზის გულს სიყვარული არ ათბობდა, იგი ყველას ზიზღის თვალით უყურებდა.

საბრალო ეხოს გარდა სილამაზით სახელგანთქმული მრავალი ქალღმერთიც უნუგემოდ იხიბლებოდა ნარგიზის განუსაზღვრელი სიყვარულით, მაგრამ ამაყი ახალგაზრდა ყმაწვილის გული სიყვარულის ნახსა და სათუთ სხივებს არ ატლერებდა.

ერთხელ ნარგიზი გელიკონის მთაგრეხილებზე ნადირობდა. მთელი დღის განმავლობაში ყველაფერს აღმური ასდიოდა.

დალილი-დაქანცული ნარგიზი მთის მოჩუხჩუხე წყაროს წაწყდა და მხურვალედ დაეწაფა ანკარა წყალს.

ნარგიზმა მთის წყაროს სიღრმეში დაინახა კალმით აუწერელი ლამაზი ყმაწვილი. ყმაწვილმა თვალი თვალში გაუყარა მშვენიერ ახალგაზრდას და მხოლოდ ახლა იგრძნო სიყვარულის ცხოველმყოფელი მანუგეშებელი ძალა.

ნარგიზი თვალს ვერ აშორებს ანკარა წყაროს სიღრმიდან ნაზად მომზირალ ყმაწვილს.

ნარგიზის მთელი არსება იხიბლება, იგი დღეს ბედნიერია, ნარგიზი პირველად გრძნობს სიყვარულის საოცნებო სითბოს, ურთებშესხმული ახალგაზრდის მგრძნობიარე გული სიყვარულის ნახსა, სათუთმა სხივებმა დაიმონეს, ურყევლად დაიმორჩილეს.

ნარგიზი გაგიჟებით შეჭყურებს ახალგაზრდა ყმაწვილს, ჰსურს ერთბაშად გადაეხვიოს, გადაჰკოცნოს მეგობრულად, დასტკბეს მისი ცქერით.

ნარგიზი ერთი წუთითაც ვერ შორდება მთის მოჩუხჩუხე წყაროს, განუწყვეტლივ ჩაჭყურებს ანკარა წყლის სიღრმეს და სულ იმას ცდილობს საოცნებო პირისახეს თვალი არ მოაშოროს.

ნარგიზი დღედაღამ გიჟივით თავს დასცქერის მთის ანკარა წყაროს, ძილი სულ ერთიანად გაუტყდა, ჰამის ზადაც დაეკარგა. საბრალოს წყლის სიღრმეში ვარსკვლავივით მოციმციმე საუცხოო ყმაწვილი უყვარს მთელი თავისი არსებით, უყვარს უსაზღვროდ, ის კი ფიქრადაც არ მოსდის, რომ ანკარა წყლის სიღრმეში თავისავე პირისახეს ეალერსება, ეთაყვანება.

— ჩემო ხატო, ჩემო ღვთაებრივო ქმნილებავ! — სიყვარულის კილოთი ღმობიერად ჩასჩურჩულებს ანკარა წყაროს ნარგიზი: „განა ვერა ხედავ ჩემს უსაზღვრო მწუხარებას! განა ასე ძნელია დასტოვო შენი მყუდრო ბინა და შენს თაყვანისმცემელს მეგობრულად ხელიხელს მომცე და სულიერად დამიკავშირდე! თვალუწვდენი ზღვის სივრცე და უზარმაზარი მთის კალთები ხომ არ გვაშორიშორებენ, ჩემო უსაყვარლესო ქმნილებავ, ჩემო სანატრელო და საოცნებო ღვთაებავ! განა ვერ ხედავ, მთის ანკარა წყლის მცირე ნაკადი გვაშორიშორებს! ამოდი ჩემთან, ჩემო მშვენიერო ჭაბუკო, და დასტკბი ჩემი მოხდენილი სილამაზით! შენც ხომ მშვენიერებაზე უმშვენიერესი ხარ! შენს კეთილგანწყობილებას კარგადა ვგრძნობ და არ ვცდები, რომ ჩვენ შორის მკიდრო მეგობრობის ხილია გადებულნი. როცა მე ხელებს გიწვდი ღმობიერად, შენც ხომ ხელებგაშლილი მეგებები! მე ვიცინი, ვიღიმები, — შენც იცინი და იღიმები! მე ვტირი, ცრემლებს ვაფრქვევ, — შენც სტირი და თვალთაგან ცრემლების ნაკადული გადმოგჩქეფს! შენს ყოველ მიხვრა-მოხვრაში მეგობრულ და ამხანაგურ გულწრფელ განწყობილებას ვხედავ! დიახ, მეგობრულ განწყობილებას! სიყვარულის ცხოველმყოფელ ძალას პირველად გრძნობს ჩემი გული! მაგრამ ვაგლახ, ვგონებ, ჩემი სათაყვანო გმირი თვით ჩემი პირისახის გამოხატულებაა ანკარა მთის მოჩუბჩუხე წყაროს სიღრმეში! დიახ, ვგონებ, კიდევაც არ ვცდები! ვაგლახ, რომ ჩემი თავის სიყვარულის მეტი არ შემძლება!“

ნარგიზი დიდხანს და დიდხანს ეჩურჩულებოდა ამ სიტყვებით. თავის სათაყვანო გმირს და დღითიდღე უსმელ-უქმელი, სრულიად უძილო თანდათან სუსტდებოდა და ძალღონეს, მხნეობასა და გამჭირიანობას კარგავდა.

ნარგიზი კარგად გრძნობდა, რომ სიკვდილის აჩრდილი უახლოვდება, მისი სიყვარულით აღზნებული გულის ძგერა შეწყდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოჩუბჩუხე მთის წყაროს თავს გივივით დასცქეროდა და ერთი წუთითაც თვალის შოშორებას ვერ ახერხებდა.

ბოლოსა და ბოლოს, სრულიად დაუძლურებული, გონებამიხდილი და ძალღონეს მოკლებული ნარგიზი სასოწარკვეთილებით ჩამოშორდა საბედისწერო მთის წყაროს და თავისი მრავლად ტანჯული სული იქვე მობიბინე ხავერდისფერ ბალახებში განუტევა თავის თავის ასე უსაზღვროდ ტრფიალების შემდეგ.

მთელი სულიერი და უსულო ბუნება დაამწუხრა სიციცხლის უკანასკნელ წუთებში სიყვარულით აღზნებული ჭაბუკის სიკვდილმა.

ტყის ნადირნი, ფრინველთა გუნდები ყველანი ერთხმად დას-
ტიროდნენ ახალგაზრდა ვაჟის სიცოცხლის უდროოდ მოწყვეტას
და ცხარე ცრემლების ღაპალუპით დედამიწას გულამოსკვნით ასვე-
ლებდნენ.

მაღალი ხეების მწვერვალნი მწუხარედ დასცქეროდნენ საბრა-
ლო ნარგიზის გაცივებულ გვამს და გულსაკლავად ცრემლების ნაკა-
დულს აფრქვევდნენ.

უზარმაზარი პიტალო კლდეები საერთო მწუხარებას სამგლო-
ვიარო ბანს აძლევდნენ და საერთო ფერხულში ჩაბმულნი განუწყვეტ-
ლივ იცრემლებოდნენ.

მწუხარებით მოცულია მთელი ის მიდამო, საცა ჭაბუკმა აბი-
ბინებულ ბალახებს შორის უკანასკნელად სამუდამოდ დახუჭა
თვალი.

საბრალო ჭაბუკის განმარტოებულ საფლავზე აღმოცენებულია
თეთრფოთლებიანი, უსიცოცხლო სილამაზით 'შემკული ნარგიზის ყვა-
ვილი, რომელიც მწუხარებით თავს დასცქერის ჭაბუკის დაობლებულ
სავანეს და თავის უსაზღვრო გულისტკივილს უზიარებს იქვე ლამა
ზად მოჩუხჩუხე ანკარა მთის წყაროს.

ლათინთა ახალგაზრდა მეფე პიკი მთელს სახელმწიფოში სახელგანთქმული იყო იშვიათი გმირობით. ამ სიკეთესთან ერთად მეფე კალმით აუწერელი ლამაზი და/ტანადი კაცი იყო.

პიკის სილამაზეს სახელმწიფოს მთელი მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი, ახალგაზრდა და მოხუცი, ყველანი დიდს აღტაცებაში მოჰყავდა.

მეფეს განუსაზღვრელად უყვარდა თავისი სახელმწიფოს მკვიდრნი, იგი მუდამ სახელმწიფოს მკვიდრთა კეთილდღეობაზე ზრუნავდა. მთელი ერი აფასებდა თავდადებული მეფის სიყვარულსა და ხალხისათვის ზრუნვას და ამიტომაც სახელმწიფოს მკვიდრნი ყველგან და ყოველთვის დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ თავის საყვარელ მეფეს.

ახალგაზრდა მეფის მეუღლე კანენტა მთელს სახელმწიფოში გამოჩენილ მომღერლად იყო მიჩნეული. დედოფლის ნაზი, საამური და მომხიბვლელი ხმა მთელ დედამიწას ფიანდაზად ეფინებოდა.

პიტალო კლდეები, ხეები, ტყის ნადირნი სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს საოცნებო სიმღერას და განუწყვეტლივ ტკბებოდნენ დედოფლის ნაზი ხმის მოსმენით.

როცა კანენტას სიმღერის საამური ნაზი ხმა უტყვი და მეტყველი ბუნების ყურთასმენას სწვდებოდა, მდინარეები წყალთა დენას აჩერებდნენ, ფრინველები ჰაერში უმოძრაოდ ეკიდნენ და დედოფლის საუცხოო ხმით ტკბებოდნენ.

ახალგაზრდა მეფეს დედოფალი უსაზღვროდ უყვარდა. დედოფალიც სამაგალითო მოსიყვარულე მეუღლე იყო და მთელი თავისი არსებით თავის საყვარელ და ძვირფასი ხასიათის მეუღლეს ეკუთვნოდა.

მეფე—დედოფლის კეთილგონიერი განწყობილება. მთელი სახელმწიფოს მკვიდრთათვის სამაგალითო და საგულისხმეირო იყო.

ერთხელ მეფე თავისი მრავალრიცხოვანი მხლებლებით მახლობელ დაბურულ ტყეში ნადირობდა. პიკი ამაყად იჯდა ბედაურზე და მარცხენა ხელში ორი საუცხოო მშვილდ-ისარი ეპყრა. ძვირფასი სანადირო ტანსაცმელი ახალგაზრდა მეფეს ერთიორად ამშვენებდა.

სწორედ იმ დროს, როცა ახალგაზრდა მეფემ თავისი მხლებლებით უდაბნო ტყეში ფართოდ გაშალა ბრწყინვალე ნადირობის ქსელი, იქვე მახლობლად ბალახ-ბულახებს კრეფდა ჰელიოს ღმერთის ქალიშვილი საუცხოო კირკე.

ახალგაზრდა მეფის კალმით აუწერელმა სილამაზემ ერთბაშად მოხიბლა სილამაზითვე სახელგანთქმული მშვენიერი კირკე.

კირკემ როგორც-კი თვალი მოჰკრა ლათინთა ახალგაზრდა მეფეს, მყისვე განუსაზღვრელი სიყვარულით აღივზნო და გადაწყვიტა: აუცილებლად ახალგაზრდა მეფის მეუღლე უნდა გავხდეთ.

ქალღმერთის კირკეს თხოვნით, ყოვლად შემძლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა დაბურული ტყე, საცა ლათინთა ახალგაზრდა მეფე თავისი მხლებლებით ნადირობდა, სქელი ნისლით დაფარა.

მეფის მხლებლებმა ბურუსით მოცულ ტყეში გზა დაკარგეს და მეფე პიკს ჩამოშორდნენ.

მშვენიერი კირკე ფეხაკრეფით მიიქრა ლათინთა ახალგაზრდა მეფესთან და თავისი გულისთქმა გაუმელაფნა.

-- „ახალგაზრდა მეფევე, ნუ გასთელავ ჩემს უსაზღვრო სიყვარულს! ჩემო გონებიდან განუყრელო ღეთაებავ, სულითა და გულით შენ გეკუთვნი! მთელი ჩემი არსებით მიყვარხარ! მიყვარხარ ისე, რომ უშენოდ ჩემი დარჩენა წარმოუდგებლად მიმაჩნია! ჩემო ძვირფასო და საყვარელო მეგობარო, იცოდე, რომ უშენოდ ჩემი სიცოცხლე განუწყვეტელი ტანჯვა და წამება იქნება! კიდეცა ამიტომ ვკადნიერდები და მსურს გადაგიშალო ჩემი გულის საიდუმლო კუნჭულები და სამუდამოდ მეგობრად, სამუდამოდ განუყრელ მეუღლედ გავიხდე! ამასთანავე ნუ დაგავიწყდება, ჩემო ტკბილო და საოცნებო მეგობარო, რომ სიმამრად ბრწყინვალე მზის ღმერთი, ყოვლად შემძლებელი ჰელიოს ღმერთი გეყოლება!“

ლათინთა ახალგაზრდა თავმომწონე მეფემ ზიზლით უარყო ქალღმერთის კირკეს ასე აშკარა და გაბედული წინადადება.

— „ჩემთვის სულერთია, ვინ ან ვისი ქალიც არ უნდა იყო!“ — გადაქრით უპასუხა პიკმა სიყვარულით აღვზნებულ ახალგაზრდა კირკეს: „ჩემი მგრძნობიარე გული სხვას ეკუთვნის, სხვას ფოროჩილება! მე სულ სხვა მიყვარს, მე სულ სხვა ვისმეს ვეთაყვანები! სანამ პირ-

ში სული მიდგას, მე ჩემს ძვირფასს, ჩემს გონებიდან განუკრულ კანენ ტას, ჩემს გულითადს მეუღლესა და მეგობარს ვეკუთვნი!“

კირკე მეტად გააბრაზა ლათინთა მეფის გადაჭრილმა უარმა.

— „შაშ ასეა?“ — სასოწარკვეთილებით მწუხარედ ამოიკენესა საბრალო ქალღმერთმა: „იცოდე, სამუდამოდ გახსოვდეს, მეფეო, რომ იაფად არ დაგიჯდება ჩემი ასეთი შეურაცხყოფა! გარწმუნებ, რომ ამიერიდან შენ ვერ იხილავ შენს გულითად მეგობარს, შენს კანენტას! ახლავე თვითონვე დარწმუნდები, თუ რა შესძლებია“ მწარედ შეურაცხყოფილ დედაკაცს, რომლის წმინდათა წმინდა გრძნობები შენ ასე შეუბრალებლად, ასე უხეშად დაჭმე და ფეხქვეშ გასთელე!“

ამ სიტყვებთან ერთად კვერთხით შეეხო ლათინთა მეფეს. პიკი ფეხაკრეფით ჩამოშორდა უსახლვროდ განრისხებულ ქალღმერთს და თავის გზას გაუდგა.

მაგრამ დახვთ საკვირველებას! ლათინთა ახალგაზრდა მეფეს მთელი სხეული ფრთებითა და ბუმბულით შეემოსა, ზედავი დაუპატარავდა, ზედ გრძელი ყვითელი ნისკარტი გამოება. მეფე პიკი კოდალად გადაიქცა და თავის გრძელ და ყვითელ ნისკარტს დაბურული ტყის ხეების ტოტებს განუწყვეტლივ უნისკარტებდა და უნისკარტებდა.

პიკის მხლებელნი ამაოდ დაეძედნ თავის საყვარელ მეფეს. მზემ და ქარმა გაფანტეს სქელი ნისლი, რომლითაც დაფარული იყო მთელი ტყე.

მეფის მხლებლებმა დაინახეს თუ არა ქალღმერთი კირკე, უმაღვე გარს შემოერტყნენ და იარაღით ხელში მუქარით მოსთხოვეს თავისი საყვარელი მეფის დაკარგვის შესახებ უტყუარი ცნობის მოცემა.

მაგრამ დახვთ საკვირველებას! მზე ერთბაშად დაბნელდა. ტყეები შეინძრნენ და ახმაურდნენ. ხეების მწვეანე ფოთლები ჩამოხმენ, მტენარეები სისხლის ღვარებით დაიფარნენ, ძაღლებმა საზარლად ატუნეს ყოფა, ქვემძრომნი ბალახებში გულსაკლავად სისინებდნენ. უძრავი ლოდებიც ჩაბმულიყვნენ ამ საერთო ფერხულში და საზარელი გზინვით დედამიწას მწუხრის ზეწარს ჰფენდნენ.

ქალღმერთი კირკე თავისი გრძნეული კვერთხით შეეხო ლათინთა მეფის მხლებლებს და ყველანი ტყის ნადირგბად უკადააქცია.

მზე უკვე დიდებულად ჩაესვენა დასავლეთით, ახალგაზრდა პიკი კი არ დაბრუნებულყოფი. დედოფალი კანენტა მოუთმენლად მოელოდა თავისი ძვირფასი მეუღლის დაბრუნებას. კიდევაც დაღამდა, მეფე კი არსად ჩანდა.

სასახლის კარისკაცები დედოფლის ბრძანებით ზოგდნენ ფარ-
ნებით ტყესა და ველს, მაგრამ თავისი საყვარელი პეფის შესახებ
ვერაფერი გაიგეს.

დედოფლის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, საბრალო მო-
სიყვარულე მეუღლე ტიროდა, ქვითინებდა, პირისახეს იკაწრივდა,
თმებს შეუბრალებლად იგლეჯდა.

მთელი ექვსი დღის განმავლობაში საბრალო დედოფალი სა-
სახლეს არ მოჰყარებია, იგი უსმელ-უქმელი დაეძებდა თავის გული-
თად მეგობარს, თავის ერთგულ მეუღლეს.

ბოლოს და ბოლოს დაღლილი, დაქანცული, სრულიად გონე-
ბამიხდილი საბრალო კანენტა ტიბერისის ნაპირას მწუხარედ ჩამოჯ-
და და სულ განმარტოებული საცოდავად შესტიროდა წყლის
აზვირთებულ ტალღებს თავისი გულითადი მეგობრის უგზოუკვლოდ
დაკარგვის სამწუხარო ანბავს.

სამწუხარო და გულსაკლავი იყო საბრალო დედოფლის ამგვა-
რი დღისითა და ღამით გულის აღმაშფოთებელი გმინვა და წუხილი.
და ვერაფერს ვერ აუხვევდა ამ მწუხარებით მოცულ ადგილს,
რომ გულამოსკენით არ აცრემლებულიყო.

პ ი გ მ ა ლ ი ო ნ ი

ქალი დროის მხატვარ-მოქანდაკეთა შორის პიგმალიონს მეტად საპატიო ადგილი ეკირა. დიდებული მხატვრის სამშობლო კუნძულ კვიპროსის მკვიდრნი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი განცვიფრებაში მოდიოდნენ პიგმალიონის ნიჭითა და ხელოვნებით.

მხატვარი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ მისი ხელოვნური ნაწარმოებნი სამშობლოს კიდით-კიდემდე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ახალგაზრდა მხატვრის თითოეულ ნაწარმოებს ერთიორად ჰმატებდა ღირსებას შინაგანი და გარეგანი სილამაზის ხელოვნურად შეკავშირება. ყველგან და ყველათურში დიდებული მხატვარი საქიროდ თვლიდა შინაგანი და გარეგანი სიმშვენიერის ჰარმონიულად შეზავება-შეკავშირებას.

მხატვრის სწორედ ასეთი შეხედულებით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ ახალგაზრდა პიგმალიონს კიპროსის მკვიდრთა ქალიშვილებს შორის მეუღლეც კი ვერ მოეძებნა: სილამაზე-სიმშვენიერის თაყვანისმცემელს კიპროსის მოკვდავ ქალებს შორის ვერცერთი ლამაზად ვერ დაესახა.

ერთხელ დიდებულმა მხატვარმა სპილოს თეთრი ძვლებისაგან გამოაქანდაკა ისეთი სილამაზით შემკული ახალგაზრდა ქალი, რომლის მსგავსი მთელს დედამიწის ზურგს არასოდეს, არასოდეს არ მოვლინებია.

შენლია კალწით აღწერა ახალგაზრდა ქალის ქანდაკების სილამაზე-სიმშვენიერისა. თითოეული მნახელი, კაცი თუ ქალი, განცვიფრებით შეჭყურებდა ახალგაზრდა ქალის ქანდაკებას და ასე ეგონა, აი, საცა ხმას ამოიღებს ეს უმშვენიერესი ქმნილება და თავისი ადგილიდან დაიძვრისო. თითოეული მნახელი უხმოდ, უსიტყვოდ იდგა ქანდაკების წინაშე და ერთ წუთსაც თვალს ვერ აშორებდა დიდებული ნაწარმოების დიად სიმშვენიერეს. ახალგაზრდა ქალის სურათი ისე ცხოველმყოფელი, ისე თვალისა და გულის წარმტაცი იყო, რომ

სრულიად გავიწყდებოდათ, უსულო ქანდაკებას შეჰყურებდით, თუ სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე ახალგაზრდა ქალს.

თვით დიდებული მხატვარიც კი ალტაცებაში მოდიოდა თავისი ნაწარმოების სიმშვენიერით და განუსაზღვრელად ტკბებოდა დიადი სურათის ცქერით.

პიგმალიონი მთელი დღე გარს უვლიდა ახალგაზრდა ქალის ქანდაკებას და დროგამოშვებით ეკვიც კი ებადებოდა, ცოცხალი ქალის სურათის ხილვით ტკბებოდა, თუ სპილოს ძვლებიდან გამოქანდაკებული უსულო ქმნილებით.

მხატვარი დიდის მოკრძალებით წეებო ახალგაზრდა ქალის ქანდაკებას და ასე ეგონა, თითქოს სპილოს ძვლების მაგივრად ხორცმესხმულ, სიცოცხლით და ძალღონით სავსე ახალგაზრდა ქალს ხელის შეხებით ეხმატკბილებოდა.

მხატვრის ალტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. პიგმალიონს ასე ეჩვენებოდა, თითქო ახალგაზრდა ქალი კიდევაც ტკბილად და ნაზად ესაუბრებოდა. პიგმალიონმა, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, უხვად შეამკო ახალგაზრდა ქალის ქანდაკება სხვადასხვა სურნელოვანი ყვავილითა და თაიგულებით. ძვირფასი მდიდრული ტანსაცმელით შემოსა ახალგაზრდა მხატვარმა ქანდაკების სხეული, ხელების თითები ერთიანად მოუქედა ძვირფასთვლებიანი ბეჭდებით და ლამაზად მოღერებული ყელი კი ასეთივე თვლებით მოქედილი ფარულით.

კუნძულ კვიპროსის ქუჩებს სადღესასწაულო სახე მიეღო. ყველანი მორთულ-მოკაზმულიყვინ და ქალღმერთ აფროდიტეს საკურთხეველისაკენ მიეშურებოდნენ მსხვერპლის შესაწირად.

კვიპროსელები ამ დღეს ქალღმერთ აფროდიტეს სახელწოდების დღეს დღესასწაულობდნენ. სხვა მრავალ მლოცველს შორის აფროდიტეს საკურთხეველის წინაშე პიგმალიონიც წარსდგა და მოკრძალებით, მაგრამ გულმხურვალედ შესთხოვა ქალღმერთს: „მოწყალეო ქალღმერთო! თუ ყოვლად შემძლებელი ღმერთი ხარ, მოიღე მოწყალება და ჩემს მეუღლედ დასახე ის ახალგაზრდა ქალი...“ — დიდებულ მხატვარს უნდოდა ეთქვა ცოლად დამისახე ის ქალი, რომელიც სპილოს ძვლებიდან გამოვაქანდაკეო, მაგრამ ამის გამოთქმა ვერ გაბედა. ბოლოს, როგორც იქნა, თუმცა დიდის გაკირვებით, პიგმალიონმა ასე დაამთავრა თავისი გულწრფელი ედრება: „ჩემს მეუღლედ დასახე ჩემი ქანდაკებისავე მსგავსი ქალი“.

ქალღმერთმა აფროდიტემ შეისმინა პიგმალიონის გულმხურვალე ვედრება და ნიშნად თავისი ღვთაებრივი მოწყალებისა სამჯერ ააღვივა ცეცხლი საკურთხეველზე.

მხეერპლის შეწირვის შემდეგ დიდებული მხატვარი შინ დაბრუნდა. პიგმალიონი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა თავის სათაყვანო ახალგაზრდა ქალის საუცხოო ქანდაკებას და უსაზღვრო აღტაცებაში მოდიოდა.

მაგრამ დახეთ საკვირველებას!

სპილოს ძვლებისაგან გამოქანდაკებულ დიდებულ სურათს ცხოველმყოფელი სხეული შეუსხამს, ახალგაზრდა ქალი ტკბილად, საოცნებო ხმით მიესალმა მხატვარს და ღმობიერად ხელი გაუწოდა.

პიგმალიონს ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ მის წინაშე ხორც-შესხმული ახალგაზრდა ქალი იდგა, იგი კიდევ ექვის თვალთ შეჰყურებდა, ვეგების თვალი მატყუებს და ვცდებიო.

მაგრამ დახეთ პიგმალიონის აღტაცებას; როცა იგი ნამდვილად დარწმუნდა, რომ სრულებითაც არა ცდებოდა.

დიდებულმა მხატვარმა ღმობიერადვე და მეგობრულად გაუწვიინა თავისი მადლიანი ხელი ახალგაზრდა ქალს და გულმხურვალედ შესთხოვა სამუდამოდ დამეგობრებოდა, განუსაზღვრელი და გულწრფელი სიყვარულის ნიადაგზე საფლავის კარამდე მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ.

ღიახ, ნათქვამია, სული სულს იცნობს და გული გულსაო, და მართლაც ასე მოხდა. პიგმალიონმა სულ მოკლე ხანში დიდებული, ბრწყინვალე ქორწილი გააჩაღა.

მრავალ მოპატიჟებულ სტუმარს შორის ქალღმერთს აფროდიტეს უპირველესი ადგილი ეკირა.

ყველანი დიდის აღტაცებით, დიდის პატივისცემით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა ქალის ბედნიერებას, ყველანი გულწრფელად ულოცავდნენ ახალგაზრდა მხატვარს ასეთ სიმშვენიერესთან სულიერად დაკავშირებას.

ღიახ! მეტად დიდებული და ბრწყინვალე იყო ეს ქორწილი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ყველანი შესტროფდნენ და შეჰხაროდნენ ახალგაზრდა ქალის სიმშვენიერეს, რადგან ეს მშვენიერება, ეს კალმით აუწერელი სილამაზე დიდებული მხატვრის ღიადი ნიჭის მადლიანი ნაწარმოები იყო.

პ ი რ ს ე ვ ი

ქობიველთა მეფეს აკრისის ღმერთებმა უწინასწარმეტყველეს: შენ ქალს, დანაის, შეეძინება ვაჟიშვილი, რომელიც მშვილდ-ისრით სასიკვდილოდ დაგჭრისო.

აკრისი ძლიერ შეაშინა ღმერთების ამ წინასწარმეტყველებამ. სიკვდილი რომ თავიდან აეცილებინა, მეფემ თავისი ღვიძლი ქალიშვილი, დანაი, საპყრობილეში ჩაამწყვდია. საბრალო დანაის საპყრობილეში შეეძინა შესანიშნავი ვაჟიშვილი, რომელსაც პერსევი დაარქვეს.

მეფის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ღმერთების წინასწარმეტყველება რომ არ გამართლებულიყო, აკრისიმ გადაწყვიტა თავისი ქალისა და შვილიშვილის დაღუპვა.

მეფის ბრძანებით, დანაი და პერსევი დიდ ყუთში ჩაამწყვდიეს, მაგრად დაუქედეს ამ ყუთს თავი და საბრალო დედა-შვილი ყუთში ჩაკეტილები ზღვის უფსკრულში შეაცურეს. დანაი და მისი საყვარელი ახლადშეძენილი შვილი დიდხანს დაკურავდნენ ზღვის აბობოქრებულ ტალღებში. ბოლოს, დიდი გაჭირვების შემდეგ, აზვირთებულმა ზღვის ტალღებმა მაგრად თავგადაქედილი ყუთი სერიფის კუნძულის ნაპირებზე გარიაყა.

ზღვის ნაპირას გარიყული ყუთი შენიშნა სწორედ ამ დროს სათევზაოდ ჩამოსულმა სერიფის კუნძულის მეფის პოლიდექტის ძმამ დიქტოსმა, რომელმაც ყუთს დაუყოვნებლივ თავი ახადა და საბრალო დედა-შვილი ზღვის ნაპირას გადმოიყვანა.

დიქტოსმა დედა-შვილი დაუყოვნებლივ მეფეს მიჰგვარა. პოლიდექტი დიდის აღტაცებით მიეგება ასეთ მოულოდნელ საჩუქარს. დანაი და პერსევი მეფემ სასახლეში დააბინავა და მზრუნველობით შეუდგა მათ მოვლა-პატრონობას. მეფენ შვილივით შეიყვარა პერსევი და საფუძვლიანი სწავლა-განათლებაც მისცა.

პერსევი დავაჟაკდა, მთელ სახელმწიფოში უკეთესი ვაჟაკი აშეითად მოიძებნებოდა.

პერსევი დიდის სიყვარულით ეპყრობოდა თავის აღზრდელ მეფეს, მაგრამ ეს სიყვარული, სამწუხაროდ, ხანგრძლივი არ გამოდგა.

მეფე პოლიდექტიმ განიზრახა დანაიზე ჯვარი დაეწვრა. პერსევამ მეფის ეს განზრახვა ძლიერ ითაკილა და ყოველგვარ ზომებს ხმარობდა ეს საქმე როგორმე ჩაეშალა.

მეფემაც თავის მხრით განიზრახა პერსევის თავიდან მოშორება და ამიტომ მას დააეალა მედუზას თავის მოკვეთა. პოლიდექტი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ პერსევი მედუზას თავის მოკვეთას ვერ შესძლებდა. ვინც კი მედუზას თავის მოსაკვეთავად გაკანდიერდებოდა, სიკვდილს ვერ ასცდებოდა. მეფესაც სწორედ ამის იმედი ჰქონდა, როცა პერსევის ასეთ შეუძლებელ საქმეს ავალბდა.

სფინო, ევრიალა და მედუზა, ეს სამი საშიშარი გველეშაპი ქალები, დასაელეთით ცხოვრობდნენ, ჯოჯოხეთის სამეფოში. მეტად საშიში, გულის შემზარავი შეხედულება ჰქონდათ. ვინც კი თვალს მოჰკრავდა ამ საშინელი გველეშაპი ქალების პირისახეს, ყველანი მაშინვე ქვებად იქცეოდნენ და, ამრიგად, სიცოცხლეს ესალმებოდნენ. გველეშაპ ქალებთან მიმავალ გზას იცავდა სამეტად საშიში მოხუცი ქალი, რომელთაც მხოლოდ თითო თვალი და თითო კბილი ჰქონდათ.

პერსევი უშიშრად გაემგზავრა საშინელ გველეშაპ ქალებთან. ქაბუქს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ან სიკვდილი, ან გამარჯვება. ძღვევამოსილ გმირს ღმერთებიც ხელს უმართავდნენ ამ სამძიმო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში. ჰერმესმა თავგაწირულ გმირს აღმასივით ბასრი ხმალი მიუძღვნა, ათენა-პალადამ—ბროლივით მოელვარე ფარი, წყლის ქალღმერთმა—ფრთებით შემკული საფეხურები, რომლის საშუალებით ჰაერზე სიარულიც კი შესაძლებელი იყო.

ამრიგად მძიმედ შეიარაღებული პერსევი გველეშაპი ქალების სამფლობელოს მიუახლოვდა. იმ დროს, როცა პერსევი ჯოჯოხეთის სამეფოში მივიდა, საზიზღარ გველეშაპ ქალებს ეძინათ. ახალგაზრდა ძღვევამოსილმა გმირმა ბასრი ხმლის ერთის მოქნევით დაუყოვნებლივ თავი მოჰკვეთა მედუზას და ქალღმერთებისაგან გამოტანებულ ტომარაში სასწრაფოდ გადისროლა. გველეშაპი ქალების პირისახე რომ არ დაენახა და ქვად არ გადაქცეულიყო, პერსევი მედუზის თავის მოკვეთის დროს ათენა პალადის მიერ ნაჩუქარ ფარს იშველიებდა.

პერსევიმ ამის შემდეგ მოიმარჯვა ფეხებზე ფრთიანი საფეხურები და დაუყოვნებლივ უკანვე გაშობრუნდა. როცა ძლევამოსილი გმირი ლიბიის უდაბნოს უახლოვდებოდა, გზაში მედუზას თავიდან სისხლის რამდენიმე წვეთი მიწაზე დაეცა. ამ დროს მთელ ლიბიაში ბლომად გაჩნდნენ შხაძიანი გველები და გველეშაპები, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე საზიზღრად სისინებდნენ და მთელ ამ მხარეს შიშის ზარს ჰკვირიდნენ.

სალამოს ქამს ახალგაზრდა გმირმა მიაღწია მეფე ატლანტის სახელმწიფოს, საცა იგი ჰაერიდან დედამიწაზე ჩამოეშვა. მეფე ატლანტის სიმდიდრე მთელ სახელმწიფოში კიდით-კიდემდე განსაქმული იყო. უთვალავი ჯოჯი დაუდიოდა მეფეს მთელ სახელმწიფოში. ატლანტის მშვენიერად გაშენებული ბალები თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულიყვნენ. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ერთი ბალი, რომელშიაც ხარობდა ოქროსტოტებიანი, ოქროსფოთლებიანი და ოქროსნაყოფიანი ვაშლის ხე. მეფე ატლანტს ძველად ჰქონდა გაგონილი, რომ ოდესმე ამ ბალს ესტუმრება ღმერთების შამამთავრის ზეუსის შვილი და ამ ოქროვაშლას ხიდან ოქროს ვაშლებს დაკრეფსო. მეფეს ძალიან ეშინოდა ამ წინასწარმეტყველებისა და ამიტომ მთელი ბალი შალალი და მიუვალი კედლებით შემოაზღუდვინა. ამ ბალის უმთავრესი მოვლა-პატრონობა ჩაბარებული ჰქონდა უზარმაზარ გველეშაპს, რომელიც გარეშე პირს ოქროსვაშლებიან ხეს ახლოსაც არ აკარებდა.

მეფე ატლანტმა როგორც კი გაიგო პერსევის მის სახელმწიფოში მოსვლა, გადაწყვიტა, სწორედ ახლა აღსრულდა ძველი თქმულებაო, და პერსევის გადაჭრით უარი უთხრა, ჩემ სამეფოში ბინას ვერ მოგცემ, ლამეს ვერ გაგათევენებო. საქმე ისე გამწვავდა, რომ მეფე ატლანტმა თავის სამეფოდან პერსევის გასაძევებლად ძალდატანებასაც კა მიმართა. პერსევმა დაუყოვნებლივ ამოიღო ტომრიდან მედუზის თავი და დაანახა მეფეს, რომელიც მყისვე გარდაიქცა უზარმაზარ ქვიან მთად. მეფის თავი მთის მწვერვალად გადაიქცა, მხრები და ხელები—მთაგრეხილებად, ხოლო წვერ-ულვაში და თმა—მიუვალ უღრან ტყეებად, ამ უზარმაზარი მთის უმაღლესი მწვერვალნი ცას ებჯინებიან. მოციმციმე ვარსკვლავებით მოქედილი ცა ატლანტის მთის თვალუწვდენ მწვერვალს თავს ბრწყინვალედ დაჰკაშკაშებს. ამიერიდან ეს უზარმაზარი მთა თავისი მთაგრეხილებით დასაყრდნობ საიმედო ბურჯად გამხდარა მნათობთა მთელი სამყაროსათვის.

მეორე დღეს, დილაადრიან, პერსევიმ კვლავ განაგრძო ჰაერით მოგზაურობა. მშვენიერი ამინდი იდგა. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ პერსევი მიფრინდა ეთიოპიაში, მეფე კეიფისის სახელმწიფოში.

მეფე კეიფისის მეუღლემ კასიოპემ ერთხელ, თურმე, დაიკვება: მე წყლის ყველა ქალღმერთზე ულაშზესი ვარო. კასიოპეას თავგასულობამ მეტად განარისხა წყლის ქალღმერთები და ამიტომ ისინი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მოკვდავთა ამაყი შვილი სასტიკად დაესაჯათ.

ქალღმერთებმა პოსეიდონ ღმერთს შესჩივლეს თავისი მწუხარება. პოსეიდონმა კეიფისის სახელმწიფოს დასასჯელად მოუვლინა უზარმაზარი გველეშაპი, რომელიც დროგამოშვებით გამოდიოდა ზღვის ნაპირად და არ ინდობდა არც ადამიანს და არც ცხოველს. ხალხი მეტად შევიწროვდა. შიშის ზარი ტრიალებდა მთელს სახელმწიფოში. ხალხი რომ განსაცდელს გადაჩენოდა, ღმერთების სურვილით, კეიფისს თავისი პირმშო ქალიშვილი ანდრომედა გველეშაპისათვის მორიგ საკმელად უნდა გაემეტებინა.

ხალხმა, გაიგო თუ არა ღმერთების ასეთი სურვილი, დაუყოვნებლივ აიძულა მეფე და დედოფალი ეს სამძიმო მსხვერპლი შეეწირათ. საბრალო ანდრომედა ზღვის ნაპირას პიტალო კლდეზე მიაჯაჭვეს.

როგორც კი დაინახა პერსევემა კლდეზე მიჯაჭვული ანდრომედა, დაუყოვნებლივ მიიქრა ზღვის ნაპირას საბრალო ქალის ვინაობის გასაგებად. ანდრომედას კალმით აუწერელმა სილამაზემ პერსევი ერთბაშად მოხიბლა. საბრალო ქალი უზომოდ იცრემლებოდა და მთელი სხეულის ცახცახით ყოველ წუთს მოელოდა გაუმადარ გველეშაპს. პერსევემა გამოჰკითხა ანდრომედას კლდეზე მიჯაჭვის მიზეზი და, როცა ყველაფერი დაწვრილებით გაიგო, გადაწყვიტა გველეშაპთან შებრძოლება და უდანაშაულო საბრალო ქალის განთავისუფლება.

უეკრივ ზღვის ნაპირას გაისმა წყლის ზვირთების საზარელი შხუილი. ტალღები მთებივით იბურთებოდნენ. ზღვის ნაპირს ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა უზარმაზარი, ტანში ჟრუანტელის მომგვრელი გველეშაპი. სახელმწიფოს მკვიდრნი მთლიანად შიშის ზარმა მოიცვა. საბრალო ანდრომედა ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. მწუხარებით ზარდაცემული მშობლები ფეხაკრებით გაეშურნენ თავის პირმშო ქალთან, მაგრამ განა შევლა შეეძლოთ!

პერსევემა მოიმარჯვა ბასრი ხმალი და ისე მძლავრად დაჰკრა საზიზღარ ცხოველს მკერდში, რომ შავი სისხლის შადრევნები ცაში აზიდულ მთების მწვერვალებს სწვდებოდა.

გველუშაჰმა ერთი საზარლად დაიგრავინა და მთელი თავისი სიმძიმით ზღვაში ზღარათანი მოიღო. ზღვა ერთბაშად შავი სუღარით დაიფარა. ერთი წამიც—და ეს ჯოჯობეთის საზიზღარ ცხოველი სამუდამოდ ზღვის უფსკრულისკენ დაეშვა.

აუწერელი იყო მთელი სახელმწიფოს მკვიდრთა განცვიფრება და აღტაცება, — ყველანი ქვილ-ხივილით ულოცავდნენ ქვეყნისათვის თავდადებულ გმირს სასახელო გამარჯვებას. აუწერელი იყო განსაკუთრებით მეფე კეიფისისა და დედოფალ კასიოპეას სიხარული მათი პირმშო ქალიშვილის, მშვენიერი ანდრომედას, სიკვდილისაგან გადარჩენის გამო.

პერსევემა მიულოცა კეიფისისა და კასიოპეას ქალიშვილის სიკვდილისაგან გადარჩენა და ამასთანავე მშვენიერ ანდრომედანთან შეუღლების სურვილი გაუმჟღავნა მშობლებს. მეფე-დედოფალი და მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი დიდის აღტაცებით მიეგებნენ პერსევის განზრახვას და სულ მოკლე ხანში ბრწყინვალე ქორწილი გააჩაღეს.

მეტი სიხარულისაგან ანდრომედა ტიროდა, იცინოდა და თვალთაგან ცრემლების გუბე ჩამოსდიოდა ბროლივით უმტკერო გულმკერდზე.

საკრავის საამური ხმები სტუმრების ყურთასმენას ატკობდა. სიმღერა, ცეკვა, თამაში და განუსაზღვრელი მხიარულება იყო საქორწილო დარბაზში. სტუმრები მხიარულად უსხდნენ მდიდრულად გამართულ სუფრას და ტკბებოდნენ პერსევისა და მშვენიერი ანდრომედის უსაზღვრო ბედნიერებით.

უეცრივ საქორწილო დარბაზში ატყდა მეომრების საშინლი ხმაურობა: მეფის ძმა, ფენიცი, რამდენიმე შეიარაღებული მეომრით შეიჭრა სასახლეში ანდრომედას მოსატაცებლად. ფენიქსს დიდი ხანია უყვარდა ანდრომედა, კიდევაც გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლად შეერთო, და აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ასე ძალდატანებით შემოიჭრა სასახლეში მეფის მშვენიერი ასულის მოსატაცებლად.

საქორწილოდ თავმოყრილი სტუმარ-მასპინძლები მეტად შეაშფოთა ფენიქსის სამარცხვინო საქციელმა. თავმომწონე პერსევემა ვერ მოითმინა თავისი მოწინააღმდეგის კადნიერება, მედგრად შეებრძოლა თავდამსხმელებს და მელუზას მოკვეთილი თავის საშუალებით ყველანი ქვებად აქცია.

ამ გამარჯვების შემდეგ პერსევი ახლადჯვარდაწერილ მეუღლესთან ერთად სერიფის კუნძულისაკენ გაემგზავრა, საცა მეფე პოლიდექტი ქვად აქცია და თავისი საყვარელი დედა დანაი გაათავისუფლა. სერიფის კუნძულის მართვა-გამგებლობა პერსევიმ დიქტოს გადასცა და თვითონ სამშობლო არგოსში დაბრუნდა.

აკრისი, როგორც კი თავისი შვილიშვილის სამშობლოში დაბრუნება გაიგო, დაუყოვნებლივ ტახტიდან გადადგა და სულ უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა. სამწუხაროდ, აკრისს მაინც არ ასცდა ღმერთებისაგან ნაწინასწარმეტყველები.

ერთხელ ლარისის ქალაქის მეფემ ბრწყინვალე ნადიმი გამართა. ამ ნადიმზე პერსევიმ ისრით უცაბედად მოჰკლა აკრისი. როცა სახელოვანმა ძლევა მოსილმა პერსევმა აკრისის ვინაობა შეიტყო, შესაფერისის პატივისცემით დაასაფლავა არგიველთა ყოფილი მეფე.

არგიველთა სამეფო ტახტი პერსევმა ერთერთ თავის ნათესავს გადასცა, თვითონ კი ტარინოფეას სამეფოს მართვა-გამგეობას შეუდგა.

მ ე ხ რ მ ა ლ დ ე ე ბ ი

ჭირბნელი მეხომალდეები ახალგაზრდა აკოითის წინამძღოლობით კუნძულ დელოსს მიემგზავრებოდნენ. მთელი დღის განმავლობაში მოგზაურები მხიარულად, თანხმობით, სიამტკბილობით, გამალებით მიტურავდნენ ზღვის თვალუწვდენელ, სივრცეში. ყველანი ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით იყვნენ გამსქვალულნი, ყველას ჰსურდა, რაც შეიძლებოდა მალე და მშვიდობიანად მისულიყო დანიშნულ ადგილას. საერთო სურვილის განხორციელებას ყველანი ზელს უწყობდნენ, და შორეული გზა დღითიდლე მოკლდებოდა, შორეული დელოსი დღითიდლე ახლოვდებოდა.

ერთ საღამოს მეხომალდეები კუნძულ ხიოსის ნაპირზე დაბინავდნენ ღამის გასათევად. მეორე დღეს, ალიონმა რომ დაჰკრა, აკოითმა ბრძანება გასცა წყაროს წყალი მოეტანათ, ხოლო თვითონ მახლობელ ბექობზე ავიდა, რომ დანამდვილებით შეეტყო, საიდან ქროდა ქარი, ან როგორი ამინდი დაუდგებოდათ იმ დღეს მოგზაურებს. თუ კარგი ამინდი იყო მოსალოდნელი, მოგზაურებს შეეძლოთ ხომალდი ზღვაში შეეტურებინათ და თავისი გზა განეგრძოთ.

ბექობზე მდგომმა აკოითმა, როცა ზღვის ნაპირისაკენ მომავალი რამდენიმე კაცი დაინახა, ხმამალლა შეუყვირა: ვინა ხართ ან საიდან მოდიხართო?

— „ჩვენა ვართ, შენი თანამგზავრები!“— შესძახა თავის წინამძღოლს ერთმა მეხომალდემ, რომელსაც მახლობელ მინდორში ახალგაზრდა კაცი დაეტყვევებინა და თან მოჰყავდა. ახალგაზრდა ტყვე ძლივსლა მოსდევდა მეხომალდეს, იგი წამდაუწუმ ბარბაცებდა, თითქო მთვრალია ან ეძინებაო.

როგორც კი თვალი მოჰკრა მეხომალდეების წინამძღოლმა ახალგაზრდა ტყვეს, დაუყოვნებლივ მიუბრუნდა თავის თანამგზავრებს და დაბეჯითებით უთხრა: „ეს ყმაწვილი უბრალო მოკვდავი ვინმე არ გეგონოთ! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ყმაწვილის სახით რომელიმე ღმერთთაგანი მოგვევლინა, ხოლო რომელი, ამის გამოცნობა არ შემიძლია“.

ამ სიტყვებთან ერთად აკოითი მიუახლოვდა ახალგაზრდა ყმაწვილს და მორიდებით უთხრა: „ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, გთხოვთ მოწყალე თვალთ შემოგვხედოთ და მოგზაურობის დროს დახმარება აღმოგვიჩინოთ! ამასთანავე გთხოვთ აპატიოთ თქვენს დამტყვებელთ დანაშაული!“

— ჩვენს მაგივრად სათხოვნელად ნუ სწუხდებით!— გაბრაზებით შეჰყვირეს მეხომალდეებმა.

— „მე ნებას არ მოგცემთ ეს ღვთის კაცი ხომალდზე შემოიყვანოთ და თქვენი ბოროტი განზრახვა განახორციელოთ. თქვენი სურვილი აშკარაა. თქვენ გინდათ ტყვე წამოიყვანოთ და სადმე შორეულ კუნძულზე გაჰყიდოთ! მაგრამ, კარგად გახსოვდეთ, ასეთი უსამართლობისათვის ღმერთები დაგსჯიან, გზაში რამე უბედურებას მოგივლენენ!“

მეხომალდეებმა იწყინეს აკოითის ამგვარი მუქარა და ერთბაშად ატეხეს საშინელი განგაში და ხმაურობა. გაბრაზებული მეხომალდეები წინ აღუდგენ აკოითის განკარგულებას და ძალმომრეობით შეიყვანეს ტყვე ხომალდზე.

— რა ამბავია, რა ხმაურობაა, ვინ მომიყვანა აქ, ან საით მიგყავართ?— იკითხა ბოლოს ვითომ გონზე მოსულმა ახალგაზრდა ტყვემ.

— ნუ გეშინია, — უპასუხა ერთმა მეხომალდემ: შენ მხოლოდ გვითხარი, რომელ ნავსადგურში გწადია ჩამოხტე, და ჩვენც იქ გადმოგსვამთ ზღვის ნაპირას.

— ჩემი სამშობლო კუნძული ნაქსოსია, — უპასუხა ყმაწვილმა, — და სწორედ რომ სამშობლოში მსურს დაებრუნდე.

მეხომალდეები უსირცხვილოდ ეფიცებოდნენ ახალგაზრდა ყმაწვილს, სურვილს უთუოდ შეგისრულებთო.

ნაქსოსი მარჯვნივ მდებარეობდა. მეხომალდეებმა სწრაფად ააფრიალეს იალქნები. აკოითი ცდილობდა კუნძულ ნაქსოსისაკენ მოემართა იალქნები, მაგრამ გაბრაზებული მეხომალდეები ნებას არ აძლევდნენ და სულ სხვა ადგილისაკენ მიაქროლებდნენ ახალგაზრდა ტყვეს.

ღმერთი ბახუსი, რომელსაც ახალგაზრდა ყმაწვილის სახე მიელო, ვითომ ახლა მიხვდა მეხომალდეების სიცრუეს და განზრახ ტირილით შესჩიოდა: „ეს ის ქვეყანა როდია, საცა მე უნდა წაგყვანეთ! რა დაგიშავეთ ასეთი! თქვენ რა შეგვემატებათ, მე რომ დავიღუპო, ჩემ საყვარელ სამშობლოს სამუდამოდ მოვსწყდე! გვედრებით, ნუ დააობლებთ ჩემ მშობლებს და ნურც მე მასმევთ სიმწარის

სამსალას სამშობლოს უნახაობით! ჩემზე ძალადობის გამოჩენა აბა რა გმირობაა! მე ერთი ვარ და თქვენ კი აი რამდენი!“

მეხომალდეებმა სიცილით ქოქოლა დააყარეს საცოდავ თვალ-
ცრემლიან ახალგაზრდა ტყვეს, ხოფები უფრო მარდად მოუსვენს და
ხომალდს ელვის სისწრაფით მიაცურებდნენ ზღვის ტალღებში.

ელვასავით სწრაფი ხომალდი უეცრივ შედგა და ერთსა და
იმავე ადგილიდან არ იძროდა. მეხომალდეებმა უფრო მარჯვედ მო-
მართეს იალქნები და უფრო მძლავრად მოუსვენს ხოფები, მაგრამ
ხომალდი ოდნავაც წინ ვერ წასწიეს.

ყველანი შიშის ზარმა აიტანა. მეხომალდეებს შიში ვრთიანად
გაუორკეცდათ, როცა დატყვევებული ყმაწვილის თავზე დაინახეს
ვაზის ფოთლების გვირგვინი. მთელი ხომალდი ვაზის ფოთლებით
შეიმოსა. ბახუსმა მრისხანედ დაჰკრა კვერთხი ხომალდზე. უეცრივ
მთელი ხომალდი ტყის ნადირებით გაივსო.

მეხომალდეები შიშისაგან ერთი-მეორეს აწყდებოდნენ და არ
იციოდნენ სად დამალულიყვნენ.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! მეხომალდეებს მთელი სხეული
და პირისახე ეცვლებათ. საბრალონი ერთი-მეორეს გაკვირვებით შეჰ-
ყურებენ და სრულებით ერთმანეთს ვერ სცნობენ. მეხომალდეები
ზღვის ლორებად გადაიქცნენ და დაჟოჯვებლივ ზღვის სიღრმეში
გადაეშენენ.

აკოითი შიშისაგან ცახცახებდა და ყოველ წუთს ამხანაგების
ბედს მოელოდა. მაგრამ ამ დროს აკოითს ბახუსის სასიხარულო ხმა
შემოესმა: „აკოით, ნუ გეშინია, კუნძულ ნაქსოსისაკენ მოატრიალე
ხომალდი! მარადის და ყველგან გახსოვდეს, კეთილო წინამძღოლო,
რომ სიმართლე და სისწორე კაცს არასოდეს არ დაჰკარგავს!“

ერთის ხოფის მოსმით ხომალდმა მართლაც შეცურა ზღვის
ტალღებში და სულ მცირე ხნის განმავლობაში კუნძულ ნაქსოსის
ნაპირებს უვნებლად მიადგა.

აკოითმა კუნძულ ნაქსოსზე ღმერთებს სამადლობელი შხვერ-
პლი შესწირა გადარჩენისათვის.

ბახუსის საგულისხმეიერო სიტყვები— „სიმართლე და სისწორე
კაცს არასოდეს არ დაჰკარგავსო“, აკოითმა გულის ფიცარზე დაი-
წერა და თავის მომავალს მუდამ ამ ცნების მიხედვით აწესრიგებდა.

კეფალე და პროკრიდე

ქთანის მეფის ერეხფეას ქალი პროკრიდე მთელს სახელმწიფოში სახელგანთქმული იყო თავი სილამაზითა და სათნოებით. მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველანი დიდის ალტაცებით შესტრფოდნენ მეფის ასულის კალმით აუწერელს სილამაზეს.

სახელმწიფოს წარჩინებულნი პირნი, მრავალი სახელმწიფოს ტახტის შემკვიდრენი ერთი-მეორეს ეცილებოდნენ მეფის ასულის გულს მოგებას, მაგრამ ყოველივე ცდა ამ მხრით უნაყოფოდ რჩებოდა.

პროკრიდეს მთელი აზრი და გონება სულ სხვას ეკუთვნოდა. მეფის ასულს უყვარდა ღმერთის ჰერმესის ვაჟიშვილი კეფალე. პროკრიდე კეფალეს ეკუთვნოდა, კეფალე კი პროკრიდეს.

განუსაზღვრელი იყო ქალ-ვაჟის მეგობრობა და სიყვარული. ახალგაზრდებმა შეუღლება გადაწყვიტეს და ეს გადაწყვეტილება მშობლებს გაუზიარეს. მშობლები დიდი ალტაცებით მიეგებნენ ახალგაზრდების სურვილს და დაქორწინების ნებაც დართეს.

პროკრიდე და კეფალე მთელს დედამიწის ზურგზე უბედნიერეს მეგობრებად, უბედნიერეს ცოლ-ქმარად თვლიდნენ თავის თავს. განუსაზღვრელი სიყვარული და ერთი-მეორის გულწრფელი პატივისცემა აკავშირებდა ახლადდაქორწინებულთ.

პროკრიდესა და კეფალეს ბედნიერებას მრავალი შენატროდა. ახალგაზრდათა ურთიერთგანწყობილება მრავალთათვის სამაგალითო და საგულისხმიერო იყო. სამწუხაროდ, ახალგაზრდების ბედნიერება ხანგრძლივი არ გამოდგა.

ერთხელ კეფალე, დილით ადრე, გიმეტის მთის აყვავებულს მწვერვალზე ირმებზე ნადირობდა. დაბურულსა და მიუვალს ტყეში ახალგაზრდა მონადირეს შეხვდა ქალღმერთი ეოა. მონადირის სილამაზემ ერთიანად მოხიბლა ქალღმერთი. სილამაზით სახელგანთქმულმა ქალღმერთმა მიიპატიჟა კეფალე თავის ფაიფურის სასახლეში.

ეოამ გაუზიარა ახალგაზრდა მონადირეს თავისი გულსნაღები სი-
ყვარულისა და მეგობრობის შესახებ.

კეთალემ გადაქრით უარი განუცხადა ახალგაზრდა ქალღმერთს:
მე არავის სიყვარული და მეგობრობა არ შემიძლია, რადგან ჩემი
გული, ჩემი მთელი არსება მთლიანად პროკრიდეს ეკუთვნისო.

ქალღმერთი ეოა სრულიად არ მოელოდა კეთალესაგან ასეთ
კანდიერებას. იგი სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა, თავზე თმებს იგ-
ლეჯდა და პირისახეს საზარლად იკაწრავდა.

— „გასწი, კეთალე, შენს პროკრიდესთან, მხოლოდ გახსოვ-
დეს, ჩემი შეურაცხყოფა ძვირად დაგიჯდება! დრო მოვა და ინანებ!

ამ სიტყვებით გამოისტუმრა შეურაცხყოფილმა ქალღმერთმა
კეთალე შინ.

დიდად შეურაცხყოფილი ეოა გეგმებს აწყობდა, რომ სამაგიე-
რო გადაეხადა კეთალესათვის. გაბოროტებულმა ქალღმერთმა შინი-
საკენ მიმავალ კეთალეს ექვები აღუძრა პროკრიდეს გულწრფელი
ერთგულების შესახებ.

კეთალემ გზაში უცნობის სახე მიიღო და ისე დაბრუნდა თა-
ვის სახლში მეუღლესთან. პროკრიდემ სრულიად ვერ შეიცნო შინ
დაბრუნებული საყვარელი მეუღლე.

უცნობმა გულწრფელი სიყვარული და მეგობრობა გამოუცხადა
პროკრიდეს და თანაც მასთან კანონიერი შეუღლების სურვილი
გამოთქვა.

პროკრიდემ გულწყრომით უარყო უცნობის წინადადება. „არა
და არა“ — გადაქრით უპასუხა პროკრიდემ. — „მე არასოდეს არ გაეთ-
ხოვდები! ჩემი სიყრმითვე საყვარელი მეგობარი კეთალეა! მე სამუ-
დამოდ მას ვეკუთვნი! სანამ გონება შემრჩენია, სანამ კიდეც პირში
სული მიდგა, კეთალს სახელის ხსოვნას ვენაცვალები, სადაც კი
უნდა იყოს ეს ჩემი სათაყვანო მეგობარი! მე ყველგან და მარადის
მისი ერთგული მეგობარი დავრჩები!“

პროკრიდეს სიყვარულით აღსავსე გული სწორედ იმას გრძნობ-
და, რასაც მისი ბაგენი სიტყვიერად ასე გულწრფელად აღიარ-
ებდნენ.

უცნობი სტუმრისათვის სრულიად საკმარისი უნდა ყო-
ფილიყო პროკრიდეს გულწრფელი აღსარება, მაგრამ ქალღმერთის
ეოას შთაგონებით კეთალე ამ გულწრფელი აღსარებით როდი დაკ-
მაყოფილდა. უცნობი თავდავიწყებით ეფიცებოდა პროკრიდეს განუ-
საზღვრელ სიყვარულსა და მეგობრობას, დარწმუნებით უმტკიცებდა,
კეთალე დიდიხანია მკვდარიო.

პროკრიდეს არა სწამდა უცნობის სიტყვები კეფალეს სიკვდილის შესახებ, თუმცაღა ასეთი რწმუნების შემდეგ, ცოტათი არ იყოს, ეპვი შეეპარა.

როცა უცნობმა სტუმარმა შენიშნა პროკრიდეს ასეთი დაეჭვიანება, მრისხანედ შეჰყვირა: „საზიზღარო! ვხედავ, კარგად ვხედავ შენს ერთგულებას! მე უცნობი სტუმარი კი არა ვარ, მე შენი მეუღლე კეფალე ვარ, შენი გულგრილობისა და უერთგულობის პირისპირი მოწმე!“

კეფალეს ასეთმა უსამართლო და უმართებულო საქციელმა საშინლად შეაწუხა უდანაშაულო პროკრიდე. ის დიდად შეურაცხყოფილად თვლიდა თავისთავს. სინდისი მეტად ჰქეჯნიდა მგრძნობიარე ახალგაზრდა, ძაღლონით სავსე ქალს, მან სამარცხვინოდ მიიჩნია ამის შემდეგ კეფალეს ოჯახში დარჩენა.

შეურაცხყოფილი პროკრიდე კრიტის კუნძულზე გადასახლდა, სადაც იგი სევდის გასაქარვებლად არტემიდე ქალღმერთთან ერთად კრიტის მაღალი და მიუვალი მთების კალთებზე თითქმის ყოველდღე დადიოდა სანადიროდ. პროკრიდეს მგრძნობიარე გულში კეფალეს სიყვარული და მეგობრობა კიდევ ღრმად იყო დამარხული, უფრო დაუფრო და დღითიდღე ეს სიყვარული და მეგობრობა უმტკიცდებოდა და უძლიერდებოდა.

ქალღმერთმა არტემიდემ თავის საყვარელ მეგობარ ქალს პროკრიდეს აჩუქა ქარივით მალი და სწრაფი მწვეარი და საუცხოო სანადირო მშვილდ-ისარი, რომელიც არასოდეს მიზანს არ ასცდებოდა და ყოველი გასროლის შემდეგ მსროლელს თავისთავად უკანვე ხელში უბრუნდებოდა.

ერთხელ პროკრიდე თავისი საკვირველი მშვილდ-ისარით და ფეხმალი მწვერით კრიტის მთების კალთებზე ნადირობდა. მახლობლად იქვე უღრან ტყეში კეფალეც სანადიროდ გამოსულიყო.

პროკრიდემ უცნობის სახე მიიღო და კეფალესთან ფეხაკრეფით მივიდა.

ფეხმალი მწვეარმა და საკვირველმა მშვილდ-ისარმა გააოცა ნადირობის მოტრფიალე კეფალე. ახალგაზრდა მონადირე მზად იყო დიდი სასყიდელი გაეღო, ოღონც კი ეს საკვირველი მშვილდ-ისარი და ფეხმარად მწვეარი მისთვის დაეთმოთ.

პროკრიდემ თანხმობა გამოუცხადა კეფალეს, შვილ-ისარს და მწვეარს დაგიტომობ, თუ ჩემი მეუღლე გახდებო. კეფალე, დიდი სიამოვნებით დასთანხმდა პროკრიდეს მიერ წამოყენებულ პირობაზე.

პროკრიდემ ახლა კი შეუმჩნეველად მოიხსნა პირბადე და თავისი ნამდვილი პირისახით კეფალეს წინაშე წარდგა.

პროკრიდეს დანახვაზე კეფალე უნებლიედ შეერთა, მაგრამ იმავე წამს ლმობიერად ხელი გაუწვდინა თავის ერთგულ საყვარელ მეგობარს — პროკრიდეს.

ამ მოულოდნელი შემთხვევის შემდეგ ახალგაზრდა ცოლქმარი კეფალე და პროკრიდე, დიდხანს და დიდხანს ბედნიერად და უღარდელად ცხოვრობდნენ, მით უფრო, რომ არცერთ მათგანს ახლა ნება არ ჰქონდა მეორისათვის რაიმე ესაყვედურა.

კეფალე დიდად აღტაცებული იყო, რომ ასეთი საუცხოო მშვილდ-ისარი და ასეოი იშვიათი მწვეარი საჩუქრად მიიღო.

ახალგაზრდა მონადირეს ყველანი ეპატიებოდნენ სანადიროდ. ერთხელ ბეოტიის მხარეს განრისხებულმა ღმერთმა დიონისემ მოუგლინა საზიზღარი მელია, რომელიც ყველაფერს ანადგურებდა და ადგილობრივ შკვიდრთ დიდ ზარალს აყენებდა.

ბეოტიის სახელგანთქმული მონადირეები გარს ერტყმოდნენ ბეოტიის თვალუწვდენელ მინდვრებს, რომელზედაც არხეინად ნავარდობდა ფეხმალი მელია, მაგრამ დაქერას-კი ვერასგზით ვერ ახერხებდნენ.

ფეხმალი მელია ელვის სისწრაფით დაქროლავდა ფართოდ გადშლილ მინდორზე დაგებულ ხაფანგებზე და მარად გაურბოდა დაკეშილ გაათრებულ ძაღლებს. ბეოტიელებმა მელაზე სანადიროდ კეფალე მიიწვიეს და დანმარება სთხოვეს გაათრებულ საზიზღარი ნადირის დასაქერად.

კეფალეს ფეხმარდი მწვეარი ჯარასავით ტრიალებდა ფეხების ფრჩხილებზე და მოუთმენლად მოელოდა იმ დროს, როცა მას მიუსევდნენ ბეოტიის გამანადგურებელ მელას.

დადგა ეს სანატრელი წამიც. კეფალემ შეურჩია მოხერხებული დრო და ფეხმარდი მწვერის საყელოს ხელი ერთბაშად შეუშვა. მწვეარი ელვის სისწრაფით დაედევნა ფეხმალ და გაიძვრა ნადირს. მონადირეები სულგანაბულნი შესცქეროდნენ მწვერის სიმარდეს და მელიის თავგანწირულ სულისკვეთებას.

კეფალე მთის მწვეერვალთან გულაძკერებული ჩამოჰყურებდა თავის ფეხმალ მწვეარს, რომელიც, აი ესაა მელიას უნდა მისწვენოდა და კუდში მაგრად ჩაეჭიდა ბასრი კბილები.

მაგრამ როცა მწვეარი მელიას პირის სატაცებლად მომარჯვებდა, ეს გაიძვრა ნადირი ეშმაკურად დაუსხლტებოდა და ყოველთვის თავს აღწევდა განსაცდელს. მელიასა და მწვეარს მარ-

ტოოდენ ერთი მტკაველი მიწა აშორიშორებდა. გაიძვერა მელიის დაქერა ზეჟუძლებელი შეიქნა.

ამ გაქირვებულ მდგომარეობაში კეფალემ უკანასკნელ საიმედო საშუალებას მიმართა: მონადირემ მოიმარჯვა თავისი საკვირველი ავისების მწვილდ-ისარი და მელიას დაუმიზნა, მაგრამ საზიზღარი და ვერაგი მელია უეცრივ გაუჩინარდა.

როცა სახელგანთქმულმა მონადირემ თვალუწვდენელ ველს კვლავ თვალი გადაავლო მწვილდ-ისრის დასამიზნებლად, დახეთ საკვირველებას, კეფალეს თვალწინ სანადირო ველის შუაგულზე ორი თოვლივით უმტკერო მარმალლოს ქანდაკება აღიმართა. ერთი იყო გაიძვერა და ვერაგი მელიის ქანდაკება, ხოლო მეორე კი კეფალეს ფეხმარდი მწვეერისა, რომელიც მელიის ქანდაკებიდან ერთი მტკაველის სიშორეზე იყო ამართული.

ნადირობით სახელგანთქმულმა კეფალემ კარგად გაითვალისწინა ამ ორი მარმარილოს ქანდაკების მნიშვნელობა.

განრისხებულ ღმერთს დიონისეს, უეკველია, არა ჰსურდა რომელიმე მოპირდაპირე მხარეს საბოლოო გამარჯვება დარჩენოდა.

პროკრიდე და კეფალე ამის შემდეგ დიდხანს და დიდხანს ბედნიერად და თანხმობით ცხოვრობდნენ. თვით ღმერთებსაც კი სწამდათ, რომ პროკრიდესა და კეფალეს ერთმანეთი უსაზღვროდ უყვარდათ, ერთმანეთს დიდისა და დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ, მათი საერთო გზა ია-ვზრდებით იყო მოფენილი.

კეფალე მუდამდღე მალალი მთების მწვერვალზე დადიოდა სანადიროდ თავისი საუცხოო მწვილდ-ისრით და თავისი ფეხმალი მწვეერის თანხლებით.

სიცხისა და ნადირობისაგან მოღლილი და მოქანცული ახალგაზრდა მონადირე შუადღისას ყოველთვის მალალტოტებიანი ხის ჩრდილში ისვენებდა.

სიცხისაგან გარინდებული კეფალე დასვენების დროს ხშირად ხვამალა გაიძახოდა: „აერა, ჩემო სიხარულო, ჩემო ნუგეშის მომცემო, შენა ხარ ჩემი მაცოცხლებელი ძალა! მარტოოდენ მხოლოდ შენით ვცოცხლობ ამ დაბურულ ტყეში! მოდი, მოდი, ჩემი ქმუნვისა და დარდის გამქარვებლო! გამკურნებელ მალამოდ დაედე ჩემს სიცხისაგან დაოსებულ გულს! მოდი, მოდი, მოუთმენლად მოგელი!“

ვიღაც ბოროტკამზრახველმა შემთხვევით ყური მოჰკრა კეფალეს ამ სიტყვებს და გადაწყვიტა: „აერა“, რომელსაც კეფალე ასე ხშირად გულმოდგინედ ეპატიებდა და თავისკენ იწვევს, რომელიმე ქალღმერთიაო.

ბოროტგამზრახველი დაუყოვნებლივ პროკრიდესთან შიკიდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

პროკრიდეს ღრმად სწამდა კეფალეს ერთგულება, მისი გულწრფელი სიყვარული, მაგრამ ბოროტგამზრახველის სიტყვები მაინც შეურაცხყოფად მიიჩნია. ცილს სწამებენ ჩემს ერთგულ მეგობარს,— გაიფიქრა პროკრიდემ,— და ამიტომ თვითონვე პირისპირ უნდა შევამოწმო ასეთი ცილისწამების უსაფუძვლობაო.

მეორე დღით, სანამ დიდებული მზე თავის ცხოველყოფელ სხივებს დედამიწას უხვად მოჰფენდა, კეფალე უკვე მთის მაღალ კალთებზე ჩვეულებრივ ნადირობდა. მშვენიერი დილა იყო. ჩიტების ჟრიაშული დაბზრული ტყით დაფენილ მაღალ მთაგრეხილებს ფიანდაზად ეფინებოდა. მზე თანდათან თავისი სხივების სიმძლავრეს იჩენდა. შუადღეც მოახლოვდა.

კეფალემ შეწყვიტა ნადირობა და მაღალტოტებიანი ხის ჩრდილში წამოწვა მოსასვენებლად.

ახალგაზრდა მონადირემ ჩვეულებრივად შესძახა თავის გამამბნევებელ და გამოცოცხლებულ აერას: „მოდი, ჩემო ნუგეშო, ჩემო სიხარულო!“

სწორედ ამ დროს მახლობელ ბუჩქნარში შეცრივ რალაცამ გაიხმაურა. კეფალემ გაიფიქრა, ბუჩქნარში უთუოდ ნადირი იმალებაო, და თავისი საკვირველი მშვილდ-ისარი ბუჩქნარისაკენ მძლავრად სტყორცნა.

„ვაიმე!“ — ერთი საშინლად შეჰყვირა პროკრიდემ: საცოდავს მშვილდ-ისარი შიგ გულში მოხვედროდა.

კეფალემ უმაღლე იცნო 'თავისი ერთგული მეგობრის ხმა და ელვის სისწრაფით ბუჩქნართან მიიქრა.

ცოცხალ-მკედარი პროკრიდე ოდნავ-ლა სუნთქავდა. მკერდიდან საბრალოს სისხლის შადრევანი გადმოსჩქეფდა.

საცოდავი სანახავი იყო ამ დროს გონებადაკარგული კეფალე-საბრალო მონადირემ დაუყოვნებლივ შეუხვია თავის ერთგულ მეგობარს კრილობები. კეფალე ბავშვივით დაჰქეითინებდა თავის მომაკედავ პროკრიდეს, სთხოვდა, ემუდარებოდა: გონს მოდი, ერთი კიდევ ლმობიერად გადმომხედე, მაგრამ საბრალო კეფალეს ხვეწნამუდარა არას შეელოდა. საცოდავი პროკრიდეს უკანასკნელი წუთები თანდათან ახლოვდებოდა.

პროკრიდეც კარგად გრძნობდა საყვარელ მეგობართან განშორების ჟამს: გონებამიხდილს, მწვავე კრილობებისაგან დასუსტებულს

თვალთაგან მარგალიტის ცრემლები ჯადმოსჩქეფდა. მოახლოვდა თავზარდამცემი უკანასკნელი წუთიც.

პროკრიდემ მისუსტებული, ცრემლიანი თვალები თავის საყვარელ მეგობარს შეაშტერა. მძიმედ, მხოლოდ მუდარებისა და ხევწინის კილოთი, საბრალომ საცოდავი ხმით უკანასკნელად ამოიკენესა: „კეთალე, ჩემო კარგო, ჩემო საიქიოსაც გამამხნეებელო, ძვირფასო მარგალიტო! გთხოვ, უკანასკნელად გემუდარები, ჩემთვის კიდეც ძვირფას და მუდამ საყვარელ შენ გულს ავრას ნუ გადუშლი, ჩემს მოვლილს და ნაპატრონევს კარმიდამოს ნუ დაუსაკუთრებ! გვედრები, გვედრები, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უკანასკნელად გვედრები!“

კეთალე მხოლოდ ამ სატყეების შემდეგ მიხვდა, თუ რა სამწუხარო შეცდომას მსხვერპლი გახდა მისი ერთგული და საყვარელი მეგობარი პროკრიდე.

კეთალემ დაუყოვნებლივ აუხსნა მომაკვდავ პროკრიდეს: „ავრა“ გულის გამაგრილებელი ნიაჲია, რომელიც სიცხისაგან დაღლილს ძალასა და მხნეობას ჰმატებსო. ამიტომ, როცა ჰაპანაქებაში დაღლილი და დაქანცული ნადირობის შემდეგ ჩრდოლში წამოვწყებოდი ხოლმე, ყოველჯერ ავრას გულშოვდგინებდი და განკურნებას დაღლილობისაგან მუდმივ შეესთხოვდიო.

კეთალეს მიერ გულწრფელად ნათქვამმა სატყეებმა პროკრიდეს მწვავე ჭრილობები ერთაშაღ დაუამა. საბრალომ ერთჯერ კიდეც გადახედა და სამუდამოდ, მხოლოდ მშვიდად კი, დახუჭა სისუსტისაგან მიღუღული ცრემლიანი თვალები.

საბრალო კეთალე გულზე ხელებდაჭდობილი დასცქეროდა პროკრიდეს გაცივებულ გვამს და საზარლად ქვითინებდა.

გულსაკლავი იყო ეს ქვითინი. ყველას მწუხარებას ჰგვრიდა საცოდავი კეთალეს უბედურება. ტყის ნადირებსაც კი გული ეჩუყებოდათ და ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ ჩიტები ჟივილ-ხივილით თავს დასტრიალებდნენ სამწუხარო ადგილს და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდნენ პროკრიდეს გაცივებულ პარისახეს.

კეთალე ისევ ხელებდაჭდობილი დასცქეროდა თავის გულითად მეგობარს და გულამოსკენით ქვითინებდა.

კეთალეს გულსაკლავი ქვითინის ხმა შორეული მთის მწვერვალებსაც კი სწვდებოდა და სევდიანი სამოსლით ბურავდა.

მთელი სულიერა და უსულო ბუნება ცრემლის ღვარებად იწურებოდა და მთელ იმ მიდამოს, საცა საცოდავმა პროკრიდემ სამუდამოდ დახუჭა თვალები და საბრალო კეთალე ასე უცეცხლოდ იწვოდა, მწუხარების შავ სუდარას აფარებდა.

ტ ა ნ ტ ა ლ ო ს ი

ღმერთების მამამთავრის ზევისის შვილი, ლიდის მეფე ტანტალოსი თავისი ძლევაშობილებით მთელ სახელმწიფოში დიდად სახელგანთქმული იყო.

ოლიმპოს მბრძანებელი ღმერთები დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ მეფე ტანტალოსს.

ახალგაზრდა ტანტალოსი, თავისი ღვთაებრივი მამის დახმარებით, ხალხმა ლიდის მეფედ აირჩია.

მეფის საუცხოო სასახლეს, მის უთვალავ სიმდიდრეს და ძვირფას განძეულს მთელი ლიდია და მახლობელი სახელმწიფოები განცვიფრებაში მოჰყავდა.

ლიდის მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დიდად აფასებდნენ მეფის მამობრივ განწყობილებას და გულკეთილობას, ყველანი გულწრფელი სიყვარულით იხსენიებდნენ თავის გულუხვ და შემბრალე მეფეს.

ოლიმპოს ღმერთები ისეთი პატივისცემითა და ნდობით ეპყრობოდნენ ლიდის ამ სახელოვან მეფეს, რომ ხშირად ღმერთების თათბირზედაც კი იწვევდნენ და საქვეყნო საქმეების გარჩევის დროს ტანტალოსის აზრსა და რჩევას დიდ ანგარიშს უწევდნენ.

ტანტალოსი ფართოდ სარგებლობდა ღმერთების ამ კეთილმეგობრული განწყობილებით და ამიტომ ხშირად ღმერთებთან ერთად ატარებდა დროს, მათთან ერთად სადილობდა და ისმენდა და გებულობდა ოლიმპოს მბრძანებელთა საიდუმლოებას.

ტანტალოსი მთელ დედამიწის ზურგზე მოკვდავთა შორის უბედნიერესი მეფე იქნებოდა, რომ ამ ზეციერი და მიწიერი ბედნიერებით დაკმაყოფილებულიყო.

სამწუხაროდ, ტანტალოსმა ღირსეულად ვერ დააფასა ხალხისა და ღმერთების სიყვარული და პატივისცემა და სულ მოკლე ხანში თავისი უმსგავსი მოქმედებით, თავისი გადაუტეხილი პატივმოყვარობით, რაიცა მას უკანასკნელ ხანებში დასჩემდა, სრულიად დაკარგა თავისი წარჩინებული და ბედნიერი ცხოვრება როგორც ოლიმ-

პოს მზრძანებელ ღმერთებს შორის, ისე ლიდიის მკვიდროსა შორისაც.

პატივმოყვარეობით გატაცებული ტანტალოსი ისე გაკადნიერდა, რომ ღმერთებს სუფრიდან ღვთაებრივ ნექტარსა და ამბროსიას ჰპარავდა და თავისი მოკვდავი მეგობრებისათვის მიჰქონდა, ხშირად ღმერთების საიდუმლოებას ხალხს უმჟღავნებდა და ამრიგად ყოვლად შემძლებელი ღმერთების მხრით წინანდელ პატივისცემასა და სიყვარულს თანდათანობით კარგავდა.

კუნძულ კრეტაზე ზევსის ტაძრიდან მიღეტელმა პინდარეოსმა ბაჯალლო ოქროსაგან გაქედილი ძალლი მოიპარა და შესანახად თავის მეგობარ ტანტალოსს მიაბარა.

ტაძრის ქურუმმა, როცა ეს ამბავი შეიტყო, დაუყოვნებლივ მოსთხოვა ტანტალოსს ოქროს ძალლის დაბრუნება, მაგრამ კადნიერმა მეფემ ქურუმის ასეთი მოთხოვნა იუკადრისა და ყოვლად შემძლებელი ზევსის ტაძრის მსახურს გადაჭრით, უსირცხვილოდ უარი განუცხადა, პინდარეოსს შესანახავად ჩემთვის არაფერი არ მოუბარებიაო.

ერთხელ მეფე ტანტალოსმა ბრწყინვალე ნადიში გამართა რომელზედაც ოლიშპოს მზრძანებელი ღმერთებიც მოიწვია.

ტანტალოსმა მოისურვა ამ ნადიმზე ყველაფრის მკოდნე ღმერთები გამოეყადა, ამიტომ მზარეულებს დააკვლევინა თავისი შვილი პელოპი და ღმერთებს ერთერთ კერძად მისთავაზა, აბა თუ გამოიკნობნო.

ყოფლის მკოდნე ღმერთებმა მაშინვე შენიშნეს ტანტალოსის ბოროტი განზრახვა და კერძს ხელი არ ახლეს.

მხოლოდ ქალღმერთმა დემეტრამ, რომელიც თავისი საყვარელი ქალიშვილის პერსეფონეს მოტაცების გამო ღრმა ფიქრებში იყო გართული, ბეჭის თავს უნებლიედ ჩამოსკრა პატარა ნაჭერი და შეჭამა.

პელოპის სხეულის ნაწილები ღმერთებმა ერთად მოაგროვეს, ქვაბში ჩაყარეს და თავისი ღვთაებრივი უკვდავი სული ჩაბერეს.

პელოპი ქვაბიდან ამოვიდა სრულიად გამოცვლილი და მომხიბლველი სილამაზით გაბრწყინებული. მხოლოდ ის ადგილი, საცა ქალღმერთმა დემეტრამ ნაჭერი ხორცი ჩამოჭრა, სპილოს საუცხოო ძვლით ჰქონდა შეცვლილი.

განრისხებულმა ღმერთებმა საშინელი ბოროტების მოქმედი ტანტალოსი ჯოჯოხეთში გაგზავნეს იმ დანაშაულის მოსახდელად, რომელიც მან ასე უსირცხვილოდ ჩაიდინა.

ტანტალოსი დღედაღამ მდინარეში იდგა და წყალი ნიკაპამდის სწვდებოდა.

მაგრამ როგორც კი მეფე წყურვილის მოსაკლავად მდინარეს დაეწაფებოდა, წყალი მყისვე ქვემოთ ეშვებოდა, და მრავალტანჯული მეფე წყლის დაღვეას ვერ ახერხებდა.

გაბოროტებული ტანტალოსი მუდამეამს წყალში იდგა, წყურვილი სულსა და გულს უხუთავდა, მაგრამ წყალს ვერ სწვდებოდა და განუწყვეტლივ ასე იტანჯებოდა.

ბოროტ მეფეს საშინელი შიმშილი მუდამდღე გულს უღრღნიდა.

მდინარის ნაპირას გაშენებულ ხილის ხეებს სხვადასხვა ნუგბარი ხილით დატვირთული ტოტები მოედერებინათ და ტანჯული მეფის თავის მახლობლად მოხდენილად ჩამოეშვათ.

საბრალო მეფე ხარბად შეპყრებდა მის თავზე ჩამოშვებულ ხეხილის გრძელ ტოტებს, რომლებზედაც ათასფრად ლაპლაპებდნენ გემრიელი ვაშლები, მსხლები, ატმები და სხვა უკვე დამწიფებული ხილეულობა.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც კი მეფე ხელს გაიწვდიდა ფილის მოსაწყვეტად, ხის ტოტები მყისვე ზემოთ იწეოდა, და ტანტალოსი ხის ნაყოფის მოწყვეტას ვერ ახერხებდა.

მდინარის ნაპირას ცამდის აზიდულ მთის მწვერვალს ჩამოპკიდებოდა ვეებერთელა კლდე, რომელიც ყოველ წუთს გასრესას ეშუქრებოდა საბრალოს. მეფე შიშისაგან კრთოდა, ცახცახებდა და მუდამეამ სიკვდილს მოელოდა.

ასე შეუბრალებლად იტანჯებოდა მთელი საუკუნეების განმავლობაში მეფე ტანტალოსი, რომელმაც თავისი ძლევაშოსილების დროს ბოროტად გამოიყენა ყოვლად შემძლებელი ღმერთების ნდობა და სამუდამოდ დაკარგა ოდესღაც შარავანდით მოსილი სახელი და დიდება.

ლიდიის მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი იწონებდნენ ღმერთების სამართლიან განაჩენს, თავის ყოფილ მეფეს, მოუხედავად მისი მრავალი სიკეთისა, მაინც სამართლიანად დასჯილად აღიარებდნენ და ერთხელაც არ იგონებდნენ გულისტკივილით.

პ ე ლ ო პ ი

ღმერთების მამამთავრის ზეესის შვილიშვილი, ლიდის მეფის ტანტალოსისა და ტიტანი ატლანტის ასულის დედოფალ დიონას ვაჟიშვილი პელოპი ღმერთების პატივისცემითა და კეთილმსახურებით, თავისი ყოველდღიური სამართლიანობით დიდად სახელგანთქმული იყო მთელ სახელმწიფოში.

სახელმწიფოს მკვიდრნი ყველანი ლიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ თავის საყვარელ მეფეს და სრულ იმედს გამოთქვამდნენ, რომ ყველგან და მჭრადის გულკეთილი, ყველას შემბრალე და გამკითხავი მეფე მკვიდრთ უნუგეშოდ არ დატოვებდა და მათი მომავალი ცხოვრების გასაუმჯობესებლად შრომასა და ენერგიას არ დაზოგავდა.

ყოვლად შემძლებელი ღმერთებიც დიდად აფასებდნენ პელოპის უაღრესად კეთილშობილურ მისწრაფებებს და ყოველ კერძო შემთხვევაში დახმარებას არ აკლებდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა ტანტალოსი ჩადენილი დანაშაულის მოსახდელად საიქიოს სამეფოში გაგზავნეს, პელოპს მახლობელ სახელმწიფოს ტროადის მეფე ილისთან მოუხდა შეტაკება.

ამ ბრძოლაში ძლეული პელოპი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავისი სახელმწიფო და საბერძნეთის სხვადასხვა მხარეში ხანგრძლივ მოგზაურობას შესდგომოდა.

სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს პელოპმა შეერთო ელიდის მეფის ენომაოსის ასული, სილამაზით მთელ სახელმწიფოში სახელგანთქმული, მშვენიერი ჰიპოდამია.

მაგრამ იმ დროსა და იმ პირობებში ჰიპოდამიას ცოლად შერთვა მეტად სამძიმო საქმე იყო, რომლის შესრულებაც პელოპს გარდა ვერც ერთმა საბერძნეთის წარჩინებულმა გმირმა ვერ შეძლო. მეფე ენომაოსს ორაკულმა ოდესღაც უწინასწარმეტყველა: როგორც კი შენს ასულს ჰიპოდამიას გაათხოვებ, დაჯყოვნებლივ მოკვდები.

მეფე მეტად შეაშინა ორაკულის ამ წინასწარმეტყველებამ და ყოველი საშუალებით ცდილობდა მომავალი სასიძოვები ჩამოეშორებინა და ჰიპოდამია არ გაეთხოვებინა.

მეფე ენომაოსი ასეთ პირობას უდებდა მომავალ სასიძოვებს: შევე თავის ქალიშვილს მხოლოდ იმას მიათხოვებდა, ვინც ეტლეზით შეჯიბრებაში მეფეს სძლედა. თუ სასიძო ამას ვერ შეძლებდა, მეფის ბრძანებით იგი სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა-

შეჯიბრებაში მონაწილე სასიძოები ოთხცხენიანი ეტლით უნდა გამოსულიყვნენ დანიშნულ ადგილას.

როგორც კი მსხვერპლის შეწირვას მორჩებოდა, მეფე მეეტლე შირტილის თანხლებით ოთხცხენიანი ეტლით უნდა გამოსულიყო შეჯიბრებისათვის დანიშნულ მოედანზე და გამოსდევებოდა სასიძოს ეტლს.

თუ მეფე ენომაოსი გზაში დაეწეოდა სასიძოს ეტლს, მეეტლე შირტილს სრული უფლება ჰქონდა თავისი ისრით გაეგშირა სასიძო.

მრავალი წარჩინებული გმირი ცდილობდა შეჯიბრებაში გამარჯვებას და მშვენიერი ჰიპოდამიას შერთვას.

სასიძოები დიდის სიამოვნებით თანხმდებოდნენ მოხუცი მეფის მიერ წამოყენებულ პირობებზე იმ იმედით, რომ შეჯიბრებაში გაიმარჯვებდნენ.

სასიძოები განუწყვეტლივ მოდიოდნენ ელიდაში და მეფე ენომაოსს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების ნებართვას სთხოვდნენ

მეფე დიდის თავაზიანობით ეგებებოდა თითოეულ მათგანს და სიამოვნებით უთმობდა ეტლისა და ცხენების მთელ მორთულობას.

სასიძო ამაყად და თავმომწონედ ჯდებოდა საუცხოოდ გამართულ ეტლში და დანიშნულ ადგილისაკენ ცხენებს ელვის სისწრაფით მიაქროლებდა.

მეფე ენომაოსი ჯერ ღმერთებს შესწირავდა მსხვერპლს და შემდეგ ეტლში შებმული თავისი ფეხმალე ცხენებით დაედევნებოდა შეჯიბრებაში მონაწილე სასიძოს.

შეჯიბრება ყოველთვის მეფე ენომაოსის გამარჯვებით თავდებოდა. მეეტლე შირტილი ხელში მაგრად იმარჯვებდა ბასრ ისარს და, დადებული პირობის მიხედვით, თავმომწონე სასიძოს სიცოცხლეს ასალმებდა.

ამრიგად შირტილმა ელიდის მრავალ წარჩინებულ გმირს მოუსპო სიცოცხლე.

მეფე ენომაოსი. ყოველთვის დიდის ალტაცებით ეგებებოდა თავის ასეთ გამარჯვებას, რადგანაც მოხუც მეფეს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ორაკულის საბედისწერო წინასწარმეტყველება.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ პელოპი ელიდაში მივიდა, როგორც კი მშვენიერ ჰიპოდამიას მოჰკრა თვალი, გადაწყვიტა მეფე ენომაოსთან შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება და გამარჯვების შემდეგ მშვენიერი ჰიპოდამიას შერთვა.

პელოპმა, სანამ იგი შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებდა, თავის მფარველ ღმერთს პოსეიდონს ასეთი სიტყვებით მიმართა: „ყოვლად შემძლებელო, ზღვათა და ოკეანეთა მბრძანებელო, დიდო პოსეიდონ ღმერთო! თუ ჩემი მსხვერპლი შენ ოდესმე შეგიწირავს: და ჩემთვის შენი ღვთაებრივი მოწყალება მოგიღია, გთხოვ, მხურვალედ გვედრები მეფე ენომაოსთან შეჯიბრებაში გამარჯვება მარგუნო და მეეტლე მირტილის საბედისწერო ისარი ამაშორო! ყოვლად მოწყალე დიდებულო პოსეიდონ, ქალღმერთს აფროდიტეს გაფიცებ, დამითმე შენი ღვთაებრივი სწრაფი ეტლი და შეჯიბრებაში გამარჯვება მარგუნე!“

პოსეიდონმა შეისმინა პელოპის მხურვალე ვედრება.

თვალუწვდენელ ზღვის სივრცეზე აბობოქრდნენ ტალღები. ზღვის ნაპირას უკვე ისმოდა ცხენების ფეხთა ხმაური და ჰიხინი.

უეტრივ ზღვის ნაპირს მოადგა ოქროს ეტლი, რომელშიაც შებმული იყო ოთხი ფეხმალი, ფაფარაყრილი ცხენი.

გახარებული პელოპი მარდად ჩაჯდა ეტლში და ელვის სისწრაფით გაქროლა შეჯიბრების ადგილისაკენ.

მეფე ენომაოსი პოსეიდონის ოქროს ეტლის დანახვაზე ერთიანად შეშფოთდა და მეტის შიშისაგან თავზარი დაეცა.

მართალია, ენომაოსმა პოსეიდონის ეტლის ძლევა მოსილება კარგად იცოდა, მაგრამ სასიძოვებთან დადებული პირობების ჩაშლა და უარყოფა მიუღებლად მიიჩნია.

მოხუცმა მეფემ თანხმობა გამოუცხადა ძლევა მოსილ გმირს პელოპს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

მცირედი დახანების შემდეგ პელოპი თავმომწონედ ჩაჯდა ოქროს ეტლში და შეჯიბრების ადგილისაკენ გაქროლა.

დაიწყო საბედისწერო შეჯიბრება. პელოპის ეტლი ჩიტივით მიფრინავდა გაშლილ მოედანზე და ის იყო კიდევაც გამარჯვებით უნდა მიედწია დანიშნულ ადგილას.

მაგრამ პელოპს უეცრივ შემოესმა უკანიდან ეტლის ხმაური.

შეშინებულმა პელოპმა უკან მოიხედა და გარკვევით შეამჩნია, რომ მიეტლემ მირტილი ხელში ბასრ ისარს იმარჯვებდა და ის იყო უნდა ეტყორცნა.

მაგრამ პელოპის სასიხარულოდ მირტილმა პოსეიდონ ღმერთის განკარგულებით მეფე ენომაოსის ეტლი ქვეს დააჯახა, და ეტლი სულ ერთიანად ნაკუწ-ნაკუწად იქცა.

მეფე ენომაოსი ეტლიდან ჩამოვარდა და საბრალომ მყისვე განუტევა სული.

სწორედ ამ დროს მეხმა საშინლად იგრილა და მეფე ენომაოსის სასახლეში ცეცხლის ალი დაატრიალა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული პელოპი ელვის სისწრაფით გაეჭანა მეფის სასახლისაკენ და თავისი საყვარელი ჰიპოდამია უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.

ძლევა მოსიღმა პელოპმა სულ მოკლე ხანში შეირთო მმეგნიერი ჰიპოდამია და ბრწყინვალე ქორწილი გააჩაღა, რომელზედაც მოწვეული ჰყავდა მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი.

მეფე ენომაოსთან შეჯიბრებაში გამარჯვებამ პელოპს დიდი სახელი მოუხვეჭა.

ელიდის მოსახლეობამ ძლევა მოსილი გმირი მეფედ აირჩია და მის სახელს ყველგან და მარადის დიდის პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებდა.

ხალხის ასეთი ნდობითა და სიყვარულით გამხნეებული მეფე დღედაღამ განუწყვეტლივ შრომობდა, რომ სახელმწიფოს მკვიდრთა კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა და სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინა.

პელოპმა თავის სახელმწიფოს შემოუერთა ოლიმპია, საცა მოიწყო ეგრეთწოდებული „ოლიმპიის გასართობები“, რომელთა გარშემო იკრიბებოდნენ ძველი ელადის სხვადასხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მკვიდრნი და ერთი-მეორეს მტკიცედ უკავშირდებოდნენ.

მიეტლემ მირტილს, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია პელოპს შეჯიბრების დროს, მეფემ თავისი სახელმწიფოს ნახევრის დათმობა აღუთქვა საჩუქრად.

მაგრამ, სამწუხაროდ, მეფემ ეს დაპირება არ შეასრულა, რის გამოც მირტილმა პელოპი და მთელი მისი შთამომავლობა სამუდამოდ დაწყევლა და შეაჩვენა,

მირტილის ეს წყევლა-კრულვა მეფე პელოპს მუდამ სდევნიდა და მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას წარუშლელ ლაქას სდებდა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, სახელმწიფოს მკვიდრნი მაინც დიდ ნდობას უცხადებდნენ თავის საყვარელ გმირს და მის დაუფიწყარ სახელს შარავანდის სხივებით მოსავედნენ.

ჰ ე რ კ უ ლ ე ს ი

ჰირინის მეფის აღკვას შვილმა და საბერძნეთის გამოჩენილი გმირის პერსევის შვილიშვილმა ამფიტრიონმა შემთხვევით მოკლა თავისი საკუთარი ბიძა ელექტრიონი.

სახელმწიფოს მკვიდრნი მეტად ააღელვა საყვარელი მეფის მოულოდნელმა მკვლელობამ და ამფიტრიონსა და მის სახლობას ამოჟლეტას ემუქრებოდნენ.

ამფიტრიონი და მისი მეუღლე, მოკლული მეფის ელექტრიონის მშვენიერი აღკმენა, იძულებულნი შეიქნენ ქალაქ თებეს გადასახლებულიყვნენ და ამ უცხო ადგილას მოეწყოთ თავისი მოშავალი ცხოვრება.

აღკმენას სიმშვენიერეს თვით ყოვლად შემძლებელი ღმერთებიც კი აღტაცებაში მოჰყავდა.

ოლიმპოს მბრძანებელი ზევსიც კი გულგრილად ვერ უცქეროდა აღკმენას კალმით აუწერელ სილამაზეს და ცდილობდა ამ მშვენიერ არსებას დაახლოვებოდა.

ღმერთების მანამთავარმა თავის მიზანს მიაღწია.

მშვენიერ აღკმენას ზევსისაგან შეეძინა ვაჟიშვილი ჰერკულესი, რომელმაც თავისი გმირობითა და ვაჟკაცობით ძველ საბერძნეთში უპირველესი ადგილი დაიჭირა.

სწორედ იმ დღეს, როცა თებეს მეფის ამფიტრიონის ცოლი აღკმენა მოსალოგინებლად დაწვა, შვილის ნამდვილმა მამამ, ყოვლად შემძლებელმა ზევსმა, ღმერთების თათბირზე კვეხნით გამოაცხადა: ადამიანთა შორის დაიბადება ღმერთების შთამომავალი ბავშვი, რომელიც ყველა თავისი მეზობელი სახელმწიფოს ბატონი შეიქნებაო.

ზევსს, ამ განცხადების დროს, სახეში ჰყავდა პერსეოსის შვილიშვილი ჰერკულესი. მაგრამ ეჭვებით შეპყრობილმა ქალღმერთმა ჰერამ, რომელსაც წინასწარ სძულდა აღკმენას შვილი, თავისი მეუღლის, ზევსის გასანაწყენებლად, რადჯანაც იგი შეუუღლდა მოკვდავ აღკმენას, ცბიერებას მიმართა—არ უნდოდა, რომ აღკმენას შვილს რგებოდა ბატონობა. პერსეოსის მთელ შთამომავლობაზე.

ჰერამ თავისი განზრახვა გულში დამალა და ცბიერად მიმართა ზევსს:

— ოლიმპოს დიდებულო მბრძანებელო! შენ ვერასოდეს ვერ შეასრულებ შენ სიტყვას. მომეცი მტკიცე ფიცი, რომ ვინც პირველი დაიბადება დღეს პერსეოსის შთამომავლობაში, ის იქნება ყველას ბატონი.

ზევისი მოტყუვდა, ვერ მიხვდა ჰერას ცბიერებას, მისი გონება დროებით შეიპყრო სიცრუის ქალღმერთმა ატამ და ჰერას მტკიცე ფიცი მისცა. ჰერა მსწრაფლ მოშორდა ოლიმპოს მწვერვალს და ეტლით გაეშურა არგოსზე. იქ მან დააჩქარა პერსეოსის ვაჟიშვილის სთენელოსის მეუღლის მშობიარობა.

სანამ ჰერკულესი დაიბადებოდა, სთენელოსს, მიეცა ვაჟი, რომელსაც ევრისტენე დაარქვეს.

ამგვარად, ზევსის წინასწარმეტყველება მისდაუნებურად უნდა ასრულებულიყო ევრისტენეზე, და არა ჰერკულესზე.

დამწუხრდა დიდებულნი ზევსი, მხოლოდ ახლა მიხვდა ჰერას ცბიერებას, განრისხდა სიცრუის ქალღმერთ ატაზე, ოლიმპოს მწვერვალიდან ძირს გადმოაგდო და მასაქეთ სიცრუის ქალღმერთი ატა დედამიწაზე ცხოვრობს. ზევსმა, რომ შემოსუბუქებინა თავისი ვაჟის ჰერკულესის ბედი, თავის საყვარელ ქალს ათენა პალადას უბრძანა დახმარება გაეწია ალკმენას ვაჟისათვის.

ქალღმერთი ჰერა ჰერკულესს დაბადების დღიდანვე სდევნიდა და საბედისწერო მომავალს უმზადებდა.

ჰერკულესს ჯერ კიდევ აკენიდან ფეხი არ გადმოედვა, როცა ჩვილი ყრმის დასაძინებელ ოთახში შურისძიებით აღვისილმა ქალღმერთმა ჰერამ ორი უზარმაზარი გველი შეგზავნა ახლადდაბადებული ჰერკულესის დასალუპავად.

სანამ ალკმენასა და ბავშვის გამძლეებს ეძინათ, ზარდამცემი გველები ჩვილ ყმაწვილს ყელზე მაგრიდ შემოეხევივნენ და ის იყო უნდა დაეხრჩოთ.

ბავშვმა ტირილით გამოილიძა, პატარა ხელები გველებს მძლავრად ჩაჰკიდა და ორივე იქვე წაახრჩო.

ბავშვის საოცარი ტირილით შეშინებული ალკმენა ელვის სისწრაფით გაჩნდა შეილის საწოლ ოთახში. ამფიტრიონიც ხმალამოღებული შეიჭრა ბავშვის ოთახში და შემფოთებული, გონებადაკარგული განცვიფრებით დასცქეროდა ყმაწვილის აკვანს.

ამფიტრიონმა დაუყოვნებლივ მოიწვია მთელ საბერძნეთში სახელგანთქმული, შესანიშნავი გულთამხილავი ტირესიასი, რომელსაც უამბო თავისი ჩვილი ყრმის წინაღამინდელი საგმირო საქმის ამბავი.

ყოვლად გაბრძნობილმა გულთამბილავმა მოხუცმა ამფიტრიონს ასე უწინასწარმეტყველა: „შენი შვილი მთელ დედამიწას შემოივლის, მრავალ გაქირვებას და განსაცდელს გამოივლის, ხალხის ყველა მტერსა და დამჩაგვრელს მედგრად შეებრძოლება, ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევს და ყველგან ძლევამოსილ გამარჯვებას მოიპოვებს. ყმაწველი თავისი ნაყოფიერი მოლუაწეობით უკვდავების სახელს დაიმსახურებს. მადლიერი ერი თავის საყვარელ და სასიქადლო გმირს ყოვლად შემძლებელი ღმერთების დარად მოიხსენიებს და მის დაუციწყარ სახელს შარავანდის სხივებით შემოსავს“.

ამ წინასწარმეტყველებამ დიდად გაახარა ამფიტრიონი და მან გადაწყვიტა შვილისათვის ღირსეული სწავლა-აღზრდა მიეცა.

ახალგაზრდა ჰერკულესს გარს შემოერთყნენ სახელმწიფოს წარჩინებული მასწავლებელ-აღმზრდელები, რომლებიც თავის შრომასა და ენერჯიას არა ზოგავდნენ, რომ ახალგაზრდა ყმაწვილს ზედმიწევნით შეეთვისებინა თანამედროვე სწავლა-განათლების მიღწევანი და შეძენილი ცოდნა მომავალი ცხოვრების სარბიელზე წარმატებით გამოეყენებინა.

სპეციალურად მომზადებული და დახელოვებული ხელმძღვანელები ბეჯით ახალგაზრდას უხსნიდნენ და ასწავლიდნენ ცხოვრებაში გამოსადეგ დისციპლინებს: თვითონ ამფიტრიონი—ეტლებისა და მიმოსვლის სხვა საშუალებათა ხელოვნებას, ევრიტი—შშილდ-ისრის სროლასა და გამოყენებას, ჰარპალაკი—ბრძოლის ხერხებს, კენტავრი ხირონი—სამკურნალო ბალახების კრეფასა და ვარსკვლავებზე დაკვირვებით ადამიანის მომავალი ბედის გამოცნობას, კასტორი—მძიმე იარაღის გამოყენებასა და ხმარებას, ლინი კი—მეცნიერების სხვადასხვა დარგს და ციტრაზე დაკვრას.

შრომის დიდად მოყვარულმა ჰერკულესმა საუცხოო ნიჭი გამოიჩინა, რასაც კი ბეჯით ყმაწვილს მასწავლებლები ასწავლიდნენ, სწრაფად და შეგნებით ითვისებდა. ბუნებით წყნარი და კეთილი ხასიათის ჰერკულესი ყოველგვარ უსამართლობას, დაუმსახურებელ სისასტიკეს სდევნიდა და ყოველთვის აშკარად, მოურიდებლად წინააღმდეგობას უწევდა.

ერთხელ, როცა მუდამ დაღვრემილი მოხუცი ლინი ყმაწვილს უმართებულოდ შეეხო ხელით, ჰერკულესი კოცონივით აენტო და ციტრა თავის მასწავლებელს ისეთის ძლიერებით სთხლიშა პირისახეში, რომ საბრალო მოხუცი სიცოცხლეს გამოასალმა.

ჰერკულესი თავისი მასწავლებლის მკვლევლობისათვის პახუხისგებაში მისცეს, მაგრამ მოსამართლეებმა მრავალი „საპატიო“ მიზეზი

მიიღეს მხედველობაში, და კაბუკი, რომელიც ჯერ კიდევ ცხოვრების სარბიელზე არ იყო გამოსული, სასჯელისაგან სრულად გაათავისუფლეს.

ჰერკულესს რომ კიდევ უფრო სამძიმო დანაშაული არ ჩაედინა, ამფიტრიონმა კაბუკი მთებში მწყემსებთან გაგზავნა თავისი უთვალავი ჯოგების ყურის საადებლად.

მთებში ჰერკულესი დავაჟკაცდა, გაიზარდა და ძალითა და ახოვანებით მეტოქეობას ვერცერთი მოკვდავი ვერ უწევდა. საშინელი ძალის გამოცხატველი პირისახე, განიერი და მაგარი მკერდი, ხელებისა და თქოების საშინელი სიდიდე, სქელი წვერულვაში, ცეცხლივით ანთებული დიდრონი თვალები ნათლად მოწმობდნენ ჰერკულესის ღვთაებრივ ჩამომავლობას და ბრწყინვალე შუქით მოსაგდნენ მის გმირულ შეხედულებას, მისი სახის გამომეტყველებას.

ერთხელ ჰერკულესი, როცა ნახირს აძოვებდა მთებში, მწყემსებს ჩამოშორდა და ფიქრებში გართული თავისი მომავალი ცხოვრების გზებს ითვალისწინებდა.

ამ ფიქრებში გართულს უეცრივ თვალწინ წარმოუდგა გზა-ჯვარედინზე ორი ქალი.

ერთი მათგანი, ხორციელობის გამომხატველი, მომჯადოებელი თვალებისა და გულისწარმტაცი ღიმილის პატრონი, მიუახლოვდა ჰერკულესს და სრულიად მოურიდებლად და გაბედულად მიმართა შემდეგი სიტყვებით: „დიდებულო გმირო. კეთილი იყოს ჩენი პირველი შეხვედრა! ძლევა მოსილო და ყოვლად გაბრძნობილო ჰერკულესს, მე როგორც ვაძჩნევ, ჯერ კიდევ არ აგირჩევია შენი ნამდვილი გზა და მომავალი სამოღვაწეო ასპარეზი! თუ შენი სურვილიც იქნება, მე გთხოვ გამხადო შენი ცხოვრების თანაზიარი და მეგობრული კავშირით დაახლოვებული თანამავალი. იცოდე, დიდებულო გმირო, რომ ცხოვრებაში ყოველგვარ სიკეთესა და სინარულს შოგანიკებ! გახსოვდეს, რომ ცხოვრების ყოველდღიურ სიძნელეთა გადასალახავად ზრუნვა არასოდეს არ დაგკირდება! ყველაფერი მზამზარეულად მოგეცემა! ნუ შეგეშინდება, არაფრით არ შეგაწუხებ! შენ შეგიძლია განცხრომით, სრულიად უდარდელად იცხოვროს ხვისი შრომის ნაყოფითა და ნაოფლარით“.

ჰერკულესი ამ მომხიბვლელი სიტყვების მოსმენის შემდეგ თავაზიანად შეეკითხა უცნობ ქალს: „ქალო, ვინა ხარ, რა გქვია, ამდენ სახარბიელო დაპირებებს რომ მაძლევ?“

— ჩემი მეგობრები, — უპასუხა უცნობმა ქალმა, — მე ნეტარებას, ფუფუნებას, განცხრომას მეძახიან!“

მეორე უცნობი ქალის კეთილშობილური უმანკო პირისახე, მოხდენილი ტანადობა, თოვლივით თეთრი ტანსაცმელი, გონიერ თვალები, თავმდაბალი შეხედულება და კეთილშობილური მიხერამოხვრა უნებლიედ ყურადღებას იქცევდა და დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ეს მეორე უცნობი ქალიც მიუახლოვდა ჰერკულესს და დიდის მოკრძალებითა და თავაზიანობით მოახსენა: „აი, დიდებულო ჰერკულესს, მეც შენთან მოვედი! ჩემი მეგობრები ზნეობას, სათნოებას მეძახიან. დიდებულო გმირო, მე შენც კარგად გიცნობ და შენს მშობლებსაც. თუ ჩემ რჩევას დაიჯერებ და ცხოვრების სარბიელზე ჩემგან ნაჩვენებ გზას აირჩევ, იცოდე, კეთილ ცხოვრებას მიაღწევ და მუდამ ბედნიერი იქნები. ყოველივე იმის მოპოვება, რაც კი ამ ქვეყნად კარგი და სასარგებლოა, მხოლოდ შრომითა და ოფლით შეუძლია ადამიანს. თუ კეთილი და პატიოსანი ცხოვრება გასურს, ყოვლად შემძლებელ ღმერთებს პატივი უნდა სცე, და დარწმუნებული იყავი, რომ ისინი მოწყალებას არ მოგაკლებენ. ეცადე სარგებლობა მოუტანო შენს მეგობარს, ამხანაგს, თუ გასურს მათის მხრით სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო. აუცილებლად საჭიროა ხალხში და ხალხისათვის თავდადებული შრომა, თუ გასურს ხალხის გულში სამარადისო ძეგლი დაიდგა. კარგად უნდა გახსოვდეს, რომ რასაც დასთეს, იმას მოიმკი. თუ გასურს მტერს შეებრძოლო, ბრძოლის წესები უნდა შეისწავლო და მოხერხებულ დროს სავსებით გამოიყენო. ჯანითა და ღონით თუ გასურს ძლიერება მოიპოვო, გახუწყვეტლივ უნდა იშრომო და იშრომო. შრომა პატიოსანი, შრომა თავდადებული,—აი ის მძლავრი იარაღი, რომელიც მთელი ქვეყნიერების მამოძრავებელი ძალაა, რომლის შემწეობით მთელი კაცობრიობა, განურჩევლად წოდებისა, ლამაზსა და ბედნიერ ცხოვრებას მოიპოვებს“.

ამ სიტყვების შემდეგ ორივე უცნობი ქალი სადღაც გაქრა.

ჰერკულესმა თავისი მომავალი ცხოვრების სარბიელზე ის გზა აირჩია, რომელიც სათნოებამ საუკეთესო გზად დაუსახა, და სახელოვან გმირს თავისი მოღვაწეობის დროს ამ გზიდან ერთხელაც არ გადაუხვევია.

სწორედ იმ ხანებში მთელი საბერძნეთი გაუვალი ტყეებითა და ქაობებით იყო დაფარული. ლომები, ვეფხვები, გარეული ლორები და სხვა ცხოველები ირეოდნენ ამ ქაობიან ადგილებში. ულრან ტყეებს თავს აფარებდნენ ავაზაკები, რომლებიც მშვიდობიან ხალხს არბევდნენ და ანადგურებდნენ.

საბერძნეთის ხალხისათვის თავდადებული გმირები ცდილობდნენ დაეხსნათ სამშობლო მხარე ამ საშინელი უბედურებისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ახერხებდნენ და ყოველივე მათი ცდა მუდამ უნაყოფოდ რჩებოდა.

ჰერკულესს, როცა იგი მთებიდან შინ ბრუნდებოდა, გზაში შემოხვდნენ ორხომენის მეფის ერგინის მიერ გამოგზავნილი დესპანები, რომელთაც ქალაქ თებეს მკვიდრთა შორის უმართებულოდ დადებული ხარკი უნდა მოეკრიფათ.

ჰერკულესი მამაცურად გამოესარჩლა უკანონოდ და უმართებულოდ დასჯილ ხალხს.

ძღვეამოსილმა ერთის შეტევით შეაჩერა გზაში დესპანები, ხელ-ფეხი მაგრად შეუთოკა და ორხომენშივე დააბრუნა.

მეფე ერგინმა დიდ შეურაცხყოფად მიიჩნია დესპანების ორხომენში ასე სამარცხვინოდ დაბრუნება და დაუყოვნებლივ მოსთხოვა თებეს მეფე კრეონს ჰერკულესის ორხომენში გაგზავნა სასტიკი სასჯელის მოსახდელად.

თუ მეფე კრეონი ამ მოთხოვნას დაუყოვნებლივ არ შეასრულებდა, განრისხებული ერგინი კოორინთელებს ომის გამოცხადებას ემუქრებოდა.

შეშინებული კრეონი იძულებული იყო თანხმობა გამოეცხადებინა მეფე ერგინის მოთხოვნაზე.

მეფე ერგინის მრისხანე მუქარამ სრულიადაც არ შეაშინა ელინთა უკვე სახელგანთქმული გმირი.

ძღვეამოსილმა ჭაბუკმა გარს შემოიკრიბა საბერძნეთის საუკეთესო სარდლები და მეომრები და საერთო სამხედრო თათბირზე ერთხმად გადაწყვიტეს მეფე ერგინის წინააღმდეგ გალაშქრება.

სამწუხაროდ, ელინთა ძღვეამოსილმა მხედრობამ მთელ სახელმწიფოში ვერ მოაგროვა საკმაო რაოდენობის საბრძოლო იარაღი, რადგან ორხომენის ცბიერ მეომრებს სახელმწიფოს იარაღის საწყობებიდან ფარულად გაეტაცათ ყველა საბრძოლველი იარაღი.

ამიტომ ძღვეამოსილმა საბერძნეთის მეომრებმა, სახელოვანი წინამძღოლის ჰერკულესის ბრძანებით, ქალღმერთის ათენას ტაძრიდან გამოიტანეს ის იარაღი, რომელსაც ხალხი ღმერთებს სწირავდა მრავალი წლის განმავლობაში.

ჰერკულესმა მძიმედ შეიარაღებული ელინთა მხედრობა მეფე ერგინის შესახვედრად ჩაასაფრა ვიწრო გზის ორსავე მხარეს იმ დღით, რომ მტრის ურიცხვი ჯარი ვერ მოახერხებდა რაზმების

ფართოდ გაშლას და საბერძნეთის მცირერიცხოვან მხედრობას სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

მართლაც ასე მოხდა. ორი მოწინააღმდეგე მხედრობა სამკედრო-სასიცოცხლოდ ეკვეთა ერთი-მეორეს. ელინთა ძლევამოსილი მეომრები ვეფხვის სისწრაფით თავს ესხმოდნენ ვიწრო გასაველელში მომწყვდეულ მტრის უთვალავ ჯარს და დაუნდობლად, შეუბრალებლად ასალმებდნენ სიცოცხლეს თითოეულ მეომარს. დახოცილთა გვამები სისხლის მორევში ცურავდა. დაქრილთა კენესა და გმინვა ირგვლივ ყველაფერს აყრუებდა.

ძლევამოსილი ჰერკულესის მხედრობას იერიში იერაშზე მიჰქონდა და გმირულად ეკვეთებოდა მტრის უკვე შემფოთვბულ და გამარჯვების იმედის დამქარგველ რაზმებს.

ერგინი და მისი უთვალავი მხედრობა სამარცხვინოდ დაძარცხდნენ, დაიღუპნენ ამ სასტიკი ბრძოლის დროს.

ელინთა მხედრობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ძლევამოსილი ჰერკულესი ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თავისი ძლევამოსილი მხედრობით დაუყოვნებლივ შეიჭრა ორხომენში, მეფე ერგინის სასახლე მთლიანად დაანგრია და თვით სატახტო ქალაქი ორხომენი მიწასთან გაასწორა.

სახელმწიფოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველანი დიდ ალტაცებას გამოთქვამდნენ და საბერძნეთის სახელოვან გმირს მეფე ერგინზე ბრწყინვალე გამარჯვებას დიდის სიხარულითა და ერთსულოვნებით ულოცავდნენ.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, მადლიერმა მეფე კრეონმა სახელოვან ძლევამოსილ გმირს ჰერკულესს მიათხოვა თავისი ერთადერთი ქალიშვილი მელაგრა, რომლისაგანაც მთელი საბერძნეთის ამ უდიდეს გმირს სამი შვილი მიეცა.

მეფე კრეონის მიერ გამართულ ბრწყინვალე ქორწილზე დაესწრნენ ოლიმპოს მბრძანებელი ღმერთები, რომლებმაც უხვად დააჯილდოვეს საბერძნეთის უდიდესი გმირთა-გმირი. ჰერმესმა აჩუქა ახლადდაქორწინებულ ჰერკულესს თავისი შესანიშნავი ხმალი, აპოლონ ღმერთმა—მშვილდ-ისარი, ჰეფესტმა—მის მიერ გაქედილი საუცხოო ჯავშანი და ქალღმერთმა ათენამ—სამხედრო იარაღი.

ჰერკულესი, როგორც შემდგომ დაბადებულნი, უნდა დამორჩილებოდა ევრისტენეს. მეფე სთენელოსის გარდაცვალების შემდეგ ევრისტენემ ხელში ჩაიგდო მიკენის სამეფო ტახტი და აძრიგად მთელი არგოლიდის მბრძანებლად გამოაცხადა თავისი თავი. საბერძნეთის უკვე სახელოვანი გმირი ჰერკულესი უხმოდ სიკლავდა

გულში მწუხარებას და უგულოდ, უხალისოდ ასრულებდა მიკენის შეფის დავალებებს.

ჰერკულესის სახელი და დიდება მოსვენებას არ აძლევდა ევრისტენეს. მეფე იქვიანობდა, რომ ჰერკულესი დღეს თუ ხვალ სამეფო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლას გამოუტხადებდა და ამიტომ ჰერკულესს მრავალი სიმძიმო საქმის ასრულებას ავალებდა სრულის იმედით, რომ ელინთა გმირი ამ სიმძიმო საქმეების შესრულებას ვერ შესძლებს და აუცილებლად დაიღუპებაო.

ჰერკულესი ევრისტენეს მიერ დავალებელ საქმეებს უგულოდ, უხალისოდ ასრულებდა, თავმომწონე გმირს თავისი თავი შეურაცხყოფილად, დამცირებულად მიაჩნდა.

მაგრამ, ყოვლად შემძლებელი ზევსის ბრძანებით, ელინთა გმირი თავის მწუხარებასა და გულისტკივილს უხმოდ იკლავდა გულში და დიდის მოთმინებით იტანდა თავის დამცირებასა და ასეთ დამოკიდებულ მდგომარეობას.

დეღეს მისანმა უწინასწარმეტყველა ჰერკულესს: შენ მხოლოდ მაშინ დააღწევ თავს აწინდელ შეურაცხყოფასა და დამცირებას, როცა ევრისტენეს დავალებით თორმეტ საგმირო საქმეს შეასრულებო. ამ დავალებათა შესრულების შემდეგ უკვდავებას დაიძახებ, მთელი საბერძნეთის მკვიდრი და მისი მომავალი თაობა ღირსეულად დააფასებს თავისი საყვარელი გმირის უდიდეს ღვაწლს და შენს სახელსა და ხსოვნას მადლიერი ხალხი გულში სამარადისოდ აღიბეჭდავსო.

ჰერკულესის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გულთმინის ეს წინასწარმეტყველება მოისმინა. შურისმაძიებელმა ქალღმერთმა ჰერამ სასიქადულო გმირს მწუხარება გაუორკეცა, ძღვევამოსილი ჰერკულესი ქუთაზე შეცდა, საბრალომ გონება დაკარგა.

გონებადაკარგულმა ჰერკულესმა უმაღლეს წერტილამდე განვითარებული შესლილობის დროს თავისი მძლავრი ხელებით სიცოცხლეს გამოასალმა საყვარელი შვილები.

დიდმა დრომ განვლო, სანამ მრავლად ტანჯული გმირი ამ საშინელი ავადმყოფობისაგან განიკურნებოდა.

როცა ჰერკულესს მწუხარება შეუწებდა და სალი გონება დაუბრუნდა, მან გადაწყვიტა ევრისტენეს დაწორჩილებოდა და მისი დავალებანი სავსებით შეესრულებინა.

აი ის თორმეტი საგმირო საქმე, რომელნიც ევრისტენეს დავალებით ჰერკულესმა სახელოვნად შეასრულა.

ტირის მთაგრეხილებზე გამოკვეთილ გამოქვაბულში ბუნაგი ჰქონდა გამართული უზარმაზარ ლომს, რომელიც კლეონისა და ნემის ბარის მცხოვრებლებს შიშის ზარსა ჰკვირიდა, ყველაფერს იკლებდა და ანადგურებდა. ამ საშინელი ნადირის თავიდან მოშორებას მცხოვრებლები ვერ ახერხებდნენ, ამ საშინელ მხეცს ადამიანის იარაღი ვერ სწევდებოდა. თავგასული ნადირი დაუსჯელად თარეშობდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის და ყველაფერს შეუბრალებლად აწიოკებდა და ანადგურებდა.

ყველანი შიშით ძრწოდნენ და ფეხაკრფით გაუბრუნდნენ იმ ადგილს, საცა ამ საშინელი ნადირის თარეში მოსალოდნელი იყო. საღამოს ჟამი იქნებოდა, როცა ძლევეამოსილი ჰერკულესი მიუახლოვდა იმ ადგილს, საცა ლომს ბუნაგი ჰქონდა გამართული.

ლომი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყო ნადირობიდან.

ძლევეამოსილი გმირი გამოქვაბულის მახლობლად ხის ქვეშ ჩამოჯდა და ნადირს ლოდინი დაუწყაო.

ჰერკულესს ლოდინი დიდხანს არ მოუხდა. ლომი დაღამებისას გამოქვაბულში დაბრუნდა.

ნადირის გასისხლიანებული ტუჩები და მთელი ტანი აშკარად მოწმობდა ამ საშინელი მხეცის კლანჭების ძლიერებას.

ლომმა ცეცხლივით ანთებული თვალები ბუნაგს შეანათა და ის იყო გამოქვაბულში უნდა შესულიყო მოსასვენებლად.

ჰერკულესმა ხელში მაგრად მოიმარჯვა აღმასივით მჭრელი ისარი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სტყორცნა სისხლით მოთხუპნულ ნადირს.

მაგრად ნატყორცნი ისარი ნადირის ჯაგარივით სქელ ტყავსა და ბეწვში გაეხირა და ხორცამდე ვერ მიატანა.

ძლევეამოსილი გმირი არ შეუშინდა ამ მარცხს. ჰერკულესმა კიდევ უფრო მეტის ძლიერებით სტყორცნა ისარი. სამწუხაროდ, ვერც ამ ისრის ძლიერებამ მიაღწია სასურველ შედეგს.

შეუდრეკელი ლომი ქედს არ იხრიდა, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

ჰერკულესი ის იყო მესამედ უმიზნებდა ისარს, როცა საშინელმა ნადირმა უეცრივ თვალი მოჰკრა მახლობლად მდგომ ძლევეამოსილ ჰერკულესს.

უშიშარი გმირის დანახვაზე ლომი ერთბაშად მოწყდა ადგილიდან და ელვის სისწრაფით მტერს თავს დაესხა.

მაგრამ ძლევამოსილმა გმირმა სასწრაფოდ მოიშველია თავისი უზარმაზარი კომბალი და ისეთის ძლიერებით დაჰკრა, რომ ლომი ერთიანად დარეტიანდა და მოსხლეტილი დაეცა მიწაზე.

სანამ ლომი წაშოდგებოდა, ჰერკულესი სასწრაფოდ მოახტა ნადირს ზურგზე და ყელში ისე მაგრად ჩასქიდა თავისი მძლავრი მკლავები, რომ ლომი დაახრჩო.

ძლევამოსილმა გმირმა დაუყოვნებლივ გაატყავა ლომი, ტყავი მხრებზე მოისხა, ხოლო თავი კი ქუდის ნაცვლად თავზე წამოიდგა და ამრიგად გაემართა მიკენისაკენ.

ლომის გასახსლიანებული ტყავისა და თავის დანახვაზე მეფე ევრისტენეს იმდენად შეეშინდა, რომ შიშით ზარდაცემული რკინის კასრში ჩაძვრა და ჰერკულესს უბრძანა შემდგომ თვალთ არ დანახვებოდა.

ევრისტენე ამიერიდან ყოველგვარ დავალებას ჰერკულესს თავისი კარისკაცების მეშვეობით აძლევდა.

ლიბონის ჰიდრა (მეორე გმრობა)

არგოსის სამხრეთით, ლერნის ქაობიან ადგილებში მძვინვარებდა ცრხრათავიანი ჰიდრა, ანუ გველეშაპი, რომელიც მთელ მიდამოს იკლებდა და ადგილობრივ მოსახლეობას შიშის ზარს ჰკვირდა.

ჰერკულესს, მეფე ევრისტენეს დავალებით, ეს საშინელი ცხოველი უნდა მოეკლა და ამრიგად სახელმწიფოს მშრომელი მოსახლეობა გაეთავისუფლებინა იმ დიდი უბედურებისაგან, რომელიც ყოველდღიურად ემუქრებოდა.

ძლევამოსილმა გმირმა შეაბმევიანა ეტლი და თავისი ძმისწულის იოლაოსის თანხლებით ლერნის ქაობიანი ადგილებისაკენ გაემართა. ამიმონის წყაროების ნაპირებიდან უკვე გამოჩნდა ის გამოქვაბული, რომელშიაც ჰიდრას ბუნავი იყო.

ძლევამოსილმა გმირმა, დაინახა თუ არა შორიდან ბუნავში მოკალათებული ჰიდრა, დაუშინა თავისი მოშხამული ისრები.

მაგრად ნატყორცნმა ისრებმა დაძრა საზარელი ცხოველი თავისი ბუნავიდან.

გველეშაპი საშინელი შხივილით მოხობავდა გამოქვაბულიდან და, ქარიშხლისაგან დამსხვრეულ ხის ტოტებსავით, საზარელ თავებს ერთი-მეორეს ახეთქებდა.

ძლევამოსილი გმირი ელვის სისწრაფით ეკვეთა ხალხის საზარელ მტერს და ზურგზე მაგრად დააქირა ფეხი.

საშინელი ცხოველი თავისი გრძელი კუდით ჰერკულესს რგოლივით შემოერთყა სხეულზე.

ამ დროს საიდანაღაც გაჩნდა ვეებერთელა კიბო, რომელიც თავისი აღმასივით მკრელი მარწუხებით ჰერკულესს წურბელასავეთ ჩაეკლო სხეულში.

ჰერკულესმა თავისი მძლავრი კომბლის დაკვრით ჯერ საზიზლარი კიბო მოჰკლა და შემდეგ კი გველეშაპის საზარელი თავების მოკვეთას შეუდგა.

მაგრამ როგორც კი გმირი ერთ თავს მოჰკვეთდა, გველეშაპს ორი თავი გამოებზოდა.

ჰერკულესმა ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს თავის ძმისწულს მოუწოდა დასახმარებლად.

იოლოსმა სასწრაფოდ წაუკიდა ცეცხლი მაზლობლად მდებარე უღრან ტყეს და ჩირაღდნებით ანთებული ხეების ლეროებით წვაგდა მოკვეთილი თავების ადგილას დარჩენილ გველეშაპის კისრის ძარღვებს.

მცირედი ხნის შემდეგ გველეშაპს შერჩა მხოლოდ ერთი უკვდავი თავი, რომელიც გმირმა დაუყოვნებლივ მოჰკვეთა, იქვე მაზლობლად მიწაში დამარხა და კლდიდან მოხეთქილი უზარმაზარი ლოდი გადააფარა.

ძღვეამოსილმა გმირმა ნაკუწ-ნაკუწად აჭრა გველეშაპი და მის შხამიან ნალველში ამოავლო თავისი შორსსატყორცი ისრები.

ამ მოშხამული ისრებით მთელ საბერძნეთში სახელგანთქმულ ჰერკულესს ხალხის მრავალი მტერი დაუძღვეია და სასიკვდილოდ გაუგმირავს.

ჰიდრაზე ასე ბრწყინვალე გამარჯვებამ საბერძნეთის გმირს დიდი სახელი მოუხვეჭა, ხოლო მეფე ევრისთენე კი შეტად დააღონა და დიდ საგონებელში ჩააგდო.

ქამინებას უზარიზმი (მესამე გმირობა)

არკადიასა და ახაიას შორის მდებარე კერინეას მთის კალთებზე გაშლილ უღრან ტყეებში ლალად ძოვდა სურნელოვან ბალახს ოქროსრქიანი და გვერდებაფერადებული სპილენძისჩლიქებიანი ფურირემი, რომელიც ხშირად ბარად ჩამოდიოდა და მიწის მუშაკთ ღვთის რისხვად ევლინებოდა.

ქალღმერს არტემიდეს იმ ხუთ ფურირემს შორის, რომელნიც მან ერთხელ ტყეში დაიჭირა, ეს ოქროსრქიანი მშვენიერი ფურირემი შეებრალა და თავისუფლება მიანიჭა.

ძღვეამოსილ ჰერკულესს, ევრისთენეს დავალებით, ეს ფურირემი უნდა დაეჭირა და მეფისათვის ცოცხლად მიეგვარა.

ჰერკულესი რამდენიმე წლის განმავლობაში ფეხდაფეხ სდევდა ფურიერებს დასაქერად. მაგრამ ფრთხილი და ფეხმალი ცხოველი ყოველთვის უვნებლად აფარებდა თავს ულრან ტყეებს, და სახელოვანი გმირი მის დაქერას ვერ ახერხებდა.

დიდი ხნის დევნის შემდეგ ჰერკულესმა ქალღმერთის არტემიდეს საძოვარ მთებში მოიმწყვდია ფურიერები გაუვალ ადგილას და ქალღმერთის საყვარელი, თავისუფლად გაშვებული ცხოველი ფეხის გულში დაქრა თავისი შორსსატყორცი ისრით.

ჰერკულესმა მხრებზე შეისვა ცოცხალი ფურიერები და თავ-მომწონედ გაემართა მიკენისაკენ.

გზაში ჰერკულესს შემოხვდა ქალღმერთი არტემიდე, რომელმაც დიდი უკმაყოფილება და გულისწყრომა გამოუცხადა გმირს ფურიერის დაქრისათვის.

ჰერკულესმა თავაზიანად მოახსენა განრისხებულ ქალღმერთს: „დიდად პატივცემულო ქალღმერთო, განა მე იმდენად გავკადნიერდებოდი, რომ შენი ღვთაებრივი რისხვა დამემსახურა! განა მე არ ვიცოდი, რომ კირინეას ფურიერის დაქრა შენში დიდ აღშფოთებას და სამართლიან გულისტკივილს გამოიწვევდა! დარწმუნებული იყავ, დიდად პატივცემულო ქალღმერთო, რომ მე ეს დანაშაული იძულებით ჩავიდინე! ამიტომ გულწრფელად გთხოვ მაპატიო ეს ჩემდა უნებურად ჩადენილი დანაშაული!“

ქალღმერთმა არტემიდემ შეიწყნარა ჰერკულესის გულწრფელი თხოვნა და თავისი გულისწყრომა მოწყალეზად შეცვალა.

გახარებული ჰერკულესი სასწრაფოდ გაემართა მიკენისაკენ და მცირე ხნის მოგზაურობის შემდეგ, დავალების თანახმად, მეფე ევრისტენეს მიჰგვარა კირინეას ცოცხალი ფურიერები.

ერიმანტის ტახი (შეოთხე გმირობა)

ევრისტენეს დავალებით, ჰერკულესს უნდა დაეჭირა და ცოცხლად მიეყვანა მეფისათვის ერიმანტის მთებში მოთარეშე გარეული ტახი, რომელიც უღმობელად ანადგურებდა არკადიის მკვიდრთა მთელ ქონებას.

სანამ ჰერკულესი ერიმანტის მთებს მიაღწევდა, სახელოვანი გმირი ღამის გასათევად მთებში მცხოვრებ კენტავრ ფოლს ესტუმრა.

ჰერკულესის სტუმრობამ დიდად გაახარა კენტავრი ფოლი.

სტუმართმოყვარე მასპინძელმა უხვი სუფრა გაუშალა ჰერკულესს და ნუგბარი საკმელებითა და საუცხოო სასმელით უმასპინძლებოდა საბერძნეთის სახელოვან გმირს.

ფოლთან ერთად გამოქვაბულში ცხოვრობდა კიდევ ოთხი სხვა კენტავრი, რომლებიც ჰერკულესის სტუმრობის დროს შინ არ იმყოფებოდნენ.

დიონისე ღმერთმა ერთხელ კენტავრებს ერთი კასრი საუცხოო სურნელოვანი ღვინო აჩუქა და ეს ღვინო ხელუხლებლად ინახებოდა ფოლთან გამოქვაბულში.

ჰერკულესმა კარგად იცოდა ნაჩუქარი ღვინის მაღალხარისხოვნება და ამიტომ სტუმართმოყვარე ფოლს სთხოვა ეს შარბათივით ტკბილი ღვინოც მოეტანა სუფრაზე.

„დიონისე ღმერთის მიერ ნაჩუქარი კასრი ღვინო კენტავრების საერთო კუთვნილებაა, — ლმობიერად უპასუხა ჰერკულესს ფოლმა. — ამიტომ, თუ დანარჩენი კენტავრებიც ნებას არ დამრთავენ, ვშიშობ დაბეჭდული კასრის თავის მოხსნას.

ჰერკულესმა დამამშვიდებელი კილოთი უპასუხა ფოლს: „ნუ გეშინია, სტუმართმოყვარე მასპინძელო! თუ რაიმე უსიამოვნებას მოგაყენებენ შენი თანამდგმურები, პასუხს მე ვაგებ, საჭირო დახმარებას გაგიწევ! ამიტომ განმეორებით გთხოვ გახსნა დიონისე ღმერთის ნაჩუქარი ღვინით სავსე კასრი და შარბათივით ტკბილი ნექტარი დამალევიო!“

სტუმართმოყვარე ფოლი წინ ვერ აღუდგა ჰერკულესის სურვილს და ღვინით სავსე კასრს საცობი მოხადა.

სურნელოვანი ღვინის სუნმა მოიცვა მთელი გამოქვაბული და მახლობლად მდებარე ადგილები.

უზარმაზარი კომბლებით შეიარაღებული კენტავრები, როგორც კი ეცათ ღვინის დამატობელი სუნი, დაუყოვნებლივ გამოქვაბულში შეიჭრნენ და სტუმარმასპინძელს თავს მედგრად დაესხნენ.

ძღვევამოსილი ჰერკულესი ელვის სისწრაფით წამოიჭრა სუფრიდან და თავისი მოშხამული ისრების მძლავრი ტყორცნით თავებედი კენტავრები სიცოცხლეს გამოასალმა.

ფოლი გაკვირვებით შესცქეროდა ამ საბედისწერო შებრძოლებას და ვერ წარმოედგინა, როგორ მოახერხა ძღვევამოსილმა ჰერკულესმა თავისი პატარა ისრებით უზარმაზარი კენტავრების ასე სასწრაფოდ ამოყლექა.

ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა ფოლმა ერთი ისარი კენტავრის გაცივებული გვამიდან ამოიღო და დაკვირვებით ათვალიერებდა.

უეცრივ ფოლს ისარი ხელიდან გაუსხლტა და ფეხში სადგისივით ჩაესო.

მოზხამულმა ისარმა საბრალო ფოლი მყისვე სიცოცხლეს გამოასალმა.

ჰერკულესი დიდად შეაწუხა ფოლის შემთხვევითმა სიკვდილმა; ძღვევამოსილმა გმირმა დიდის გულისტიკივილთ დაასაფლავა თავისი სტუმართმოყვარე მასპინძელი და ისევ თავის გზას გაუდგა გარეული ტახის საძებნელად.

ჰერკულესმა თოვლით ღრმად დაფარულ ჰერიმანტის ხრიოკ ფერდობებზე მოჰკრა თვალი გარეულ ტახს და მყისვე ქელვის სისწრაფით დაედევნა.

ძღვევამოსილმა გმირმა გარეული ტახი მთის ქრთერთ გაუვალ ნაპრალში მიიმწყვდია და დიდი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ცოცხლად დაიჭირა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გამხნეებულმა ჰერკულესმა მხრებზე წამოიკიდა თოკებით მაგრად შებოჭილი გარეული ტახი და თავმომწონედ გაემართა მიკენისაკენ.

მეფე ავგეასის ბოსლები (მეხუთე გმირობა)

ეპონელების მეფე ავგეასი მთელს ელიდაში დიდად სახელგანთქმული იყო თავისი უთვალავი სიმდიდრით.

მეფის უზარმაზარი ბოსლები და სანახირო ეზოები სავსე იყო საუკეთესო ჯიშის ძროხებითა და ხარებით.

მთელი ათეული წლების განმავლობაში ბოსლებში დაგროვილი ნახირის პატივი საოცარ სანახაობას წარმოადგენდა.

ამ ბოსლებისა და სანახირო ეზოს გასუფთავება ადამიანის ძალღონეს აღემატებოდა.

მეფე ევრისტენეს დავალებით, ჰერკულესს უნდა გაესუფთავებინა ავგეასის ბოსლები მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი პატივისაგან.

ძღვევამოსილმა გმირმა მიმართა მეფე ავგეასს და აღუთქვა ერთი დღის განმავლობაში გავასუფთავებ ბოსლებს და ყველაფერს წესრიგში მოვიყვანო.

როცა მეფე ავგეასმა ჰერკულესის ეს გაბედული წინადადება მოისმინა, სიცილით უპასუხა თავმომწონე გმირს: „თუ მართლაც შენ ერთი დღის განმავლობაში გაასუფთავებ ჩემ ბოსლებს, ჩემი სამიათასი საუცხოო ხარის მეათედ ნაწილს საჩუქრად მიიღებ“.

მეფე ავგეასი დარწმუნებული იყო, რომ ჰერკულესი ამ სამძიმო საქმის შესრულებას ვერ შეძლებდა.

საბერძნეთის ოლევამოსილი გმირი არ შეუშინდა საქმის სიძნელეს და თავისი დაპირების შესრულების თადარიგს შეუდგა.

ჰერკულესმა დაუყოვნებლივ გაანგრია სანახირო ეზოს უზარმაზარი ქვის კედლები და შიგ მახლობელი მდინარეების, ალფეასა და პენეის, კალაპოტები გადმოიყვანა.

მდინარეების აზვირთებული წყლები ფართოდ გაიშალნენ სანახირო ეზოში და მრისხანედ შეიქრნენ აეგეასის ბოსლებში.

მდინარეების მოვარდნილი ზვირთები მთელი დღის განმავლობაში დანაეარდობდნენ ბოსლებში და ელვის სისწრაფით გამოქონდათ წლობით ბოსლებში დაგროვილი პატივი.

სალამოს ეამს, როცა ძღვევამოსილმა გმირმა ბოსლები მთლიანად გაასუფთავა, ორივე მდინარეძველ კალაპოტებში ჩააყენა.

ასე მოხერხებულად შეასრულა ჰერკულესმა მეფე ევრისთენეს სამძიმო დავალება და ამით კიდევ უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა მთელ საბერძნეთში.

სტიმფალიის ფრინველები (მეექვსე გმირობა)

მეფე ევრისთენეს დაჯალებით, ჰერკულესს სახელმწიფოს საზღვრებიდან უნდა განედევნა ეგრეთწოდებული სტიმფალიდები.

არკადიაში, სტიმფალიდის ტბის ნაპირების მაზლობლად, ბუდობდნენ ვეებერთელა ფრინველები, რომელთაც სპილენძის ფრთები, კლანჭები და ნისკარტები ჰქონდათ.

ეს მტაცებელი ფრინველები თავს ესხმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, თავისი სპილენძის ფრთებითა და ნისკარტებით ყველაფერს ამსხვრევდნენ, ანადგურებდნენ და ამრიგად ხელიდან აცილებდნენ მშრომელებს ოფლით მოპოებულ ჩონებას.

ჰერკულესმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს საშინელი ფრინველები სახელმწიფოს საზღვრებიდან განედევნა.

როცა გმირი ტბის ნაპირებს მიუახლოვდა, დანახა მთელი გუნდი სტიმფალიდებისა, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ ტბის მაზლობლად მდებარე ადგილებს და ჩვეულებრივი თავდასხმისათვის ემზადებოდნენ.

ჰერკულესმა არ იცოდა, რა გზით მისდგომოდა ამ საზარელ ფრინველებს და ერთხანად ფიქრებში გართული ფრინველების მტაცებელ გუნდს დაკვირვებით უთვალთვალებდა.

უეცრივ ძლევამოსილ გმირს გამოეცხადა ქალღმერთი ათინა, რომელმაც ჰერკულესს გადასცა ფრინველების საფრთხობელი ოროსპილენძის ქლარუნა.

ქალღმერთის რჩევით, ძლევამოსილმა გმირმა ქლარუნების ერთი-მეორეზე მძლავრი ცემით საშინელი განგაში ატეხა.

ქლარუნების ძლიერმა ხმაურმა დააფთხო საზიზღარი ფრინველები, რომლებმაც დაუყოვნებლივ დატოვეს სტიმფალის ტბების ნაპირები და გუნდ-გუნდად შორეული მთების მიმართულებით ბაწარივით გაეკრნენ.

ძლევამოსილი გმირი ელვის სისწრაფით გამოუდგა მთებისაკენ მიმდრინავ სტიმფალიდების გუნდებს და ისრების მძლავრი ტყორცნით შეუბრალებლად ანადგურებდა ჰაერში ბაწარივით გამბულ საზიზღარი ფრინველების გუნდებს.

მტაცებელ ფრინველთა იმ მცირე გუნდებმა, რომლებიც ცოცხალი გადურჩნენ ჰერკულესის საბედისწერო ისრების ტყორცნას, სამუდამოდ დატოვეს საბერძნეთის საზღვრები და ამრიგად გაათავისუფლეს მწრომელი მოსახლეობა ყოველდღიური თავზარდამცემი უბედურებისაგან.

კრმთის ხარი (მეშვიდე გმირობა)

პოსეიდონ ღმერთმა კუნძულ კრეტის მეფეს მინოსს თავისი საყვარელი ხარი აჩუქა და ამასთანავე სურვილი გამოთქვა, რომ მეფეს ეს საუცხოო ხარი მისთვისვე მსხვერპლად შეეწირა.

მეფე მინოსმა არ შეასრულა პოსეიდონ ღმერთის სურვილი და ნაჩუქარი ხარი მსხვერპლად შეწირვის მაგივრად თავის სრულ საკუთრებად დაიტოვა.

მეფე მინოსის ასეთმა კადნიერებამ დიდად გაანაწყენა პოსეიდონ ღმერთი, რომელმაც დაუყოვნებლივ წაართვა მეფეს ნაჩუქარი ხარი, ველად გააგდო და მთლიანად გააველურა.

ველად გავარდნილი, მთლიანად გაცოფებული ხარი მთელ არემარეს ანადგურებდა, და მის წინააღმდეგ გალაშქრებას ხორცშესხმული ადამიანი ვერ ზედავდა.

მეფე ევრისტენემ ჰერკულესს დაავალა ამ ველად გავარდნილი, სიგიჟით შეპყრობილი ხარის დაქერა და მოთვინიერება.

როცა ძლევამოსილმა გმირმა მინოსს თავისი განზრახვა განუცხადა, მეფე დიდად ნასიამოვნები დარჩა და თავის მხრივ დაბმარების აღმოჩენა აღუთქვა.

ძლევამოსილი გმირი თავს დაესხა ველად გავარდნილ საშინელ ხარს, მაგრად დაუჭირა რქები, თავისი ძლიერი მკლავებით მოათვინიერა და ნავით საბერძნეთში წაასხა.

მეფე ევრისტენემ, პოსეიდონ ღმერთის ბრძანებით, ჰერკულესის მიერ დაქერილი და მოთვინიერებული ხარი კვლავ გაათავისუფლა.

პოსეიდონ ღმერთის საყვარელი ხარი მყისვე ველად გავარდა და მთელი თავისი სიფიქითა და თავაშეებულობით ირგვლივ ყველათერს არბევდა და ანადგურებდა.

ხალხის ყოველდღიურ შეწუხებასა, და უბედურებას ბოლო მხოლოდ მაშინ მოელო, როცა საბერძნეთის მეორე სახელოვანმა გმირმა თეზევამ ქეყნის ეს ზარდამცემი ცხოველი დაიჭირა და მოათვინიერა.

დიომედეს ბედაურები (მერვე გმირობა)

თრაკიაში მცხოვრებ ბისტონების მეფე დიომედეს ჰყავდა ველური ბედაურები, რომლებიც ადამიანებს არ ინდობდნენ და ქერსავით ჭამდნენ.

დედამიწის ზურგზე ვერცერთი ადამიანი ვერ ეკარებოდა ამ ველურ ბედაურებს, ყველას მათი ეშინოდა და ყველანი ფეხაკრფვით გაურბოდნენ.

მეფე დიომედეს განკარგულებით, შიშის ზარდამცემი ბედაურები უზარმაზარ კლდეზე იყვნენ მაგრად მიჯაჭვულნი და საკმელად სულსაგანგებოდ დაქერილი უცხოელების ხორცს აწვდიდნენ.

მეფე ევრისტენეს დავალებით, ჰერკულესს უნდა გაეხედნა და მოეშინაურებინა დიომედეს ველური ბედაურები.

ძლევამოსილი გმირი დაუყოვნებლივ გაემგზავრა თრაკიაში მეფისაგან დავალებული მეტად მძიმე საქმის შესასრულებლად.

ჰერკულესმა თრაკიაში მისვლის უმაღლვე დაატყვევა მეფე დიომედე და მეჯინიბეები, რომლებიც ბედაურებს სდარაჯობდნენ, და კლდეზე მიჯაჭვულ ბედაურებს მიჰგვარა.

გამხეცებულმა ბედაურებმა მეფე დიომედე და მისი მეჯინიბეები ნაკუწ-ნაკუწად აქციეს და ჩვეულებრივი სიხარბით შთანთქეს.

ჰერკულესმა ამის შემდეგ ჩამოხსნა კლდიდან ველური ბედაურები, თავისი მძლავრი მკლავებით მაგრად დატუქსა და ყველანი ერთბაშად მოათვინიერა.

ძღვევამოსილმა გმირმა უკვე მოთვინიერებული ბედაურები ზღვის ნაპირას გაიყვანა საბერძნეთში წასახმელად.

ფინიკიელებმა, როგორც კი გაიგეს მეფისა და მეჯინბეების დაღუპვა, საშინელი განგაში ატეხეს და გატაცებული ბედაურების უკან დაბრუნებას შეეცადნენ. -

ჰერკულესსა და ფინიკიელებს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართა.

სანამ ძღვევამოსილი გმირი ფინიკიელების წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა, ზღვის ნაპირას დარჩენილი ბედაურები ისევ ძველებურად დაგიჟდნენ და ელვის სისწრაფით ჩაყლაპეს ჰერკულესის გულითადი მეგობარი გაიდერი, რომელსაც ბედაურები მოსაველეად ჰყავდა ჩაბარებული.

ჰერკულესმა მძლავრი ცემით ისევ მოათვინიერა დაგიჟებული ბედაურები და მეფე-ევრისტენეს მიჰგვარა.

მეფემ სრულიად მოთვინიერებული და მოშინაურებელი ბედაურები შესწირა ღმერთების მამამთავრის ზევსის მეუღლეს, ყოვლად მოწყალე ქალღმერთ ჰერას.

გულითადი მეგობრის გაიდერის დაკარგვით დამწუხრებული ჰერკულესი ძღვევამოსილ გმირ იაზონთან ერთად კოლხიდაში გაემგზავრა არგონავტების ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

იპოლიტეს სარტყელი (მეცხრე გმირობა)

მეფე ევრისტენეს დავალებით, ჰერკულესს უნდა მოეტანა მეფის ასულის აღმეტკესათვის ამაზონელთა ქალების დედოფლის იპოლიტეს ოქროთ ნაქარგი სარტყელი, რომელიც დედოფალმა თავის საყვარელ მამის არესისაგან მიიღო საჩუქრად.

ეს მეტად სამძიმო დავალება რომ პირნათლად შეესრულებინა, ჰერკულესმა შეკრიბა საბერძნეთის საუკეთესო მეომრები, ნავებით გადალაზა შავი ზღვის აბობოქრებული ტალღები, მეოტიდის ზღვის ნაპირას მდებარე ამაზონელი ქალების სატახტო ქალაქს თემისცირას ალყა შემოარტყა და დაუყოვნებლივ გამართა მოლაპარაკება დედოფალ იპოლიტესთან.

დედოფალს ძლიერ მოეწონა ჰერკულესის ვაჟკაცური შესახედაობა და დიდის თავაზიანობით შეხვდა საბერძნეთის სახელოვან გმირს.

დედოფალმა ჰერკულესს აღუთქვა თავისი ოქროთი ნაქარგი სარტყელის ნებაყოფლობით დათმობა.

როცა ამაზონელმა ქალებმა გაიგეს დედოფლის გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ შეიარაღდნენ და თავს დაესხნენ ჰერკულესსა და მის ძლევამოსილ მეომრებს.

საშინელი ბრძოლა გაიმართა. ამოზონელი ქალები იშვიათი მამაცობით იბრძოდნენ ბრძოლის საბედისწერო ველზე.

ჰერკულესი და საბერძნეთის ძლევამოსილი მეომრები სამკედრო-სასიცოცხლოდ ეკვეთებოდნენ ამაზონელი ქალების ცხენოსან რაზმებს და საუკეთესო მხედრებს სიცოცხლეს ასალმებდნენ.

დახოცილთა გვამები სისხლის მორეევი ცურავდა.

დაქრილთა კენესა და გმინვა ბრძოლის ველს კილით-კიდეშლის სწვდებოდა.

ძლევამოსილმა ჰერკულესმა რამდენიმე იერიშის ზედიზედ მიტანის შემდეგ დაამარცხა ამაზონელი ქალები და მრავალი მათგანი სასიკვდილოდ დაქრა, ხოლო ვინც კი სიკვდილს გადურჩა, ყველა სამარცხვინოდ უკუაქცია.

დედოფალმა იპოლიტემ თავისი დაპირება შეასრულა და ჰერკულესს ნებაყოფლობით დაუთმო თავისი ოქროთი ნაქარგი სარტყელი.

ძლევამოსილმა გმირმა მადლობა შესწირა დედოფალს და თავისი მამაცი მეომრებით საბერძნეთში დაბრუნდა.

ჰერკულესი ათავისუფლებს ლაომედონის ქალიშვილს ჰესიონას

სანამ ჰერკულესი თავისი სამშობლოს საზღვრებს მიაღწევდა, გზაში მეტად სამძიმო საქმის შესრულება მოუხდა.

ტროადის ნაპირებზე ჰერკულესმა დაინახა უზარმაზარ კლდეზე მიჯაჭვული მეფე ლაომედონის ქალიშვილი ჰესიონა, რომელიც მშობლებს გაეწირათ პოსეიდონ ღმერთის მიერ მოვლენილი საზარელი გველეშაპის საძიძვნელად.

საბრალო ჰესიონა-ყოველ წამს მოელოდა საბედისწერო გველემას და მის განუწყვეტელ ტანჯვას საზღვარი არა ჰქონდა.

პოსეიდონ ღმერთმა ტროადის მეფეს ლაომედონს განსაზღვრული სასყიდელით აუგო ტროადის ირგვლივ მაღალი ქვის კედლები. მაგრამ ყველგან და ყოველთვის დაუხდობელმა მეფემ ყოველად შემძლებელ ღმერთს არ გადაუხადა კედლების ასაგებად დაპირებული სასყიდელი.

მეფის ასეთმა უმართებულო საქციელმა დიდად გაანაწყენა პოსეიდონ ღმერთი.

ზღვის მბრძანებელმა პოპეილონ ღმერთმა მთელ ტროადის მხარეს მოუვლინა საშინელი გველეშაპი, რომელიც მუდამდღე არბევდა ადგილობრივ მოსახლეობას და მთელ მის დოვლათს შეუბრალებლად ანადგურებდა.

ხალხის რისხვად მოვლენილი საშინელი გველეშაპი არავის არ ინდობდა, ყველას სიცოცხლეს ასალმებდა და თავის გაუმაძღარ მუცელს განუწყვეტლივ იყორავდა.

გულთმისნის წინასწარმეტყველებით, ტროადელები მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ უზრუნველყოფილი ამ საშინელი უბედურებისაგან, თუ მეფე ლაომედონი თავის საყვარელ ასულს ჰესიონას საშინელი გველეშაპის გაუმაძღარი მუცლის ამოსაყვებად გაიმეტებდა.

ხალხი დაჟინებით მოითხოვდა მეფეს ასეთი მსხვერპლი გაეღო. მეფე ლაომედონი იძულებული იყო თავისი საყვარელი ჰესიონა ხალხის საკეთილდღეოდ სასიკვდილოდ გაეწირა.

სწორედ იმ დროს, როცა საბრალო ჰესიონა მალალ კლდეზე მიჯაკვეული უსაზღვროდ იტანჯებოდა და სიკვდილის მოლოდინში ცხარე ცრემლებს აფრქვევდა, ტროადაში გზად ჩამოიარა ამაზონელი ქალების ბრძოლის ველიდან დაბრუნებულმა ჰერკულესმა.

მეფე ლაომედონმა საბერძნეთის ძლევა მოსილ გმირს სთხოვა, თუ ჩემ ასულს ჰესიონას სიკვდილს გადაარჩენ, სამაგიეროდ ღმერთების მამამთავრის ზევისაგან ბოძებულ ბედაურჯბს საჩუქრად მოგიძღვნიო.

ჰერკულესი სიამოვნებით დათანხმა მეფე ლაომედონის ამ წინადადებაზე.

ძლევა მოსილი გმირი სამკედრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა ტროადელების თავზარდამცემ საზიზღარ გველეშაპს.

საბერძნეთის სახელოვანი გმირის მიერ მძლავრად ნატყორცნმა ისარმა გამოასალმა სიცოცხლეს ხალხის დაუძინებელი მტერი.

მაგრამ მუდამ დაუნდობელმა მეფე ლაომედონმა არ შეასრულა თავისი დაპირება და ჰერკულესს უარი განუცხადა აღთქმულ სანაქრის მიღებაზე.

მეფის უმართებულო საქციელმა დიდად შეურაცხყო ჰერკულესი, მაგრამ რადგან სახელოვან გმირს იმეამად დრო არა ჰქონდა მეფე ლაომედონს საკადრისად გასწორებოდა, დაუნდობელი და მატყუარა მეფის სასტიკად დასჯა უფრო მოხერხებული დროისათვის გადადო.

ჰერკულესი საბერძნეთში მშვიდობიანად დაბრუნდა და მფფვე
ვერისთენეს გადასცა ამაზონელი ქალების დედოფლის იპოლიტეს
ოქროთი ნაქარგი სარტყელი.

ზარიონეს ხარები (მეათე გმირობა)

ქრისაორისა და კალიროეს შვილი გერიონე ცხოვრობდა ოკეა-
ნის დასავლეთით, კუნძულ ერითიაზე, ჰესპერიდების მეზობლად.

გერიონეს სამი ერთმანეთთან შეზრდილი ტანი, სამი თავი,
სამი ფეხი და სამი ხელი საოცარ სანახაობას წარმოადგენდა. იგი
თავისი საშინელებით აღამიანს შიშის ზარს ჰკვირდა.

გერიონეს საუცხოო ხარები, რომელთაც ფხიზლად სდარა-
ჯობდნენ ორთავეიანი ველური ძალი ორთრომი და მწყეპსი ევი-
ტიონი, მწვანედ აბიზინებულ ბალახს ძოვდნენ.

კუნძულის მინდორ-ველზე გაშლილი ხარების ღმუილი მთელ
მიდამოს აყრუებდა.

ადგილობრივი მოსახლეობა შურის თვალთ შესცქეროდა
კვერცხივით დაღესილ ხარებს, მაგრამ ფხიზელი დარაჯების შიშით
ახლოს მისვლასაც კი ვერ ბედავდა.

გერიონე დროგამოშვებით გამოდიოდა საძოვარ ველზე და
მთელი საათობით სიყვარულით შესცქეროდა თავის საუცხოო ხა-
რებს, რომელთა ბადალი დედამიწის ზურგზე იშვიათად მოაპო-
ვებოდა.

მეფე ვერისთენემ ძღვევამოსილ ჰერკულესს დააავალა გერიონეს
საუცხოო ხარების მოტაცება და საბერძნეთში ჩამოყვანა.

ამ დავალების შესრულება მეტად სამძიმო საქმე იყო.

აბა რომელი აღამიანი გაკადნიერდებოდა ისე, რომ ჭრითიას
კუნძულიდან მოეტაცა გერიონეს საუცხოო ხარები!

მაგრამ ჰერკულესი არ შეუშინდა საქმის სიძნელეს.

ძღვევამოსილი გმირი დიდძალი მხედრობით გაემგზავრა ლიბია-
ში, სადაც ცხარე შებრძოლება მოუხდა „მიწის შვილ“ ანთეოსთან.

როგორც კი მიწას ფეხებს მიაკარებდა, ანთეოსს ძალა ემა-
ტებოდა და მტრისაგან ყოველთვის უძლეველი რჩებოდა.

ჰერკულესმა ანთეოსს მაგრად ჩასქიდა ხელები და თავისი მძლა-
ვრი მკლავებით დაახრჩო ჰაერში ჩამოკიდებული „უძლეველი“
გმირი.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ჰერკულესმა მიიღწია იმ
სრუტემდის, რომელიც ლიბიას ევროპისაგან ყოფს.

ძლევამოსილმა გმირმა თავის აქ ყოფნის აღსანიშნავად სრუტის ორივე ნაპირზე აღმართა უზარმაზარი ქვის სვეტები, რომლებსაც დღემდის „ჭერკულესის სვეტების“ სახელი შერჩენია.

სწორედ ამ დროს ციდან დედამიწაზე ეშვებოდა თავისი ბრწყინვალე ეტლით მზის ღმერთი ჰელიოსი.

მზის ნათელი შუქი ჰერკულესს თვალებს სჭრიდა და გზის განგრძობის საშუალებას უსპობდა.

ძლევამოსილი გმირი უკვე მზად იყო ეტყორცნა ისარი ჰელიოსისათვის, მაგრამ ცისა და ქვეყნის მანათობელმა შეაჩერა ჰერკულესი და ნაცვლად მრისხანებისა მოწყალე თვალთ გადმოხედა სახელოვან გმირს.

ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ჰერკულესს აჩუქა ის ოქროს ნაეი, რომლითაც იგი მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდის, ზღვასა და ოკეანეზე მოგზაურობდა.

ძლევამოსილი გმირი ჩაჯდა ოქროს ნაეში და სასწრაფოდ მიცურა კუნძულ ერთიას ნაპირებთან, საცა გერიონეს ხარებს ფართოდ გაეშალათ წრე და ლალად ძოვდნენ ბალახს.

როგორც კი ხარების ფხიზელმა დარაჯმა, ორთავეიანმა ძაღლმა, შორიდან უცხოელს მოჰკრა თვალი, საზარელი ყეფით ჰერკულესისაკენ შურდულივით მოსწყდა, მაგრამ ძლევამოსილმა გმირმა მძლავრად სტყორცნა ისარი და საშინელ ცხოველს მყისვე სიცოცხლე მოუხპო.

ძაღლის ყეფაზე მწყემსი ევრიტიონიც ადგილიდან წამოიჭრა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა უცხოელისაკენ. მაგრამ ფხიზელ ევრიტიონსაც ორთავეიანი ძაღლის ბედი ეწია.

ჰერკულესმა უმცველებოდ დარჩენილი ხარები სასწრაფოდ გაიტაცა და ზღვის ნაპირისაკენ გარეკა.

როგორც კი გაიგო ხარების მოტაცება, გერიონე დაუყოვნებლივ დაედევნა უცხოელს.

გერიონესა და ჰერკულესს შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ძლევამოსილმა გმირმა ერთი მაგრად სტყორცნა თავისი აღმასივით მჭრელი ისარი და საუცხოო ხარების გაუმადლარი პატრონი სიცოცხლეს გამოასალმა.

ჰერკულესმა მოტაცებული ხარები დაუყოვნებლივ შერეკა ოქროს ნაეში და დაუბრკოლებლივ შეცურა ზღვის თვალშწევდენელ სივრცეში.

ზღვაში ხარგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ჰერკულესმა მშვიდობიანად მიაღწია იბერიის ნაპირებს, საიდანაც, ესპანეთის მახლობლად ჩავლით, ლიგურიის ნაპირებს მიაყენა გერიონეს ხარები და ტვირთული ოქროს ნაეი.

მამაცი ლიგურიელები სრულიად მოულოდნელად თავს დაესხნენ ჰერკულესს იმ აზრით, რომ გერიონეს ხარები წაერთმიათ.

ჰერკულესი და მისი თანამგზავრი მეომრები გმირულად შეებრძოლნენ მოულოდნელად მოსეულ მტერს.

საშინელი ბრძოლა გაიმართა. მეტად ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ ვინ სძლედა.

მაგრამ ამ საბედისწერო დროს ღმერთების მამამთავარმა ზევსმა ლიგურიელებს ქევების წვიმა მოუვლინა და ყველანი ერთიანად გაანადგურა.

ბრძოლის ასე საკეთილოდ დამთავრების შემდეგ ჰერკულესი მშვიდობიანად დაბრუნდა საბერძნეთში და მეფე ეგრისტენეს ჩააბარა გერიონეს საუცხოო ხარები.

ოქროს ვაშლი (მეთერთმეტე გმირობა)

ღმერთების მამამთავრის ზევსისა და ჰერას ქორწილში ქალღმერთმა გეამ ახლადდაქორწინებულებს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, ოქროს ვაშლი აჩუქა.

ქალღმერთმა გეამ გაჩუქებული ოქროს ვაშლი ზევსის სახლობაზე შეწირულ ჰესპერიდების ბაღში მიწაში ღრმად ჩამარხა.

სულ მოკლე ხანში მიწაში ჩამარხული ვაშლიდან აღმოცენდა ლამაზი ტანის ვაშლისხე, რომელმაც ოქროს ვაშლები მოიხბა.

ჰესპერიდების საუცხოო ბაღს სდარაჯობდა ასთავიანი გველეშაპი, რომლის საზიზლარი თავები საშინელი შხივილით მთელ არემარეს აყრუებდნენ და ყველას გამოუთქმელ შიშის ზარს ჰგვირდნენ.

ბაღის ეს ფხიზელი დარაჯი, რომლის თვალებს არასოდეს ძილი არ ეკარებოდა, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და არცერთ ადამიანს ბაღის მახლობლად გავლის უფლებას არ აძლევდა.

მშვენიერი ნიფები, რომლებიც ბაღს მეთვალყურეობდნენ, დიდის მზრუნველობით თავს დასტრიალებდნენ ბუნების ამ საუცხოო წალკოტს და თითოეულ მტკაველ ადგილს წმენდდნენ და ალამაზებდნენ.

შეფეგვერისთენეს დავალებით, ჰერკულესს ამ ბაღში უნდა მო-
ეწვეოდა ოქროს ვაშლები და მისთვის სასახლეში მიეტანა.

ძღვეამოსილი გმირი არ შეუშინდა ამ სამძიმო დავალების
შესრულებას, თუმცა დანამდვილებით არ იცოდა, რომელ მხარეს
და სახელდობრ რა ადგილას იმყოფებოდა ეს საკვირველი ბაღი.

ჰერკულესი, მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა, მაინც გაემ-
გზავრა თავისი სამძიმო დავალების შესასრულებლად და თავდაპირ-
ველად თესალიაში მივიდა, საცა სახელოვან გმირს ცხარე შეტაკება
მოუხდა უზარმაზარ გერმერთან, რომელსაც მძღაფრი კომბლის დაკ-
ვრით თავი ოთხად გაუტეხა და სიცოცხლეს გამოასალმა.

მდინარე ეხელორის ნაპირას ჰერკულესს შემოხვდა არესის
ღვთაებრივი შვილი კიკნა, რომელმაც ძღვეამოსილი გმირი ხელჩარ-
თულ ბრძოლაში გამოიწვია.

ჰერკულესმა პირველი შეტაკებისთანავე მძღაფრად მოიწყვდია
მკლავებში კადნიერი ფალავანი და ისეთი ძალით დაახეთქა მიწაზე,
რომ საბრალომ მყისვე სული დალია.

შვილის დაკარგვით გამწარებული არესი გააფთრებული ლო-
ნით თავს დაესხა ჰერკულესს, რომ სამაგიერო გადაეხადა.

ცხარე ბრძოლა გაიმართა ომიანობის ღმერთსა და ძღვეამო-
სილ ჰერკულესს შორის.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს საბედისწერო ბრძოლა,
რომ ღმერთების მამამთავარს ზეკსს საშინელი ქუხილის მოვლენით
ორივე თავდადებული მებრძოლი არ გაეშორიშორებინა.

მდინარე ერიდანის ნაპირას ჰერკულესს გამოეცხადნენ წყლის
ნიმფები, როპლებმაც შემდეგი სიტყვებით მიმართეს სახელოვან
გმირს: „დიდებულო ჰერკულეს! თუ გსურს ჰესპერიდების ბალისაკენ
სწორი გზა გაიკვლიო, ახლავე ჩაუსაფრდი წყლის ღმერთს ნერეის
და როგორც კი თვალი მოჰკრა წყლის ნაპირას, დაუყოვნებლივ
სტაცე ხელი, დაიქირე და თოკებით მაგრად შეკარი. სანამ თვალ-
თმაქცი და ცბიერი ღმერთი სწორ გზას არ გიჩვენებს, ხელიდან არ
გაუშვა და არ გაათავისუფლო“.

ჰერკულესი, ნიმფების რჩევით, მართლაც ჩაუსაფრდა ნერეის
მდინარის მოხერხებულ ნაპირას და, როგორც კი ნაპირზე ამოსული
წყლის ღმერთი დაინახა, ელვის სისწრაფით სტაცა ხელები, თო-
კებით მაგრად შეკოქა და ჰესპერიდების ბალისაკენ მიმავალი სწორი
გზის ჩვენება მოსთხოვა.

ნერეი ყოველ წუთს სულ სხვადასხვა სახეს იღებდა და ამრი-
გად ჰსურდა გმირი შეეშინებინა და ხელიდან გასხლტომოდა.

როცა ამ თვალთმაქცობამ ვერ გაქრა, ნერეი იძულებული იყო ჰერკულესისათვის ჰესპერიდების ბალისაყენ მიმავალი სწორი გზა ესწავლებინა.

ნერეის რჩევით, ძღვევამოსილმა გმირმა დიდის დაბრკოლებით გადალახა მთელი ლიბია და ეგვიპტე.

ეგვიპტეში ჰერკულესმა მოჰკლა ამ ქვეყნის მეფე ბუზერიდი, რომელიც თავის სახელმწიფოში არცერთ უცხოელს არ ინდობდა და ყველას განუკითხველად ოლიმპოს მბრძანებელს ზევსს სწირავდა მსხვერპლად.

მეფე ბუზერიდის ბრძანებით, ჰერკულესი, როცა მან ეგვიპტეში შეიარა, დაიქირეს და შებორკილი მიიყვანეს ტაძარში, რომ მსხვერპლად შეეწირათ.

მაგრამ ძღვევამოსილმა გმირმა ერთიანად დალეწა ფეხებზე დადებული ბორკილები და მეფე ბუზერიდი და ტაძრის მსახურები ყველანი გაელიტა.

ჰერკულესმა განაგრძო გზა და სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს გმირულად გაათავისუფლა კავკასიის კლდოვან ქედზე წიჯაკვეული პრომეთე. ბოლოს მან მიიღწია იმ მხარეს, სადა უზარმაზარი ატლანტი ცის თაღს თავისი მძლავრი მხრებით იმაგრებდა.

ატლანტმა ძღვევამოსილ ჰერკულესს სთხოვა, თუ ჩემ მაგივრად ცის თაღს დროებით შეიმაგრებ, ჰესპერიდების ბაღში ოქროს ვაშლებს მე თვითონ მოვწყვეტ და მოგიტახო.

ჰერკულესმა სიამოვნებით მიიღო ატლანტის წინადადება.

ძღვევამოსილმა გმირმა ატლანტის მაგივრად ცის უზარმაზარი თალი თვითონვე წაპოიღგა თავის მძლავრსა და ფართო ბეჭებზე.

ატლანტი დაუყოვნებლივ გაემართა ჰესპერიდების ბალისაყენ და, როგორც კი ბალის ალაყაფის კარებთან მივიდა, მოჰკლა უზარმაზარი გველეშაპი, რომელიც ბაღს სდარაჯობდა, სრულიად დაუბრკოლებლად მოწყვიტა ჰესპერიდების ბაღში სამი ოქროს ვაშლი და, დაპირებისამებრ, ჰერკულესს წამოუღო.

ატლანტს თავისუფლად ყოფნა ძლიერ გაუტკბა და ამიტომ იგი შეეცადა ცის თალი საშუდამოდ ჰერკულესისათვის შეეტოვებინა.

მაგრამ ჰერკულესმა შეუტყო ატლანტს ცბიერება და თვითონაც თავის მხრით ამავე ცბიერ ხერხს მიმართა.

ძღვევამოსილმა გმირმა ატლანტს თავაზიანად სთხოვა: დროებით შემენაცვლე, ბეჭები რომ არ ამტკიედეს; ლომის ტყავს მოვიშვებ და შემდეგ ისევ შეგცვლი და კვლავ გაგათავისუფლებო.

ატლანტმა გულუბრყვილოდ დაუჯერა ჰერკულესს და ცის თალი ისევ წამოიღგა მხრებზე.

ჰერკულესმა სასწრაფოდ დაავლო ხელი ოქროს ვაშლებს და გაეშურა საბერძნეთისაკენ.

მეფე ევრისტენეს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ჰესპერიდების ბალში მოწყვეტილი ოქროს ვაშლები დაინახა.

მეფემ ჰერკულესის მიერ მოტანილი ოქროს ვაშლები ქალღმერთ ათინას შესწირა.

ღმერთების მამამთავრის ზევსის სურვილის თანახმად, ქალღმერთმა ათინამ მეფე ევრისტენეს მიერ შეწირული ოქროს ვაშლები ისევ ჰესპერიდების ბალში დააბრუნა.

ქ მ რ ბ მ რ ი (მეთორმეტე გმირობა)

მეფე ევრისტენემ, ჰერკულესი რომ უეჭველად დაელუბა, დაავალა ჯოჯოხეთიდან ამოეყვანა სამთავიანი ძალი კერბერი, რომელიც საიქიოს ალაყაფის კარებს სდარაჯობდა.

კერბერის უმგებანო თავები, შხამითა და დორბლით სავსე ლაშები, გველეშაპივით ჩამოკიდებული კუდები და ბალნის მაგივრად ზურგზე დაყრილი გველები, რომლებიც მუდამეჟამს საზარლად სისინებდნენ, საშინელ სანახაობას წარმოადგენდა.

ყველანი, ვინც კი ამ საზარელ ცხოველს დაინახავდა, შიშით ძრწოდნენ და ახლოდ მიკარებას ვერ ბედავდნენ.

ჰერკულესი არ შეუშინდა ამ საზარელ ცხოველს და გადაწყვიტა მეფე ევრისტენეს დავალების შესრულება.

სანამ გმირი საიქიოს სამეფოში გაემგზავრებოდა, იგი თავდაპირველად მივიდა ქალაქ ელეგსინში, საცა გმირს ქურუმმა გაანდო ეგრეთწოდებული „ელეგსინის საიდუმლოებანი“, რომელთა საშუალებით ჰერკულესს სრული უშიშროება ენიჭებოდა.

როცა ჰერკულესმა ყველა საჭირო ცნობა ადგილობრივ შეკრიბა, იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ქალაქ ტანარისში, საიდანაც პირდაპირი გზა ჩაღიოდა საიქიოს სამეფოში.

ჯოჯოხეთში ჩასასვლელ კარებთან ძლევაშობილ გმირს შემოხვდა ჰერმესი, რომლის შემწეობით ჰერკულესი მშვიდობიანად ჩავიდა ჰადესისა და პერსეფონეს საიქიოს საბრძანებელში.

მიცვალბულთა აჩრდილები, რომლებიც გმირს გზაში ხვდებოდნენ, ჰერკულესს თვალს არიდებდნენ და შიშით შორს გაურ-

ბოდნენ, ადგილიდან არ იძროდნენ მხოლოდ მეღვაგრისა და მორგონას აჩრდილები.

ჭერკულესმა იძრო თავისი ბასრი ხმალი და ის იყო მორგონა უნდა გაეგმირა, მაგრამ იგი უეცრივ შეაჩერა ჭერმესმა და დაარწმუნა, შენს წინაშე დგას მხოლოდ მორგონას აჩრდილი, რომელიც ამიერიდან არავისათვის საშიში არააო.

ჭერკულესმა ამის შემდეგ გადაწყვიტა ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირა და სამსხვერპლო ხარის სისხლი მიცვალებულთა აჩრდილებისათვის დაეღვეინებინა.

მართლაც, ძღვევამოსილმა გმირმა ჰადესის საბალახოებზე აირჩია მახვირპლად შესაწირი საუკეთესო ხარი, მაგრამ წარების მწყესმა გელოტიოსმა ჭერკულესს გადაჭრით უარი გამოუცხადა ხარის დათმობაზე.

ჭერკულესმა თავის მძლავარ მკლავებში მოიმწყვდია თავხედი მწყემსი, მაგრად ჩაულეწა (გვერდები და უეჭველია, სიცოცხლეს გამოასალმებდა, რომ დედოფალი პერსეფონე არ მიშველებოდა.

ჰადესი წინააღმდეგი იყო ჭერკულესს ჯოჯოხეთის ფხიზელი დარაჯი კერბერი წაეყვანა.

საბერძნეთის სახელოვანმა გმირმა იწყინა ჰადესის წინააღმდეგობა და ისეთი ძალით სტყორცნა ისარი, რომ ჯოჯოხეთის მბრძანებელი მხარში დაქრა.

ჰადესი ახლა კი იძულებული შეიქნა დათმობის გზას დასდგომოდა.

ჯოჯოხეთის მბრძანებელი ბოლოსა და ბოლოს დასთანხმდა ჭერკულესს კერბერის წაყვანაზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ უიარაღოდ დაიქერდა.

ჭერკულესმა მხრებზე წამოისხა თავისი ლომის ტყავი და კერბერის ძებნას შეუდგა.

მდინარე ასერონის ნაპირას ჭერკულესმა თვალი მოჰკრა კერბერს, ელვის სისწრაფით თავს დაესხა და ისე მაგრად ჩასქიდა ზურგში ხელები, რომ საზარელი ცხოველი თითქმის უგრძობლად დაეშვა გმირის ფეხთით მთელი თავისი სიმძიმით.

ძღვევამოსილმა გმირმა თოკებით მაგრა შეკრა ჯოჯოხეთის ეს ფხიზელი დარაჯი, მძლავრ მხრებზე წამოიკიდა და ჯოჯოხეთის მეორე კარებიდან სააქაოს გამოიყვანა.

კერბერი, როგორც კი სინათლის შუქი თვალებში მოხვდა, გზადაგზა პირიდან მხამიან დორბლებს ანთხევდა და ირგვლივ ყველაფერს წამლავდა.

როცა მეფე ევრისთენემ დაინახა საიქიოს სამეფოს ფხიზელი დარაჯის საშინელი პირისახე, იგი იმდენად შეშფოთდა, რომ საბოლოოდ გადაწყვიტა ძლევამოსილი გმირი გაეთავისუფლებინა თავისი მორჩილებისა და შემდგომი დავალებებისაგან.

ჰერკულესმა კერბერი ისევ საიქიოს სამეფოში დააბრუნა და თვითონ კი დაბრუნდა ქალაქ თებეში, სადაც მოსახლეობა დიდის ალტაცებით შეხვდა თავის სახელოვან გმირს.

როცა ჰერკულესმა მეფე ევრისთენესაგან დამოკიდებულებას თავი დააღწია და უკვე სრულიად თავისუფლად იგრძნო თავი, გადაწყვიტა მეორედ ცოლის შერთვა.

პირველი მეუღლე მელეაგრა, მისივე სურვილის თანახმად, ცოლად გაჰყვა ჰერკულესის ძმისწულ იოლაის.

ჰერკულესს ძლიერ მოსწონდა თავისი ყოფილი მასწავლებლის ევრიტის ქალიშვილი, მშენიერი ილა.

ევრიტმა ჰერკულესს გამოუცხადა: ქალიშვილს მივათხოვებ მხოლოდ ისეთ სასიძოს, რომელიც მეცა და ჩემ შვილებსაც მშვილდისრის სროლაში დაგვძლევსო.

თუმცა ძლევამოსილმა გმირმა მშვილდისრის შეჯიბრებაში დასძლია ევრიტი და მისი შვილები, მაგრამ ფრთხილმა მშობელმა საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა თავისი საყვარელი ქალიშვილის ჰერკულესისათვის მითხოვება.

ევრიტი შიშობდა მის საყვარელ ქალიშვილსაც მელეაგრას ბედი არ სწეოდა, ჰერკულესს სთხოვა ცოლად დაეხანებინა და ამ დიდი საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად დრო მიეცა.

ჰერკულესმა ევრიტის ასეთი გაურკვეველი და ბუნდოვანი პასუხი დიდ შეურაცხყოფად მიიჩნია.

შეურაცხყოფილმა გმირმა ამის შემდეგ დატოვა სამშობლო ქალაქი და თავის მეგობარ ადმესტთან თესალიაში გადასახლდა.

ადმესტის მთელი სახლობა ჰერკულესს დიდ მწუხარებაში დახვდა.

მეფე ადმესტი, სანამ ჰერკულესი თესალიაში გადასახლდებოდა, ისე დაავადმყოფდა, რომ მისი მორჩენის იმედი სახელმწიფოში არავის არ ჰქონდა.

მეუღლის განუსაზღვრელად მოსიყვარულე დედოფალმა, ადმესტი რომ სიკვდილისაგან დაეხსნა, ღმერთებს მხურვალედ სთხოვა მეუღლის მაგივრად სიკვდილი მისთვის მოევლინათ.

ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა დედოფლის გულწრფელი ვედრება შეიწყნარეს.

დედოფალი ილკესტა გარდაიცვალა და მისი სული საიქიოს სამეფოში გადასახლდა.

საბრალო მეფე, როცა მან დედოფლის გარდაცვალების მიზეზი შეიტყო, დიდად წუხდა და ყოველგვარ ზომებს იღებდა, რომ მისთვის თავდადებული საყვარელი ილკესტა მკვდრეთით აღედგინა.

როცა ჰერკულესმა შეიტყო ეს სამწუხარო ამბავი თავისი მეგობრისაგან, დაუყოვნებლივ გაემგზავრა საიქიოს სამეფოში და დიდის შოკრძალებით სთხოვა საიქიოს მბრძანებელს ილკესტას ამ ქვეყნად დაბრუნება.

საიქიოს მბრძანებელმა შეიწყნარა ძლევაშობილი გმირის თავაზიანი თხოვნა და ილკესტას სული დაუბრუნა დედოფლის ამქვეყნიურ სხეულს, რომელიც დაუყოვნებლივ გათბა და სიცოცხლის ძალა მოიპოვა.

მეფე აღმესტი და დედოფალი ილკესტა კიდევ დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ და მუდამ განუსაზღვრელი მადლობით იხსენიებდნენ თავის კეთილისმყოფელ მეგობარს ჰერკულესს.

სწორედ ამ ხანებში ვერიტის შვილმა იფიტმა სთხოვა ჰერკულესს დახმარება აღმოეჩინა მთელ საბერძნეთში ცნობილი ქურდის ავტოკლიტის მიერ მოპარული ვერიტის ხარების მოსაძებნად.

ავტოკლიტი დიდად დახელოვნებული იყო ქურდობის საქმეში. ეს თვალთმაქცი ქურდი მოპარულს ისე შეუცვლიდა გარეგან სახეს, რომ პატრონი მის ცნობას ვერ ახერხებდა.

ამრიგად ეს ვერაგი ქურდი განუწყვეტლივ ცარცავდა და ანადგურებდა მშრომელ მოსახლეობას.

ჰერკულესს კარგად ახსოვდა ის დიდი შეურაცხყოფა, რომელიც იფიტმა მას მიაყენა და ამიტომ, სამაგიერო რომ გადაეხადა, ხარების ძებნის დროს შეურიხა დრო და იფიტი ისე მძლავრად დაახეტა თავით უზარმაზარ კლდეს, რომ სიცოცხლეს გამოასალმა.

ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა სასტიკად დასაჯა ჰერკულესი სრულიად უდანაშაულო იფიტის ასე შეუბრალებლად სიცოცხლის გამოსალმებისათვის.

ღმერთების მამამთავარმა თავის ღვთაებრივ საყვარელ შვილს დროებითი სიგიჟე მოუვლინა.

ამ საშინელმა სენმა ჰერკულესს გონება სრულიად დაუკარგა.

საბრალო გმირი ქუჩა-ქუჩა დაძრწოდა და შველას კი ვერ პოულობდა.

ბოლოს ჰერკულესმა გადაწყვიტა აპოლონ ღმერთს შეჰკითხებოდა, რომ გაეგო, რა იყო მისი ასე მოულოდნელად დაავადების მიზეზი.

მაგრამ აპოლონ ღმერთის ქურუმმა გამოუცხადა სახელოვან გმირს: ადამიანის მკვლელი ღირსი არაა ღმერთების ყურადღებისა და ამიტომ შეკითხვაზე პასუხს ვერ მიიღებო.

ქურუმის ასეთი პასუხით გაჯავრებულმა ჰერკულესმა ძალადობით მოიტაცა ტაძრიდან სამფეხი და ცის ქვეშ მინდორში გამართა საკუთარი სამისნო.

აპოლონ ღმერთმა იწყინა ჰერკულესის ამგვარი კადნიერება და სახელოვანი გმირი ხელჩართულ ბრძოლაში გამოიწვია.

ჰერკულესი და აპოლონ ღმერთი ერთი-მეორეს სამკედროსასიცოცხლოდ ეკვეთნენ.

მაგრამ ღმერთების მამამთავარმა ზევსმა მებრძოლთ მოუვლინა მძლავრი ქარიშხალი და თავგანწირული მებრძოლნი ერთი-მეორეს ჩამოაშორა.

ბოლოს ღმერთებმა მაინც უწინასწარმეტყველეს სახელოვან გმირს, რომ დანაშაულის გამოსასყიდლად საჭიროა სამი წლის განმავლობაში მონის სახით მოსამსახურეობა გაუწიოს ვისმეს და ალბუელი ხელფასით დააკმაყოფილოს უდანაშაულოდ მოკლული იფიტის მშობლები.

მეგობრებმა ჰერკულესი მიჰყიდეს ლიდის ქვრივ დედოფალს ომფალას და ალბუელი ხელფასი გადასცეს მეფე ევრიტის დაობლებულ ოჯახობას.

ჰერკულესის ჯანმრთელობას, როგორც კი იგი თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა სასახლეში, დიდი გაუმჯობესება დაეცყო, იგი თითქმის სრულიად განიკურნა.

ძლევაგამოსილი გმირი ძველებურად ჩაება გონივრულ საქმიანობაში.

ჰერკულესმა სულ მოკლე ხანში სასტიკად დასაჯა ავაზაკები, რომლებიც შეუბრალებლად ანადგურებდნენ ლიდის მკვიდრთა ქონებას.

ძლევაგამოსილმა გმირმა დაიქირა კიკლოპები, რომლებიც ყოველდღე არბევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, და მაგრად ხელფეხშეკრულნი დედოფალ ომფალას მოჰგვარა.

ჰერკულესმა მოჰკლა მეფე სილიეი, რომელიც აუტანელ ჰაპანაქებაში ადგილობრივ მოსახლეობას ზვრებში იძულებით ამუშავებდა

და ამრიგად ყოველად შეუძლებლად ხდიდა მუშახელის ნორმალურ პირობებში ყოველდღიურ საქმიანობას.

ომფალას უკვირდა თავისი მსახურის ასეთი გმირობა. დედოფალი დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ მისი მახური უბრალო მონაქი არა, ვინმე დიდი გმირია.

ბოლოს, როცა დედოფალმა გაიგო, რომ მის მიერ შესყიდული მონა ჰერკულესია, იმდენად დაიახლოვა ძღვევამოსილი გმირი, რომ ცოლადაც კი გაჰყვა.

სამწუხაროდ, ჰერკულესმა სასახლეში ცხოვრების დროს დაიწყო ის სწორი გზა, რომლითაც მას უნდა ევლო, და ფუქსავატი ცხოვრების ფერხულში ჩაება. გმირს უკვე არ ავონდებოდა ხალხის გაქირვება და შევიწროება, იგი ისე გაიტაცა ცხოვრების აბოზოქრებულმა ტალღებმა, რომ გონიერული ცხოვრების მაგივრად მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებასა და ფუფუნებაში ატარებდა მთელ დროს.

ძღვევამოსილი გმირი ისე დაეცა, ისე დაწვრილმანდა, რომ თვით დედოფალი ომფალა და მთელი სასახლის კარისკაცები და ქალებიც კი სასაცილოდ იგდებდნენ და ტიკინასავით ათამაშებდნენ.

ცხადია, ასეთი უაზრო ცხოვრების გამო გმირმა დაკარგა ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც წინათ მან ხალხში სამართლიანად დაიმსახურა.

სამმა წელმა, რომლის განმავლობაშიც ჰერკულესს დედოფალ ომფალასთან უნდა ემსახურა მონის სახით, უკვე განვლო.

გმირმა მხოლოდ ახლა შეიგნო თავის დამლუპველი დროებითი გატაცება და ისევ ძველებურ სწორ გზას დაადგა.

ჰერკულესმა სულ მოკლე ხანში აღიდგინა ის სახელი და დიდება, რომელიც მან წინათ სრულიად სამართლიანად დაიმსახურა ხალხისა და თავისი ღვთაებრივი მამის ზევსის მხრით.

პირველ ყოვლისა, ძღვევამოსილმა გმირმა გადაწყვიტა დაესაჯა ტროადის მეფე ლაომედონი, რომელმაც უარი უთხრა გმირს მშენიერი ჰესიონას განთავისუფლებისათვის დაპირებული ცხენების მიცემაზე.

ჰერკულესმა მოიწვია ელინთა საუკეთესო მეომრები და გაბედულად შეატურა ნაგები ტროადის ნაპირების მიმართულებით.

ელინთა სახელოვანმა გმირმა ვერ შეძლო ილიონის მაგრად ნაშენი კედლების დანგრევა, ამიტომ ქალაქის კედლებზე მიადგა მაღალი კიბეები და ამრიგად ჩაეშვა თავისი მხედრობით ქალაქში.

ელინთა თავდადებული შემოკრები და ტროადის მამაცო ჯარისკაცები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთი-მეორეს. ხელჩართულ ბრძოლაში ჰერკულესმა სასიკვდილოდ დაჭრა მეფე ლაომედონი, ხოლო მეფის მშვენიერი ასული ჰესიონა თავის მეგობარს ტელამონს მიათხოვა.

ტროადა კი ჰერკულესმა ჰესიონას ძმას გადასცა, რომელიც შემდგომ პრიამოსის სახელწოდებით ღრმა მოხუცებულობამდის მეფობდა მთელ ტროადაში.

ქალღმერთი ჰერან ყოველთვის შურის თვალთ უცქეროდა ჰერკულესის ძლევაშედეგებს და ამიტომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა გმირისათვის ხელი შეეშალა, რაიმე ფათერაკი მიეყენებინა, მაგრამ ღმერთების მამამთავარი ზევსი თავის მეუღლეს ამის უფლებას არ აძლევდა, რად ამიტომ სახელოვანი გმირი მუდამ უვნებლად აღწევდა თავს ყოველგვარ საფრთხეს.

ჰერკულესმა სიცოცხლეს გამოასალმა მეფე ავგეასი, რომელმაც უარი უთხრა გმირს უზარმაზარი ბოსლების გაწმენდისათვის დაპირებული სასყიდლის მიცემაზე.

ეტოლიის მეფის ოინეას ქალიშვილის დეინარას სიმშვენიერეს მთელ საბერძნეთში კიდით-კიდემდის ყველანი შესტრფოდნენ.

სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი სიყვარულით იხსენიებდნენ მეფის მშვენიერ ასულს.

ერთხელ დეინარა დაინახა მდინარის ღმერთმა აქელოიმ, რომელსაც ისე მოეწონა მეფის მშვენიერი ასული, რომ გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა.

ეს გადაწყვეტილება რომ განებორციელებინა, აქელოი სამჯერ ესტუმრა მეფე ოინეის და განუცხადა თავისი სურვილი დეინარას ცოლად შერთვის შესახებ.

პირველ სტუმრობისას აქელოი მეფე ოინეის ხარის სახით მოველინა, მეორედ გველემპისა და შესამედ. კი აღამიანისა, რომელსაც ჩვეულებრივი თავის მაგივრად ხარის თავი ება და ცხვირის ნესტოებიდან მდინარის აბობოქრებული ტალღები უზარმაზარ მახინჯ ნიკაპზე ეხეთქებოდნენ.

მეფე ოინეის, მდინარის ღმერთი რომ არ გაენაწყენებინა, შესესაძლებელია კიდევაც მიეღო აქელოის წინადადება, მაგრამ სწორედ ამ დროს დეინარას მეორე საქმრო გამოუჩნდა.

ეს საქმრო იყო საბერძნეთის გამოჩენილი გმირი ჰერკულესი, რომელსაც საიქიოს ყოფნის დროს მელეაგრმა სთხოვა მისი და დეინარა აეყვანა თავისი მზრუნველობის ქვეშ და, თუ მოეწონებოდა, ცოლადაც შეერთო.

ჰერკულესი თავმომწონედ გამოცხადდა მეფე ოინეის სასახლეში და მეფეს მშვენიერი დეინარას ცოლად შერთვის სურვილი განუცხადა.

ელინთა გმირის დიდებულ შესახედაობას ყველანი აღტაცებაში მოჰყავდა. ყველანი გაკვირვებით შესტკეროდნენ სახელოვანი გმირის მძლავრ მხარ-ბეჭსა და მკლავებს, მის შორსსატყორცნელ მშვილდისარს და ვეებერთელა კომბალს, რომელსაც გმირი ჰაერში მრისხანედ ატრიალებდა.

მეფე ოინეიმ ორივე სასიძოს წინადადება მისცა ერთი-მეორეს შებრძოლებოდნენ, და ვინც ამ ბრძოლაში სძლევდა, მშვენიერი დეინარაც მას ცოლად გაჰყვებოდა.

ორ სასიძოს შორის გაიმართა საშინელი ხელჩართული ბრძოლა.

ჰერკულესი შეუბრალებლად სცემდა მოწინააღმდეგეს თავის უზარმაზარ კომბალს, მაგრამ წყლის ღმერთის კლდესავით მაგარ თავს ოდნეავც ზიანს ვერ აყენებდა. აქელოიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავდავიწყებით ეკვეთებოდა ჰერკულესს და იერიში იერიშზე მიჰქონდა.

ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმული ჰერკულესი და აქელოი სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ ერთი-მეორე დაემარცხებინათ, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო იყო.

აქელოი ამ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს სულ სხვადასხვა სახეს იღებდა და ამრიგად ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგე დაეძლია.

მოთმინებიდან გამოსულმა ჰერკულესმა თავისი მძლავრი მკლავებით აქელოი წნელივით მოდრიკა წელში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიწას დაახეთქა.

მაგრამ თვალთმაქცმა აქელოიმ უეცრივ საზარელი გველეშაპის სახე მიიღო.

ძლევა მოსიღმა გმირმა ღიმილით შესძახა: გველეშაპის არასოდეს არ მშინებია და არც ახლა შემეშინდებოა, თავისი მძლავრი ხელები ჩასჭიდა საზარელ ცხოველს კისერში და ის იყო უნდა დაეხრჩო, მაგრამ აქელოიმ უეცრივ საშიშარი ხარის სახე მიიღო და უზარმაზარი რქებით თავდავიწყებით მიიტანა იერიში სახელოვან გმირზე.

ჰერკულესმა გაბედულად სტაცა ხელები ამ საშინელ ცხოველს რქებში და ისე გადაისროლა, რომ ორივე უზარმაზარი რქა გმირს ხელებში შერჩა.

წყლის ღმერთი ამის შემდეგ იძულებული იყო თავი დამარცხებულად გამოეცხადებინა და პირველობა ჰერკულესისათვის დაეთმო.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა გაჰყოლოდა ცოლად მშვენიერი დეინარა, აქელოისა და ჰერკულესის ამ შებრძოლებამ თავისთავად გადაწყვიტა.

მეფე ოინეიმ ბრწყინვალე ქორწილი გადაიხადა.

სახელმწიფოს წარჩინებული კარისკაცები, რომლებიც ამ ქორწილზე იყვნენ მოპატიებულნი, დიდის სიხარულით შეეგებნენ ჰერკულესისა და დეინარას ბრწყინვალე ქორწილს და ყველანი გულწრფელად ულოცავდნენ ახლადდაქორწინებულებს ამ ბედნიერ დღეს.

დეინარასაგან ჰერკულესს შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც გილი უწოდეს.

ერთხელ ჰერკულესი თავისი ცოლშვილით კალედონიაში მიემგზავრებოდა თავის კარგ მეგობარ კეკთან.

ძღვეამოსილი გმირი გზაში მდინარე ევონზე უნდა გადასულიყო.

ხიდის მაგივრობას ეწეოდა კენტავრი ნესესი, რომელსაც შხრებზე შემჯდარი გადაჰყავდა მგზავრები მდინარის მეორე ნაპირას.

ჰერკულესს თვითონ შეეძლო ფეხით გასულიყო მდინარის მეორე ნაპირას, ხოლო დეინარა და პატარა გილი კი კენტავრ ნესეს უნდა გადაეყვანა.

ნესესი ისე მოხიბლა დეინარას სილამაზემ, რომ კენტავრმა გადაწყვიტა სახელოვანი გმირის მშვენიერი მეუღლის გატაცება.

მართლაც, ნესესმა მხრებზე წამოიკიდა მშვენიერი დეინარა და ფეხაკრეფით მოკურცხლა მახლობლად მდებარე ულრანი ტყისაკენ.

ამ თავხედობით გაბრაზებულმა ჰერკულესმა მდგრად სტყორცნა კენტავრს თავისი მოშხამული ისარი და სასიკვდილოდ დაჭრა.

სასიკვდილოდ განწირულმა ნესესმა ამ სიტყვებით მიმართა მშვენიერ დეინარას: „მეფე ოინეას დიდებულო ასულო, შენ ისე მშვენიერი და მომხიბლავი ხარ, რომ სიკვდილის ჟამს არ შემიძლია ცხოვრებაში გამოსადეგი ერთი რამ რჩევა არ მოგცე. გირჩევ დაუყოვნებლივ შუშაში შეაგროვო სისხლი, რომელიც ჩემი ჰრილობიდან გადმოჩქეფს და საიდუმლოდ შეინახო. თუ ვინცობაა შეამჩნიო, რომ შენმა მკუთლემ სხვა ქალის სიყვარული ჩაიგდო გულში, იცოდე,

საიდუმლოდ შენახული სისხლით სავსე შუშა დიდ სამსახურს გაგიწევს. როცა შეამჩნიო, რომ შენმა ქმარმა გული სხვისაკენ იბრუნა, დაუყოვნებლივ დაასველე შენი მეუღლის პერანგი საიდუმლოდ შენახული სისხლით. დარწმუნებული იყავი, რომ შენი მეუღლე, რომელმაც შენზე გული შეიცვალა, როგორც კი შენ მიერ სისხლით დასველებულ პერანგს ჩაიცვამს, აზასოდეს სხვა ქალს არ შეიყვარებს და ისევ შენი ერთგული და სააუთად მოსიყვარულე ქმარი დარჩება. აი ესაა: ჩემი რჩევა და, თუ შენ მას მიიღებ, დარწმუნებულად იყავ, რომ შენს მეუღრო ცხოვრებას ვერასოდეს ვერ დაარღვევს შენი ქმრის დროებითი გატაცება, შენ ნაზ გრძნობებს ნაზივე გრძნობებით პასუხს გასცემს შენი მეუღლის გული“.

ამ სიტყვებთან ერთად კენტავრმა ერთი მწარედ ამოიოხრა და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

დენარამ შუშაში მოაგროვა კენტავრის სისხლი და საიდუმლოდ შეინახა.

ჭერკულესმა და დენარამ ისევ განაგრძეს გზა და ხანგრძლივად დარჩნენ მეგობარ კეიკთან.

როცა ჭერკულესი ხანგრძლივი სტუმრობის შემდეგ შინ დაბრუნდა, სახელოვანმა გმირმა გაიხსენა მეფე ევრიტის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა და გადაწყვიტა მის წინააღმდეგ გალაშქრება.

ჭერკულესმა მოაგროვა მთელს ელადაში სახელგანთქმული მეომრები და მოულოდნელად თავს დაეცა მეფე ევრიტის.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სახელოვანმა გმირმა მეფე ევრიტი და მისი შვილები სიცოცხლეს გამოასალმა, სახელმწიფოს დედაქალაქი დაანგრია და ერთიანად მიწასთან გაახშორა. მეფის ასული მშვენიერი იოლა გმირმა ტყვედ წამოიყვანა.

დენარას ბრძოლის ველიდან ქმრის შესახებ ცნობები არ მოსდიოდა და მეტად წუხდა, ვაი თუ რაიმე უბედურება თავს დაატყდაო.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დენარას წინაშე წარდგა ჭერკულესის მიერ გამოგზავნილი შიკრიკი ლიხასი, რომელმაც რამდენიმე ტყვე მოიყვანა ბრძოლის ველიდან.

„სალამი და კარგად ყოფნა, დიდად პატივცემულო დენარავ!“ — მოკრძალებით მიესალმა ლიხასი მშვენიერ დენარას: „ყოვლად შემძლებელი ღმერთები არასოდეს არ წყალობენ ბოროტსა და გაიძვერა აღამიანებს! ყოვლად მოწყალე ღმერთების დახმარებით დავაზარცხეთ ვერავი მეფე ევრიტი, გავანადგურეთ მთელი მისი სახელმწიფო და მრავალი ტყვე ვიგდეთ ხელთ! ძღვევამოსილი ჭერკულესი

გთხოვს ამ საბრალო ტყვე ქალს განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით მოეპყრათ! აბა, ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი და კეთილი სახე აქვს ამ საბრალოს! ყოვლად მოწყალე ღმერთებს ვფიცავ, ეს საცოდავი ტყვე ქალი ღირსია შენი განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობისა! აი, კიდევაც ამიტომ გთხოვს ძღვევამოსილი გმირი ეს საცოდავი ტყვე ქალი შეიბრალო და ჯეროვანად მოეპყრა“.

დენარას მოეწონა იოლას მშვენიერი და კეთილი სახე და თანაგრძნობით შეეკითხა ახალგაზრდა ტყვე ქალს მისი ვინაობის შესახებ.

მაგრამ საბრალო იოლა ცხარე ცრემლებს ღვრიდა და პასუხის მიცემას ვერ ახერხებდა.

დენარამ ახლადმოყვანილი ტყვე ქალი მსახურებს ჩააბარა და სასტიკი ბრძანება გასცა განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობოდნენ.

ლიხასის წასვლის შემდეგ სწრაფად მოიბრინა შეორე შიკრიკმა, რომელმაც დენარას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დიდად პატივცემულო დენარავ, იცოდე, რომ ის ქალი, რომელიც ტყვე ქალის სახით ლიხასმა მოგგვარათ, მეფე ევრიტის ასულია და სახელად იოლას ეძახიან. ძღვევამოსილ ჰერკულესს, სანამ შენ გაგიცნობდა, ეს ქალი ძალიან მოსწონდა და, როგორც ყური მომიკრავს, ამბობდნენ კიდევაც უყვარდაო. იცოდე, რომ ეს მშვენიერი ტყვე ქალი შენს ოჯახში შენს მეტოქედ შემოდის! საჭიროა ახლავე მიიღო ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში სანანებლად დაგიჩეხება! აი, ჩემი გულწრფელი რჩევა, ახლა კი შენ იცი, რა გზას დაადგები!“

დენარა მეტად ჩააფიქრა შიკრიკის ამ განცხადებამ. საბრალო ქალი დიდად დაეკვიანდა.

დენარა მწუხარედ ითვალისწინებდა თავის მოძავალ უბედურებას და უსაზღვროდ იტანჯებოდა.

უეცრივ სასოწარკვეთილ დენარას მოაგონდა კენტავრის სისხლით სავსე საიდუმლოდ შენახული შუშა, ელვის სისწრაფით მიიჭრა განჯინასთან, საცა ეს შუშა საიდუმლოდ ჰქონდა შენახული, და კენტავრის მოშხამული სისხლით დაასველა ახლადშეკერილი აბრეშუმით ნაქსოვი მშვენიერი პერანგი და ლიხასს გადასცა ჰერკულესისათვის მისაძღვინელად.

ლიხასი ამ ძვირფასი საჩუქრით გაემართა ევბას, საცა იმ დროს მტერზე ბრწყინვალედ გამარჯვებული ჰერკულესი ყოვლად შემძლებელ ღმერთებს სამადლობელ მსხვერპლს სწირავდა.

დენარა ყოველ წუთს მოელოდა თავისი საყვარელი მეუღლის დაბრუნებას, მაგრამ ჰერკულესი არსად ჩანდა.

ამ მოლოდინით შეწუხებულმა დენარამ ევბეას გაგზავნა თავისი საყვარელი შვილი გილი, რომელსაც დაავალა საყვარელი ჰერკულესის შინ დაბრუნება დაეჩქარებინა.

გილი ევბეიდან სასწრაფოდ დაბრუნდა და თავის საყვარელ დედას მწუხარედ მოახსენა: „ჩემო საყვარელო დედავ, მამაჩემი შენმა საბედისწერო საჩუქარმა დალოჟა. საბრალო მამაჩემმა, როცა შენი ძვირფასი საჩუქარი მიიღო, სულითა და გულით გაიხარა და დაუყოვნებლივ ჩაიცვა შენი გაგზავნილი აბრეშუმით ნაქსოვი პერანგი ძღვევამოსილი გმირი მსხვერპლის შეწირვის თადარიგს შეუდგა. უეცრივ, როცა ცეცხლი სამსხვერპლოზე გაჩაღდა, მამამ საშინელი ტკივილები იგრძნო, მთელ სხეულში რაღაც საშინელებამ ელვის სისწრაფით დაურბინა. აუტანელის ტკივილებისაგან გამწარებულმა გმირმა სასოწარკვეთილებით ერთი მძლავრად შეჰყვირა და გულსაკლავი გმინვით მიწაზე დაეშვა.

— „შვილო!“ — მწუხარედ მითხრა სულთმობრძავმა მამაჩემმა: „დედაშენის გამოგზავნილმა პერანგმა დამლოჟა. თუ არ გსურს, რომ უცხო ქვეყანაში დაეღოო სული, დაუყოვნებლივ შინ წამიყვანე! დეე, ჩემმა საკუთარმა ოჯახმა დამიტიროს, ჩემ გაცივებულ გეამს ცხარე ცრემლები დააფრქვიოს! დეე, ჩემ სამშობლო მხარეში დავიშარხო და სამუდამოდ განვისვენო! ვფიქრობ, ხალხი, რომლის კეთილდღეობისათვის მე ასე თავდადებულად ვიბრძოდი მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, ჩემს ღვაწლს არ დაივიწყებს და ჩემი მკუდრო საფლავს გულგრილად გვერდს არ ჩაუვლის!“ დედა, შენი საკუთარი ხელით დალოჟე მთელი ერის სასიქადულო გმირი, თავისი ოჯახის განუსაზღვრელად მოსიყვარულე მამა და შენი ასე თავდავიწყებით ერთგული მეუღლე! აი, საცაა საბრალოს კიდევაც მოიყვანენ და შენი საკუთარი თვალით დაინახავ შენს საყვარელ მეუღლეს, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვი, ცოცხალს ნახავ თუ მკვდარს!“

დენარა შიშისაგან ერთიანად გაფითრდა, პირისახე შეეცვალა, ენა მუცელში ჩაუვარდა და ვერხვის ფოთოლივით ტახტახებდა.

დედას რომ არაფერი მოსვლოდა, შეშინებული გილი მეორე ოთახში შეშლილივით გავარდა მოსამსახურე ქალების დასაძახებლად.

მაგრამ სანამ გილი უკანვე დაბრუნდებოდა, შიშით ზარდაცემულმა დენარამ ბასრი ხმლით მკერდი ორად გაიგმირა. საბრალომ მყისვე განუტევა სული.

გილის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავისი საყვარელი დედის ირგვლივ სისხლის გუბები დაინახა.

საბრალო გილი ცრემლების ფრქვევით დაემხო ძვირფასი დედის უკვე გაცივებულ გვამს და თავისთავს სასტიკად ჰკიცხავდა, რომ მისმა წინდაუხედავმა სიტყვებმა საყვარელი დედა სიცოცხლეს გამოასალმა.

სწორედ ამ დროს საკაცეთი სახლში შემოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი, სრულიად ფერმიხდილი ჰერკულესი.

მომაკვდავი გმირის საშინელი გმინვა მთელ სახლს აყრუებდა. ყველანი ზარდაცემულნი შეჭყურებდნენ გმირის უსაზღვრო ტანჯვას და ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ.

—განა უბედურება არაა,—საცოდავის ხმით შესჩიოდა სასიკვდილოდ განწირული გმირი თავის საყვარელ შვილს გილს,—განა დედამიწის ზურგზე ჩემზე უფრო ძლიერი გმირი კიდევ სადმე მოიპოვებოდა! ჩემს წინაღმდეგ გალაშქრებას განა ხორცშესხმული ადამიანი გაბედავდა! ყველაფერი ჩემს წინაშე ძრწოდა და ცახცახებდა. ამჟამად კი სარეცელზე ძლიეს სულს ვიბრუნებ და ჩემი საკუთარი ცოლის წყალობით სამუდამოდ ვიღუპები! ჩემო საყვარელო შვილო, გეხვეწები, მხურვალედ გევედრები შენის ხელით მომისპო სიცოცხლე და ამნაირად გადაძარჩინო ამ აუტანელ ტანჯვა-წამებას. ხოლო კარგად გახსოვდეს, რომ აუცილებლად საჭიროა სამაგიერო გადაუხადო დედაშენს, რომელმაც ასე დაუმსახურებლად მომისპო სიცოცხლე. განა ძლევა მოსილი ჰერკულესი ღირსი იყო დედაშენის მხრით ასეთი სასჯელისა! დაბეჯითებით გთხოვ, შვილო, პატივი მეცი და ეს უკანასკნელი თხოვნა შემისრულე!“

მაგრამ როცა გილმა ცრემლების ფრქვევით მოუთხოო მამას, რომ საბრალო დენარამ მეტის მწუხარებისაგან გულმკერდი ბასრი ხმლით სასიკვდილოდ განიგმირა, ჰერკულესი მცირედად დამშვიდდა და საშინელი გულისტკივილით მძიმედ ამოიოხრა.

სულთმობრძავემა გმირმა ტყვედ წამოყვანილი მშვენიერი იოლას შეახებ ზრუნვა და მისი მოვლა-პატრონობა გილს დაავალა, რის შედეგ მსახურებს უბრძანა აეყვანათ ეტის მთის მწვერვალზე, საცა, ღმერთების გადაწყვეტილებით, სახელოვან გმირს საუკუნოდ უნდა განესვენა.

ჰერკულესის მეგობრებმა და საუკეთესო ამხანაგებმა ეტის მთის მწვერვალზე გამართეს კოცონი მუხისა და ნაძვის შეშისაგან და ზედ დააწვინეს მომაკვდავი გმირი.

მაგრამ კოცონის ცეცხლის შეკეთებას ვერაფერს ბედავდა.

ბოლოს ეს სამწუხარო მოვალეობა ჰერკულესის თხოვნით შეასრულა სახელოვანი გმირის მეგობარმა ფილოქტეტესმა, რომელმაც საჩუქრად ამ სამსახურისათვის გმირის საუცხოო მშვილდ-ისარი მიიღო.

კოცონს ცეცხლი წაეკიდა. ალმა და სქელმა კვამლმა დაფარა მთელი კოცონი.

უეცრივ გაისმა საშინელი ჰეჰა-ჰუხილი. კოცონზე ჩამოეშვა მსუბუქი ღრუბელი, რომელიც გარს შემოერთყა სახელოვანი გმირისათვის გამართულ ალითა და კვამლით შებურულ კოცონს.

მცირედი ხნის შემდეგ ღრუბელი ისევ ცისაკენ აიწართა და ოლიმპოს მწვერვალზე აიტანა მიწიერი ცოდვებისაგან განწმენდილი ჰერკულესი.

ოლიმპოზე ჰერკულესს შეხვდა ქალღმერთი ათინა, რომელმაც ძღვევამოსილი გმირი დარბაზში მიიწვია, საცა იმ დროს ღმერთებს შათბირი ჰქონდათ გამართული.

ქალღმერთი ჰერა ახლა კი შეურიგდა ჰერკულესს და, ნიშნად თავისი კეთილ განწყობილებისა, ელინთა სახელოვან გმირს ცოლად მიათხოვა თავისი ასული, მუდმივი ჭაბუკობის ქალღმერთი მშენიერი ჰება.

ამრიგად დასრულდა მიწიერი ცხოვრება იმ დიდებული გმირისა, რომელიც მუდამ ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწოდა, მუდამ ჩაგრულთა და უბედურთ მფარველობდა და თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობით უდიდესი სამსახური გაუწია თავის სამშობლო მხარეს.

მთელი საბერძნეთის მოსახლეობა, განურჩევლად წოდებისა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დიდად აფასებდნენ ჰერკულესის ამ ფასდაუღებელ, უდიდეს ღვაწლს და კიდევაც ამიტომ თავისი სახელოვანი გმირის შარავანდით მოსილ სახელს ყოველად შემძლებელი ღმერთების თანაბრად პატივს სცემდნენ და მუდამ სიყვარულით იგონებდნენ.

თ ე ზ ე ვ ი

ქლოპის შთამომავალს ათენის მეფეს ეგეოსს შვილები არ ჰყავდა; მას ძლიერ აწუხებდა უშვილობა და შიშით ითვალისწინებდა მოხუცებულობას, როდესაც მტრისაგან დამცველი და გულშემატივარი არ ეყოლებოდა.

ეგეოსს დაუძინებელ მტრებად მიაჩნდა თავისი ძმის პოლინტის შვილები, რომელნიც ყოველ მოხერხებულ დროს იყენებდნენ, რომ უშვილო ბიძა ტახტიდან ჩამოეგდოთ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში ჩაეგდოთ.

დაუსრულებელი ბრძოლით გაბეზრებულმა ეგეოსმა გადაწყვიტა ფარულად შეერთო ვინმე, რომ მემკვიდრე გასჩენოდა და სამეფო ტახტს დაჰპატრონებოდა.

სანამ ამ გადაწყვეტილებას განახორციელებდა, ეგეოსი თავის მეგობარ პიტფეისთან გაემგზავრა, რომ ამ საკითხის შესახებ მოლაპარაკებოდა და მეგობრული რჩევა მიეღო.

სწორედ იმ ხანებში ღმერთებმა უწინასწარმეტყველეს პიტფეის: შენი მშვენიერი ასული ეფრა ფარულად გათხოვება და მეცემა ვაჟიშვილი, რომელიც საგმირო საქმეების შესრულებით ძღვევამოსილი გმირის სახელს დაიმსახურებს მთელ საბერძნეთშიო.

პიტფეის ვერ აეხსნა ღმერთების წინასწარმეტყველება და დიდად წუხდა. მაგრამ როცა მეფე ეგეოსმა გაუმკლავნა თავისი განზრახვა, ღმერთების წინასწარმეტყველება პიტფეისათვის უკვე აშკარა შეიქნა:

მეფე პიტფეიმ მოიწონა ეგეოსის განზრახვა და ფარულად მიათხოვა მას თავისი მშვენიერი ასული ეფრა.

ხანგრძლივი სტუმრობის შემდეგ მეფე ეგეოსი თავის სახელმწიფოში დასაბრუნებლად მოემზადა.

როცა თავის მშვენიერ მეუღლეს უნდა გამოსთხოვებოდა, ეგეოსმა იგი ზღვის პირას ცამდის აღმართულ დიდ კლდესთან მიიყვანა.

მეფემ დიდის გაჭირვებით ასწია ეს უზარმაზარი კლდე და მის ქვეშ შეინახა თავისი ხმალი და ქალამნები.

ეგეოსი შემდეგ მიუბრუნდა თავის საყვარელ მეუღლეს ეფრას და უთხრა: „ჩემო ძვირფასო ეფრა! ეს ხმალი და ქალამნები ამ კლდის ქვეშ უნდა ინახებოდეს. ამის შესახებ არავის არაფერი არ გაუმეღავენო. თუ ყოვლად შემძლებელი ღმერთები მოწყალებ თვალით შემოგვხედავენ და შეიღს გვაჩუქებენ, გთხოვ ეს ჩვენი პირმშო შესაფერისად აღზარდო, ხოლო ამასთანავე დაბეჯითებით გთხოვ არც ჩემ მომავალ შეიღს და არც სხვას ჩემი ვინაობის შესახებ დრომდის არაფერი არ გაუმეღავენო. მაგრამ როცა ჩვენი შეიღი იმდენად წამოიზრდება, რომ ამ კლდის აწევას შეიძლებს, მოიყვანე ამ ზღვის პირას და სთხოვე აქ შენახული ხმალი და ქალამნები ამოიღოს. თუ ამას შეძლებს, ჩააცვი ქალამნები, ხმალი მხარზე გადაჰკიდე და დაუყოვნებლივ ჩემთან გამოგზავნე“.

ამ განკარგულების მიცემის შემდეგ იგი გამოეთხოვა თავის საყვარელ მეუღლეს, შეატურა ხომალდი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში და ათენისაკენ გაეშურა.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ეფრას შეეძინა ვაჟი, რომელიც ისეთი ახოვანი და მძლავრი იყო, რომ ყველას აოცებდა.

ყმაწვილს თეზევი დაარქვეს. მეფე პიტუეიმ ეფრას თხოვნით ხალხს გამოუტხადა, საკვირველი ყმაწვილი ჩემს ასულს პოსეიდონ ღმერთისაგან შეეძინაო.

დედა დიდის გულმოდგინებით ზრდიდა თავის პირმშოს. მოსიყვარულე დედა ამჩნევდა, რომ ყმაწვილი ბუმბერაზ ძალას და მეტად მახვილ კეჟა-გონებას იჩენდა.

თექვსმეტი წლის იქნებოდა თეზევი, როცა დედამ ჯადაწყვიტა ათენაში გაეგზავნა ზამასთან.

ეფრამ წაიყვანა თეზევი ზღვის ნაპირას, საცა მეფე ეგეოსმა ამ თექვსმეტი წლის წინათ შეინახა კლდის ქვეშ თავისი ხმალი და ქალამნები.

ყმაწვილმა სულ ადვილად ასწია უზარმაზარი კლდე და ამოიღო ეგეოსის შენახული ხმალი და ქალამნები.

დედამ შეიღს მხოლოდ ახლა უთხრა, რაც მეფე ეგეოსმა ათენაში გამგზავრებისას დაავალა.

დედის ნაამბობმა თეზევი დიდად გაახარა. ჯანღონით სავსე კაბუკი დაუყოვნებლივ შეუღდა ათენაში წასვლის თადარიგს.

თეზევი მეორე დღესვე გაემართა ათენისაკენ მამის სანახავად. სანამ ათენაში მივიდრდა, ძალღონით სავსე თეზევმა გზაში მრავალი საგმირო საქმე ჩაიღინა.

მაშინდელ საბერძნეთში, როგორც ყოველ გაუნათლებელ და მოუწყობელ ქვეყანაში, ძალიან ბევრი ყაჩაღი იყო, და მათ საშინელი ღლე დააყენა თეზევმა.

ეპიდავრის უღრან ტყეში თეზევი წააწყდა ყაჩაღ პერიფეტს, რომელიც თავისი უზარმაზარი კომბლით ყველა მგზავრს სიცოცხლეს ასალმებდა.

გაბედული ყმაწვილი უშიშრად შეებრძოლა ყაჩაღს. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ თეზევმა ხელიდან გამოსტაცა ყაჩაღს უზარმაზარი კომბალი და ისეთი ძალით დაჰკრა თავში, რომ ქვეყნის ამკლებმა ყაჩაღმა მყისვე სული დალია.

თეზევი თავს წააწყდა მეორე ყაჩაღს, რომელიც კორინთის ყელზე დათარეშობდა. ყაჩაღი მძლავრი ხელებით ხრიდა მახლობლად მდგომი ნაძვის ხეების კენწეროებს და გამვლელ-გამომვლელებს ცალი ფეხით მიაკრავდა ხოლმე ასე მოხრილი ხეების კენწეროებზე. როცა ხეები ტანში გაიმართებოდნენ, ყაჩაღის მსხვერპლი, ჰაერში ორად გახლეჩილი, დედამიწას უდანაშაულო სისხლით ანოყიერებდა.

ახალგაზრდა ჯაბუკი მედგრად შეებრძოლა ქვეყნის ზარდამცემ ყაჩაღს და შეუბრალებლად გამოასალმა სიცოცხლეს.

თეზევს სასტიკი ბრძოლა დასჭირდა, სანამ სასიკვდილოდ დაკრიდა გარეულ ღორს, რომელიც კორინთის ხეობაში დათარეშობდა და ადგილობრივი მოსახლეობის დოვლათს ყოველდღე ანადგურებდა.

მეგარასა და ატიკას შორის სარონიკის უბის ნაპირები ყაჩაღ სკირონს ეჭირა და ვისაც კი ხელში ჩაიგდებდა, უთუოდ ჯღვანში უნდა ებანაეებინა, მაგრამ ძვირად თუ ვინმე გადარჩენია ამ უნებურ ბანაობას.

თეზევმა მთის მწვერვალზე დაიჭირა სკირონი და მთელი ძალონით გადაისროლა ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში.

ელეფსინის მახლობლად თეზევი შეხვდა ყაჩაღ კერნიონს, რომელიც მგზავრებს ჭიდაობაში იწვევდა და ყველას სიცოცხლეს ასალმებდა, ვინც კი მასზე სუსტი აღმოჩნდებოდა. თეზევმა კერნიონი ჭიდაობაში გამოიწვია, მისივე კომბლით გაუტეხა თავი - და სიცოცხლეს გამოასალმა.

ატიკაში, კეპისის ნაპირებზე, დაბინავებული იყო ყაჩაღი პროკრუსტი, რომელიც მეტად თავისებურ სტუმართმოყვარეობას იჩენდა: თუ რომელიმე მგზავრი იძულებული იყო პროკრუსტის ბინაზე ღამე გაეთია, მასპინძელი სტუმარს საწოლს მიუჩენდა მოსასვენებ-

ლად. თუ სტუმარი მაღალი იყო და ფეხები გადასცილდებოდა საწოლს, პროკრუსტი ფეხების ზედმეტ ნაწილს მოსჭრიდა, ხოლო თუ მგზავრი საწოლზე მოკლე აღმოჩნდებოდა, სტუმართმოყვარე მასპინძელი მგზავრს ფეხებს უჭიმავდა, ვიდრე საწოლს არ გაუთანაბრებდა.

თეზემა დაიჭირა პროკრუსტი, მოკლე საწოლზე დააწვინა, ფეხების ზედმეტი ნაწილი ჩამოსჭრა და სიცოცხლეს გამოასალმა.

მრავალი სჯამირო საქმის ღირსეულად შესრულების შემდეგ თეზევი ათენაში მოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მდგომარეობა არ დახვდა, რასაც იგი მოელოდა.

ხალხს ყოველდღიური უთანხმოება ტანჯავდა. თითოეულ მოქალაქეს რაღაც აწუხებდა. არავინ იცოდა, ხვალინდელი დღე რას უქადდა. ხალხი წუხდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

მეფე ეგეოსი მოხუცებულობაში შედიოდა და სახელმწიფო საქმეებს უკვე თავს ვერ ართმევდა.

ეგეოსის ძმისწულები ყოველგვარად ცდილობდნენ სამეფო ტახტი მეფის სიცოცხლეშივე ხელში ჩაეგდოთ.

როგორც კი მივიდა ქალაქში, თეზევი დაუყოვნებლივ მამის სანახავად გაეშურა.

დაინახა თუ არა ეგეოსმა უცნობი სტუმრის ტანზე თავისი ხმალი და ფეხზე ქალამნები, მიხვდა, რომ ახლადმოსული ჭაბუკი მისი შვილია. მეფე და თეზევი ერთი-მეორეს მოეხვივნენ და სიხარულისაგან ცრემლებს აფრქვევდნენ.

მეფე ეგეოსმა წარუდგინა თეზევს სახელმწიფოს უმაღლესი მოხელენი, რომელთაც ტახტის ახლადმოვლენილმა მემკვიდრემ უამბო მის მიერ შესრულებული საგმირო საქმეები.

სახელმწიფოს წარჩინებულები ალტაცებით უღობავდნენ თეზევს ყაჩაღებზე ბრწყინვალე გამარჯვებას და სრულ იმედს გამოთქვამდნენ, რომ ამიერიდან სახელოვანი გმირი დახმარებას არ მოაკლვებდა ათენის ყოველმხრივ შევიწროებულ მოქალაქეებს და მოსალოდნელი უბედურებისაგან იხსნიდა.

თეზემა უპირველეს ყოვლისა გადაწყვიტა პალანტის ვერაგი ვაჟიშვილების თავიდან მოცილება.

პალანტის ვაჟიშვილები მოხერხებულ შემთხვევას ეძებდნენ, რომ ახლადმოვლენილი მემკვიდრე მოეკლათ და სამეფო ტახტს დაუფლებოდნენ.

თეზევი სრულიად მოულოდნელად შეიჭრა ბოროტგამზრახველების სასახლეში და ყველანი შეუბრალებლად ამოჟლიტა.

სახელოვანი კაბუკი შეაფიქრიათ ამ მკვლელობამ: ვაი თუ ხალხმა შემოდულოსო, და გადაწყვიტა ხალხისათვის მეტისმეტად სასარგებლო საქმის შესრულება, რომ ამით მოეგო მისი გული.

მთელ ათენასა და მის მიდამოებს ანადგურებდა მარათონის ველზე გავარდნილი გარეული ხარი.

ერთ დროს ეს საშინელი ხარი საბერძნეთის უძლიერესმა გმირმა ჰერკულესმა დაიჭირა, მაგრამ მეფე ევრისთენემ გაათავისუფლა, და მასაქმეთ ანადგურებდა ეს საშინელი ცხოველი ატიკის თვალუწვდენელ მინდორ-ველებს. ვერავინ ვერ ბედავდა ამ ველური ხარის წინააღმდეგ გალაშქრებას, ყველანი შიშით ძრწოდნენ...

თეზემმა გადაწყვიტა ამ საშინელი ცხოველის ცოცხლად დაქერა.

სახელოვანი გმირი თავდავიწყებით ეკვეთა მინდორზე მოთარეშე ველურ ხარს, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სძლია და ხალხის დოვლათის გამანადგურებელი ცხოველი მაგრად შეკრული მოიყვანა ათენაში.

მაგრამ ყველაზე უფრო საგმირო საქმედ ბერძნები თეზევის მიერ მინოტავრის მოკვლას თვლიდნენ.

ათენელებმა ოდესღაც მოჰკლეს კუნძულ კრეტას ზეფის მინოსის ვაჟი.

მეფე მინოსმა ათენელებს ომი გამოუცხადა. ათენელებმა წააგეს ეს ომი.

გამარჯვებულმა მეფემ საზავო პირობების დადების დროს ათენელებს მეტად სამძიმო ხარკი დაადო: ყოველი ცხრა წლის განმავლობაში ათენელები მეფე მინოსს უგზავნიდნენ ცხრა-ცხრა ქალ-ვაჟს, რომელთაც გაუმაძღრად სანსლავდა მეფის ლაბირინტში დამწყვდეული ხარი მინოტავრი.

როცა კრეტის მეფემ კვლავ მოსთხოვა ათენელებს ეს სამძიმო ხარკი, სხვა ათენელებთან ერთად თეზევიც გაემგზავრა კუნძულ კრეტაზე.

როცა კრეტას მივიდნენ, სასიკვდილოდ განწირულნი შეიყვანეს უზარმაზარ ლაბირინტში, რომელშიაც მინოტავრი ცხოვრობდა.

ამ შენობაში იმდენი ოთახი იყო, რომ შემსვლელს გზა ებნეოდა და უკან დაბრუნებას ვერ ახერხებდა.

თეზევის სილამაზითა და ვაჟკაცობით მოხიბლულმა მეფე მინოსის ასულმა არიადნამ მისცა გმირს ძაფის გრეხილი. როდესაც თეზევი ლაბირინტში შევიდა, მან შესავალთან დაამაგრა გრეხილის

პოლო. სახელოვანი გმირი თანდათანობით არღვევდა გრეხილს, სანამ გაუმადლარ მინოტავრს არ შეხვდა.

თეზევი გააფთრებული ლომივით ეკვეთა მინოტავრს და ხმლით გაუგმირა გულმკერდი.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ არიადნას ძაფის გრეხილმა საშუალება მისცა თეზევს ლაბირინტიდან გამოსასვლელი გზა მოენახა და მშვიდობით დაბრუნებულიყო თავისი მხლებლებით.

თეზევს ლაბირინტის კარებთან დახვდა მშვენიერი არიადნა, რომელმაც კუნძულ ნაქსოსზე გადაიყვანა დაღუპვას გადარჩენილი ათენგლები.

თეზევი და მისი თანამხლებელი ათენგლები რამდენიმე დღეს დარჩნენ კუნძულზე დასასვენებლად და უხვი მსხვერპლი შესწირეს ღმერთებს დაღუპვისაგან გადარჩენისათვის.

თეზევს სიზმარში გამოეცხადა მზიარულების ღმერთი ბაქხი, რომელიც გმირს მოკვლას ემუქრებოდა, თუ იგი მშვენიერ არიადნას არ ჩამოშორდებოდა და კუნძულ ნაქსოსზე არ დატოვებდა.

ღმერთების გადაწყვეტილებით, მეფე მინოსის მშვენიერი ასული არიადნა ბაქხს ცოლად უნდა გაჰყოლოდა.

თეზევმა ვერ გაბედა ღმერთების გადაწყვეტილების ურჩობა. როცა მშვენიერ არიადნას სრულიად უღარდელად ეძინა, თეზევმა თავისი მხლებლებით დატოვა ნაქსოსის ნაპირები და ხომალდი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში შეაცურა ათენაში დასაბრუნებლად.

სახელოვან გმირსა და მის მხლებლებს დიდად აწუხებდა მათი მხსნელი ქალის, მშვენიერი არიადნას კუნძულზე მარტოდმარტო დატოვება.

მეფე ეგეოსი მოუთმენლად მოელოდა შვილის მშვიდობიანად დაბრუნებას.

თეზევი კრეტას გამგზავრებისას მოხუც მამას დაჰპირდა: თუ დავძლევ საშინელ მინოტავრს, დაბრუნებისას, გამარჯვების ნიშნად, ხომალდზე შავი დროშის მაგივრად თეთრ დროშას გამოვიკიდებო.

მაგრამ ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა არიადნას ასე უმართებულად შეურაცხყოფისათვის თეზევს სამაგიერო გადაუხადეს.

დაბრუნებისას სახელოვან გმირს დაავიწყდა ხომალდზე თეთრი დროშის გამოკიდება.

მეფე ეგეოსი მოუთმენლად მოელოდა თეზევის დაბრუნებას და მალა კლდეზე გადამდგარი ყოველდღე თვალუწრს ადევნებდა ზღვაში მომავალ ხომალდებს.

როცა ეგეოსმა კუნძულ კრეტიდან მომოვალ ხომალდზე გამო-
კიდებული შავი დროშა დაინახა, ეს თეზევის დაღუპვის ნიშნად
მიიჩნია და უსაზღვრო მწუხარებისაგან გონებაარეული ზღვის უფს-
კრულში გადაეშვა.

თეზევის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. სახელოვანი გმირი
განუსაზღვრელი გულისტკივილით კიცხავდა თავისთავს, რომ მისმა
გულმაეიწყობამ იმსხვერპლა მეფე ეგეოსი.

თეზემა საყვარელი მამა ბრწყინვალედ დაასაფლავა. ეგეოსის
სწხელის უკვდავსაყოფად, იმ ზღვას, რომელშიაც მეფემ შვილის
განუსაზღვრელი სიყვარულით თავი დაიხრჩო, „ეგეოსის ზღვა“
დაარქვეს.

ეგეოსის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ათენის სამეფო ტახ-
ტი თეზემა დაიჭირა.

სახელოვანმა გმირმა დიდი უნარი გამოიჩინა სახელმწიფო საქ-
მეების მართვა-გამგეობაში.

თეზევის მეფობის დასაწყისში მთელი ატიკა დანაწილებული
იყო თენებად, რომელნიც სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწე-
ოდნენ.

სახელოვანმა მეფემ ეს დაქსაქსული თემები შეაერთა, ამრიგად
გააერთიანა ელინთა მთელი ერი და საერთო სამოღვაწეო ასპარეზი
გაუჩინა.

სახელმწიფოს მკვიდრნი სამ კლასად დაანაწილა: კეთილშო-
ბილნი, მიწის მუშაკნი და ხელოსნები.

შორსმჭვრეტელმა თეზემა მეფის განსაკუთრებული უფლება
საკმაოდ შეზღუდა.

სახელმწიფოს სამძიმო საქმეების საბოლოოდ გადაჭრა და და-
დასტურება მეფემ კეთილშობილთა საბჭოს და სახალხო ყრილობას
შიანდო.

ამ უმაღლესი ორგანოების საშუალებით ხალხი მონაწილეობას
იღებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, და ამრიგად თითოეული
სამძიმო საქმე უფრო მართებულად და საფუძელიანად წყდებოდა-
სახელმწიფოში.

სახელოვანი მეფე დიდის გულმოდგინებით ზრუნავდა იმაზე,
რომ ხალხში განემტკიცებინა ღმერთებისადმი პატივისცემა.

ქალაქ ათენის მფარველ ქალღმერთ ათინას სადიდებლად თე-
ზემა შესანიშნავი ტაძარი ააგო.

პოსეიდონ ღმერთის პატივსაცემლად ძღვევამოსილმა მეფემ
ათენაში დააარსა ეგრეთწოდებული „ისტმის გასართობები“.

თეზეს არ დასცალდა დიდხანს ეწარმოებინა სახელმწიფოს ეს მშვიდობიანი მშენებლობა.

როცა ომს აწარმოებდა ამორძალების წინააღმდეგ, მან მოიტაცა მათი წინამძღოლი მშვენიერი იპოლიტე და ცოლად შეირთო.

იპოლიტემ თავისი სათნო ხასიათით მოიგო სახელმწიფოს მკვიდრთა გული.

ამორძალებმა დიდ შეურაცხყოფად მიიღეს თავისი საყვარელი წინამძღოლის მოტაცება და სრულიად მოულოდნელად თავს დაეცნენ ათენელებს.

თეზემა დაუყოვნებლივ შეკრიბა დიდი მხედრობა და სახელმწიფოში შემოსეული მტრის წინააღმდეგ შედგრა და გაილაშქრა.

ბრძოლის ველზე მეფემ დიდი გმირობა გამოიჩინა.

სამწუხაროდ, ამ სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაქრეს დედოფალი იპოლიტე, რომელიც ათენელებთან ერთად გამირულად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ.

ელინთა ძღვევამოსილმა მხედრობამ, თეზეის წინამძღოლობით, დაამარცხა ამორძალები, რომელნიც იძულებული იყვნენ სამარცხეინო ზავი შეეკრათ ათენელებთან.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ თეზეს დიდად გაუთქვა სახელი მთელს საბერძნეთში.

ყველანი დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ გმირ მეფეს, მის სახელს ძღვევამოსილობის შარავანდით მოსავდნენ.

სწორედ ამ ხანებში საბერძნეთის ერთმა თვალსაჩინო გმირმა პერითეიმ მოისურვა გამოეცადა თეზეის ვაჟკაცობა და ამის შესამოწმებლად გაიტაცა მარათონის ველიდან თეზეის ხარების ჯოგი.

პერითეი დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი ხარების გატაცებას გაიგებდა, თეზევი უკან გამოუდგებოდა, ამიტომაც განზრახნელა მიერეკებოდა ხარების ჯოგს.

მართლაც, გაბრაზებული მეფე კვალდაკვალ გამოუდგა პერითეის და მალე წამოეწია.

თეზევი და პერითეი ის იყო უნდა სცემოდნენ ერთმანეთს, რომ ამ დროს სრულიად მოულოდნელი რაღაც მოხდა: გმირებს ისე მოეწონათ ერთი-მეორე, რომ, თითქო ვინმეს ბრძანებით, ერთსა და იმავე დროს დაყარეს იარაღი და მეგობრულად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი.

პერითეიმ თეზეს ნებაყოფლობით დაუბრუნა გატაცებული ჯოგი და მეფეს სთხოვა თვითონვე დაენიშნა ჯილდო ზარალის ასანაზღაურებლად.

— „ერთადერთი ჯილდო, რომელიც მსურს შენგან შვილო, — მხიარული კილოთი წამოიძახა თეზევმა, მხოლოდ ის იქნება, თუ მე და შენ სამუდამოდ დავემგობრდებით!“

თეზევი და პერითეი ერთი-მეორეს გადაეხვივნენ და მეგობრობის მტკიცე კავშირი შეკრეს.

მცირე ხნის შემდეგ პერითეიმ ლაპიდების თავადის ასული მშვენიერი იპოდამია შეერთო და ქორწილზე მიიპატიჟა, ახლადშეძენილი მეგობარი თეზევი.

ლაპიდების ველური ტომები თესალიაში ცხოვრობდნენ. ლაპიდების მამაცობა ყველას აოცებდა. ყველა მოკვდავზე ადრე გარეული ცხენები ლაპიდებმა მოაშინაურეს.

ქორწილზე მიპატიებულნი იყვნენ აგრეთვე პერითეის ნათესავი კენტავრები.

ლაპიდებისა და კენტავრების ტომებს მუდამ მტრობა ჰქონდათ ერთმანეთთან.

მიუხედავად ასეთი მტრული განწყობილებისა, კენტავრები მაინც მივიდნენ პერითეის ქორწილზე და ლაპიდებთან ერთად მხიარულობდნენ.

ამ საერთო მხიარულების დროს ღვინით ძალზე შეზარხოშებულმა კენტავრმა ევრიტიონმა მხრებზე წამოიკიდა პატარძალი იპოდამია და უღრანი ტყისაკენ გაიტაცა.

საქორწილო დარბაზში სტუმრებმა საშინელი განგაში ატეხეს.

ღვინით გაღეშილმა კენტავრებმა ისარგებლეს ამ სამწუხარო შემთხვევით, დაერივნენ თესალიელების ცოლებსა და ქალიშვილებს და ჯოჯოხეთის გენია დაატრიალეს საქორწილო დარბაზში.

ქალების გულსაკლავი კივილი მთელ დარბაზს აყრუებდა.

სასწრაფოდ წამოიჭრნენ პატარძლის ნათესავი ლაპიდები და აწიოკებული ქალების გამოსასარჩლებლად ეკვეთნენ ღვინით გაღეშილ კენტავრებს.

„რომელმა ღმერთმა დაგიბნელა გონება, რომ შენ გაბედვ ჩემი და ჩემი მეგობრის პერითეის ასე შეურაცხყოფა?“ — მრისხანედ შეჰყვირა თეზევმა და ელვის სისწრაფით დაედევნა თავზნებელალებულ კენტავრს.

ძღვეამოსილმა თეზევმა დაიჭირა ევრიტიონი და ისე მძლავრად ჩაჰკრა მუშტი გულმკერდში, რომ კენტავრმა ქარიშხლისაგან მოტეხილ ხესავით ზღართან მოილო მიწაზე.

ევრიტიონის მკვლელობამ კენტავრებსა და ლაპიდებს შორის ცხარე შეტაკება გამოიწვია.

ლაპიდები თეზეის წინამძღოლობით სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ კენტავრებს.

ცხარე ბრძოლა არ შეწყვეტილა მთელი დღის განმავლობაში.

კენტავრებმა ამ შებრძოლების დროს მრავალი თავდადებული მეომარი დაკარგეს.

მხოლოდ დაბინდებისას შეწყდა ბრძოლა. ლაპიდებმა სძლიეს კენტავრებს და ამრიგად გადაარჩინეს მშვენიერი იპოდამია დიდ განსაცდელს.

თეზეის ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ კიდევ უფრო განანტიცა პერითეისა და სახელოვანი გმირი მეფის მეგობრული კავშირი.

სამწუხაროდ, იპოდამია სულ მოკლე ხანში მძიმედ გახდა ავად და გადაიცივლა.

გულითადმა მეგობრებმა, თეზემამ და პერითეიმ, იპოდამიას გადაცვალებიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ გადაწყვიტეს ორივეს შეერთო ცოლი.

სწორედ იმ დროს სპარტაში იმყოფებოდა მთელ საბერძნეთში სილამაზით სახელგანთქმული მშვენიერი ელენე, ღმერთების მამამთავრის ზევსის და ლედას ასული.

თეზემამ და პერითეიმ ერთხელ ქალღმერთის არტემიდეს ტაძარში მოჰკრეს თვალი მშვენიერ ელენეს და ისე მოეწონათ, რომ დაუყოვნებლივ მოიტაცეს და არკადიაში წამოიყვანეს.

მეგობრებმა დაიწყეს ბქობა, თუ რომელ მათგანს უნდა შეერთო ახლადმოტაცებული მშვენიერი ელენე.

თეზეი და პერითეი შეთახმდნენ წილი ეყარათ. უისაც წილის ყრით შეხვდებოდა, მშვენიერი ელენე მას უნდა გაჰყოლოდა.

თეზემამ და პერითეიმ ამასთანავე პირობა დადეს, რომ მშვენიერი ელენეს ბედნიერი მეტლლე უნდა დახმარებოდა თავის მეგობარს საცოლეს არჩევაში.

მშვენიერი ელენე წილის ყრით თეზეს შეხვდა. ძლევა მოსილმა მეფემ ბრწყინვალე ქორწილი გააჩაღა.

ქორწილზე მოწვეულნი შესტროფოდნენ მეფე-დედოფალს და გულწრფელ სალამს მიუძღვნიდნენ ახლადდაქორწინებულებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ თეზემამ თავისი მშვენიერი ელენე საყვარელ ღედას ეფრას ჩააბარა და თვითონ კი პერითეის გაჰყვა მისთვის საპატარძლოს მოსაძებნად.

მეგობრები საიქიოს სამყაროში გაემგზავრნენ იმ აზრით, რომ მეფე პლუტონის მეუღლე მშვენიერი პერსეფონე მოეტაცათ.

საიქიოს მეფემ პლუტონმა ორივე მეგობარი ამ ბოროტი განზრახვისათვის სასტიკად დასაჯა.

საიქიოს მბრძანებელმა თეზევს ხელ-ფეხი ჯაჭვებით მაგრად შეუკრა, ხოლო მის მეგობარს პერითეის ზურგზე უზარმაზარი კლდე დაადო.

ამრიგად დასჯილი მეგობრები საცოდავად იტანჯებოდნენ, მაგრამ ამ უბედურებისაგან მათ დახსნას ვერაინ ბედავდა.

საბერძნეთის უძლიერესმა გმირმა ჰერკულესმა, როცა იგი საიქიოს სამეფოში ჩავიდა კერბერის მოსატაცებლად, დაინახა მეგობრების აუტანელი ტანჯვა და გადაწყვიტა ორივეს გათავისუფლება.

მართლაც, ძლივამოსილმა გმირმა თეზევს დაუყოვნებლივ შემოხსნა ხელ-ფეხზე დადებული ხუნდები, ხოლო პერითეის დახსნა კი ვერ მოახერხა, რადგან ყოვლად შემძლებელ ღმერთებს არ სურდათ თეზევის მეგობრის ამ ტანჯვისაგან გათავისუფლება.

სწორედ იმ დროს, როცა სახელოვანი თეზევი საიქიოს სამეფოში შეუბრალებლად იტანჯებოდა, დის საძებნელად ათენაში მივიდნენ მშვენიერი ელენეს ძმები, კასტორი და პოლუქსი.

კასტორმა და პოლუქსმა გადაჭრით მოსთხოვეს ათენელებს ეჩვენებინათ მშვენიერი ელენეს საცხოვრებელი ბინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მთელ ათენას დავანგრევთ და მიწასთან ვავასწორებთო.

ამ მუქარით შეშინებულმა ერთმა ათენელმა უჩვენა კასტორსა და პოლუქსს ბინა, სადაც მშვენიერი ელენე თავის დედამთილ ეფრასთან ერთად ცხოვრობდა.

გახარებული კასტორი და პოლუქსი დაუყოვნებლივ შეიქრნენ ეფრას ბინაში. სასახლის მცველმა კარისკაცებმა ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. დის მოსიყვარულე ძმებმა სრულიად დაუბრკოლებლად გაათავისუფლეს მშვენიერი ელენე.

როცა საიქიოს სამეფოდან დაბრუნდა, თეზევმა კარგად შეიგნო თავისი წინანდელი ყოფაქცევის შეუფერებლობა და ამიტომ გადაწყვიტა სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას უფრო მეტი წინდახედულობით შესდგომოდა.

სამწუხაროდ, თეზევმა ეს თავისი გულწრფელი და კეთილშობილური განზრახვა ვერ შეასრულა.

თეზევის ბიძის პოლანტის მომხრეებმა შეადგინეს დიდი პარტია და მეფისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ აწარმოებდნენ ფარულს თუ აშკარა ბრძოლას.

ამ შინაურმა განხეთქილებამ შეარყია სახელმწიფოს კეთილდღეობის საფუძვლები.

მართალია, თეზევი ცდილობდა ეს დამღუპველი შინაური ბრძოლა, ეს უაზრო განხეთქილება მცირედად მაინც შეენელებინა, მაგრამ ყოველგვარი მისი ცდა სრულიად უნაყოფოდ რჩებოდა.

პარტიების უაზრო ბრძოლა დღითიდღე უფრო მწვავედებოდა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის თანდათან უფრო საშიშ სახეს იღებდა.

ხალხის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, ხალხი უდრტყინავდა და უზომო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

ამ საერთო უბედურებას თეზევის პირადი უბედურებაც დაერთო.

სწორედ იმ ხანებში თეზევმა დაკარგა საყვარელი შვილი იპოლიტე, რომელიც მოგზაურობის დროს ეტლით გაიტაცეს დამფრთხალმა ცხენებმა.

თეზევა ვერ აიტანა ყველა ეს უბედურება და საბოლოოდ გადაწყვიტა ნებაყოფლობით მოშორებოდა იმ ქალაქს, რომლის კეთილდღეობისათვისაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ასე უანგაროდ და თავდადებულად იღვწოდა.

თეზევს მეტისმეტად სტკიოდა გული, მეტისმეტად ეძნელებოდა სახელმწიფო საქმეებს მთლიანად ჩამოშორებოდა, მაგრამ სახელმწიფოში დარჩენა და მართვა-გამგეობის სათავეში დგომა ყოველად შეუძლებლად მიაჩნდა.

მართლაც, თეზევა თავისი განზრახვა განახორციელა: ის გადასახლდა კუნძულ სკირზე:

კუნძულ სკირის მეფეს ლიკომედს არ მოსწონდა თეზევის მეზობლად ჩამოსახლება და ამიტომ ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა არასასურველი მეზობელი თავიდან მოეშორებინა.

უფრო მოხერხებულად რომ განხორციელებინა თავისი ბოროტი განზრახვა, ლიკომედი მეგობრულად შეხვდა თეზევს და ხშირად სასახლეშიაც ეპატიებოდა.

ლიკომედსა და თეზევს შორის გარეგნული დამოკიდებულება არავის საბუთს არ აძლევდა ეფიქრა, რომ ბოროტი ლიკომედი თეზევს განსაცდელს უმზადებდა.

ერთხელ სკირის მბრძანებელმა თეზევი მალალი მთის მწვერვალზე აიყვანა, ვითომდა კუნძულის მდებარეობის დასათვალიერებლად.

როცა თეზევი და სკირის ბოროტი შბრძანებელი მთის მწვერვალიდან კუნძულის მიდამოებს ათვალეობდნენ, ლიკომედი ვერაგულად მიეპარა ძლევამოსილ გმირს და ძძლავრი ფეხისკერით თვალზე ედებინელ უფსკრულში გადაისროლა.

ასე უაზროდ დაიღუპა ის გმირი მეფე, რომლის ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ათენის სახელმწიფოს მთელ საბერძნეთში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი მოუპოვა.

ათენელებმა დროთა განმავლობაში დაივიწყეს ის მძულვარება, რომელსაც პარტიული დაჯგუფების დროს იჩენდნენ მეფის წინააღმდეგ.

ათენელებს დაავიწყდათ მეფის დროებითი გატაცება და უნებლიე შეცდომები და ყველანი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ თეზევის უდიდეს ღვაწლს ათენის სახელმწიფოს კეთილად მოწყობის საქმეში.

მადლიერმა ელინელებმა თავისი ღვაწლმოსილი გმირი მეფე ნახევარღმერთად აღიარეს და მის პატივსაცემლად ათენაში ააგეს მრავალი ტაძარი და საკურთხეველი, სადაც ყველანი გულწრფელად აღავლენდნენ მხურვალე ლოცვას თავისი საყვარელი მეფის სადიდებლად.

ათენელები ხშირად იგონებდნენ თავის საყვარელ მეფეს და სულითა და გულით იტანჯებოდნენ, რომ ამ გმირი მეფის საფლავი ათენელების გვირგვინოსანთა საუცხოო აკლდამებს არ ამშვენებდა, სადღაც შორეულ კუხძულზე უგზოუკვლოდ დაქარგულიყო და ვერავინ ვერ პოულობდა.

თეზევის გარდაცვალების დღიდან რვაასი წლის შემდეგ მილტიადესის შვილმა კიმონმა დაიპყრო კუნძული სკირი.

კიმონს გაგონილი ჰქონდა, რომ დიდებული თეზევი ამ კუნძულზე იყო დაქრძალული.

ძლევამოსილი სარდალი კუნძულის დაპყრობისთანავე შეუდგა თეზევის საფლავის ძებნას.

კუნძულის განაპირა ადგილას კიმონმა შენიშნა, რომ უზარმაზარი არწივი თავს დასტრიალებდა გორაკზე განმარტოებულ ერთ საფლავს.

სარდლის განკარგულებით ეს საფლავი გათხარეს.

საფლავში აღმოჩნდა კაცის უზარმაზარი ძვლები, მშვილ-ისარი და ათენური ხმალი.

კიმონი დარწმუნებული იყო, რომ საფლავში აღმოჩენილი კაცის ძვლები დიდებული თეზევის ნეშტია.

ძღვევამოსილმა სარდალმა განკარგულება გასცა, რომ ეს ნეშტი ძვირფასი ადამიანისა ათენაში გადაესვენებინათ.

ათენის მოსახლეობა ქუჩებში გამოეფინა და ისეთი ალტაცებით ეგებებოდა თავისი საყვარელი გმირის ნეშტს, კაცს ასე ეგონებოდა, თეზევი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ტრიუმფით, ბრუნდება ათენაშიო.

ათენელებმა თეზევის გარდაცვალების დღიდან რეიასი წლის შემდეგ ასე ღირსეულად სცეს პატივი იმ გმირს, რომლის მოღვაწეობას მისი თანამედროვე თაობა ზოგჯერ საკმარისად ვერ აფასებდა.

ს ა ლ მ ო ნ ე ს ს ი

ქლიდის მეფე სალმონესი, ეოლოსისა და ენარეტას შვილი, მთელ სახელმწიფოში ცნობილი იყო თავისი უაღრესი უსამართლობითა და პატივმოყვარეობით.

თესალიიდან ელიდაში გადმოსახლებისთანავე, სალმონესმა მდინარე ენიპეას ნაპირებზე, ჰერაკლეს მახლობლად, გააშენა მშვენიერი ქალაქი, რომელსაც სალმონი უწოდა.

საუცხოოდ აგებული სახლები, სახელმწიფოს დაწესებულებათა შესანიშნავი შენობები, მიუვალი ციხე-სიმაგრეები, კოშკები, მდინარეზე გადასასვლელი მკვიდრად აგებული მალალთალიანი ხიდები, მწყობრად დაჯგუფილი სწორი ქუჩები, არხები და ანკარა წყლით სავსე შადრევნები ამშვენებდა სალმონს:

ელიდის მკვიდრნი შესტროფოდნენ ქალაქის სიმშვენიერეს.

მეფე სალმონესი და ახალგაზრდა დედოფალი ალკიდიკე, სრულიად კმაყოფილნი თავისი ბედნიერი ცხოვრებით, ფუფუნებაში ატარებდნენ დროს და სახელმწიფოს მკვიდრთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

ხალხი კარგად გრძნობდა მეფე სალმონესის ალვირწახსნილ უსამართლობას, მის უხეშ პატივმოყვარეობას, მაგრამ თავგასული მეფის შიშით კრინტს ვერ ძრავდა და თავის გულისტკივილს გულში უხმოდ იკლავდა.

ხალხის უმწუკო მდგომარეობა თვითნება მეფეს ოდნავაც არ აწუხებდა. პატივმოყვარე სალმონესი მხოლოდ და მხოლოდ თავისა და დედოფლის კეთილდღეობაზე ფიქრობდა და არავის ანგარიშს არ უწევდა.

მეფე სალმონესი ბოლოსა და ბოლოს იმდენად გაკადნიერდა, რომ ყოვლად შიმძლებელი ღმერთების მამამთავრის ზევსის თანასწორობაც კი მოინდომა და ელიდის მკვიდრთ ღმერთების შესაფერისი პატივისცემავე კი მოსთხოვა.

კადნიერი მეფე სახელმწიფოში ოლიმპოს მბრძანებლის ზევსის ეტლის მგსავსი ეტლით დასეირნობდა და ხალხს შიშის ზარს ჰგვირდა.

მოგზაურობის დროს მეფე ეტლიდან ყრიდა ანთებულ ჩირაღდნებს, რომელთაც ზევსის მიერ მოვლენილი ელვის მაგიერობა უნდა გაეწიათ, ეტლში შებმული ცხენების თებთა ხმაჯრს კი ქუხილის მაგიერობა.

ამაყი მეფის ბრძანებით, სახელმწიფოში გზად გამვლელ უცხოელებს სიცოცხლეს ასალმებდნენ, თვითნება მეფე კი საქვეყნოდ აცხადებდა, უცხოელები ჩემ მიერ მოვლენილი ქუხილით დაიხოცნენო.

ოლიმპოს მბრძანებელმა ყოვლად შემძლებელმა ზევსმა ვერ აიტანა მეფე სალმონევისის ზეიადობა და სწორედ იმ დროს გამოასალმა სიცოცხლეს საშინელი ქუხილით, როცა სალმონევისი ქალაქის ქუჩებში ამაყად დასეირნობდა ეტლით.

ზევისის მიერ მოვლენილმა საშინელმა ქუხილმა მთლიანად დაანგრია სალმონევისის სატახტო ქალაქი სალმონი და ერთიანად ცეცხლის ალში გახვია.

უდანაშაულო მკვიდრნი მალალი მთის მწვერვალებს აფარებდნენ თავს და შიშისაგან აცახცახებულნი წყველა-კრულვით იხსენიებდნენ ზვიად მეფე სალმონევისს.

ცეცხლის ალში ჩაიბუგა მეფე სალმონევისის სასახლეც.

მეფის პატივმოყვარეობამ შეიწირა სახელმწიფოს წარჩინებული კარისკაცებიც, რომელნიც საშინელი ქუხილის დროს სასახლეში იმყოფებოდნენ.

სიკვდილს გადარჩა მხოლოდ მეფე სალმონევისის სათნო ასული ტირი. იგი შემდგომ მისთხოვდა მეფე კრეტეას და შეეძინა ვაჟი ეზონი, მამა იმ დიდებული გმირისა, რომელმაც თავი ისახელა არგონავტების კოლხიდაში ლაშქრობის დროს.

ბ ე ლ ე რ ო ფ ო ნ ტ ი

ქორინთის მეფის გლაჯის შვილი ბელეროფონტი თავისი სილამაზით, ახოვანებითა და მამაცობით მთელ სახელმწიფოში სახელგანთქმულ ვაჟკაცად ითვლებოდა.

ყოვლად შემძლებელი ღმერთები მოწყალე თვალთ უყურებდნენ ბელეროფონტს, თავის საყვარელ გმირად მიაჩნდათ და ყოველთვის, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, დიდ მფარველობას უწევდნენ.

კორინთის მკვიდრი დიდის აღტაცებით შეჰყურებდნენ იშვიათ კეთილშობილ ვაჟკაცს და ბედნიერად თვლიდნენ თავისთავს, რომ მეფე გლაჯის გარდაცვალების შემდეგ კორინთის სამეფო ტახტს ღირსეული მემკვიდრე დაიქერდა.

სამწუხაროდ, ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეს შემთხვევით შემოაკვდა კორინთელი მოქალაქე ბელეარი. ამ მკვლელობამ დიდი ნითქმა-მოთქმა და აღშფოთება გამოიწვია მთელ სახელმწიფოში.

ბელეროფონტი იძულებული შეიქნა დროებით მოერიდებინა თავი სამშობლო მხარისათვის.

ახალგაზრდა გმირი არგოსში გადასახლდა, სადაც იმ დროს პროიტი მეფობდა.

მეფე პროიტმა დიდის სტუმართმოყვარეობით მიიღო სამშობლო მხარიდან გადმოხვეწილი ჭაბუკი და სულ მოკლე ხანში მეტად საპატიო მდგომარეობა შეუქმნა.

ბელეროფონტის მეფურმა შესახედაობამ, ვაჟკაცობამ და იშვიათმა სილამაზემ მთელი სახელმწიფოს მკვიდრთა ყურადღება ნიიპყრო.

ყველანი დიდის აღტაცებით შეჰყურებდნენ სტუმრად მოვლენილ ჭაბუკს და გულწრფელი პატივისცემით აჯილდოვებდნენ.

ახალგაზრდა დედოფალმანტეამ, როგორც კი მოჰკრა თვალი ბელეროფონტს, მაშინვე დაკარგა სულის სიმშვიდე.

დედოფალი ანტეა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა თავის სანატრელ სტუმარს და მის ვარსკვლავივით გაბრწყინებულ პირისახეს გულით ატარებდა, ცხადად თუ სიზმრად გონებიდან არ იშორებდა.

მოხუც მეფე პროიტს არ მოსწონდა ბელეროფონტის ირგვლივ შექმნილი გულთბილი განწყობილება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა დედოფლის გმირისადმი საექვო დამოკიდებულება. ამიტომ მეფემ გადაწყვიტა ბელეროფონტი სახელმწიფოდან გაეძევებინა.

მეფე პროიტმა ბელეროფონტი თავაზიანად გაისტუმრა ლიკიაში თავის სიმამრ იობატთან და თან გაატანა საიდუმლო წერილი, რომელშიაც მეფე კუდად ახასიათებდა ქაბუკს და სიმამრს სთხოვდა ბელეროფონტისათვის რაიმე სამძიმო საქმის შესრულება დაევალებინა და თავიდან მოეშორებინა.

ბელეროფონტი სრულიად დამშვიდებული გაემგზავრა ლიკიაში და აბა რას მოიფიქრებდა, თუ ცბიერი მოხუცი მეფე პროიტი საიდუმლოდ მახეს უგებდა და დიდ განსაცდელს უშზადებდა.

მაგრამ ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა თავისი საყვარელი გმირი არ გაწირეს და ააცდინეს ყველა საფრთხე, რომელიც ლიკიაში მოელოდა მას.

ბელეროფონტის მეფურმა შესახედაობამ, მისმა ტანადობამ და სიმშენიერებამ, მისმა ვაჟაკურმა გამომეტყველებამ ისე მოხიბლა მთელი სამეფო ოჯახობა, რომ მეფე იობატმა გადაწყვიტა ქაბუკი დაეაზლოვებინა და მისდამი განსაკუთრებული ყურადღება გაშოეჩინა.

მთელი ათი დღის განმავლობაში იმართებოდა ბელეროფონტის პატივსაცემლად ნადიმი მეფე იობატის სასახლის ბრწყინვალე დარბაზებში და ყველანი ქება-დიდებით იხსენიებდნენ სახელოვან ახალგაზრდას.

ბოლოს, როცა ეს ბრწყინვალე ნადიმები დამთავრდა, მეფე იობატმა კერძო საუბრის დროს გამოჰკითხა უცნობ სტუმარს მისი ვინაობა და ლიკიაში მოსელის მიზანი.

ბელეროფონტმა ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა მეფეს და ამასთანავე გადასცა პროიტისაგან გამოგზავნილი წერილი, რომლის არსებობა მხოლოდ ახლა მოაგონდა.

მეფე იობატი საიდუმლო წერილის შინაარსმა მეტად დაალონა და ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა მეფე პროიტის თხოვნის შესრულება.

შეშინებულმა მეფემ ბელეროფონტს დაავალა გველეშაპი ტიფონისა და ექიდნას ქალიშვილის ქიმერას მოკვლა.

ამ საზარელ ცხოველს, რომელსაც თავი ლომისა ჰქონდა, სხეული თხისა და კული გველეშაპისა, მუდამ დაღებული პირიდან განუწყვეტლივ ამოსდიოდა ცეცხლის გაუნელებელი ალი და საზარელი ქშენივ ირგვლივ მთელ მახლობელ მიდამოს შხამავდა და ყოველ ცოცხალ არსებას სიცოცხლეს უსპობდა.

ყოველად შემძლებელ ღმერთებს შეეცოდათ ძლევამოსილი ახალგაზრდა და სანამ ბელეროფონტი საზიზღარ ქიმერას შეებრძოლებოდა, იგი პირენის წყაროს მახლობლად მდებარე ველზე გაგზავნეს პოსეიდონ ღმერთისა და გორგონა მედუზას შვილის, გარეული ფრთოსანი ცხენის პეგასის, დასაქერად და მოსაშინაურებლად.

ამ გარეული ცხენის ზურგს უნაგირი არასოდეს არ მიჰკარებია, არცერთ მოკვდავს მის ზურგზე ჯდომით შორეული გზა არ შეუმოკლებია.

პირენის წყაროს მახლობლად გადაშლილ ველზე გავარდნილი პეგასის დაქერა და მოშინაურება ადამიანის ძალღონეს აღემატებოდა.

ბელეროფონტმა დიდი ენერგია დახარჯა, რომ გარეული ცხენი თოკის ყულფში მრემწყვედია და დაემორჩილებინა, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო იყო.

ერთხელ, როცა ბელეროფონტი პირენის წყაროს ნაპირას იწვა, მძინარე ჭაბუკს გამოეცხადა ქალღმერთი ათენა, რომელსაც ხელთ ეპყრა ოქროს აღვირი, და ასეთი სიტყვებით მიმართა: „აიოლოს შთამომავლო, რა დროს ძილია! დაუყოვნებლივ წამოდექი, პოსეიდონ ღმერთს მსხვერპლად შესწირე ძროხა და შემდეგ მიიღე ეს ოქროს აღვირი!“

ქალღმერთი ათენა ამ სიტყვებთან ერთად საღდაც მნიშალა.

შეშინებული ბელეროფონტი დაუყოვნებლივ წამოიქრა, ირგვლივ მიმოიხედა და ის ოქროს აღვირი, რომელიც სიზმრად ნახა, მართლაც იქვე მახლობელ ბუჩქზე ჩამოკიდებულად დაინახა.

ბელეროფონტის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აღფრთოვანებულმა ჭაბუკმა მყისვე დაავლო ხელი ოქროს აღვირს და დაუყოვნებლივ გულთმისნისაყენ გაემართა, რომ დანამდვილებით გაეგო სიზმრის მნიშვნელობა.

გულთმისანმა ურჩია ქალღმერთის ათენას ბრძანებას დამორჩილებოდა და დაუყოვნებლივ შეეწირა აპოლონ ღმერთისათვის მსხვერპლი, ხოლო თავისი მფარველის ქალღმერთ ათენას სახელობაზე ტაძარი აეშენებინა.

როგორც კი შეასრულა გულთმისნის რჩევადარიგება, ბელეროფონტმა სრულიად თავისუფლად, დაუბრკოლებლად დაიქირა გარეული ცხენი პეგასი, მაგრად ამოსდო ოქროს ალვირი, ფიცხლად შეიხტა ზურგზე და ელვის სისწრაფით მიემართა იმ ადგილისაკენ, სადაც საზარელი ცხოველი ქიმერა ბუდობდა.

ქაბუქმა მოიმარჯვა აღმასივით მკრელი ისარი და ისე მძლავრად სტყორცნა ქიმერას, რომ საზარელი ცხოველი, რომელიც მახლობელი სახელმწიფოების მკვიდრთ მრავალი წლების განმავლობაში შიშის ზარს სცემდა და ყველაფერს და ყველგან ანადგურებდა, მყისვე სიცოცხლეს გამოასალმა.

თავმომწონე გმირმა საზიზღარ ცხოველს ხმლით მოჰკვეთა თავი და ლანგარზე დადებული მიართვა შეფე იობატს.

შეფე იობატი მეტად გააკვირვა ამ სამძიმო საქმის ასე ღირსეულად შესრულება.

შეფემ ახლა სხვა არა ნაკლებ სამძიმო საქმის შესრულება დაავალა თავმომწონე ქაბუქს.

ლიკიის საზღვრებს ხშირად თავს ესხმოდნენ მამაცი სოლიმები რომლებიც საზღვარს ხშირად გადმოლახავდნენ, ყველაფერს ანადგურებდნენ.

შეფე იობატმა შეკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი და ბელეროფონტის მთავარსარდლობით გაგზავნა სოლიმების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ქაბუქი სოლიმების მამაც მეომრებს ვერ გაუმკლავდებოდა და სადმე დაილუპებოდა ცხარე შეტაკების დროს.

ბელეროფონტის წინამძღოლობით ბრძოლის ველზე გამოყვანილი მხედრობა და მამაცი სოლიმების მეომრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ. საშინელი ხელოვანი ბრძოლა ატყდა. თავდადებულ რაზმებს იერიში იერიშზე მოჰქონდათ. მეომართა საბრძოლო ყიჟინა ცას სწვდებოდა და სადღაც შორს, შორს ცის სივრცეში იფანტებოდა. დახოცილთა გვამებით ქერეხივით მოფენილი მიწა საშიშრად ზარზარებდა. ბრძოლის ველზე სისხლის ღვარები დედამიწას გულს უღარავდნენ და გაუვალ გუბეებს აყენებდნენ. ირგვლივ გაისმოდა დაქრილ-დასახიჩრებულთა კვნესა, ბრძოლის საბედისწერო ველი ჯოჯოხეთს ჰგავდა.

ბელეროფონტი არწივივით თავს დასტრიალებდა ჯარისკაცებს, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა და იერიში იერიშზე მოჰქონდა.

ხანგრძლივი სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბელეროფონტმა დაამარცხა მამაცი სოლიმები და სამარცხვინოდ უქუაქცია.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, მეფე იობატის დავალებით, ბელეროფონტმა გაილაშქრა ამაზონთ მამაცი ქალების წინააღმდეგ, რომლებიც სასტიკად დაამარცხნ და მრავალი მედგარი ქალი ბრძოლის ველზე დაასამარა.

ლიკიის მეფე იობატი ახლა კი დარწმუნდა, - რომ მისი ძლევა-მოსილი სტუმარი სახელოვანი გმირია, რომელსაც ყოვლად შემძლებელი ღმერთები მფარველობენ და საჭირო დანმარებას უწევენ.

მეფემ სტუმრისადმი მტრული განწყობილება მეგობრული დამოკიდულებით შეცვალა, ძლევა-მოსილი ჭაბუკი კიდევ უფრო დაიახლოვა და ნიშნად ასეთი კეთილგანწყობილებისა თავისი საყვარელი ასული, მშვენიერი ფილონე მიათხოვა.

მეფე იობატმა ბრწყინვალე ქორწილი გადაიხადა. სახელმწიფოს წარჩინებული პირები, რომლებიც ამ ქორწილზე იყვნენ მოპატივებულნი, დიდ სიხარულს გამოთქვამდნენ ბედნიერ ახალგაზრდათა დაქორწინების გამო და მხურვალე სალამს მიუძღენიდნენ ახალდაქორწინებულ ახალგაზრდებს.

ლიკიის მკვიდრნი დიდის აღტაცებით შეხვდნენ თავისი საყვარელი მეფის საგვარეულო ოჯახის ბედნიერებას და დიდის ზეიმით გულწრფელად ულოცავდნენ მოხუც იობატს მისი მშვენიერი ასულის ბედნიერებას.

საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნული ბელეროფონტი დიდის დაკვირვებით შეუდგა სახელმწიფო საქმეების გამგებლობას და თავისი კანონიერებითა და გულთბილი მოპყრობით სულ მოკლე ხანში დაიმსახურა ლიკიის მკვიდრთა სიყვარული.

დიდი და პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, გაქირვების თუ დალხინების დროს ყველანი მიმართავდნენ ძლევა-მოსილ ჭაბუკს და მის მშვენიერ მეუღლეს ფილონეას და ყოველთვის სათანადო რჩევა-დარიგებას იღებდნენ.

ლიკიის მადლიერმა ერმა, ნიშნად თავისი ღრმა სიყვარულისა, ბელეროფონტს დაუთმო სახელმწიფოს საუკეთესო სახნავე-სათესი მიწები, ხოლადუნები, ზვრები და ხილეულობის საუკეთესო ბაღები. სახელოვანი გმირის სიმდიდრე დღითიდღე მატულობდა.

ბელეროფონტმა ყოველდღიური საქმიანობის დროს სავსებით გამოიყენა უკვე მოშინაურებული ჰეგასი და სახელმწიფო საქმეების გამო მოგზაურობისას თავის მძლავრფრთებიან მერანზე შემჯდარი სამეფოს შორეულ კუთხეებსაც სასწრაფოდ ევლინებოდა და ადგილობრივ ირკვევდა და აწესრიგებდა მკვიდრთა გადაუღებელ მოთხოვნებებს.

მძლავრფრთებიანი მერანი ყველგან მორჩილებით ასრულებდა ბელგროფონტის სურვილს, მოგზაურობის დროს დიდ სამსახურს უწყევდა, შორეულ გზას უმოკლებდა და თავმოწონე ახალგაზრდა გმირის სხივმოხილს სახელს კიდევ უფრო ადიდებდა.

ერთხელ ბელგროფონტი შეჯდა თავის ყოველთვის მორჩილ პეგასზე და ოლიმპოს მწვერვალზე ღმერთების სადგომებში ძალდატანებით შექრა მოისურვა, სადაც ამ დროს ღმერთებს თათბირი ჰქონდათ.

მაგრამ მძლავრფრთებიანი მერანი არ დაემორჩილა გმირის ამ კადნიერებით აღსავეს სურვილს, თავმოწონე გმირი სასწრაფოდ მოიტაცა ცის თვალუწვდენელ სივრცეში და შეუბრალებლად ძირს გადმოისროლა.

მართალია, ბელგროფონტი სიკვდილს გადაარჩა, მაგრამ სამუდამოდ დაკარგა გონიერება და ასე უგონოდ უნდა ეძრწოლა ხალხით ავისილ ქუჩებში, სანამ არ მოფრინდებოდა სიკვდილის ღმერთი თანატოსი და სულს არ ამოხდიდა.

ასე სასტიკად დასაჯეს ღმერთებმა ბელგროფონტი ამაკობისათვის.

ს ი ზ ი ფ ე

ღმკალიონის შვილისშვილი, ეოლოსისა და ენარეტას ვაჟი ვიზიფე, რომელსაც ქალაქ კორინთის დამაარსებლად თელიან, მოკსდავთა შორის სახელგანთქმული იყო თავისი ცბიერებით.

ერთხელ სიზიფემ საიდუმლოდ შეატყობინა მდინარის ღმერთს ასონს, თუ სად ცხოვრობდა ღმერთების მამამთავარი ზევსი.

ამ საიდუმლოს გამჟღავნებისათვის მდინარის ღმერთმა სიზიფეს აღუთქვა კორინთის მთების კალთებზე მდინარის გამოყვანა.

მართლაც, ასონმა შეასრულა თავისი დაპირება, და კორინთის ხრიოკ მთაგრეხილებზე ამოჩუხჩუხდა პირენის შესანიშნავი წყარო, რომლის ანკარა ნაკადები კორინთის ადგილებს საამურად რწყავდა.

ოლიმპოს მბრძანებელს, ყოვლად შემძლებელ ზევსს, არ მოსწონდა სიზიფეს ცბიერება და ამიტომ გადაწყვიტა მისი სასტიკად დასჯა.

ზევსმა თავისი გადაწყვეტილების შესრულება არ დააყოვნა და კორინთის ცბიერ მეფე სიზიფეს მოუვლინა სიცოცხლის მომსპობი ღმერთი თანატოსი.

მაგრამ ცბიერმა მეფემ ვერაგულად დაიჭირა ზევსის მიერ მოვლენილი თანატოსი, მძიმე ხუნდებით შებორკა, და ადამიანის გარეულობას სიკვდილი უკვე აღარ მოელოდა.

ოლიმპოს მბრძანებლის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა.

ყოვლად შემძლებელი ღმერთების მამამთავრის ბრძანებით, დედამიწაზე ჩამოეშვა ომიანობის ღმერთი არესი, რომელმაც თანატოსი გაათავისუფლა, ხოლო ცბიერი მეფე სიზიფე საიქიოს სამეფოში გაგზავნა სასჯელის მოსახდელად.

მაგრამ ცბიერმა მეფემ საიქიოს სამეფოშიაც მოახერხა ღმერთების შეცდომაში შეყვანა.

სიზიფემ, სანამ საიქიოს სამეფოში გაგზავნიდნენ, ჯერ კიდევ სიკოცხლეშივე დაავალა თავის მეუღლეს მეროპეს მსხვერპლი არ შეეწირა და მიცვალებულთა შესახებ დაწესებული წესები არ შეესრულებინა.

როცა საიქიოში შეიტყეს, რომ სიზიფეს გარდაცვალების შემდეგ მის მეუღლეს მეროპას მიცვალებულთა შესახებ დაწესებული წესები არ შეუსრულებია, მთელი საიქიოს სამფლობელო ამოძრავდა და განუსაზღვრელ აღშფოთებას გამოთქვამდა.

საიქიოს სამეფოს დედოფალმა მშვენიერმა პერსეფონემ ნება დართო სიზიფეს სააქაოს დაბრუნებულიყო და თავისი მეუღლე მეროპე გაეფრთხილებინა. ღმერთების მიერ დაწესებული წესების შეუსრულებლობისათვის.

მართლაც, პერსეფონეს ბრძანებით, სიზიფე თავის სამეფოში დაბრუნდა, მაგრამ პერსეფონეს დავალება აინუნშიაც არ მოსდიოდა და მისი შესრულების შესახებ სრულიადაც არა ფიქრობდა.

ცბიერი მეფე ძველებური უდარდელი ცხოვრების ფერხულში ჩაება და ფუფუნებით ცხოვრობდა.

ერთხელ სიზიფე სასახლეში მდიდრულად გაშლილ სუფრას უჯდა და ნუგბარ სასმელ-საკმელს შეექცეოდა.

სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, მეფეს გამოეცხადა სიკვდილის ღმერთი თანატოსი, რომელმაც ცბიერი სიზიფე მუისვე სიკოცხლეს გამოასალმა და მისი სული საიქიოს სამეფოში გადაგზავნა სასჯელის მოახდელად.

ყოვლად შემძლებელმა ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა მუდამ დაუცხრომელი, მუდამ ცბიერი სიზიფე სასტიკად დასაჯა.

ღმერთების ბრძანებით, კორინთის მეფეს, ცბიერ სიზიფეს, უზარმაზარი ლოდი უნდა აეტანა მალალი მთის მწვერვალზე და იქვე კლდეზე მიემაგრებინა.

სიზიფე შეუდგა დავალების ამქამად მაინც პირნათლად შესრულებას, დღედაღამ განუწყვეტილვ აუტანელ შრომას ეწეოდა და მეთის გაჭირვებისაგან ოფლში იჭურებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც კი სიზიფე მალალი მთის მწვერვალს მიაღწევდა და კლდეზე ლოდის მიმაგრების თადარიგს შეუდგებოდა, ფეხი უსხლტდებოდა. ციცაბო კლდეზე და დიდის გაჭირვებით ზემოთ ატანილი უზარმაზარი ლოდი მთის კალთებზე ტრიალ-ტრიალით ეშვებოდა და ნაპრალში თავის პირიდანდელ აფგვილს იქერდა.

საბრალო სიზიფე ხელმეორედ იწყებდა ლოდის მთაზე ატანას, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს აღწევდა. მთის მწვერვალზე ატანილი უზარმაზარი ლოდი უკანვე ეშვებოდა და თავდაუიწყებით მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

ასე ჩტანჯებოდა კორინთის მეფე სიზიფე მთელი საუკუნეების განმავლობაში და მის ყოველდღიურ ვაებას საზღვარი არ ედებოდა.

ამჟამად, როცა ვინმე აუტანელსა და უნაყოფო შრომას ეწევა, ხშირად ამბობენ ხოლმე: სიზიფეს შრომას ეწევაო.

ნ ი ო ბ ე

თიამის მეფის ამფიონის მეუღლე ნიობე მეტად შესანიშნავ ქალად იყო მიჩნეული მთელს სახელმწიფოში. დედოფლის სილამაზესა და ტანადობას მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი გაკვირვებაში მოჰყავდა. სახელმწიფოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი წოდებისა, ყველანი ერთხმად თვლიდნენ დედოფალს უბედნიერეს ქალად.

დედოფალი კარგად გრძნობდა თავის უპირატესობას და კიდევაც ამიტომ უსაზღვროდ ამაყობდა. ნიობეს თავი მოჰქონდა თავისი და თავისი მეუღლის წარჩინებულ ჩამომავლობით, ამაყობდა თავისი მეუღლის ამფიონის ვიოლინოზე ხელოვნური დაკრით. მართლაც, ამფიონის ხელოვნურ სიმთაყვლერას უძრავი ქვებიც-კი აღტაცებაში მოჰყავდა. ყველაზე უფრო დიდ სიამაყედ მიაჩნდა დედოფალს მთელ სახელმწიფოში სახელგანთქმული ქალ-ვაჟები. ნიობე განუსაზღვრელად ამაყობდა თავისი შვიდი ვაჟით და ამდენივე ქალიშვილით.

ნიობე უბედნიერესი დედა იქნებოდა მთელ დედამიწის ზურგზე, რომ გადაჰარბებულ სიამაყეს ბოლო არ მოელო მისი ბედნიერებისათვის.

დედოფალი არ დასჯერდა მოკვდავთა სიყვარულსა და პატივისცემას. გადაჰარბებულმა სიამაყემ ის იმდენად გააკადნიერა, რომ თავისი თავი ღმერთების თანასწორადაც კი გამოაცხადა.

თებეს მკვიდრნი აპოლონ ღმერთისა და დედამიწის ლატონას დღეობას დღესასწაულობდნენ. ქალაქი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ყველანი სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულნი გაშლილიყვნენ ქუჩებში და სალოცავად მიემგზავრებოდნენ. თებელ ქა-

ლებს თმები შეემკოთ დაფნის გვირგვინებით და გულმხურვალე ლოცვით საკმეველს აკმევდნენ საღეთო საკურთხეველზე.

დედოფალი თავისი ამალით მიუახლოვდა მლოცველებს. ბრაზ-მორეულმა დედოფალმა მრისხანედ შეჰყვირა თებელ ქალებს: «განა ასატანია, რასაც თქვენ ჩადიხართ! თქვენ დღეს პატივისცემით იხსენიებთ ღმერთებს, რომელნიც თვალითაც არ გინახავთ, ხოლო სრულიად უყურადღებოდ, მსხვერპლის შეუწირავად, საკმევლის დაუკმევლად სტოვებთ მას, ვინც თქვენ შორისაა, ვისაც კარგად იცნობთ, ან კარგად მაინც უნდა იცნობდეთ. თქვენ მსხვერპლს სწირავთ ლატონას, და მე კი, თქვენს დედოფალს, თქვენ შორის აღზრდილს, ღმერთების თანასწორს, მსხვერპლს არა მწირავთ, თაყვანს არა მცემთ! განა რითა ვარ ლატონაზე ნაკლები! მამაჩემი ტანტალოსი მუდამ ღმერთებს შორის ტრიალებდა, ღმერთების გვერდით მუდამ საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. პაპაჩემი, ძლიევამოსილი ატლანტი, ცის უზარმაზარ სივრცეს თავის მძლავრ მხრებზე ატარებს. ღმერთების მამამთავარი ზევსი პაპაა ჩემი. მთელი ფრიგიის მკვიდრნი მე შემორჩილებიან. კადმის სიმბაგრეები და თებეს მიუვალნი ზღუდენი ჩემი სრული საკუთრებაა, ჩემი სიმდიდრე, ფასდაუდებელი და უთვალავია. სილამაზით კი მე ლატონა ქალღმერთის თანასწორი ვარ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვაჟკაცობით სახელგანთქმული შვიდი ვაჟისა და სილამაზით მთელ სახელმწიფოში ყველგან და მარადის განთქმული შვიდი ქალიშვილის ბედნიერი დედა ვარ! განა ყველა ამის შემდეგ თქვენ უნდა გაბედოთ და ლატონა ქალღმერთს უპირატესობა უნდა მისცეთ? ლატონა ქალღმერთს მხოლოდ ქალ-ვაჟი ჰყავს, იგი, ჩემთან შედარებით, თითქმის უშვილოდაც უნდა ჩაითვალოს. მე კი ყველაფრით ბედნიერი ვარ და მუდამაც ასე ბედნიერი დავრჩები. შორს, შორს, თებელო ქალებო, საკურთხეველისაგან! დაუყოვნებლივ ჩამოიშორეთ დაფნის გვირგვინები და შინ დაბრუნდით!»

შიშით ზარდაცემული თებელი ქალები დაემორჩილნენ გაბორტებულ ნიობეს და ფეხაკრეფით დატოვეს სადღესასწაულოდ გამზადებული აპოლონ ღმერთის საკურთხეველი.

ლატონა მეტად განარისხა ამაყი ნიობეს ასეთმა საქციელმა. ქალღმერთმა განიზრახა გაბორტებულ ნიობეს სასტიკად დასჯა. ამიტომ ქალღმერთმა ასეთი სიტყვებით შესჩივლა თავის საყვარელ შვილებს: «ჩემო საყვარელო შვილებო, უბრალო მოკვდავმა ქალმა შეურაცხყო დედათქვენი! ტანტალოსის ამაყი ქალიშვილი იმდენად გაკადნიერდა, რომ ღმერთადაც კი არა მცნობს, მაშინ როდესაც

ღმერთებს შორის ჰერა ქალღმერთის გარდა მე თანასწორი არავინა მყავს. ეს კიდევ არაფერი, დედათქვენი ისე დაამცირა ამ სიამაყით გაბოროტებულმა ქალმა, რომ „უშვილოც“ კი უწოდა! განა ყველაფერი ეს უბრალო მოკვდავი ქალისაგან მოსათმენია? განა თქვენ არ გმართებთ თავი გამოიღოთ და დედათქვენის უმართებულოდ შელახული სახელი აღადგინოთ?“

ლატონას შვილები, აპოლონი და არტემიდე, სანთელივით აენთნენ ამ სიტყვებზე და დაუყოვნებლივ ფეხაკრეფით გაეშურნენ თებესაკენ.

თებეს ზღუდეთა გარეთ გადაჭიმულია ფართო მინდორი, სადაც თებეს ახალგაზრდობა საჯირითოდ იყრის თავს. დედოფლის ვაჟები ამ მინდვრის ხშირი სტუმრები იყვნენ და ჯირითობაში არავის პირველობას არ უთმობდნენ.

ერთ დღეს ნიობეს უფროსი შვილი მშვენიერ ბედაურზე იჯდა და თვალუწვდენელ მინდორში ელვის სისწრაფით დაქროდა. „ვაიმე!“ — უეცრივ ერთი გულსაკლავად ამოიკვნესა ისმენმა და გაქენებული ცხენიდან მიწაზე უსულოდ დაეცა. საცოდავს ღმერთების ნასროლი ისარი სწორედ გულში მოჰხვედროდა.

ნიობეს მეორე შვილმა სიბილმა ყური მოჰკრა ჰაერში ისრის შხუილს. საბრალომ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დეზები შემოჰკრა ცხენს, მაგრამ შეუბრალებელმა ისარმა სასიკვდილოდ გაგმირა საცოდავი სიბილიც.

ამავე დროს ღმერთების ნასროლმა შეუბრალებელმა ისრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ნიობეს დანარჩენი ვაჟებიც; ფაიდიმი, ტანტალი, დამასიხტონი და ილიონესი.

ნიობეს ვაჟების დახოცვის ამბავი მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო. საზარელმა ამბავმა სასახლის კარამდისაც მიღწია. უსაზღვრო ჯავრით ზარდაცემულმა საბრალო მამამ შვილების ასე შეუბრალებლად დაღუპვა ვერ აიტანა და თავი მოიკლა. სახელმწიფოს მკვიდრნი ცხარე ცრემლთა დენით თავს დასტიროდნენ საბრალო ხელმწიფეს და მის უდროოდ სიცოცხლეს გამოსალმებულ ვაჟებს.

მწუხარებით ზარდაცემული ნიობე თავისი შვიდი ქალიშვილის თანხლებით დაუყოვნებლივ გაეშურა საზარელი მინდვრისაკენ. გონებადაკარგული დედოფალი შეშლილივით მიიქრა სასიკვდილოდ განგმირულ თავის საყვარელ ვაჟებთან, ხან ერთს ჩაიკრავ-

და გულში მაგრად, ხან მეორეს, ხან ერთს ჰკოცნიდა, ხან მეორეს. საბრალო დები ცხარე ცრემლებით ასველებდნენ ძვირფასი ძმების გაცივებულ გვამებს და გულამოსკენით ქვითინებდნენ.

სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა საბრალო დედის მწუხარებას ბანს აძლევდა და ცხარე ცრემლებით რწყავდა არემარეს.

უსაზღვრო მწუხარებით გონებადაკარგული ნიობე უშვერი სიტყვებით იხსენიებდა ქალღმერთ ლატონას.

ამ დროს შეცრივ გაიელვა საზარელმა ისარმა, და ნიობეს უფროსი ქალიშვილი დაეცა ძმის გაცივებულ გვამს.

მეორე და ისწრაფვის თავისი საყვარელი და ანუგეშოს, აუტანელი მწუხარება მცირედად მაინც შეუმსუბუქოს, მაგრამ შეუბრალებელი უხილავი ისარი მასაც სასიკვდილოდ უგმირავს გულს. დანარჩენ დებსაც ასეთივე სამწუხარო ბედი ეწია.

დარჩა ობლად სულ უმცროსი და, რომელიც საყვარელ დედას გულმკერდში ეკვროდა და შველას ემუდარებოდა.

საბრალო ნიობემ გულში მაგრად ჩაიკრა თავისი საყვარელი ქალიშვილი და ქალღმერთს ლატონას მხურვალედ შეგვედრა: „გვედრები, ძღვეამოსილო ლატონავ, ეს ერთადერთი უმცროსი ქალიშვილი მაინც გადამიჩინე! გვედრები, შეიბრალე საცოდავი ქალი, რომელიც ვერხვის ფოთოლივით თრთის ჩემს გულმკერდში!“

ლატონამ არ შეისმინა საბრალო ნიობეს ვედრება. აპოლონ ღმერთის შეუბრალებელმა ისარმა უმცროსი ქალიშვილიც სიცოცხლეს გამოასალმა. საბრალო ქალმა მშობელი დედის თვალწინ დახუჭა თვალები და თავისი დებისა და ძმების გაცივებული გვამების გვერდით განუტევა ტანჯული სული.

დარჩა სრულიად დაობლებული საბრალო ნიობე თავისი საყვარელი ქალ-ვაჟებისა და მეუღლის გვამთა შორის. საცოდავმა ჯავრით გონება მთლად დაკარგა.

საცოდავ დედას ნიავი უკვე თმას ოდნავაც არ ურხევს, მისმა ცხარე ცრემლებით აღვსილმა თვალებმა მოძრაობა სრულიად დაკარგა.

საცოდავი ნიობე მარმარილოს ქვად გადაიქცა და მალმა ნიავმა იგი სამშობლო მხარეში გადატყორცნა.

პიტალო კლდის მალალ მწვერვალზე განმარტოვებით დგას ეს მარმარილოს ქვა და უძრავი თვალებიდან ცრემლთა ნაკადული

ვადმოსჩქეფს, თითქოს მის უკვე გაცივებულ გულში საყვარელი
შვილებისა და მეუღლის დაკარგვის გამო აუტანელი მწუხარება
ჯერაც არ ჩამქრალიყოს.

დამწუხრებულია მთელი გარშემორტყმული მიდამოებიც ამ
სანახაობით, და აბა რომელი გულქვა გამვლელ-გამომვლელი აუქ-
ცევს გვერდს ამ ადგილს, რომ საბრალო დედოფლის სამწუხარო
ამბავი არ ამოიკითხოს ამ ცრემლთა ნაკადულში და თვალთაგან
თვითონაც არ წასკდეს მღუღარე ცრემლები.

მ ი ლ ი კ ო ს მ ე ფ ე

მდისლაც თებეში მეფობდა კადმის შთამომავლის ლაბდაკის შვილი ლაიოსი, რომელსაც ცოლად ჰყავდა თებელი მენეკეას ასული იოკასტა.

მეფე და დედოფალი დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ და თავისი გონივრული მართვა-გამგეობით დიდი პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული მთელ სახელმწიფოში. ყველანი დიდის ნდობით შეჰყურებდნენ მეფესა და დედოფალს და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მკვიდრთა კეთილდღეობა საიმედო მმართველთა ხელში იყო.

სახელმწიფოს მკვიდრთ მხოლოდ ის აწუხებდათ, რომ მეფეს შვილი არ ჰყავდა და ამიტომ ადვილად მოსალოდნელი იყო სამეფო ტახტი ვინმე უღირსს ჩაეგდო ხელში.

მეფე ლაიოსი და დედოფალი იოკასტა დიდ საგონებელში იყვნენ, რომ ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა შვილები არ აჩუქეს.

მეფე ლაიოსი დღე და ღამე სულ იწას ნატრობდა, რომ შემკვიდრე მისცემოდა და სამეფო ტახტი საგვარეულოს შორეულ შტოზე არ გადასულიყო.

ამ საჭირბოროტო საკითხის საბოლოოდ გადასაქრელად მეფემ მისანს მიმართა.

მეფე ლაიოსმა მისნისაგან ამნაირი პასუხი მიიღო: „ლაიოს, შვილებისაგან. ლოცხვა-კურთხვას ვერ დაიმსახურებ. ღმერთები შვილს გაჩუქებენ, მაგრამ იგივე შვილი მოგკლავს, უღმობელი ბედისწერა მთელ შენს შთამომავლობას დაღუპავს“.

ლაიოსმა იოკასტას უამბო მისნის საშინელი წინასწარმეტყველება.

მეფე და დედოფალი მეტად შეაშფოთა ამ საბედისწერო წინასწარმეტყველებამ.

გავიდა რამდენიმე ხანი, და იოკასტას მართლაც მიეცა ვაჟი. მაგრამ მისნის წინასწარმეტყველებით შეშინებულმა ლაიოსმა ბავშვს თვალიც კი არ გადაავლო.

მეფემ, ბედისწერის ასაცილებლად, მსახურს დაავალა ყმაწვილი კითერონის მთების უღრან ტყეში გადაეგდო.

ბავშვს რომ სიკვდილისაგან თავი არ დაეღწია, ლაიოსმა] მას ორივე ფეხის ტერფი საკუთარი ხელით დაუხვრიტა.

მსახურს შეეცოდა ბალლი და გადასაგდებად გადასცა მწყემსს, რომელიც კითერონის მთებზე კორინთის მეფის პოლიბოსის საქონლის ჯოგს აძოვებდა.

როცა სასახლეში დაბრუნდა, მსახურმა მეფეს მოახსენა დავალება პირნათლად შევასრულო.

მეფე და დედოფალი მსახურის განცხადებით კმაყოფილნი დარჩნენ, გამხიარულდნენ, მისნის საბედისწერო წინასწარმეტყველება დაივიწყეს და ისევ ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ.

პოლიბოსის მწყემსსაც შეეცოდა ბავშვი. მთებში გადაგდების ნაცვლად მან ფეხების ჭრილობები სათუთად შეუხვია მას და ოიდიპოსი დაარქვა, რაც ფეხებდასიებულს ნიშნავს.

პირველ ხანებში მწყემსი თვითონ უვლიდა ბავშვს, შემდეგ კი იგი პოლიბოსმა იშვილა და ნამდვილ შვილსავეთ ზრდიდა.

როცა წაწოხნარდა, ოიდიპოსი დარწმუნებული იყო, რომ იგი პოლიბოსის ნამდვილი შვილია.

ერთ ღზინში ძალზე დამთვრალმა ერთმა კორინთელმა მოქალაქემ თავმომწონე ყმაწვილს პირში ნიახალა: შენ მეფე პოლიბოსის ღვიძლი შვილი არა ხარო.

ოიდიპოსი მეტად შეურაცხყო ამ მისთვის სრულიად მოულოდნელმა ამბავმა. იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა სასახლეში და გადაჭრით მოსთხოვა მეფე პოლიბოსს: დაუფარავად მითხარი სიმართლეო.

მეფე ყოველგვარად შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ოიდიპოსი მისი ღვიძლი შვილია, რომ დამთვრალი კორინთელი მოქალაქის სიტყვები მტყნარი სიცრუეა, მაგრამ დაეჭვიანებული ყმაწვილი საესებით მაინც ვერ დააჯერა.

ოიდიპოსს მოსვენებას არ აძლევდნენ მწარე ფიქრები და ამიტომ მან გადაწყვიტა დელფის მისანს შეჰკითხებოდა თავისი ნამდვილი ვინაობის გამოსარკვევად.

აპოლონ ღმერთის მისნის განმარტებით, ყმაწვილს მომავალში დიდი უბედურება უნდა დასტებოდა თავს.

მისანმა ყმაწვილს ასე უწინასწარმეტყველა: „დასტოვე მამაშენი. თუ სადმე კიდევ შეხვდები მას, უთუოდ შემოგაკვდება და შემდეგ საკუთარ დედას ცოლად შეირთავ“.

ამ წინასწარმეტყველებამ მეტად შეაშფოთა ოიდიპოსი. თავზარდაცემულმა ყმაწვილმა საბოლოოდ გადაწყვიტა კორინთს გაშორებოდა და ბეოტიაში გადასახლებულიყო.

დიდად დაღონებული ოიდიპოსი დელფსა და დაულიეს შუამდებარე ბილიკით გაემგზავრა ბეოტიისაკენ.

ოიდიპოსს ერთ გზაჯვარედინზე შემოხვდა ეტლით მომავალი მოხუცი.

მეეტლემ და მოხუცმა მოინდომეს ოიდიპოსი ტლანქად ჩამოეყენებინათ გზიდან. ფიცხი ყმაწვილი ცეცხლივით აენტო და კომბლის მძლავრი დაკვრით ჩამოაგდო ერთიანად თავპირგასისხლიანებული მეეტლე.

მოხუცმა ვერ მოითმინა ყმაწვილის ასეთი კადნიერება და ჯოხის დაკვრით ოიდიპოსს პირისახე დაუსისხლიანა.

თავმომწონე ყმაწვილმა მოიმარჯვა სამგზავრო კომბალი და ისე დაჰკრა მოხუცს თავში, რომ საბრალომ სული განუტევა.

ოიდიპოსი დარწმუნებული იყო, რომ მან მოკლა ვინმე თავზებელადებული ბეოტიელი, რადგანაც მოხუცის გარეგანი შესახედობა სრულიადაც არ მოწმობდა წარჩინებული გვარეულობის წარმომადგენლობას.

ნამდვილად კი ოიდიპოსმა მოკლა მეფე ლაიოსი, რომელიც ქალაქ დელფში მიემგზავრებოდა თავისი ბედის გამოსარკვევად.

ამრიგად შესრულდა ღმერთების წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი.

ოიდიპოსმა განაგრძო გზა და სულ მოკლე ხანში მივიდა თებში, სადაც სწორედ იმ დროს გამოჩენილიყო რაღაც საშინელი ცხოველი სფინქსი.

ხალხის ამ თავზარდამცემ ცხოველს სახე ქალისა ჰქონდა, ფრთები ფრინველისა, ტანი და კუდი კი ლომისა.

სფინქსი დაბუდებული იყო ფოკიონის მთების მაღალ მწვერვალზე და იქიდან აძლეოდა თებელებს ძნელად ასახსნელ გამოცანებს.

ვინც ამ გამოცანას ვერ გამოიცნობდა, სფინქსი ნაკუწ-ნაკუწად გლეჯდა და ხარბად ყლაპავდა.

ამრიგად დაიღუპა თებეს მრავალი წარჩინებული მოქალაქე, ამრიგადვე დაიღუპა დედოფალი იოკასტას ძმის კრეონის ვაჟი-შვილი.

ხალხის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. მთელი სამეფო შიშით ძრწოდა.

თავზარდაცემულმა თებეს წარჩინებულებმა ერთხმად დაადგინეს: ვინც სახელმწიფოს ამ უბედურებისაგან გამოიხსნის, ჯილდოდ თებეს სამეფო ტახტს მიიღებს და ქვრივი დედოფალი იოკასტაც მას მეუღლედ გაჰყვებაო.

სწორედ იმ დღეს, როცა ეს დადგენილება საჯაროდ გამოიტანეს, თებეში მივიდა ხანგრძლივი მოგზაურობით დაქანცული ოიდიპოსი.

ღმერთების საშინელი წინასწარმეტყველებით შეშინებული ოიდიპოსი სიცოცხლეს დიდად არ აფასებდა. მან სიამოვნებით მიიღო ძეგელი წარჩინებულების მოწოდება და მთელი თავისი ახალგაზრდული ალტკინებით გადაწყვიტა ეხსნა სახელმწიფო იმ საშინელი უბედურებისაგან.

თავმომწონე ყმაწვილი გაბედულად ავიდა იმ კლდეზე, საცა სფინქსი ბუდობდა, და უშიშრად მოსთხოვა ამ საშინელ ცხოველს მისთვისაც მიეცა გამოცანა ასახსნელად.

სფინქსმა დაუყოვნებლივ შეუსრულა ყმაწვილს თხოვნა და ასეთი შინაარსის გამოცანა მისცა: „დამისახელე ცხოველი, რომელიც დილით ოთხ ფეხზე დადის, შუადღისას — ორზე, საღამოს კი სამზე“.

გონებამახვილმა ყმაწვილმა ასე განუმარტა ეს გამოცანა: „ეს ცხოველი ადამიანია. პატარაობისას იგი ოთხ ფეხზე დადის, როცა დაეაყვაცდება, ორ ფეხს ხმარობს, სიბერის დროს მესამე ფეხად ჯოხს იშველიებს“.

გონებამახვილმა ოიდიპოსმა სწორედ ახსნა გამოცანა.

თავზარდაცემულმა დამარცხებულმა სფინქსმა დაუყოვნებლივ დატოვა თებეს მიდამოები და სადღაც უგზოუკვლოდ გადაიკარგა.

ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყველანი აღტაცებით ულოცავდნენ ახალგაზრდა გმირს ბრწყინვალე გამარჯვებას.

თებელებმა ოიდიპოსი მისი გონებამახვილობისა და მაცოდისათვის ერთხმად აირჩიეს თავის მეფედ და ქვრივი დედოფალი იოკასტა მიათხოვეს.

ოიდიპოსსა და იოკასტას ოთხი შვილი მიეცათ: ორი ვაჟი — ეთეოკლი და პოლინიკი, და ორიც ქალიშვილი — ანტიგონა და ისმენა.

ამრიგად, ღმერთების საშინელი წინასწარმეტყველების მეორე ნაწილიც შესრულდა.

მომხდარი ამბის მთელი საშინელება და საიდუმლოება ხალხისაგან დიდხანს იყო დაფარული. აბა ვის რა ეცოდინებოდა, როცა

მეფეც და დედოფალიც ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სრულიად მართებულად, სრულიად კანონიერად განაგებდნენ სამეფო ტახტს.

მეფე ოიდიპოსი და დედოფალი იოკასტა რამდენიმე წლის განმავლობაში ბედნიერად ცხოვრობდნენ და თავისი გულკეთილი მართვა-გამგეობით ხალხში დიდი სიყვარული დაიმსახურეს.

მეფე ოიდიპოსისა და დედოფალ იოკასტას ბედნიერად ცხოვრების დასასრულიც მოახლოვდა.

ღმერთებმა შავი ქირი მოუვლინეს სახელმწიფოს. ეს საშინელი სენი მუსრს ავლებდა სახელმწიფოს მკვიდრთ. ყოველ ოჯახში განუწყვეტლივ ტარილი და კენესა გაისმოდა. საიქიოს სამეფო მიცვალებულთა სულებით აივსო, ელაქი ერთიანად დაცარიელდა.

შეშინებული თებელები ყველანი სასახლისაკენ მიისწრაფოდნენ და მეფეს მუხლმოდრეკილნი სთხოვდნენ დახმარებას.

სიბრალულით აღვსილი მეფე ოიდიპოსი ამ საშინელი სენის აღსაკვეთად ათას სხვადასხვა ზომას იღებდა, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო იყო.

და ბოლოს მეფემ დელფოში გაგზავნა თავისი ცოლისძმა კრეონი, რომელსაც ღმერთებისაგან უნდა მიეღო საჭირო რჩევა-დარიგება, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა საშინელი უბედურებისაგან ხალხის გადარჩენა.

კრეონმა მეფე ოიდიპოსს სამწუხარო ამბავი მოუტანა.

აპოლონ ღმერთის მისნის განმარტებით, სახელმწიფო მხოლოდ მაშინ განთავისუფლდებოდა ამ საშინელი სენისაგან, როცა თებელები მეფე ლაიოსის მკვლელს აღმოაჩენდნენ და ვერაგ დამნაშავეს სახელმწიფოს საზღვრებიდან გააძევებდნენ.

სულითა და გულით აღშფოთებულმა ოიდიპოსმა დაუყოვნებლივ მოიწვია სახალხო კრება და დიდი საჩუქარი აღუთქვა, ვინც მეფე ლაიოსის მკვლელობის შესახებ რაიმე სწორ ცნობას მისცემდა მეფესა და სახალხო კრებას.

ამ სახალხო კრებაზე ოიდიპოსმა მოიწვია აგრეთვე მოხუცი ბრმა ტირეზიასი, რომელსაც თავისი გულთამხილაობით ხალხში დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

მეფემ მოხუც ტირეზიას საჯაროდ სთხოვა დახმარება გაეწია მეფე ლაიოსის მკვლელის აღმოსაჩენად.

საბრალო მოხუცს გულის სიღრმიდან სასოწარკვეთილების საშინელი ძახილი აღმოხდა.

ხარგრძლივი ღუმლის შემდეგ მოხუცმა გულთამხილავმა მწარედ ამოიკვნესა: „საშინელებაა, როცა ადამიანს შეუძლია დამნაშავე დაასახლოს, მაგრამ ამ შესაძლებლობას იგი მოკლებულია! მეფეო, ნება მიბოძე ღუმლით შევხედე შენს თხოვნას! ნუ მიძულე, მოწყალეო ხელმწიფეო, რომ ღმერთების საშინელი წინასწარმეტყველების გამოაშკარავება ჩემის პირიდან მოისმინო!“

მეფე მანც დაჟინებით სთხოვდა მოხუც ტირეზიას თავისი საიდუმლოების გამომჟღავნებას, მაგრამ გულთამხილავი მოხუცი უწყევად ღუმდა და კრინტს არ ძრავდა.

მეფე ოიდიპოსი იმდენად აღაშფოთა მოხუცი ტირეზიასის ურჩობამ, რომ ლანძღვა-გინებასაც კი მიმართა და ყველასაგან პატივცემულ გულთამხილავს კრეონისაგან მოსყიდვაც კი დასწამა, საჯაროდ „მატყუარაც“ კი უწოდა.

ოიდიპოსის მრისხანე სიტყვებმა დაარღვია მოხუცი გულთამხილავის ღუმლი.

მეფის სიტყვებით დიდად შეურაცხყოფილმა მოხუცმა აღელვებული კილოთი შეჰყვირა: „მეფეო, თუ გსურს გაიგო, ვინაა დამნაშავე მეფე ლაიოსის მკვლელობაში, გთხოვ მოთმინებით მომისმინო! შენ თვითონ ხარ ის დამნაშავე, რომელმაც ხალხს ეს დიდი უბედურება თავს მოახვიე! მეფე ლაიოსის მკვლელი თვითონ შენა ხარ, მეფეო! დიახ, შენ მოკალი მამაშენი, წარბშეუხრელად შეირთე ცოლად დედაშენი და ამრიგად შეარცხვინე მთელი შენი გვარეულობა!“

მოხუცი გულთამხილავის სიტყვები ყუმბარასავით გასკდა სახალხო კრებაზე.

ოიდიპოს მეფეს თავზარი დაეცა, საბრალომ აზრი და გონება დაკარგა. სიბრაზისაგან ცეცხლივით ანთებული მეფე, მამის მკვლელი, მოხუცს საჯაროდ ლანძღავდა უშვერი სიტყვებით, მიწასთან ასწორებდა მას.

მოხუცი გულთამხილავიც თავის მხრით უფრო და უფრო მკვეთრი სიტყვებით უსერავდა გულს გაათურებულ ოიდიპოს მეფეს და წყლულზე წყლულს უმატებდა.

ტირეზიასმა ოიდიპოსს უწინასწარმეტყველა, — ყოვლად შემძლებელი ღმერთები სამუდამოდ დაგწყევლიან და შეგაჩვენებენ შენ და მთელ შენს შთამომავლობასაცაო.

მოხუცი გულთამხილავი იმდენად შეურაცხყოფილად თვლიდა თავის თავს, რომ კრებაზე დარჩენაც შეუძლებლად სცნო და დაუყოვნებლივ დატოვა საჯარო სხდომა.

სწორედ ამ დროს სახალხო კრებაზე გამოცხადდა მეფე ოიდიპოსის ცოლისმა კრეონი.

ოიდიპოსი და კრეონი ერთი-მეორეს შეედავნენ, ისინი უხეში სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს.

მეფესა და ცოლისძმას შორის ატეხილი დავა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა.

დედოფალი იოკასტა ცდილობდა ამ შეუფერებელ ადგილას გამართული დავა მოესპო, მაგრამ დედოფლის ცდა უნაყოფო იყო.

იოკასტა ჩაერია მეფისა და კრეონის შეუფერებელ სჯა-ბაასში და დაუნდობლად დაუწყა ლანძღვა-გინება კრებიდან წასულ მოხუც ტირეზიასს.

„აი, რამდენად უმეცარი და მატყურა გამოდგა მოხუცი გულთამხილავი,—უმტკიცებდა დედოფალი ოიდიპოს მეფეს:—ჩემ პირველ მეუღლეს ღმერთებმა უწინასწარმეტყველეს, რომ მას საკუთარი შვილი მოკლავდა, მაგრამ ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა, ჩვენი ერთადერთი შვილი სამი დღისა იყო, როცა მთებში დაიღუპა. ჩემი მეუღლე მეფე ლაიოსი კი ვილაც უცნობმა მოკლა გზაჯვარედინზე, როცა იგი დელფში ეტლით მიემგზავრებოდა!“

დედოფლის ამ განმარტებამ თავზარი დასცა ოიდიპოს მეფეს.

„მაშ ეტლით მიმავალი მეფე ლაიოსი გზაჯვარედინზე მოკლეს?“ შეშფოთებული შეეკითხა ოიდიპოსი დედოფალ იოკასტას. ამიწერე მეფე ლაიოსის გარეგნობა და ტანადობა, რამდენი წლისა იქნებოდა მეფე იმ დროს, როცა მოკლეს?“

„მეფე მალალი იყო,—გულუბრყვილოდ უპასუხა იოკასტამ,—თეთრი თმა ამშვენებდა. ტანადობითა და პირისახის გამომეტყველებით მთლიანად შენ წაგაგავდა“.

—„მოხუცმა ტირეზიასმა მართალი თქვა!“—სასაწარკვეთილებით წამოიძახა ოიდიპოსმა. მეფემ მხოლოდ ახლა შეიგრძნო მეფე ლაიოსის მკვლელობის მთელი საშინელება.

შინითა და მოკრძალებით შეუდგა მეფე ოიდიპოსი საქმის ნამდვილი ვითარების გამოკვლევას.

იოკასტას მიერ აღწერილი მეფე ლაიოსის ტანადობა და პირისახის გამომეტყველება, თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვანად, ნათელყოფდა, რომ მეფე ლაიოსის მკვლელი ოიდიპოს მეფე იყო.

სწორედ ამ დროს კორინთიდან მოვიდა მოამბე, რომელმაც განაცხადა: მეფე პოლიბოსი გარდაიცვალა და სამეფო ტახტი, როგორც კანონიერმა მემკვიდრემ; ოიდიპოსმა უნდა დაიკიროსო.

ამ მოულოდნელი ამბის შეტყობამ ერთხელ კიდევ სიხარულს ფრთები შეასხა დედოფალ იოკასტას.

—აი, რამდენად სიმართლეს მოკლებულია ღმერთების წინასწარმეტყველება!—სიხარულით ეუბნებოდა დედოფალი ოიდიპოსს. მეფეს: „ღმერთებმა ხომ გიწინასწარმეტყველეს, მამას მოკლავო, მაგრამ, როგორც ხედავ, მამაშენი მოხუცებულობის გამო თავისი დლით მოკვდა!“

მეფე ოიდიპოსზე კი კორინთიდან მოსული მოამბის სიტყვებმა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა.

საბრალო მეფეს მოაგონდა ის შემთხვევა, როცა ერთხელ ლხინის დროს კორინთელმა მოქალაქემ აშკარად განუცხადა: „შენ, ოიდიპოს, მეფე პოლიბოსის ნამდვილი შვილი არა ხარო.“

ოიდიპოსი მაინც თავისთავს არ უჯერებდა და თითქო კიდევ რაღაც ეჭვიანობდა.

მაგრამ კორინთიდან მოსულმა მოამბემ ოიდიპოსის უკანასკნელი ეჭვებიც სრულებით გაფანტა.

ოიდიპოსსთან გამოგზავნილი მოამბე აღმოჩნდა სწორედ ის მწყემსი, რომელმაც მეფე ლაიოსის მსახურისაგან ჩაბარებული ბავშვი მეფე პოლიბოსს მიუყვანა აღსაზრდელად.

მოამბე მეფე ოიდიპოსსა და დედოფალ იოკასტას გულახდილად გამოუტყდა, ოიდიპოსი თუმცა პოლიბოსის მემკვიდრედაა გამოცხადებული, მაგრამ გარდაცვალებული მეფის ნამდვილი შვილი არ არისო.

ამ გულახდილმა სიტყვებმა მეფე ოიდიპოსს თვალწინ ნათლად დაუყენა მთელი თავისი უმაგალითო დანაშაულის საშინელება.

საბრალო ოიდიპოსის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, იგი სულიერად და ხორციელად იტანჯებოდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

გონებადაკარგულმა ოიდიპოსმა დატოვა სახალხო კრება და შუშლილივით გაემართა ქალაქისაკენ. საბრალო მეფე ქალაქის ქუჩებს საცოდავად აფარებდა თავს და გამვლელ-გამომვლელს შველას სთხოვდა.

მაგრამ მეფე ლაიოსის მკვლელობით აღშფოთებული მოქალაქენი მეფეს ზიზლით შეჰყურებდნენ და მის შეხვედრას ერიდებოდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა საბრალო ოიდიპოსი ასე მწარედ იტანჯებოდა, სასახლეში ახალი საშინელება დატრიალდა: იოკას-

ტამ ვერ აიტანა ოიდიპოსის მიერ ჩადენილი უმაგალითო დანაშაულის სიმძიმე და თავი ჩამოიხრჩო.

ოიდიპოსის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან, ისედაც გონებადაკარგულმა, ქერზე თოკით ჩამოკიდებული იოკასტას გაცივებული გვამი დაინახა.

საბრალო მეფე შეშლილივით მიიქრა ქერზე ჩამოკიდებულ დედოფალთან, ჩამოხსნა საბედისწერო თოკი და ცრემლების ლაპალოპით იატაკზე დაასვენა.

გონებადაკარგულმა ოიდიპოსმა შეშლილივით ჩამოგლიჯა იოკასტას მოსახურავს ოქროს შესაკრავი და ისე მძლავრად ჩაიქრა თვალებში, რომ თვალთაგან ამოხეთქილი სისხლის შადრევანი დარბაზის ქერს სწვდებოდა.

„ჩემი მოელვარე თვალები,—შეშლილივით ბუტბუტებდა ოიდიპოსი,—ამიერიდან ვერ დაინახავენ ვერც ჩემს უბედურებას და ვერც ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულს! წყვდიადით მოცული ჩემი თვალები ამიერიდან ვერ დაინახავენ ვერც ჩემს მტერს და ვერც ჩემს მოკეთეს! ციური მანათობელი სხივები ამიერიდან ვერ ჩასწვდებიან ჩემს გულსა და სულს!“

ციურ სინათლეს მოკლებულმა მეფემ გადაწყვიტა ხალხის წინაშე თავისი დანაშაულის მონანიება და მსახურებს უბრძანა სახალხო მოედანზე წაეყვანათ.

მსახურებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს საბრალო ოიდიპოსის სურვილი.

მოედანზე თავმოყრილი ღალბი გულთბილად შეხვდა მეფეს. ყველანი იბრალებდნენ საცოდავ მეფეს და თავის გულისწყრომას გულში იმარხავდნენ.

კრებაზე ოიდიპოსის ცოლისძმა კრეონიც გამოცხადდა. კრეონი დიდის სიყვარულითა და პატივისცემით მიესალმა მწუხარებისაგან გონებადაკარგულ მეფეს.

ხალხისა და კრეონის გულთბილმა შეხვედრამ დიდად იმოქმედა ოიდიპოსის სულიერ განწყობილებაზე.

ოიდიპოსმა, სანამ მისი შვილები სრულწლოვანი გახდებოდნენ, კრეონი დროებით მეფედ გამოაცხადა.

საბრალო მეფემ კრეონს სთხოვა ობლად დარჩენილ ბავშვებს მზრუნველობით მოპყრობოდა და საცოდავი დედოფალი იოკასტა ღირსეულად დაესაფლავებინა.

და ბოლოს, ყოფილმა მეფემ კრეონს მოსთხოვა მხლებლები, რომელთაც ის უნდა მიეცილებინათ კითერონის მთებამდის, სადაც

უნდა გაეტარებინა, ღმერთების სურვილის თანახმად, საბრალო ოი-
დიპოსს სიცოცხლის უკანასკნელი დღეები.

კრეონმა საჯაროდ აღუთქვა ოიდიპოს მეფეს ყველა თხოვნის
შესრულება.

ოიდიპოსი მეორე დღესვე გაუდგა თავის გზას. საბრალოს სა-
ბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა რაც შეიძლება დაჩქარებით გამო-
სალმებოდა სიცოცხლეს, რომელიც მისთვის ამჟამად მხოლოდ და-
მხოლოდ წამება იყო.

ოიდიპოსის ასულებმა, ანტიგონემ და ისმენამ, ქალაქის საზ-
ღვრებამდის მიაცილეს საბრალო მეფე და ცრემლების ღაპალუპით
ემუდარებოდნენ საყვარელ მამას დაბრუნებულიყო და თავისი უკა-
ნასკნელი დღეები სასახლეში გაეტარებინა.

ოიდიპოსმა გადაქრით უარყო თავისი საყვარელი ანტიგონესა
და ისმენას მხურვალე ვედრება.

დადგა გამოსალმების ეამი.

ანტიგონემ ერთბაშად გადაწყვიტა მამას გაჰყოლოდა და მოგ-
ზაურობის დროს მცირედად მინც შეემსუბუქებინა საბრალო მამის
გამოუთქმელი მწუხარება.

ანტიგონემ დაითანხმა ისმენა ძმებთან დარჩენილიყო და თავისი
მოვლა-პატრონობით დედის მაგიერობა გაეწია ობლებისათვის.

ანტიგონე მამასთან ერთად გაემგზავრა უცხო ქვეყანაში. საბ-
რალო ქალი მხნედ იტანდა ყველა გაჭირვებას, რაც განუყრელ
თანამგზავრია უცნობ უდაბნო ადგილებში.

სააუთი, ნაზი აგებულების ანტიგონე აუტანელი სიცხეებისა
და კოკისპირული წვიმების დროს საშინელი წამებით შოულობდა
ლუკმაპურს, რომ საბრალო მამა შიმშილით ხელში არ შემოჰკ-
ვდომოდა.

მოგზაურობის დროს ოიდიპოსმა შეცვალა თავისი პირვანდელი
განზრახვა, ნაცვლად დანიშნული ადგილისა დელფოსაკენ გაემარ-
თა, ღმერთებს რომ თავისი მომავალი ბედის შესახებ შეჰკით-
ხებოდა.

დელფოს მისანმა ოიდიპოსს უწინასწარმეტყველა: შენ მხოლოდ
მაშინ დამშვიდდები, როცა მიაღწევ ღმერთებისაგან დანიშნულ ქვე-
ყანას, საცა ბოროტი ქალღმერთები, ეგმენიდები, შეწყვეტენ შენს
ღვეწას და სამუდამოდ ჩამოგშორდებიანო.

სანამ ამ ბედნიერ ქვეყანას მიაღწევდა საბრალო ოიდიპოსი,
ელინთა უცხო ქვეყნებში კარდაკარ დადიოდა და გზადაგზა იკვე-

ბებობა მოწყალებით, რასაც კეთილი ადამიანები მამა-შვილს დრო-გამოშვებით აწვდიდნენ.

ოიდიპოსი და ანტიგონე ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მივიდნენ ქალაქ კოლონში, საცა, როგორც ადგილობრივი მკვიდრისაგან გაიგეს, ათენელები თაყვანსა სცემდნენ მუდამ შურისმაძიებელ ერიონებს ევმენიდებისათვის შეწირულ საუცხოოდ მოწყობილ ტყეში.

როცა ოიდიპოსი და ანტიგონე კოლონში მივიდნენ, ათენაში შეფობდა მთელს საბერძნეთში სახელგანთქმული გმირი თეზევი.

როგორც კი ოიდიპოსის მოსვლა შეიტყო, თეზევი დაუყოვნებლივ კოლონში მივიდა და მეგობრულად შეეგება წამებულ მეფეს.

„საბრალო ოიდიპოს, შენი სამწუხარო თავგადასავალი დიდი ზანია გაგონილი მაქვს! ჩემ გულს ღრმად სწვდება შენი დაუსრულებელი უბედურების ამბავი! ნუ მომერიდები, გულახდილად მითხარი რა გსურს და ყველაფერს სიამოვნებით შეგისრულებ!“—სიყვარულის კილოთი შეეკითხა თეზევი ტანჯულ ოიდიპოსს.

—„მომეცი, მოწყალეო მეფეო, თავშესაფარი და საფლავი!—აი, ყველაფერი, რის თხოვნაც მსურს!“—მორიდებით უპასუხა ოიდიპოსმა.

თეზემა გულწრფელად მისცა წინადადება ოიდიპოსს საცხოვრებლად აერჩია, თუ მოისურვებდა, ან ათენა, ან კოლონი.

ოიდიპოსმა კოლონში დარჩენა არჩია, რადგან, ღმერთების წინასწარმეტყველებით, ამ ქალაქში უნდა მოეპოვა საუკუნო განსვენება.

თეზემა სიამოვნებით შეუსრულა ტანჯულ მეფეს უკანასკნელი სურვილი და ნება მისცა მუდმივ საცხოვრებლად კოლონში დარჩენილიყო.

ასე გულთბილად მოპყრობისთვის დიდად მადლიერმა ოიდიპოსმა ზეცას აღაპყრო ხელები და ყოვლად შემძლებელ ღმერთებს მხურვალედ შესთხოვა ათენის ძღვეამოსილი სახელმწიფოსათვის თავისი ლოცვა-კურთხვა მოევლინათ.

გულთბილი მოპყრობით გამხნეებულმა ოიდიპოსმა დაბოლოს გულკეთილ თეზევს სთხოვა მიეცილებინა იგი იმ ადგილამდის, სადაც, ღმერთების სურვილის თანახმად, საბრალო მეფეს საუკუნოდ უნდა განესვენა.

კოლონის რჩეული მოქალაქეებისა, თავისი საყვარელი ქალიშვილის ანტიგონესა და ძღვეამოსილი თეზევის თანხლებით გაემგზავრა ოიდიპოსი ევმენიდების ტყისაკენ.

ოიდიპოსი წინ უძლოდა მხლებლებს და ყოვლად შემძლებელი ღმერთების ჩვენებით მოგზაურებს გზას უკვლევდა.

ოიდიპოსმა და მისმა თანამალებლებმა მიაღწიეს დანიშნულ ადგილას.

ვემინიდების სახელობაზე შეწირული ტყის შუა ადგილას მოჩანდა მიწაში ჩასასვლელი, რომლის დახურულ თავთან თავს იყრიდა ყოველის მხრიდან მომავალი ვიწრო ბილიკები.

ხალხის გადმოცემით, ამ ჩასასვლელიდან მიდიოდა გზა საიქიოს სამეფოში.

ოიდიპოსი საიქიოს ამ ჩასასვლელთან შეჩერდა. საბრალო მეფემ გაიხადა გამტერიანებული ტანსაცმელი, ჩამოიბანა მოგზაურობის დროს სხეულზე დადებული ქუქუი და ოფლი და ბრწყინვალედ გამოეწყო თებევის მიერ ნაჩუქარ მშვენიერ ტანსაცმელში. სწორედ ამ დროს უეცრივ გაისმა საშინელი ქუხილი.

ოიდიპოსს გარკვევით შემოესმა საბედისწერო ძახილი: „ოიდიპოს, ნუ აგვიანებ!“

როგორც კი ყური მოჰკრა ამ საბედისწერო ძახილს ოიდიპოსმა, დაუყოვნებლივ მიიხმო ძლევაძმოსილი თებევი და თავისი საყვარელი ანტიგონე ჩააბარა.

სასიკვდილოდ განწირულმა ოიდიპოსმა ათენის ძლევაძმოსილ მეფეს სთხოვა ობლად დარჩენილ ანტიგონესათვის დახმარება აღმოეჩინა და უპატრონოდ არ დაეტოვებინა.

დაბოლოს ოიდიპოსი მოკრძალებითა და საშინელი გულისტკივილით გამოეთხოვა იქ მყოფთ, სთხოვა შინ დაბრუნებულიყვნენ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ გზაში არცერთს უკან არ მოეხედა.

საიქიოს ჩასასვლელ კართან, ოიდიპოსის თხოვნით, მარტოდ-მარტო თებევი დარჩა.

ანტიგონე და კოლონის წარჩინებული მოქალაქეები წყნარად ჩამოშორდნენ საბედისწერო ადგილს და მწუხარედ გაემართნენ შინისაკენ, ხოლო ვერცერთი ვერ ბედავდა უკან მოხედვას.

მაგრამ დახეთ საკვირველებას!

საიქიოს ჩასასვლელმა ხერეტილმა უხმოდ შთახთქა ოიდიპოსი. საბრალო მეფე სწრაფად დაეშვა ბნელ სიღრმეში და ასე გვეგონებოდათ ფრთები შეესხა და ისე მიფრინავსო.

თებევი უძრავად იდგა საიქიოს ჩასასვლელ კართან და მწუხარედ იფარებდა ხელებს თვალებზე.

ათენის ძლევაძმოსილმა გმირმა მცირედი ლოცვის შეწირვის შემდეგ დატოვა საბედისწერო ადგილი და ანტიგონესთან ერთად ათენაში დაბრუნდა.

ყველგან და მარადის გულკეთილი თეზევი იშვიათის მზრუნველობით მფარველობდა ობლად დარჩენილ ანტიგონეს და მამის დაკარგვით დასერილ მის გულს შეუწყვეტივ განმკურნებელ მალამოს სცხებდა.

თეზევა რამდენიმე ხნის შემდეგ საბრალო ანტიგონე, მისივე თხოვნით, ძმებთან გაგზავნა თებეში.

ასე სამწუხაროდ დაამთავრა თავისი მრავალტანჯული სიცოცხლე იმ ადამიანმა, რომელმაც შეცდომით თავისი საკუთარი მამა მოკლა და მშობელი დედა ცოლად შეირთო.

არგონავტების ლაშქრობა

ქლინთა ტომების მამამთავრის ეოლოსის შვილმა კრეტეასმა თესალიაში დააარსა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იოლკი მთელ საბერძნეთში სახელგანთქმულ ქალაქად ითვლებოდა.

მეფემ სამეფო ტახტი მოხუცებულობის დროს უანდერძა თავის უფროს შვილს ეზონს.

მაგრამ, კრეტეასის განკარგულების წინააღმდეგ, სამეფო ტახტს კრეტეასის შვილი პელეასი დაეუფლა.

კრეტეასის გარდაცვალების შემდეგ ეზონის შვილი, სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე იაზონი, კენტაურ ხირონს მიაბარეს აღსაზრდელად.

ხირონი დიდის გულმოდგინებით წვრთნიდა ყმაწვილს, გულში უნერგავდა გმირულ ჩვევებს და ამრიგად ცდილობდა ნიკიერი მოწაფე ნამდვილ გმირად აღეზარდა. მართლაც, დახელოვნებულმა კენტაურმა თავის წინასწარ დასახულ მიზანს საესებით მიაღწია.

იაზონმა დავაჟკაცებისას მართლაც თვალსაჩინო ადგილი დაიკირა ელინთა გმირებს შორის, მისი საგმირო საქმეები ყველგან აღტაცებას იწვევდა.

მეფე პელეასს ძლიერ ეშინოდა უკანონოდ დაქერილი ტახტი არ დაეკარგო, მით უფრო, რომ მეფეს ღმერთებმა უწინასწარმეტყველეს: ცალქალამნიან კაცს მოერიდე, თორემ სამეფო ტახტი დიდ განსაცდელში ჩაეარდებო.

იაზონი ოცი წლის შესრულდა, როცა თავისი აღმზრდელის სახლი ფარულად დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა იმ აზრით, რომ პელეასის მიერ უკანონოდ დაქერილი ტახტი დაებრუნებინა.

გზაში იაზონი მდინარეზე უნდა გადასულიყო. წყლის პირას ყმაწვილმა დაინახა მოხუცი ქალი, რომელიც მეორე ნაპირას გადასვლას ეპირებოდა, მაგრამ შიშით წყალში შესვლას ვერ ბედავდა.

იაზონმა თავაზიანად გადაიყვანა მოხუცი ქალი მდინარის მეორე ნაპირას, მაგრამ წყალში გასვლის დროს ცალ ფეხზე ქალამანი გასძვრა და წყალმა წაიღო.

ცალქალამნიანი იაზონი იოლკისაკენ გაემგზავრა.

მეფე პელეასი სწორედ იმ დროს, როცა იაზონი იოლკში მივიდა, პოსეიდონ ღმერთს მსხვერპლს სწირავდა.

როგორც კი დაინახა პელეასმა ცალქალამნიანი ყმაწვილკაცი, მაშინვე მოაგონდა ღმერთების წინასწარმეტყველება, რამაც დიდად შეაფოთა.

როგორც კი შორჩა მსხვერპლის შეწირვას, მეფემ მიიწვია ახლადმოსული ყმაწვილი და იოლკში მისვლის მიზანი გამოჰკითხა.

თავმომწონე იაზონმა მეფეს შეკითხაზე მოახსენა: „მოწყალეო ხელმწიფეო, მე ვარ მეფე ეზონის კანონიერი მემკვიდრე! ბავშვობიდანვე კენტავრ ხარონის ხელმძღვანელობით ვიზრდებოდი. ამჟამად კი, როცა უკვე დავვაჟიკადი, იოლკში იმ აზრით მოვედი, რომ განსვენებული მამაჩემის კარმიდამო მოვიხაზულო!“.

ცბიერმა პელეასმა იაზონს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ყმაწვილის მოსვლა კიდევაც ესიამოვნა.

იაზონის პატიესაცემლად სასახლეში ხუთი დღის განმავლობაში დიდი ზეიმი იმართებოდა.

ყველანი მხიარულობდნენ და დიდ სიხარულს გამოთქვამდნენ მეფის ნათესავის მოსვლის გამო.

ცბიერი პელეასი ამ ზეიმების დროს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა იაზონს.

მეექვსე დღეს მეფე პელეასმა დაწვრილებით გამოჰკითხა თავის ბიძაშვილს იოლკში მოსვლის ნამდვილი მიზანი.

იაზონმა თავაზიანად მოახსენა მეფეს: „დიდებულო მეფეო, შენ უთუოდ კარგად მოგეხსენება, რომ მე აწ ვარდაცვალებულის მეფე ეზონის პირდაპირი კანონიერი მემკვიდრე ვარ! სახელმწიფოს მთელი ქონება, როგორც ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს, მე მეკუთვნის, მაგრამ, მერწმუნე, დიდებულო მეფეო, მე ხელს არ ვახლებ შენს ძვირფას ავლადიდებას, ხელს არ ვახლებ საქონლის უთვალავ ჯოგებს, ბალახით აბიზინებულ საძოვრებს და უხვმოსავლიან ხოდაბუნებს! მთელი ეს ფასდაუღებელი სიმდიდრე შენთვის დამითმია! მე შენგან მხოლოდ ერთ რასმე მოვითხოვ: დიდებულო ხელმწიფეო, დამბრუნე მამაჩემის ტახტი და სკიპტრა!“

ცბიერმა პელეასმა ტახტის კანონიერ მემკვიდრეს ლმობიერად უპასუხა: „ყველა შენს მოთხოვნას დიდის სიამოვნებით დავაკმაყოფილებ“.

ფილებ, თუ შენ ღირსეულად მომიგვარებ ერთ დიდ საქმეს, რომლის პირადად შესრულება მოხუცებულობის გამო არ შემძლია. აგერ რამდენი ხანია, რაც კოლხიდაში დასაფლავებული ჩვენი ბიძა-შვილის ფრიქსის აჩრდილი დაჯინებით მთხოვს ფრიქსის ნეშტი სამშობლოში გადმოვასვენო და ოქროს საწმისი, რომელიც კოლხიდის მეფემ დაისაკუთრა, სამშობლო მხარეს უკანვე დავუბრუნო. თუ ამ საქმეს ღირსეულად შემისრულებ, სამეფო ტახტსა და სკიპტრას დაუყოვნებლივ სიამტკიბილობით გადმოგცემი!*

იაზონი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა სამძიმო საქმის შესრულებას ავალებდა ცბიერი პელეასი და ამიტომ სიამოვნებით განაცხადა თანხმობა მეფის წინადადებაზე.

ფრიქსი და ჰელა, მეფე კრეტეასის ძმის ადამასის შვილები, დიდ შეურაცხყოფასა და გაჭირვებას ითმენდნენ თავისი ბოროტი დედინაცვლის ინოსაგან.

საბრალო ფრიქსის დედამ, ღრუბლების ქალღმერთმა ნეფელამ, თავისი საყვარელი ქალ-ვაჟი სასახლიდან მოიტაცა.

ნეფელამ ფრიქსი და ჰელა ღმერთ ჰერმესის ნაჩუქარ ფრთებიან ოქროსმატყლოვან ვერძზე შესვა და შორეული ქვეყნებისაკენ გაისტუმრა.

საბრალო შვილები ცრემლების ღაპალუბით გამოეთხოვნენ საყვარელ დედას.

ოქროსმატყლოვანი ვერძი ელვის სისწრაფით მიფრინავდა ცის თვალუწვდენელ სივრცეში.

პატარა მოგზაურები ცნობისმოყვარეობით ათვალეიერებდნენ მათ თვალწინ გადაშლილ უცხო ქვეყნებს, დედამიწის გულში მოჩუხჩუხე მდინარეების ნაკადებს და აბოზოქრებული ტალღებით შემფოთებულ ზღვის საუცხოო ნაპირებს.

საუბედუროდ, ჰელა ოქროსმატყლოვანი ვერძის ზურგიდან გადმოვარდა და სწორედ იმ ღროს დაიღუპა, როცა პატარა მოგზაურები ეგეოსის ზღვასა და პროპონტიდის სრუტეს გადადიოდნენ.

იმ სრუტეს, საცა საბრალო ჰელა დაიღუპა, ამ იშვიათი მოგზაური ქალის სახსოვრად ჰელესპონტი (ჰელას ზღვა) დაერქვა. ეს სრუტე დღესაც ამ სახელს ატარებს.

ფრიქსი მშვიდობიანად მივიდა კოლხიდაში. ამ შორეულ საუცხოო ქვეყანაში იმ ღროს მეფობდა მრისხანე მეფე აეტესი.

მეფემ მეგობრულად მიიღო ახლადმოსული უცხოელი. აეტესს ისე მოეწონა ფრიქსი, რომ, ნიშნად თავისი კეთილგანწყობილებისა, თავისი ასული სალკიონა მიათხოვა.

ფრიქსმა ოქროსმატყლოვანი ვერძი ყოვლად შეძლებელ ღმერთებს შესწირა, მხოლოდ ვერძის ოქროს საწმისი კი თავის სიმამრს, მეფე აეტესს მიუძღვნა.

მეფე აეტესმა სიძის ნაჩუქარი ოქროს საწმისი ღმერთ არესის სამღვთო ქალაში ხეზე ჩამოკიდა და ფხიზელ დარაჯად მეტად საშინელი გველეშაპი მიუჩინა.

ხალხის გადმოცემათ, სანამ ეს ოქროს საწმისი არესის სამღვთო ქალაში ეკიდებოდა და არავინ მოიტაცებდა, მეფე აეტესის სიცოცხლეს ფათერაკი არ მოელოდა, მის სახელმწიფოს მტერი ხელს ვერ შეახებდა.

ოქროს საწმისი, როგორც ფასდაუღებელი ძვირფასი განძი, ყველა ქვეყნის ყურადღებას იპყრობდა.

ყველა ქვეყნის საუკეთესო გმირები ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ, რომ მეფე აეტესისათვის ეს ოქროს საწმისი მოეტაცათ, მაგრამ მათი ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა.

საშინელი გველეშაპი დღედაღამ ფხიზლად სდარაჯობდა ოქროს საწმისს და მის მახლობლად ფხიზელი დარაჯის შიშით ჩიტსაც კი არ შეეძლო გაფრენა.

მეფე პელეასმა ყოველივე ეს კარგად იცოდა და კიდევაც ამიტომ დაავალა თავის ბიძაშვილს იაზონს ასეთი სამძიმო საქმის შესრულება.

ცბიერი პელეასი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ სამეფო ტახტის მამიებელი იაზონი ამ სამძიმო საქმეს ვერ შეასრულებდა და უეჭველად დაიღუპებოდა.

ძლევაგოსილი იაზონი კოლხიდაში გამგზავრების სამზადისს შეუდგა.

მთელი საბერძნეთის რჩეულმა გმირებმა მიიღეს უახლოესი მონაწილეობა იაზონის მიერ განზრახულ მეტად სახიფათო ლაშქრობაში.

ათენა ქალღმერთის ხელმძღვანელობით, გემების დახელოვნებულმა მშენებელმა არგომ მდინარე ჰელიონის ნაპირებზე ააგო ორმოცდაათხოფიანი საუცხოო გემი, რომელსაც მშენებლის სახელი „არგო“ დაარქვეს.

მოგზაურებმა, რომელთაც გემის სახელწოდების მიხედვით „არგონავტები“ ეწოდათ, დაუყოვნებლივ აიარჩიეს გემის პასუხისმგებელი პირები.

ძღვეამოსულ იაზონს წილად ხედა ლაშქრობის წინამძღოლობა, ზოლო გმირ ტიფიასს კი გემის მესაქეობა. წინდახედული და შორს-მჭკრეტელი ლიკიასი გემის წინამძღოლად, ლოცმანად აირჩიეს.

ძღვეამოსილ იაზონთან ერთად შორეულ კოლხიდაში გაემგზავ-რნენ მთელ საბერძნეთში სახელგანთქმული გმირები: ჰერკულესი, პელასი, აიანტის მამა ტელამონი, ღმერთების მამამთავრის ზევსის შვილები პოლუქსი და კასტორი, ტკბილად მოუბარი ნესტორის მამა ნელეასი, მეფე ადმეტი, სახელგანთქმული მომღერალი ორფევი, პატროკლის მამა მენოტი, პოსეიდონ ღმერთის შვილი ეფემი, თე-ზევი, რომელიც შემდგომ ათენაში მეფედ აირჩიეს, მისი მეგობარი პერითეი, ჰერკულესის მეგობარი გილასი და სხვა მრავალი წარჩი-ნებული გმირი.

მოგზაურებმა, სანამ გემს ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში შეა-ცურებდნენ, ღმერთებს გამოსამშვიდობებელი მსხვერპლი შესწირეს და მხიარულად შეაცურეს გემი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში.

საამური ნიავეი ზღვის ზედაპირს ნაზად დაჰქროლავდა და მოგ-ზაურებს კეთილად მგზავრობის იმედს უნერგავდა.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ უეცრივ ზღვაზე ძლიერმა ქარმა დაბერა, და არგონავტები იძულებულნი იყვნენ გემი ლემნო-სის ნავსადგურში შეეცურებინათ.

სწორედ იმ ხანებში, როცა არგონავტები კუნძულ ლემნოსის ნაპირეზზე გადმოვიდნენ, ლემნოსელ ქალებს ლალატისათვის ქმრები დაეხოცათ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე ხელში ჩა-ეგდოთ.

კუნძულ ლემნოსის ქერივო ქალები დიდი სიხარულით მიეგებ-ნენ უცხო ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს და მათ პატივსაცემლად არა ერთი ბრწყინვალე ზეიმი გადაიხადეს.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდნენ კუნძულზე ლხინსა და ზეიმებში გართული მოგზაურები, რომ ნავსადგურში გემის მცველად დარჩენილ ჰერკულესს არ გაეფრთხილებინა ამხანაგები და არ მოეგონებინა ის დიდი მოვალეობა, რომელიც მათ ჰქონდა და-კისრებული,

იაზონმა, რასაკვირველია, ანგარიში გაუწია ჰერკულესის სა-მართლიან გაფრთხილებას, დაუყოვნებლივ გამოეთხოვა სტუმართ-მოყვარულ ლემნოსელ ქალთა დედოფალს მშვენიერ ჰიპსიპელას და თავისი მხლებლებით დატოვა კუნძულ ლემნოსის საუცხოო ნა-პირები.

არგონავტები მხიარულად მიტურავდნენ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში. უეცრივ ზღვაზე დაბერა ძლიერმა ქარმა. მოგზაურები იძულებული იყვნენ სწრაფმავალი გემი კუნძულ კიციკოსის ნავსადგურში შეეცურებინათ.

ამ კუნძულზე ცხოვრობდა მამაცი ტომების შთამომავალი ხალხი, დოლიონები, რომლებიც დიდის სიხარულით შეხვდნენ უცხოელ სტუმრებს.

დოლიონების მეზობლად ცხოვრობდნენ გოლიათის ტანის ველური ტომები, რომლებიც ხშირად დიდ უსიამოვნებას აყენებდნენ მუდამ შვიდობიანობის მოყვარულ დოლიონებს.

კუნძულ კიციკოსის ღმერთების მოშიშარი და მოყვარული მეფე კიზიკი მთელი თავისი ქვეშევრდომებით სიხარულით მიეგება უცხოელ სტუმრებს და ყველანი დიდის პატივისცემით მიიწვია სასახლეში.

არგონავტებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს მეფე კიზიკის გულწრფელი მიპატიჟება.

უცხოელი სტუმრები რამდენიმე დღე დარჩნენ კუნძულ კიციკოსზე და დიდის ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდნენ კუნძულის შესანიშნავ ადგილებს.

სტუმრების პატივსაცემლად გამართული ერთერთი ზეიმის დროს ძღვევამოსილმა იაზონმა დაწვრილებით მოუთხრო მეფე კიზიკს არგონავტების ლაშქრობის თავიდათავე მიზანი.

მეფე კიზიკმა თავის მხრით დაწვრილებით უამბო იაზონს ყველაფერი, რაც კი იცოდა შორეული კოლხიდის შესახებ.

ერთ დღით, როცა მეფე კიზიკი და უცხოელი მოგზაურები მაღალი მთის მწვერვალიდან ათვალეერებდნენ კუნძულის მიდამოებს, უეცრივ ტყიდან გამოცვივდნენ მეზობლად მცხოვრები გოლიათი ველური მეომრები, რომლებმაც ნავსადგურს ვეებერაელა კლდეების ნახეთქები დაუშინეს. ველურები ამ საშუალებით ცდილობდნენ მოგზაურებისათვის ნავსადგურიდან გასასვლელი გზა მოეკრათ.

ჭერკულესმა, რომელიც ამ დროს ნავსადგურში გემს სდარაჯობდა, თავისი შორსსატყორცნი ისრები დაუშინა რკალივით შემორტყმულ ველურ მეომრებს და მრავალი მათგანი გამოასალმა სიცოცხლეს.

ძღვევამოსილ ჭერკულესს მიეშველნენ ელინთა დანარჩენი გმირებიც და მძლავრად ნატყორცნი ისრებით დახოცეს სვავებივით მოსეული საშინელი მხედრობა.

დახოცილთა უზარმაზარი გვამები უთავბოლოდ ეყარნენ ნავ-სადგურის ნაპირას და ყვაე-ყორნები გაუმადლარი თვალით ხარბად თავს დასჩხაოდნენ მათ.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გამხნეებულმა არგონავტებმა მხიარულად ააფრიალეს იალქნები და სულ მოკლე ხანში გემი ქალაქ კიოსკის ნაპირების ყურეში მოხდენილად შეაცურეს.

ადგილობრივი მკვიდრნი დიდის ალტაცებით მიეგებნენ მოგზაურებს, ყველანი ქალაქში პიიპატივეს და ბრწყინვალე ზეიმის გამართვის თადარიგს შეუდგნენ.

არგონავტებმა სიამოვნებით მიიღეს ეს გულწრფელი მიპატიება და ყველანი, ჰერკულესისა და მისი მეგობრის გილასის გარდა, ქალაქში საზეიმოდ გაემართნენ.

ზღვის პირად ნავსადგურში დარჩენილი ჰერკულესი მახლობელ ტყეში წავიდა ხოფის გამოსათლელი ხის მოსაპრელად.

სანამ ჰერკულესი სახოფე ხეს აიჩქევდა, დიდებული გმირის მეგობარი გილასი მახლობელი წყაროდან წყლის მოსატანად წავიდა.

წყლის მშვენიერი ნიმფები, როგორც კი თვალი მოჰკრეს ქაბუკს, ერთიანად მოიხიბლნენ მისი შარავანდით მოსილი პირისახის სილამაზით, დაუყოვნებლივ სტაცეს ხელი ჰერკულესის გულითად მეგობარს და წყლის უფსკრულისაკენ გაიტაცეს.

გილის უკანასკნელი ამოძახილის ხმას ყური მოჰკრა გმირმა პოლითემ, რომელიც დაუყოვნებლივ გაეშურა გატაცებული ყმაწვილის მისაშველებლად. სამწუხაროდ, უკვე გვიანლა იყო. ნიმფებით გარშემორტყმული გილი სასწრაფოდ ეშვებოდა წყლის უფსკრულში და თანდათან შორდებოდა ქვეყნის მანათობელი მზის ცხოველმყოფელ სხივებს.

ამ სამწუხარო ამბით შეშფოთებული ჰერკულესი შეშლილივით დარბოდა წყაროს მახლობლად მდებარე ადგილებში და გამოუთქმელი გულისტკივილით დაეძებდა ნიმფებისაგან ასე ანაზღეულად გატაცებულ გულითად მეგობარს.

მეორე დღეს, განთიადისას, როცა ზღვაზე კეთილისმყოფელმა ქარმა საამურად დაქროლა, მესაქე ტიფიასმა წინადადება მისცა ამხანაგებს გასამგზავრებლად დაუყოვნებლივ თადარიგს შესდგომოდნენ.

ელინთა გმირებმა სიამოვნებით მიიღეს მესაქე ტიფიასის წინადადება და დილაადრიან, სანამ მზე ცაზე ამოიწვერებოდა და თავის ცხოველმყოფელ სხივებს დედამიწას უხვად მოჰფენდა, ხოფები

მოიმარჯვეს, იალქნები მოხდენილად ააფრიალეს და სწრაფმავალი გემი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში შეატურეს.

როცა გაშლილ ზღვაში გავიდნენ, მოგზაურებს მხოლოდ მაშინ მოაგონდათ, რომ ჰერკულესი და მისი ორი ამხანაგი ზღვის ნაპირას, ნავსადგურში დარჩათ.

მოგზაურებმა ცხარე კამათი ატეხეს, განეგრძოთ ზღვით მოგზაურობა, თუ ისევ ნავსადგურში დაბრუნებულიყვნენ დარჩენილი ამხანაგების წამოსაყვანად.

ძღვევამოსილი იაზონი უხმოდ იჯდა და კამათში მონაწილეობას არ იღებდა.

ტელამონი მეტად შეაშფოთა იაზონის დუმილმა და მოთმინებიდან გამოსულმა მრისხანედ შეჰყვირა ძღვევამოსილ გმირს: „ჩვენო დიდებულო წინამძღოლო, განა შესაწყნარებელია ასე გულდამშვიდებული იჯდე სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი სასიკადულო გმირი ძღვევამოსილი ჰერკულესი და ორი მისი თანამგზავრი ასე მოულოდნელად გამოაკლდნენ ჩვენს რიგებს! განა მოსათმენია, რომ ჩვენი სასიკადულო გმირი ზღვის ნაპირას ასე განუკითხველად, ასე უპატრონოდ დაეტოვეთ? შეიძლება შენ იმისი გეშინია, რომ ძღვევამოსილი გმირი თავისი ვაჟეაცობით შენს სახელსა და დიდებას დაჩრდილავს! ძღვევამოსილო იაზონს კიდევაც რომ ძალიან გეწყინოს და ჩემი სრული უკმაყოფილო დარჩე, მე მაინც დაებრუნდები და პატრონობას გაეუწევე ზღვაზე დარჩენილ ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს!“

ამ სიტყვებთან ერთად ტელამონი მედგრად მიიჭრა მესაჭე ტიფისთან, რომ გემი ნავსადგურისაკენ მიებრუნებინა. მაგრამ ბორეას ვაჟიშვილებმა, კაპაისმა და ცერესმა, შეაჩერეს აღშფოთებული ტელამონი.

ამ დროს ზღვის ზედაპირზე ამოცურდა ზღვის ღმერთი გლავკი, რომელმაც თავისი მძლავრი ხელებით შეაჩერა სწრაფმავალი გემი და ამ სიტყვებით დაამშვიდა აღელვებული მოგზაურები: „ელინთა დიდებულო გმირებო! სრულიად უსაფუძვლოდ შემფოთებულხართ და ერთი-მეორეს შაურაცხყოფას აყენებთ! რატომ გინდათ, რომ ღმერთების მამა-მთავრის სურვილის წინააღმდეგ წაიყვანოთ ძღვევამოსილი ჰერკულესი კოლხიდაში!

ოლიმპოს მბრძანებელი ღმერთების დადგენილებით, სახელგანთქმული ჰერკულესი სხვა საგმირო საქმეების შესასრულებლადაა მოწოდებული! გარდა ამისა, ელინთა ეს ღვაწლმოსილი გმირი თავის

სურვილით კიდევ იმიტომ დარჩა ზღვის ნაპირას, რომ საშუალება მიეცეს თავისი გულითადი მეგობარი გილი მოძებნოს!“

გლავკი ამ სიტყვებთან ერთად სადღაც გაქრა.

ტელამონმა მხრებზე მოხვია იაზონს ხელი და ცოტათი დარცხვნილი კილოთი მიმართა ძლევა მოსილ გმირს: „დიდებულო გმირო, ნუ შემრისხავ! მეტის აღელვებისაგან გონება დაეკარგე და დაუფიქრებელი სიტყვები გაკადრე! მაპატიე, ჩემო კეთილო მეგობარო! ნუ გავწყვეტთ ჩვენს ძველებურ მეგობრულ კავშირს!“

იაზონმა ნიშნად თანხმობისა მეგობრულად გაუწოდა ხელი ტელამონს.

ამ სასიხარულო ამბით დამშვიდებულმა არგონავტებმა მძლავრად აამუშავეს ხოფები და ელვის სისწრაფით შეაცურეს გემი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში, შორეული კოლხიდის მიმართულებით.

ზღვის ნაპირას დარჩენილი ძლევა მოსილი ჰერკულესი კი გაემართა ღმერთების მიერ მისთვის დანიშნული საგმირო საქმეების შესასრულებლად.

მეორე დილით, როცა მზეს სხივები დედა მიწის ზურგზე ჯერ კიდევ არ ჰყოფინა, არგონავტებმა თავისი სწრაფმავალი გემი ბობრიკების სახელმწიფოს ნავსადგურში შეაცურეს.

ბობრიკების ვერაგი მეფე ამიაკი, ვინც კი მის სახელმწიფოში ფეხს შედგამდა, ყველას ხელჩართულ ბრძოლაში იწვევდა, რომ შეემოწმებინა მოწინააღმდეგე ფალავნის მკლავების ძლიერება.

ვინ მოთვლის, რამდენი მეზობელი, რამდენი უცხოელი მოუკლავს მეფე ამიაკს ასეთ ხელჩართულ ბრძოლაში.

როგორც კი თვალი მოჰკრა ნავსადგურში შემოსულ არგონავტების გემს, ამიაკი დაუყოვნებლივ მიიჭრა თავისი ამალით ზღვის ნაპირას და მრისხანედ შეჰყვირა უცხოელ სტუმრებს: „ავაზაკებო, ნუთუ არ გაგიგონიათ, რომ ჩემ სახელმწიფოში უცხოელი ფეხს ისე ვერ შემოდგამს, თუ ჩემთან ხელჩართულ ბრძოლაში არ გამოცადა ჩემი მკლავების ძლიერება! დაუყოვნებლივ მოემზადეთ და აიჩიეთ თქვენ შორის საუკეთესო ფალავანი! თუ ჩემს ბრძანებას დაუყოვნებლივ არ შეასრულებთ, ყველას ამოგვლევთ, არცერთს ცოცხალს არ გაგიშვებთ ჩემს სახელმწიფოში!“

ოლიმპოს მბრძანებლის ზეჟისისა და ლედას შვილი პოლუქსი მთელ საბერძნეთში სახელგანთქმულ ფალავნად ითვლებოდა, უძლეველი ფალავნის სახელი ჰქონდა დამსახურებული.

პოლუქსმა ღიმილით უპასუხა თავხედ მეფეს: „მეფეო, რატომ გვაყენებ ასეთ შეურაცხყოფას! რატომ ფიქრობ, რომ ჩვენს რიგებშიაც არ მოიძებნება ღირსეული ფალავანი! ელინთა ძლევა მოსილი გმირების მხარ-მკლავები ისე არ დაუძღვრებულან, რომ ერთი ღირსეული ფალავნის გამოძებნა ასე გაგვიჭირდეს!“

მეფე ამიაკი გააფთრებული ლომივით შესცქეროდა გაბედულად მოუბარ გმირს და მეტის სიბრაზით გაბოროტებული მზად იყო იქვე ყელში სწვდომოდა ესოდენ გაკადნიერებულ უცხოელს.

ძლევა მოსილმა პოლუქსმა, ამხანაგების თანხმობით, გადაწყვიტა მეფე ამიაკს ხელჩართულ ბრძოლაში გაჰყოლოდა.

ელინთა თავმომწონე გმირი ამხანაგების თანახმებით, ზღვის ნაპირისაკენ გაემართა მეფე ამიაკთან შესაბრძოლებლად.

მეფის მსახურებმა ბრძოლის ველზე მოიტანეს ხარის მაგარი ტყავის ზოლ-ზოლად დაქრილი თასმები და მოწინააღმდეგეთა შორის დაყარეს.

მეფე ამიაკმა და პოლუქსმა თასმები მაგრად შემოიკრეს გულმკერდსა და მხარ-ბეჭებზე.

ფალავნებმა ერთი-მეორე თვალით გაზომეს და გააფთრებული ლომებივით ერთი-მეორეს თავდავიწყებით ეკვეთნენ.

მეფე ამიაკა თავს ესხმოდა ელინთა ფალავანს და მძლავრი მკლავების დაკვრით გულმკერდსა და თავპირს უღეწავდა.

პოლუქსიც მედგრად უმკლავდებოდა ბობრიკების თავგასულ მეფეს და მძლავრი მუშტების დაკვრით უხვად უმასპინძლდებოდა თავის უხემ მოწინააღმდეგეს.

ლომებივით გააფთრებული ფალავნები ერთი-მეორეს თავდავიწყებით ეკვეთებოდნენ და შეუბრალებლად სცემდნენ მუშტებს.

მოქანცული მოწინააღმდეგეები დროებით წყვეტდნენ გააფთრებულ ბრძოლას და მერე კვლავ ძველებური თავდავიწყებით ეკვეთებოდნენ ერთი-მეორეს.

ფალავნების სისხლისმღვრელმა ბრძოლამ დიდხანს გასტანა.

მოწინააღმდეგეთა მომხრეები მოუთმენლად შეჰყურებდნენ ბრძოლის ველს და გულისძგერით ოფლში იწურებოდნენ.

დაბოლოს, ელინთა ძლევა მოსილმა გმირმა იხელთა მოხერხებული დრო და ისეთი ძალით ჩაარტყა მოწინააღმდეგე ფალავანს მუშტი თავპირში, რომ მეფე ამიაკმა მოხეტქილ კლდესავით მოილო მიწაზე გრიალი.

ელინთა ფალავნის მომხრეებმა დაუსრულებელი განგაში ატეხეს.

როგორც კი მეფე ამიაკის დამარცხება დაინახეს, ბობრიკელები დაუყოვნებლივ უზარმაზარი კომბლებით შეიარაღდნენ და არგონავტების ძლევამოსილ გმირებს თავს დაესხნენ.

გაჩაღდა დაუნდობელი, სისხლის მღვრელი ბრძოლა.

ელინთა თავდადებულმა გმირებმა სძლიეს და უკუუქციეს ბობრიკელთა უთვალავი რაზმები.

გამარჯვებულმა არგონავტებმა მეფე ამიაკის უთვალავი ჯოგები ზღვის ნაპირას გარეკეს, სადაც მათ კოლხიდაში გასამგზავრებლად გამზადებული გეი ელოდებოდათ.

ელინთა გმირები დიდხანს ზეიმობდნენ თავის გამარჯვებას, დატენის გვირგვინებით უმკობდნენ ერთი-მეორეს შუბლს და მხურვალედ ადიდებდნენ ოლიმპოს მბრძანებლის ზევსის სახელოვან ვაჟი-შვილს, რომელმაც ბობრიკების თავხელი მეფე ამიაკი ასე ბრწყინვალედ დაამარცხა.

მეორე დღით არგონავტებმა მხიარულად შეაცურეს გემი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში და ხარგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მიაღწენ თრაკიის ნაპირებს.

სწორედ იმ დროს ფრიგიაში ცხოვრობდა მეფე ფინევი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე აუტანელ მწუხარებაში გაატარა.

აპოლონ ღმერთმა მეფე ფინევი დააბრმავა, რადგანაც ღმერთების ნაბოძები წინასწარმეტყველების ნიჭი ფინევმა ბოროტად გამოიყენა.

ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა უსინათლოდ დარჩენილ მეფეს ეს უბედურებაც არ აკმარეს.

მეფის სასახლის მახლობლად ბუდობდნენ საშინელი ფრინველები, ჰარპიები, რომლებიც სადილობისას მუდამ თავს ესხმოდნენ საბრალო მეფეს და პირიდან სტაცებდნენ სასმელ-საქმელს.

როცა სამეფო სუფრას მთლიანად გაანადგურებდნენ, ფრინველები საშინელი ხმაურობით მიფრინავდნენ თავისი ბუდეებისაკენ, ხოლო სასადილო დარბაზში ისეთ ცუდ სუნს აყენებდნენ, რომ ამა დარბაზის მახლობლად გაჩერებაც კი ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

მეფე ფინევი მუდამდღე ასე იტანჯებოდა, შიმშილით სულს ჰხდებოდა და მის ამგვარ წამებას დასასრული არ ჰქონდა.

ღმერთებმა ფინევს უწინასწარმეტყველეს: შენს უბედურებას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როცა ბორეას სახელოვანი შვილები ელინთა სხვა გმირებთან ერთად გემით თრაკიის ნაპირებს მოადგებიანო.

როგორც კი შეიტყო არგონავტების მოსვლა, მეფე დაუყოვნებლივ ზღვის ნაპირისაკენ გაემართა ახლადმოსულ ელინთა გმირების შესახვედრად და ბორეას შვილების ამბის გასაგებად.

გამხდარი, ღონემიხილი მეფე ფინევი თითქმის უგრძობლად დაეშვა ზღვის ნაპირას და თავისი უსინათლო თვალებით საცოდავად შეაყურებდა უცხოელ სტუმრებს.

როგორც-კი ცოტათი გონს შოვიდა, მან მწუხარედ მიმართა უცხოელებს: „თუ თქვენ მართლაც ის უცხოელები ხართ, რომელთა შესახებ ღმერთებმა მიწინასწარმეტყველეს ფრიგიაში გემით მოვლენო, გთხოვთ დახმარება აღმომიჩინოთ! ღმერთებმა ჩემზე შური იძიეს და დამაბრმავეს, თვალთახედვა მომისპეს! მაგრამ მართო ეს სასჯელი როდი მაკმარეს! ყოველდღიურად საზრდოობის საშუალებაც კი მომისპეს! ყოველ სადილობისას ჩემს სუფრაზე მოფრინავენ საზარელი ფრინველები, ჰარპიები, რომლებიც პირიდან მტაცებენ ლუკმას! არ იფიქროთ, რომ ვინმე უღირსი გთხოვდეთ შეწყალებას! მე აგენორ მეფის შვილი ვარ, თქვენი თახამემამულე! სანამ ეს დიდი უბედურება დამატყდებოდა, ფრიგიის ძღვევამოსილ მეფეს მე-ქახდნენ ბორეასის ვაჟიშვილები, რომლებიც, თურმე, თქვენთან მოგზაურობენ, ჩემი მეუღლის კლეოპატრას უმცროსი ძმებია!“

ბორეასის ვაჟიშვილები, ცეიტისი და კალაისი, მოხუც ფინევს სიხარულით გადაეხვივნენ და მტკიცე ფიცი დასდეს მეფის წინაშე, რომ ისინი ერთიანად ამოწყვეტდნენ საზიზღარ ფრინველებს და წამებულ მეფეს ამ დიდი უბედურებისაგან გამოიხსნინდნენ.

მოხუცი ფინევის პატივსაცემლად არგონავტები სადილის მომზადების თადარიგს შეუდგნენ.

ელინთა გმირები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ საზიზღარი ჰარპიები უკანასკნელად ესტუმრებოდნენ ტანჯული მეფის სუფრას.

დიდებული სუფრა გაშალეს. მაგრამ როგორც კი აიღო მეფემ ლუკმა, უეცრივ ყივილ-ხივილით მოფრინდნენ საზიზღარი ჰარპიები და მოურიდებლად, უშიშრად მიეისივნენ გაშლილ სუფრაზე უხვად დალაგებულ ნუბარ საკმელებს.

ელინთა სახელოვანმა გმირებმა საშინელი განგაში ატეხეს, მაგრამ ჰარპიებს აინუნშიაც არ მოსდიოდათ და ბრწყინვალე სუფრას მოურიდებლად ანადგურებდნენ.

როცა თავისი მორიგი საზიზღარი დავალება პირნათლად შეაჭარულეს, ამ საშინელმა ფრინველებმა ირგკლივ აუტანელი სუნი და-

აყენეს და საშინელი ყივილ-ხივილით თავისი ბუდეებისაკენ გაემართნენ ბაწარივით გაბმულნი.

ბორეასის ფრთებშესხმული ვაჟისშვილები, ცეიტისი და კალაისი, დაედევნენ საშინელ ფრინველებს.

ყოვლად შემძლებელმა ზევსმა ულვეი ძალღონე და გაბედულება შთაუნერგა ახალგაზრდა მდევერებს.

ცეიტისი და კალაისი ისე მიუახლოვდნენ საშინელ ჰარპიებს, რომ სრულიად ადვილად შეეძლოთ ყველანი ერთიანად ამოეწყვიტათ.

მაგრამ ამ დროს ბორეასის ვაჟიშვილებს გამოეცხადა ზევსის მიერ გამოგზავნილი ქალღმერთი ირისი, რომელმაც შეაჩერა გაბედული ვაჟაკები და ამ სიტყვებით მიმართა: „ბორეასის ძლევა მოსილო ვაჟიშვილებო, შეჩერდით! ნუ დახოცავთ ჰარპიებს! ვფიცავ მდინარე სტიქსს, რომ ამიერიდან ზევსის ეს დაგეშილი ძალები აგენოროს მრავალტანჯულ შვილს ახლოსაც არ წაეკარებიან, პირიდან ლუკმას არ გამოაცლიან! მრავალტანჯული ფინევის წამებას ბოლო მოეღება!“

ცეიტისი და კალაისი დაემორჩილდნენ ქალღმერთის ბრძანებას და დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ ნავსადგურში.

ელინთა გმირების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს საბრალო ფინევის წამებიდან განთავისუფლების ამბავი.

სულითა და გულით გახარებულმა არგონავტებმა შიმშილით საგან დასუსტებულ მეფე ფინევს ბრწყინვალე სუფრა გაუშალეს.

საბრალო მოხუჯი ხარბად შეექცეოდა ნუგბარ საქმელებს და საგანგებოდ მოტანილ ტკბილ სასმელებს, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად ვერ გარკვეულიყო, ცხადლივ თუ სიზმრად ხედავდა ამ დიდ ბედნიერებას.

როგორც კი საკმარისად დატკბა საქმელებითა და ტკბილი სასმელებით და ძაღლონე მოიკრიბა, ფინევმა ელინთა გმირებს უწინასწარმეტყველა: მეფე პელეასის დავალებას ღირსგულად შეასრულებთო.

„ზღვაში მოგზაურობის დროს, — ასე უწინასწარმეტყველა არგონავტებს ფინევმა, — ერთ-ერთ ვიწრო სრუტეში შეხვდებით ორ უზარმაზარ კლდეს, ეგრეთწოდებულ სიმპლეგადებს, რომლებიც ისეთის სისწრაფით ეჯახებიან და შორდებიან ერთმანეთს, რომ ჩიტსაც კი გაუჭირდება უხიფათოდ მათ შორის გაფრენა. თუ გსურთ-

ამ საშინელ კლდეებს თავი უვნებლად დააღწიოთ, სწრაფად უნდა გადალახოთ ეს სახიფათო სრუტე.

ამ საშინელ კლდეებს რომ გაცდებით, დაინახავთ იმ ქვეყანას, საიდანაც საიქიოს სამეფოში ჩასასვლელი გზა მიდის.

შემდგომ ჩაუვლით წყლით დაფარულ კლდეებს, უდაბნო ქვეყნებს და ბოლოს მიაღწევთ კოლხიდის მშვენიერ ნაპირებს, საცა მუდამ შფოთიანი ფაზისი თავის აქაფებულ ტალღებს ზღვის მოღუდუნე ზვირთებს უერთებს.

კოლხიდაში თქვენ დაინახავთ მეფე აეტესის საუცხოო სასახლეს და სამღეთო ქალაში მაღალი მუხის კენწეროზე ჩამოკიდებულ ოქროს საწმისს, რომელსაც დღისითა და ღამით განუწყვეტილ სდარაჯობს საზარელი გველეშაპი.

მართალია, თქვენი ლაშქრობა შორეულ კოლხიდაში მეტად სამძიმო საქმეა, მაგრამ ყოვლად მოწყალე ქალღმერთი აფროდიტე თავის მფარველობას არ მოგაკლებთ. ამრიგად, სავსებით მიაღწევთ ათენს საბოლოო მიზანს და მშვიდობიანადაც დაბრუნდებით საყვარელ სამშობლოში“.

ფინევი ამ სიტყვებთან ერთად თავაზიანად გამოეთხოვა ელინთა გმირებს და დიდი ტანჯვისაგან განთავისუფლებისათვის გულითადი მადლობა შესწირა.

არგონავტები თორმეტი დღის განმავლობაში დაუბრკოლებლივ მოგზაურობდნენ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში.

უეცრივ მგზავრებს შემოესმათ რაღაც საშინელი ხმაური. შეშინებულმა არგონავტებმა შორიდან დაინახეს ის კლდეები, სიმპლევადები, რომლებიც ერთი-მეორესთან დაჯახების დროს ასე საშინლად ხმაურობდნენ.

მესაქე ტიფიასმა ხელები მაგრად ჩასჭიდა საქეს. გმირი ეფემი, რომელსაც გასაფრენად ხელში მტრედი ეჭირა, გემის წინა ნაწილზე დადგა და საშინელ კლდეებს თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა.

ფინევის წინასწარმეტყველებით, თუ მტრედი უვნებლად გაფრინდებოდა ზღვის სრუტეში, სანამ საშინელი კლდეები ერთი-მეორეს დაეჯახებოდნენ და პირს შეიკრავდნენ, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მგზავრები ამ სახიფათო სრუტეს უვნებლად დააღწევდნენ თავს.

ეფემმა, როცა კლდეები ერთი-მეორეს დაშორდნენ, მტრედი სასწრაფოდ გააფრინა კლდეებს შორის სრუტეში.

ყველანი სულგანაპულნი შეჰყურებდნენ საბედისწეროდ აფრენილ მტრედს და დაძაბული ყურადღებით თვალს არ აშორებდნენ.

მტრედი ელვის სისწრაფით მიფრინავდა ზღვის ზედაპირზე, რომ სახიფათო სრუტე უვნებლად გადაელახა. კლდეები საზარელი გუგუნით უახლოვდებოდნენ ერთი-მეორეს.

აი, ერთი წუთიც და საშინელი კლდეები საცაა პირს შეიკრავენ და მთელი თავისი ძალით ერთი-მეორეს დაეჯახებოდნენ.

მაგრამ, საბედნიეროდ, მტრედმა უვნებლად დააღწია თავი სახიფათო კლდეებს და გადარჩა დაღუპვას.

არგონავტების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ მტრედი სახიფათო სრუტეს უვნებლად გასცდა. ყველანი მოემზადნენ ამ სახიფათო კლდეებში გასასვლელად.

საზღვაო საქმის ზედმიწევნით მცოდნე ტიფთისი მამაც მეხოფეებს ამხნეებდა.

სანამ მრისხანე კლდეები პირს შეიკრავდნენ, არგონავტებს გემი სრუტეში უვნებლად უნდა გაეტარებინათ და კლდეებს შორის არ მომწყვდევოდნენ.

ზღვის აბობოქრებული ტალღები ნაფოტივით აფრიალებდნენ არგონავტების მძიმედ დატვირთულ სწრაფმავალ გემს და ყოველ წუთს დაღუპვას ემუქრებოდნენ.

ცამდის აზიდული ტალღები ბურთივით ათამაშებდნენ გემს და საკმაოდ წინწაწეულს ისევ უკან აბრუნებდნენ.

მესაქე ტიფთისი მძლავრად იმარჯვებდა ხელში საქეს და დიდის დახელოვნებით ებრძოდა აზვირთებულ სტიქიონს, რომელიც გემს ყოველ წუთს დაღუპვას ემუქრებოდა.

მამაცი მეხოფეები ელვის სისწრაფით მიაქროლებდნენ გემს პირშესაკრავად უკვე მოახლოვებულ კლდეებს შორის.

ერთი წუთიც — და მრისხანე კლდეები ერთმანეთს დაეჯახებოდნენ, გემს ნაფოტებად აქცევდნენ და ელინთა მამაც გვირებს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ.

მაგრამ ამ საშინელი განსაცდელის წუთს არგონავტების მუდამ მთარეგლმა ქალღმერთმა ათენამ მოულოდნელად ხელი წაჰკრა გემს და სრულიად უვნებლად გაიყვანა ამ სახიფათო ადგილიდან.

მოგზაურების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეს და აცლაკი სრულიად არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ უვნებლად მიალწევდნენ შორეულ კოლხიდას.

მამაცი მეხოფრები შედგრად ამოძრავებდნენ ხოფებს ზღვის აბობოქრებულ ტალღებში და იმედინად მიატურებდნენ სწრაფმავალ გემს ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში.

სამწუხაროდ, მოგზაურებს ახალი უბედურება დაატყდა თავს.

უეცრივ, სრულიად მოულოდნელად, გადაიცივალა დიდად დახელოვნებული და მამაცი მესაქე ტიფიასი.

არგონავტებმა თავისი მოამაგე ამხანაგი განსაკუთრებული პატივისცემითა და გამოუთქმელი გულისტკივილით დაასაფლავეს უცხო ქვეყანაში.

ელინთა გმირებმა მესაქედ აირჩიეს ზღვაოსნობის საქმეში დიდად დახელოვნებული ამხანაგი ანკენსი.

მართალია, ანკენსი დიდხანს არ სთანხმდებოდა მიეღო თავის-თავზე ეს სამძიმო მოვალეობა, მაგრამ ჰერას შთავონებით ახლად ქალმერთის არჩეული მესაქე დათანხმდა.

ანკენსი გულმოდგინედ შეუდგა მძიმე მოვალეობის ასრულებას და თავისი მოფიქრებული გამგებლობით სულ მოკლე ხანში სამართლიანად დაიმსახურა ამხანაგების პატივისცემა.

არგონავტები მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში უვნებლად მიატურებდნენ გემს სხედასხვა უცხო ქვეყნის მახლობლად და ითვალისწინებდნენ იმ სანატრელ წუთს, როცა შორეული კოლხილის საუტხოო მხარეს უვნებლად მიაღწევდნენ.

დაბოლოს, მოგზაურებმა შორი მანძილიდან შეამჩნიეს ზღვის ნაპირას მდებარე არტედიადას კუნძული.

როცა არგონავტებმა სწრაფმავალი გემი ამ კუნძულის ნავსადგურში შეაცურეს, კუნძულიდან უეცრივ ამოფრინდა უზარმაზარი ფრინველი, რომელმაც შურდულივით გადაიფრინა გემის თავზე და ფრთების მძლავრი რხევის დროს გემზე ჩამოყარა ბასრი ფრთები, რომლებმაც მძიმედ დაჭრეს ელინთა რამდენიმე გმირი.

უეცრივ მეორე ფრინველიც გადმოფრინდა.

კლიტიასმა დაუმიზნა შორსსატყორცი ისარი და სასიკვდილოდ დაჭრა საშინელი ფრინველი.

გამოცდილმა ფრთხილმა ამფიდამანტმა ამხანაგები გააფრთხილა: „ამხანაგებო, რაც შეიძლება, მოვერიდოთ ამ საშინელ ფრინველებს! ამ კუნძულზე, როგორც ჩანს, ისე ბლომად მოიპოვებიან ეს საშინელი ფრინველები, რომ ჩვენ ისრებიც არ გაგვწვდება მათ დასახოცად! ვფიქრობ, უმჯობესი იქნება დაუყოვნებლივ შევიარაღდეთ და ერთბაშად ავტეხოთ ხმაურობა! როცა ეს საზიზღარი

ფრინველები ჩვენს ჩაჩქნებს, ჩვენს ფარებსა და ისრებს დაინახავენ, უქველად შეეშინდებათ და თავს დაგვანებებენ!“

არგონავტებმა სიამოვნებით მიიღეს ამფიდანტის საგულისხმიერო რჩევა, დაუყოვნებლივ შეიარაღდნენ და საშინელი ხმაურობით შეაკურეს გემი კუნძულის მახლობელ ყურეში.

კუნძულიდან ამოფრინდა ჰარპიების მთელი გუნდი და სასწრაფოდ თავს დაესხა ზღვის ნაპირას გემით მომდგარ არგონავტებს.

საშინელი ბრძოლა გაიმართა. ჰარპიები მძლავრად სტყორცნიდნენ ელინთა მამაც გმირებს თავის ბასრ ფრთებს, მაგრამ მძიმედ შეიარაღებული არგონავტები უვნებლად იგერიებდნენ საზიზლარი ფრინველების იერიშს.

მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ შიშით დამფრთხალი ჰარპიები ევილ-ხვილით ჩამოშორდნენ ელინთა გმირებს.

როცა კუნძულის მიდამოებს ათვალეირებდნენ, არგონავტებს შემოხვდათ ორი ყმაწვილი, რომლებსაც კონკები ეცვათ.

ერთერთი ყმაწვილი მიუახლოვდა უცხოელებს და შემდეგი თხოვნით მიმართა: „დიდად პატივცემულო უცხოელებო! მიხედეთ ყოვლად შემძლებელ ღმერთებს და გაგვიკითხეთ! ტანთა და ფეხთ ჩვენ არ გვაცვია, შიმშილით ლამისაა სული დავლიოთ! ჯგზოუვლოდ დავეხეტებით ამ უცხო ქვეყანაში და არავენ ჩვენი გამკითხავი არაა! გვედრებით, შეგვიბრალეთ და უნუგეშოდ ნუ დაგვტოვებთ! მცირედი დახმარებაც კი ჩვენთვის დიდი წყალობა იქნება! გთხოვთ ნუ დაიზარებთ ჩვენთვის ტანსაცმელსა და ერთ ლუკმა პურს! თუ სადმე თავშესაფარსაც გაგვიჩინთ, მაშინ ხომ მთლად გაგვაბედნიერებთ!“

ძლევა მოსიღმა იაზონმა ყმაწვილებს ვინაობა გამოჰკითხა და საქერო დახმარებაც აღუთქვა.

„თქვენ უთუოდ გაგეგონებათ, რომ მეფე ატამასის შვილმა ფრიქსმა კოლხიდაში ოქროს საწმისი მოიტანა!—მწუხარედ მოუთხრობდა კუნძულზე შეხვედრილი ყმაწვილი იაზონს: უთუოდ ისიც გეცოდინებათ, რომ კოლხიდის მეფემ აეტესმა ფრიქსი თავაზიანად მიიღო და ისე დაიხლოვა, რომ სიძედაც კი გაიხადა.

აი, ჩვენ ორივენი ფრიქსისა და მისი მეუღლის სალკინას შვილები ვართ! ჩემი სახელი არგოსია, ჩემი ძმისა კი ფრანტისი! მამა უეცრივ გარდაიცვალა. ჩვენ მივემგზავრებოდით საბერძნეთში, საიდანაც უნდა წამოგვეღო ჩვენი საგვარეულოს კუთვნილი ქონება!“

იაზონი სიხარულით მიესალმა თავის ახლადღმობილ ნათესა-
ვებს: იაზონის მამა ეზონი და ყმაწვილების პაპა ატამასი ღვიძლი
ძმები იყვნენ.

ყმაწვილებმა დაწერილებით უამბეს იაზონს და ელინთა დანარ-
ჩენ გმირებს, როგორ დაეღუპათ გემი აზვირთებულ ტალღებში და
რა ტანჯვით მოაღწიეს ამ უდაბნო კუნძულის ნაპირებს.

იაზონმა ახლადღმობილ ნათესავეებს გააცნო თავისი მოგზაუ-
რობის მიზანი და ორივეს სთხოვა მონაწილეობა მიეღოთ ამ ლაშ-
ქრობაში.

იაზონის ამ თხოვნამ მეტად შეაშინა არგოსი და ფრანტისი.

შეშინებულმა ყმაწვილებმა გულისტყვილით მოახსენეს ელინ-
თა გმირებს: „ძვირფასო თანამემამულეებო! ნუ დაგავიწყდებათ,
რომ მეფე აეტესი ღმერთის ჰელიოსის შვილია! მეფის სისასტიკე
მთელ სახელმწიფოში ცნობილია! მის თავშეუკავებელ მრისხანებას
სახლეარი არა აქვს! სახელმწიფოს მკვიდრნი მისი შიშით ძრწოან,
ყველანი მიცვალებულთა აჩრდილებს დამსგავსებთან და არ იციან,
როგორ დააღწიონ თავი მეფის . უსამართლო მრისხანებას! ოქროს
საწმისი, რომლის მოტაცებაც თქვენ გაგიზარბავეთ, მეფეს სამღვთო
ჭალაში მალალი მუხის კენწეროზე უკიდია და დარაჯად მიჩენილი
ჰყავს საშინელი გველეშაპი, რომელიც ოქროს საწმისს მოუშორებ-
ლივ სდარაჯობს და ახლოს არავის აკარებს!“

ამ სიტყვებმა არგონავტები მეტად შეაშფოთა.

ეაკის ძღვევამოსილი შვილი პელეასი ადგილიდან წამოიჭრა და
თავმომწონედ უპასუხა ყმაწვილებს: „წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ
ჩვენ კოლხიდის მეფეს არასოდეს არ დავემორჩილებით! ნუ დაგა-
ვიწყდებათ. რომ ჩვენც ღმერთების შთამომავალნი ვართ! თუ კოლ-
ხიდის სასტრაკი მეფე აეტესი ოქროს საწმისს ნებაყოფლობით არ
დაგვითმობს, ძალას ვინმართ და ოქროს საწმისს მოვიტაცებთ!“

პელეასის სიტყვებმა დიდად გაამხნევა ელინთა გმირები.

მოგზაურებმა ერთხმად გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ განეგრ-
ძოთ მოგზაურობა.

პელეასის სიტყვებმა არგოსი და ფრანტისიც გაამხნევა. ყმაწ-
ვილები უყოყმანოდ შეუერთდნენ ძღვევამოსილ არგონავტებს და
ყველანი იმედიანად გაემართნენ შორეული კოლხიდისაკენ.

ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში მოგზაურებს შემოესმათ სა-
შინელი ხმაური, თითქოს ზღვაზე მძლავრი ქარიშხალი ამოვარდაო.

სწრაფმავალმა გემმა უთავბოლოდ იწყო ქანაობა. იალქნები
ანძებზე გაშმაგებით ფრიალებდა. აბობოქრებული ტალღები გემს

მედგრად ეხეთქებოდნენ და ყოველ წუთს დალუპვას ემუქრებოდნენ. შეშფოთებული მოგზაურები ერთმანეთს აწყდებოდნენ და ვერ გამოერკვიათ სტიქიონის ასე ანაზღვეულად განრისხება.

არგონავტებმა ცის სივრცეში უეცრივ მოჰკრეს თვალი უზარმაზარ არწივს, რომელიც თავისი მძლავრი ფრთებით ჰაერს აპობდა და კავკასიონის მთებისაკენ შურდულივით მიქროლავდა.

უზარმაზარი ფრთოსანი, რომელმაც ზღვა ერთანად შეაშფოთა, სულ მალე მიეფარა ცის ტატნობს.

ჰაერის მძლავრი მოძრაობა შეწყდა, და ზღვაც დაწყნარდა.

არგონავტებმა მოიმარჯვეს ზოფები და სწრაფმავალი გემი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში შეაცურეს.

უეცრივ მოგზაურებს შემოესმათ გულის გამგმირავი გმინვა.

უზარმაზარი არწივი, რომელიც არგონავტებმა გემის ბაქანიდან დაინახეს, შეუბრალებლად უწიწკნიდა გულღვიძლს კავკასიონის მთებზე მიჯაჭვულ, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის თავდადებულ ელინთა დიდებულ გმირს პრომეთეს.

აი, ამ ტანჯული გმირის გულსაკლავი გმინვა სწვდებოდა არგონავტების ყურთასმენას ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში.

როცა ტიტანის გულსაკლავი გმინვა შეწყდა, მოგზაურებმა ცის ტატნობზე კვლავ დაინახეს საზარელი არწივი, რომელიც უკან ბრუნდებოდა, რაკი თავისი სისხლიანი დავალება პირნათლად შეასრულა.

სალამოს უამს არგონავტებმა მხიარულად შეაცურეს თავისი სწრაფმავალი გემი ნავსადგურში სწორედ იმ ადგილას, საცა შფოთიანი ფაზისი თავის მღელვარე ტალღებს პონტევქსინის მდორედ მოღუდუნე ტალღებს განუსაზღვრელი მღელვარებით უერთებდა.

არგონავტებს თვალწინ წარმოუდგათ საუცხოო სანახაობა.

მარჯვნივ ლამაზად გამოიყურებოდნენ კავკასიონის თვალწარმტაცი მიდამოები და კოლხიდის მეფის აეტესის სატახტო ქალაქი. მარცხნივ ფართოდ გადაშლილიყო აბიბინებული შინდორ-ველები და ღმერთ არესის სახელობაზე შეწირული სამღვთო ქალა, საცა საზარელი გველეშაპი დღედაღამ განუწყვეტლად სდარაჯობდა მალალი მუხის კენწეროზე ჩამოკიდებულ საწმისს.

ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილმა არგონავტებმა გემზე გაშალეს საწოლები და ტკბილად დაიძინეს.

მეორე დილით, სანამ ჯერ კიდევ კოლხიდის ცხოველმყოფელი მზის სხივები დედამიწას უხვად მოეფინებოდა, ელინთა გმირები

მხიარულად წამოიშალნენ, ბრწყინვალედ გამოეწყვენ და გემზე თათბირი გამართეს.

ძღვეამოსილმა იაზონმა შემდეგი წინადადებით მიმართა თავის სახელოვან თანამგზავრებს: „ძვირფასო მეგობრებო! ყური დამიდგეთ! მე მინდა გაგითვალისწინოთ ამ უცხო ქვეყანაში ჩვენი მოქმედების გეგმა! თქვენ ყველანი გემზე დარჩით, მე კი მეფე აეტესის სასახლეში წავალ ტელამონის, ავგეასისა და ფრიქსის შვილების არგოსისა და ფრანტისის თანხლებით. ვეცდები მეფემ ნებაყოფლობით დაგვითმოს ოქროს საწმისი. თუ შევატყვევ, რომ მეფე აეტესი უარზეა, დაუყოვნებლივ უკანვე დავბრუნდები და ერთად შევიძუშაოთ ჩვენი მომავალი მოქმედების გეგმა.“

თუკი მრისხანე მეფემ უცხო ქვეყნიდან მოსული ფრიქსი შეიგუა და კიდევაც შეისიძა, ვინ იცის, ეგების ჩვენაც ბედმა გაგვიღიღმოს! შესაძლებელია ჩვენმა თხოვნამ გაქრას და მრისხანე აეტესმა ოქროს საწმისი ნებაყოფლობით დაგვიბრუნოს!“

ელინთა გმირებმა მოიწონეს იაზონის გონიერი წინადადება.

იაზონი, ტელემანი, ავგეასი, არგოსი და ფრანტისი მეფე აეტესის სასახლისაკენ გაემართნენ.

ქალღმერთმა ჰერამ, ქალაქში რომ უცხო სტუმრები არავის დაენახა, იაზონი და მისი მხლებლები სქელი ნისლით შემბურა.

როცა კირენეას ველს მიაღწიეს, უცხოელებმა ხეებზე მიცვალებულებთა ჩამოკიდებული გვამები დაინახეს. ამ სანახაობამ მეტად შეაშინა იაზონი და მისი მხლებლები.

კოლხიდელები მიცვალებული მამაკაცების გვამებს იმ დროს, თურმე, ხეებზე ჰკიდებდნენ მზის გულზე გასაშრობად, დედაკაცებს კი მიწაში ასაფლავებდნენ.

მეფე აეტესის სასახლეში მისელისთანავე ჩამოაშორა ქალღმერთმა ჰერამ უცხოელებს ნისლი.

იაზონისა და მისი მხლებლების გაკვირვებას საზღვარი არაჰქონდა, როცა მეფე აეტესის ბრწყინვალე სასახლე დაინახეს.

ჩუქურთმებითა და საუცხოო გრებილებით მორთული სასახლე თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა.

მაღალი კედლებით გარშემორტყმულ ეზოში ლამაზად ჩუხჩუხებდა ოთხი შადრევანი.

ცამლის აზიდული ხეები უხვად ჰყენდნენ ჩრდილს ლამაზდმოჩუხჩუხე შადრევნებს.

ერთი შადრევნიდან მოჩუხჩუხებდა თოვლივით თეთრი სქელი რძე, მეორედან—სურნელოვანი ზეთი, მესამედან—შარბათივით ტკბილი ღვინო, მეოთხე შადრევნიდან კი—ანკარა ცივი წყალი.

სასახლის ფართოდ გაშლილ ეზოში თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა რკინის გუთანს და მის ნაკვალევს ამყად თავს წამოსდგომოდნენ რკინის ხარები, რომელთაც ნესტოებიდან ცეცხლის ალი ამოსდიოდათ. ეს ხელოვნურად შექმნილი რკინის ხარები და რკინის გუთანი ჰეფესტოსმა მიუძღვნა მეფე აეტესის მამას ღმერთ ჰელიოსს. გიგანტებთან ბრძოლის დროს ჰელიოსმა მკედლობაში დიდად დახელოვნებული ჰეფესტოსი ეტლით მოიტაცა ბრძოლის ველიდან და ამრიგად გადაარჩინა სიკვდილს.

უცხოელები პირდაპირ სასახლის სასტუმრო დარბაზში შევიდნენ.

ამ დარბაზის გვერდით გამართულ ორ დიდ ოთახში ცხოვრობდნენ ერთში მეფე და დედოფალი, მეორეში კი მეფე აეტესის შვილი, ტახტის მემკვიდრე ახალგაზრდა აბსირტი.

ამ ოთახების გვერდით გამართული იყო ორი ოთახი, რომელთაგან ერთი ფრიქსის ქვრივს ხალკიონას ეჭირა, მეორე კი მეფის ასულს, ახალგაზრდა ქალწულს, მშვენიერ მედეას.

მთელ კოლხიდაში თავისი სილამაზით სახელგანთქმული მშვენიერი მედეა ყოველდღე დაიარებოდა ქალღმერთის ჰეკატას ტაძარში და ყოველად შემძლებელი ქალღმერთის მოსამსახურეობას ეწეოდა.

სწორედ იმ დღეს, როცა მეფე აეტესს უცხოელები ესტუმრნენ, გრძნეული მედეა, ქალღმერთის ჰერას შთაგონებით, სასახლეში დარჩა და ქალღმერთის ჰეკატას მოსამსახურებლად არ წასულა.

დილაადრიან, როცა მედეა ხალკიონას ოთახში მიდიოდა, უეცრივ გზაში უცხოელებს შეეფეთა.

შეშინებულმა მედეამ ერთი საზარლად შეჰკივლა.

როგორც კი ყური მოჰკრა ხალკიონამ მედეას საშინელ კივილს, დაუყოვნებლივ შეშლილივით შემოიქრა სასტუმრო დარბაზში და შიშით გონებაშიხდილი მედეა გულში ჩაიკრა.

მაგრამ როცა უცხოელ გმირთა შორის ხალკიონამ თავისი შვილებიც დაინახა, დაუყოვნებლივ ჩამოშორდა ჯერ კიდევ გონებაშიხდილ მედეას და ელვის სისწრაფით შემოეხვია საყვარელ შვილებს.

საბრალო დედა დიდხანს, დიდხანს ჰკოცნიდა საყვარელ შვილებს და თვალთაგან სიხარულის ცრემლები ნაკადულებრ სდიოდა.

სასახლეში ასე დილაადრიან ჩოჩქოლზე სასტუმრო დარბაზში დაუყოვნებლივ გამოვიდნენ მეფე აეტესი და დედოფალი იდია.

მთელი სასტუმრო დარბაზი სასახლის კარისკაცებით აივსო. ყველანი დიდის ცნობისშოყვარეობით შეპყურებდნენ შორეული ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს.

დარბაზში შეუმჩნეველად შემოიპარა სიყვარულის ღმერთის შეილი ეროსი, რომელიც იაზონს ზურგს უკან ამოეფარა და სიყვარულის ამგზნებს ისრებს მშვენიერ მედეას გულში მაგრად სტყორცნიდა.

მედეა უძრავად იდგა და რაღაც სიამოვნებას განიცდიდა. საბრალო ქალწულს ლოყებზე აღმური ასდიოდა და გული მეტის მღელვარებისაგან მძლავრად უტემდა.

გამოურკვეველი გრძნობებით მოჯადოებული მეფის ასული მოწყვეტილ ვარსკვლავივით შეანათებდა ხოლმე იაზონს სახეში და გამოუთქმელი ნეტარებით იხიბლებოდა.

მედეა სანთელივით იწვოდა და იაზონის პირველივე დანახვით გამოწვეულ ტკბილ გრძნობებს გულში იმარხავდა.

მეფემ და დედოფალმა უცხოელი სტუმრები სადილად მიიპატიეს. სასახლის მსახურებმა ბრწყინვალე სუფრა გაშალეს.

სადილობის დროს არგოსი სტუმრებსა და მასპინძლებს მოუთხრობდა თავისი მოგზაურობის სამწუხარო ამბავს.

საბრალო ხალკიონა სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა და სიყვარულით შესცქეროდა თავის პირმშო შეილებს, რომლებმაც ყოვლად შემძლებელი ღმერთების წყალობით სიკვდილს დააღწიეს თავი და დედის გულში შეუნელებელი ცეცხლი არ დაანთეს.

დაბოლოს არგოსმა მეფე აეტესს მოახსენა უცხოელი სტუმრების კოლხიდაში მოსვლის მიზანი.

„დიდებულო მეფეო!—მოუთხრობდა არგოსი მეფე აეტესს: „ჩვენი სახელოვანი სტუმრის იაზონის ბიძამ პელეასმა, რომელმაც თავისი ძმის სამეფო ტახტი უკანონოდ ჩაიგდო ხელში, გადაწყვიტა ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ძლევაგმოსილი იაზონის დაღუპვა, და სხვა წარჩინებულ ელინთა გმირებთან ერთად იგი გამოგზავნა კოლხიდაში იმ მიზნით, რომ შენ, მეფეო, ნებაყოფლობით დაუთმო ოქროს საწმისი.

ცბიერი მეფე პელეასი, როცა იაზონს ამ მძიმე საქმეს ავალებდა, ღრმად დარწმუნებული იყო, რომ იაზონი თავისი მხლებლებით გზაში უოუოდ დაიღუპებოდა და უკანონოდ ხელში ჩაგდებული სამეფო ტახტი პელეასს შერჩებოდა.

საბედნიეროდ, ვერაგ მეფეს მოლოდინი არ გაუმართლდა.

ქალღმერთი ათენას დახმარებით ელინთა ძლევამოსილმა გმირებმა გადალახეს ყველა დაბრკოლება და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, როგორც ხედავ, დიდებულო მეფეო, შენს სამფლობელოში მოაღწიეს.

ელინთა სახელოვანი გმირები, ათენა და ჰერა ქალღმერთების დახმარებით, ფიქრობენ, დიდებულო მეფეო, რომ შენ ნებაყოფლობით დაუთმობ ოქროს საწმისს შორეულ ელადაში წასაღებად.

აი, დიდებულო მეფეო, უცხოელების კოლხიდაში მოსვლის თავიდათავი მიზანი!"

- მეფე აეტესის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავისი შვილიშვილებისაგან შეიტყო უცხოელების კოლხიდაში მოსვლის მიზანი.

მეფე აეტესი დიდად დაეკვიანდა, ჩემმა შვილიშვილებმა ხომ არ შეაგულიანეს ელინთა გმირები ოქროს საწმისის მოსატაცებლადო.

უსაზღვროდ აღშფოთებულმა მეფე აეტესმა მრისხანედ შეპყვირა უცხოელ სტუმრებს: „თქვენ მზაკვრული განზრახვებით მოსულხართ ჩემს სამფლობელოში! თქვენ უდაოდ ნამდვილი ავაზაკები ხართ! აბა, რა დასაჯერებელია, რომ ასე შორეული ქვეყნიდან მარტოდმარტო ოქროს საწმისის მოსატაცებლად მოხვედით ჩემს სახელმწიფოში! ეს ყოველად შეუძლებელი საქმეა!

ცხადია, თქვენ უთუოდ გსურთ ტახტიდან ჩამომაგლოთ და ჩემს სახელმწიფოს დაეპატრონოთ! თქვენ რომ ამჟამად ჩემი სტუმრები არ იყოთ, დაუყოვნებლივ ენებს ამოგართმევდით, ხელებსა და ფეხებს შეუბრალებლად დაგაპყრიდით!“

მეფის სიტყვებით უზომოდ აღშფოთებული ტელამონი, ცეცხლივით ანთებული, ადგილიდან წამოიქრა და მეფისათვის სამაგიერო პასუხი უნდა გაეცა, მაგრამ ფრთხილმა და ყოველთვის წინდახედულმა იაზონმა შეაჩერა და ლაპარაკის უფლება არ მისცა.

სამაგიეროდ ელინთა გმირების სახელოვანმა წინამძღოლმა, ძლევამოსილმა იაზონმა, მეფე აეტესს თავაზიანად მოახსენა: „დიდებულო მეფეო, გთხოვთ მაპატიოთ! გავკადნიერდები და გულახდილად მოგახსენებთ, რომ ჩვენი კოლხიდაში მოსვლის მიზანი სრულებით მარტივია, და არა ის, რაც თქვენა გგონიათ! ბიძაჩემმა მეფე პელეასმა კოლხიდაში მხოლოდ იმიტომ გამოგვგზავნა, რომ ოქროს საწმისი ნებაყოფლობით დაგვითმოთ! დიდებულო მეფეო, თუ კეთილ ინებებთ და ოქროს საწმისს მართლაც ნებაყოფლობით დაგვითმობთ, რასაც კი მოგვთხოვთ. ყველაფერს უკლებლივ შეგისრუ-

ლებთ! თუ თქვენ მოისურვებთ რომელიმე მეზობელი ხალხის დაპყრობა-დამორჩილებას, გვიბრძანე, ძღვევამოსილო მეფეო, და ჩვენც კოლხიდის სახელოვან მხედრობასთან ერთად გავალთ ბრძოლის ველზე და თქვენს გამარჯვებას უეჭველად უზრუნველვყოფთ!”

მეფე აეტყვის დიდად ჩააფიქრა იაზონის მიერ გულწრფელად წამოთქმულმა სიტყვებმა. მეფეს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, დაეხოცა უცხოელი სტუმრები, თუ მათი ძალღონე და ძლიერება საქმით შეემოწმებინა.

მეფემ მეორე საშუალება აირჩია და ამ სიტყვებით მიმართა არგონავტების სახელოვან წინამძღოლს იაზონს: „ზედმეტ ლაპარაკს სჯობს თავი დავანებოთ! თუ თქვენ მართლაც ღმერთების შთამომავალნი ხართ და ღმერთები გმფარველობენ, ოქროს საწმისს ნებაყოფლობით დაგებრუნებთ! ყოვლად შემძლებელი ღმერთების ძლიერებას ყოველთვის დიდად ვაფასებდი და ამჟამადაც ვაფასებ. გულწრფელი ადამიანების საფუძვლიან მოთხოვნას სიამოვნებით შევასრულებ! მაგრამ მე მსურს გამოგცადოთ, შეგიძლიათ თუ არა შემისრულოთ ერთი დავალება! იცოდე, რომ ის საქმე, რომელიც მსურს შემისრულო, იმდენად საძნელოა, რომ მის შესრულებას ჩემს გარდა ხორცშესხმული ადამიანი ვერ ახერხებს! ღმერთის არესის მინდვრებზე საბალახოდ გაშვებულია ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ნესტოებიდან განუწყვეტლივ ცეცხლს აფრქვევენ. მე უშიშრად ვაბამ გუთანში ამ საშინელ ხარებს, თვალუწვდენელ მინდვრებს ვხნაე და ხნულებში გველეშაპის კბილებს ვთესავ. გველეშაპის კბილებით ნათესი ხნულებიდან მცირე ხნის შემდეგ ამოღიან მძიჲდ შეირაღებული დევგმირები, რომლებიც დაუნდობელ ბრძოლას მიცხადებენ. მაგრამ ჩემი შორსსატყორცნი ისრები შეუბრალებლად ანადგურებს იერიშით ჩემზე მოსულ დევგმირებს.

განთიადისას ხარებს გუთანში ვაბამ, და როცა დევგმირებთან ბრძოლას მოვრჩები, თავისუფლად ვისვენებ.

თუ ამ სახიფათო, საძნელო საქმეს შენ პირნათლად შეასრულებ, ოქროს საწმისს ნებაყოფლობით დავგიტოვებ და შეგიძლია შორეულ სამშობლო ქვეყანაში თავისუფლად წაიღო.“

ძღვევამოსილმა იაზონმა მეფეს თავაზიანად მოახსენა: „დიდებულო მეფეო, ვიღებ თქვენს წინადადებას! მართალია, ის საქმე, რომლის შესრულებასაც მავალბთ, მეტად სამძიმო და საშიშია, მაგრამ მაინც ვკისრულობ, რადგან სხვა გზა არა მაქვს! დიად, დიდებულო მეფეო, მე მზადა ვარ ვიკისრო თქვენი დავალების შესრულება! მართალია, ორ ცეცხლშუა ვიმყოფები, მაგრამ ჩემი სიმარ-

თლის აღსადგენად უკიდურესი მსხვერპლის გაღებასაც არ მოვერიდებით!"

— „კეთილი! — უპასუხა იაზონს მეფე აეტესმა: მხოლოდ კარგად მოიფიქრე, აწონ-დაწონე! თუ ჩემი დავალების შესრულება შენს ძალღონეს აღემატება, სჯობს ახლავ უარი განაცხადო და შენის მხლებლებით ჩემი სახელმწიფოს საზღვრები დაუყოვნებლივ დატოვო!“

იაზონი და მისი მხლებლები სუფრიდან წამოიშალნენ და მეფესა და მთელ საზღობას თავაზიანად გამოემშვიდობნენ.

დიდებული შესახედაობა ჰქონდა იაზონს, როცა თავისი მხლებლებით დარბაზიდან გამოდიოდა.

ძლევაშისილი გმირის გაბრწყინებული პირისახე მთვარესავით კაშკაშებდა და მხილველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სიცოცხლით სავსე მშვენიერი მედეა ფარულად შესცქეროდა იაზონის მომხიბვლელ პირისახეს და განუსაზღვრელი ნეტარებით ტკებოდა.

საბრალო ქალწულს თანჯარასთან იდგა და მთელი ახალგაზრდული გატაცებით არ ამორებდა თვალს სახელოვან გმირს.

მედეა მწუხარედ შემობრუნდა თავის ოთახში, საწოლზე დაემხო და დიდხანს მწარედ ქვითინებდა.

„ღმერთო ჩემო! ეს რა მემართება! რატომ ეწუხვარ ასე! რატომ ასე მეთანაღრება ეს საბრალო გული! რატომ ვგრძნობ ასე მწვავე ტკივილებს! ასე უზომოდ რატომ შემაშფოთა ამ უცხო ადამიანის დანახვამ! ღმერთებს ვფიცავ, ვერ გამომინახავს ის სათუთი ძაფები, რომლებიც ჩვენ ასე მქიდროდ გვაკავშირებენ! მაგრამ შე საბრალომ ხომ კარგად ვიცო, რომ ეს ვარსკვლავივით მოწყვეტილი ვაჟკაცი საცაა უნდა დაილუპოს! დიად, საბრალო ვაჟკაცი მამაჩემის სამძიმო დავალების შესრულებას ვერ შეძლებს და, უეჭვეველია, დაილუპება! ნეტავი შემეძლოს ეს სასიკვდილოდ განწირული ადამიანი როგორმე დავიხსნა! ყოვლად შემძლებლო ქალღმერთო ჰეკატა! მუხლმოდრეკილი გვედრები დახმარება აღმოუჩინო ამ უცხოელ ვაჟკაცს, რომ უვნებლად დაბრუნდეს შორეულ სამშობლოში! მაგრამ თუ ეს უცხოელი გმირი ღმერთებისაგან საბოლოოდ განწირულია და აუცილებლად სიკვდილი მოელის, დე ამ საბრალო ვაჟკაცმა სიკვდილის ჟამს მაინც შეიტყოს, რომ მისთვის თავდადებული საბრალო მედეა სულიერად და ხორციელად იტანჯება, უცეცხლოდ იწვის“.

სანამ უცხოელები ნაცსადგურში დაბრუნდებოდნენ, არგოსი ძღვევამოსილ იაზონს ასე ესაუბრებოდა: „დიდებულო იაზონ! თუ არ შეპრისხავ, ერთი რამ მსურს გირჩიო! მე ვიცნობ ლმერთების მსახურს ერთ ქალწულს, რომელიც თავისი გულთმინსობით პირდაპირ სასწაულებს ახდენს. თუ მოვახერხებთ ამ გულთამხილავი ქალწულის გადმოძიებას, დარწმუნებული იყავი, ჩვენ შექველად გავიმარჯვებთ მტერზე“.

—თუ შენ ამ გრძნეული ქალწულის სასწაულმოქმედება მართლაც გწამს და დარწმუნებული ხარ, რომ დახმარებას აღმოგვიჩენს, თანახმა ვარ მოელაპარაკო და საკირო რჩევა-დარიგება სთხოვო!“

იაზონი და არგოსი ასე ბაასობდნენ და კიდევაც მიაღწიეს ზღვის ნაპირს, სადაც მათ მოუთმენლად მიელოდნენ ელინთა დანარჩენი გმირები.

იაზონმა დაწვრილებით უამბო ამხანაგებს მეფე აეტესის დავალება.

ელინთა გძირები დიდად ჩააფიქრა იაზონის ნაამბობმა.

ყველანი მღუმარედ შეჰყურებდნენ და მწარე საგონებელს ეძლეოდნენ.

—იაზონ, აი რა უნდა გითხრა,—პირველმა პელეასმა დაარღვია საერთო მღუმარება: თუ შენ ექვობ და იმედი არა გაქვს მეფე აეტესის მიერ დავალებული საქმე პირნათლად შეასრულო, უმჯობესია მეფეს ახლავე უარი განუცხადო. წინასწარ გაფრთხილებ, ჩვენი იმედი ნუ გექნება! ჩანს, ჩვენ ყველანი ბედისაგან განწირულნი ვართ! ვწუხვარ, რომ მეგობრებისა და მახლობლებისაგან დაუტირებელნი უნდა ჩავიდეთ საფლავში ამ უცხო ქვეყანაში!“

ტელამონსა და დანარჩენ გმირებს არ მოსწონდათ პელეასის მხდალი სიტყვა, მაგრამ გულში მაინც შიში ეპარებოდათ და თავისი სახელოვანი წინამძღოლის მომავალი დიდად აღონებდათ.

აღელვებული გმირები არგოსის გამამხნეველებმა სიტყვებმა დაამშვიდა: „ძღვევამოსილო გმირებო, ნება მიბოძეთ დედაჩემს ვთხოვო მეფის ისული გრძნეული მედეა შეაგულიანოს, რომ ამ გაკირვების დროს მოგვეშველოს და თავისი ჯადოსნობით დახმარება აღმოგვიჩინოს! ჩემის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ გრძნეული მედეას დახმარებით შეგვიძლია მრისხანე მეფის სამძიმო დავალების წესრულება. თუ დედაჩემმა მოახერხა გრძნეული მედეას ჩვენს მხარეზე გადმოყვანა, დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი კოლხი-დაში ლაშქრობა ბრწყინვალედ დაგვირგვინდება“.

არგოსს ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა, რომ გემზე ფართხალით შემოფრინდა მტრედი, რომელსაც უზარმაზარი ქორი მოსდევდა.

მტრედი მხარზე დააჯდა ძლევამოსილ იაზონს, ქორი კი გემზე ამართულ ანძას მიაწყდა.

მტრედის ასე ანაზღეულად შემოფრენაზე ელინთა გმირებს მოაგონდათ მოხუცი გულთამხილავის ფინეგის წინასწარმეტყველება: ქალღმერთი აფროდიტეს დახმარებით არგონავტები სამშობლოში მშვიდობიანათ დაბრუნდებიანო.

ელინთა გმირებმა გადაწყვიტეს, ქალღმერთის აფროდიტეს საყვარელი ფრინველის გემზე ანაზღეულად შემოფრენა არგონავტების საერთო საქმის კეთილად დამთავრების მომასწავებელიაო.

ამ რწმენით გამხნეებულნი არგოსი სასწრაფოდ გაემგზავრა სასახლეში, ხოლო გემზე დარჩენილი გმირები ნაპირზე გადმოვიდნენ და არგოსის დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა არგოსი დედისკენ მიისწრაფოდა, მეფე აეტესს სასახლეში თათბირი მოეწყო და სახელმწიფოს წარჩინებულ მოხელეებს არგონავტების კოლხიდაში მოსვლის ნამდვილ ზრახვებს მოუთხრობდა.

მეფე აეტესი ღრმად დარწმუნებული იყო, ელინთა გმირების წინამძღოლი იაზონი საშიშარ ხარებთან შებრძოლების დროს აუცილებლად დაიღუპებო. მრისხანე მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა იაზონის დამარცხების შემდეგ არგონავტების გემისათვის ცეცხლი წაეკიდებინა და ელინთა სახელოვანი გმირები ყველანი ცეცხლის ალში გაეხვია, ხოლო თავისი შვილიშვილები, არგოსი და ფრანტი-სი, რომელთა რჩევით არგონავტები თითქო მზაკერული განზრახვით მოვიდნენ კოლხიდაში, სასტიკად დაესაჯა.

როგორც კი მივიდა არგოსი სასახლეში, მან თავის საყვარელ დედას განუმარტა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც ელინთა გმირების წინამძღოლი იაზონი იმყოფებოდა, და შეევედრა, რომ გრძნეულ მედეას ელინთა გმირების სახელოვანი წინამძღოლი იაზონი ამ დიდი განსაცდელისაგან გამოეხსნა.

ხალკიონას შეეცოდა ძლევამოსილი იაზონი და მყისვე ზომები მიიღო, რომ გრძნეული მედეა დახმარებოდა ელინთა გმირების წინამძღოლს და ეს წარჩინებული ვაჟკაცი სიკვდილისაგან ეხსნა.

ხალკიონა ფეხსაკრეფით შევიდა თავისი საყვარელი დის მედეას ოთახში.

მედეა ამ დროს ლოგანზე იწვა და ეძინა.

საბრალო ქალწული, ეტყობოდა, რაღაც უსიამოვნო სიზმარს ზედავდა: ვითომ ძღვევამოსილი იაზონის მაგივრად თვითონ ის გავიდა ბრძოლის ველზე და სპილენძისფეხებიანი საშიშარი ხარები ბრწყინვალედ დაამარცხა. მედეას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ მრისხანე მეფემ გადაჭრით უარი გამოაცხადა ძღვევამოსილი იაზონისათვის ოქროს საწმისი ნებაყოფლობით. დაებრუნებინა.

კოლხიდის მრისხანე მეფე თავის უარს იმით ასაბუთებდა, რომ სპილენძისფეხებიან ხარებს იაზონი უნდა შებრძოლებოდა, და არა შეედა.

ხანგრძლივი დავის შემდეგ საკამათო საკითხის გადაჭრა თვით მშვენიერ მედეას მიანდევს.

სიყვარულით გატაცებულმა მედეამ საკითხი იაზონის სასარგებლოდ გადაჭრა.

მედეას განაჩენმა მეტად ააღელვა აეტესი, განრისხებულმა მეფემ ისე საზარლად შეჰყვირა, რომ საბრალო მედეას გამოეღვიძა.

საბრალო ქალწული შეშფოთებული წამოიჭრა საწოლიდან და კარებისაკენ ფეხაკრეფით გაემართა. მაგრამ შიშით ოთახიდან გასვლა ვერ გაბედა, უკანვე დაბრუნდა და მწარე ქვითინით საწოლზე დაეშვა.

როგორც კი მედეას გულსაღვრე ქვითინს ყური მოჰკრა ხალკიონამ, დაუყოვნებლივ თავისი ძვირფასი დის ოთახში შეიჭრა შემოღლივით.

საბრალო ქალწულს თვალთაგან ცხარე ცრემლები ჩამოსჩქეფდა, საწოლზე დამხობილი საზარლად ქვითინებდა.

თავზარდაცემული ხალკიონა შეშფოთებული ეკითხებოდა შიშით გონებაშიხდილ მედეას: „ჩემო ძვირფასო მედეა! ეს რა მოგვლია? ავად ხომ არა ხარ? ხომ რაიმე უსიამოვნება არ შეგხვედრია? ნუ დამიმაღავ შენს გულისტკივილს!“

საბრალო ქალწულს ლოყები თანდათან უფრო უწითლდებოდა და მეტის აღელვებით ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

დაბოლოს, მწუხარებაშიაც მშვენიერმა მედეამ მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და ცრემლების დაპალუპით ასე შესჩივლა თავის საყვარელ ხალკიონას: „ჩემო ძვირფასო ხალკიონა! აი ესაა საშინელი სიზმარი ვნახე! შენი შვილები და უცხოეთიდან ჩამოსული ელინთა გმირები მამაჩემმა თითქოს ვერაგულად გამოსასაღმა სიცოცხლეს. ვფიცავ ყველაფერს, რაიცა წმინდათა წმინდად მიმაჩნია, რომ თავს არ დავიზოგავდი, სიცოცხლეს დიდი სიამოვნებით შევწირავ-

დი, ოღონდ კი ყოვლად შემძლებელი ღმერთები არ ინებებდნენ ამ საშინელი სიზმრის ასრულებას!“

შეშინებული ხალკიონა მედეას ყელზე ჩამოეკიდა და ცრემლების ფრქვევით თავის საყვარელ დას მხურვალედ ემუდარებოდა. ძღვევამოსილი იაზონისათვის დახმარება აღმოეჩინა და ამრიგად მისი საბრალო შეილებიც სიკვდილისაგან ეხსნა.

საბრალო დები ერთმანეთს ეხვეოდნენ და დიდხანს უნუგეზოდ კვეთინებდნენ.

ბოლოს, როცა უსაზღვრო მწუხარებით გონებადაკარგული დები ცოტათი გონს მოვიდნენ, საბრალო ხალკიონამ შემდეგი თხოვნით მიმართა თავის საყვარელ მედეას: „ჩემო ძვირფასო და გონებიდან განუყრელო დაო! გთხოვ, თვალცრემლიანი გვეედრები ელინთა ძღვევამოსილ წინამძღოლს იაზონს დაუთმო შენი სასწაულმოქმედი ჯადო, რომლის საშუალებით სახელოვანი გმირი სულ ადვილად სძლეეს არესის სახელობის მინდვრებზე საბალახოდ გაშვებულ სპილენძისფეხებიან ველურ ხარებს! აი, ესაა სასახლეში მოვიდა ჩემი პირმშო ვაჟი არგოსი, რომელმაც მაცნობა, რომ ელინთა გმირების წინამძღოლი ძღვევამოსილი იაზონი პირადად შენ გთხოვს დახმარებას! ჩემო მშვენიერო მედეა, ამ ყოვლად წარჩინებული ვაჟკაცის თხოვნას ჩემს გულწრფელ თხოვნასაც ვუერთებ და თვალცრემლიანი გვეედრები საყვარელი შეილები სიკვდილს გადამიჩინო!“

მედეას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ მისი სათაყვანო გმირი, მისი ძვირფასი იაზონი დახმარებას სთხოვდა.

სიხარულით აღფრთოვანებულმა მედეამ სრულიად გულახდილად უპასუხა შეილების დარდით უზომოდ შეწუხებულ ხალკიონას: „ჩემო საყვარელო დაო! ფფიცავ ყოვლად შემძლებელ ღმერთებს, რომ შენს პირმშო შეილებს აუცილებლად გადავარჩინე! ხვალ დილით, გათენებისას, სანამ მზე თავის ცხოველმყოფელ სხივებს დედამიწას მოჭფენდეს, ქალღმერთის ჰეკატას სამლოცველოში წავალ. შეუთვალე ელინთა გმირების წინამძღოლს, ძღვევამოსილ იაზონს, რომ სამლოცველოში მოვიდეს და პირადად ჩემგან მიიღოს სასწაულმოქმედი ჯადო, რომელიც სახელოვან გმირს ძაღლონეს ერთიორად შეჰმატებს და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიანიჭებს!“

ვახარებულმა ხალკიონამ მხურვალედ ჩაიკრა გულში მშვენიერი მედეა და ეს სასიხარულო ამბავი თავის პირმშო შეილს არგოსს შეატყობინა.

ათასგვარ ფიქრში გართული მედეა მთელი ღამის განმავლობაში მოუსვენრად იწვა ლოგინში და საყვარელი გმირის ვარსკვლავისებური პირისახე სულ თვალწინ უდგა.

საბრალო ქალწულს რაღაც უხილაფი ხმა თითქო გარკვევით ჩასჩურჩულებდა: „მედეა, როგორ ფიქრობ, განა არ გადააქარბე? უცხოელ გმირს განა ზედმეტი დაპირება არ მიეცია?“

ამ უხილაფი ხმით შეშფოთებული მედეა თავს ასე ინუგეშებდა: „განა დანაშაულად უნდა ჩამეთვალოს, რო მე ასე კეთილშობილურად მოვიქეცი? განა დასაძრახია, რომ უბედურებაში მყოფ ადამიანს თანაგრძნობით მოვეპყრო და დასახმარებლად ხელი გავუწოდო! ვფიქრობ, რომ მე სწავებით მართებულად, სწავებით კეთილშობილურად მოვიქეცი, როცა ელინთა სახელოვან გმირს დახმარება აღვუთქე! ხოლო როგორც-კი ძღვევამოსილი გმირი მტერზე გაიმარჯვებს, იმავე წუთს სიცოცხლეს მოვისპობ ჩემის ხელით! მაგრამ განა ეს თვითმკვლელობა რასმე მიშველის! ვინ იცის, ვინ არ ჩამწიხლავს, მიწასთან ვინ არ გამასწორებს! ვფიქრობ და კიდევაც დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი გამკიცხავენ, ყველანი დამგმობენ! მთელ კოლხიდში დამივარდება ცუდი ხმა! მაგრამ, დე, ვისაც როგორ ჰსურდეს, ისე იმსჯელოს! მე ხომ სიცოცხლე ვაჩუქე ჩემს სათაყვანო გმირს! დე, ჩემი სახელი და სიცოცხლეც მასვე შეეწიროს! ეს ჩემი შეურყეველი რწმენა საიქიოს სიმშვიდესა და მყუდროებას დამიმკვიდრებს! მე ანგარიშს ვუწევ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს გულისთქმას, ჩემს რწმენას, ჩემს შეხედულებას! მაგრამ ადვილად შესაძლებელია კიდევაც ვცდებოდე! შეიძლება გადაქარბებულმა გრძნობამ გამიტაცა და ღირსიც ვიყო საქვეყნოდ გამკიცხონ, მიწასთან გამასწორონ! ყველაფერს ავიტან, ყველაფერს მოვითმენ, ოღონთ კი ჩემმა სათაყვანებელმა, გონებრივად განუყრელმა ძვირფასმა იაზონმა სიკვდილს თავი დააღწიოს!“

ამ მწარე ფიქრებში გართული მშვენიერი მედეა უცეცხლოდ იწვოდა, იტანჯებოდა და მის აუტანელ მწუხარებას საზღვარი არ ედებოდა.

მაგრამ ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა მშვენიერ მედეას ტკბილი ძილი მოუვლინეს.

არგოსმა ელინთა გმირებს ნავსადგურში სასიხარულო ამბავი მიუტანა. არგონავტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მშვენიერი მედეას გადაწყვეტილება გაიგეს.

ელინთა გმირებს ახლა კი იმედი მიეცათ, რომ გრძნული მედეას მიერ დაპირებული სასწაულმოქმედი ჯადო სახელოვან

იაზონს ბრწყინვალე გამარჯვებას მოუპოვებდა და ძლევამოსილი არგონავტები სამშობლოში დასახულ მიზანს ღირსეულად შეასრულებდნენ.

მეორე დილით, განთიადისას, მედია საწოლიდან წამოდგა, სურნელოვანი ზეთით დაიზილა მთელი სხეული და ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოეწყო.

მთვარესავით გაბრწყინებულმა ქალწულმა სკივრიდან სასწრაფოდ ამოიღო ეგრეთწოდებული „პრომეთეს მალამო“ და მოსამსახურე ქალების თანხლებით ეტლით გაემართა ქალღმერთის ჰეკატას სამლოცველოსაკენ.

„პრომეთეს მალამოს“ მეტად სასწაულებრივი თვისება ჰქონდა: ვინც ამ მალამოს წაიციხებდა, მთელი სხეული ფოლადივით უმაგრდებოდა, ძაღლონე და გაბედულება ემატებოდა და უძლეველი მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას სულ ადვილად ახერხებდა.

ამ სასწაულოქმედ მალამოს ამზადებდნენ იმ სამკურნალო ბალახებიდან, რომლებზედაც კავკასიონის მთებზე მიჯაჭვულმა ელინთა სახელგანთქმულმა გმირმა პრომეთემ მოწამლული სისხლი დააქცია.

მედემ, როგორც კი ქალღმერთი ჰეკატას სამლოცველოში შევიდა, მხლებელ ქალებს უბრძანა დაუყოვნებლივ სასახლეში დაბრუნებულიყვნენ.

მეფის გრძნეულმა ასულმა მხლებლებს საიდუმლოდ გაანდო, ამ დილით სამლოცველოში უნდა მოვიდეს ელინთა გმირების წინამძღოლი იაზონი, რომელსაც უნდა გადაეცე სასიკვდილო მალამო.

მოსამსახურე ქალებმა მოიწონეს მედეას საიდუმლო განზრახვა და სასახლეში კმაყოფილნი დაბრუნდნენ.

სამლოცველოში დარჩენილი მშვენიერი მედია მოუთმენლად მოელოდა თავის სათაყვანებელ გმირს.

მართლაც, ქალღმერთის ჰეკატას გრძნეულ მსახურს დიდხანს არ მოუხდა ლოდინი.

ძლიერ მალე სამლოცველოში მოკრძალებით შემოვიწინენ ძლევამოსილი იაზონი და მასთან ერთად არგოსი და მისანი მოასი.

ქალღმერთმა ჰერამ ისეთი სილამაზითა და ძლევამოსილებით გააბრწყინა იაზონის პირისახე, რომ თვით ამხანაგებიც კი იხიბლებოდნენ გმირის ასეთი სიდიადით და გული სიხარულით ევსებოდათ.

ელინთა გმირების სახელოვანი წინამძღოლი გაბრწყინებული პირისახით წარსდგა მშვენიერი მედეას წინაშე და მოკრძალებით მიესალმა.

როგორც კი მოჰკრა თვალი იაზონის მთვარესავით მოკაშკაშე პირისახეს, მედია ცეცხლივით აენტო და მეტის მღელვარებისაგან გულმა მძლავრად დაუწყო ცემა.

მედია და იაზონი ერთმანეთს დიდხანს მღუმარედ შეჰყურებდნენ და უსაზღვრო ნეტარებით აღგზნებულნი ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ. ორივენი ხმაამოუღებელივ ცახცახებდნენ ვერხვის ფოთოლივით და უდიდეს სიტკბობას განიცდიდნენ.

ბოლოს იაზონმა დაარღვია ეს სანეტარო ღუმელი და სიყვარულის კილოთი შეეხმატებოდა ვარდის კოკორივით გაფურჩქენილ მშვენიერ მედეას: „მშვენიერო ქალწულო, ესოდენ რად შეშფოთებულხარ! გაფიცებ ყოვლად შემძლებელ ღმერთებს და მათ შორის ყოვლად მოწყალე ქალღმერთის ჰეკატას სახელს, მამცნე შენი შეშფოთების მიზეზი, ნუ დამიმაღავ, გულახდილად მითხარი შენი გულის ნადები! გახსოვდეს, მშვენიერო ქალწულო, რომ ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით ყოვლად შემძლებელი ღმერთების წმინდა ადგილას და თვითოეული არასწორად, არამართებულად ნათქვამი სიტყვა დანაშაულად ჩაგვეთვლება! ამიტომ ჩვენ შორის უპირველეს ყოვლისა გულწრფელობა და გულახდილობაა საჭირო!

პირადად მე გავკადნიერდები და ამ წმინდა ადგილას შენგან დახმარებას მოვითხოვ! ღრმად დაწმუნებული ვარ, რომ შენ დღესვე გადმომცემ ალთქმულ სასწაულმოქმედ მალამოს“.

მედეამ ალერსიანი ღიმილით ჯიბიდან ამოიღო სასწაულმოქმედი მალამო და თავის სათაყვანო გმირს გადასცა.

იაზონმა მოკრძალებით ჩამოართვა სასწაულმოქმედი მალამო და უდიდესი მადლობა შესწირა მშვენიერ არსებას, რომელიც თავის სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა.

შორეული ელადის სახელოვანი გმირი იაზონი და კეკლუცი კოლხიდის მშვენიერი ასული გრძნეული მედია დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს მღუმარედ და უსაზღვრო ნეტარებით ტკბებოდნენ.

გამოსალმებისას მშვენიერმა მედეამ ასეთი რჩევა მისცა კმაყოფილებით აღსავე ელინთა სახელოვან გმირს: „დიდად პატივცემულო ძღვევამოსილო გმირო! გამოსალმებისას მინდა მეგობრული რჩევა მოგცე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენო სასწაულმოქმედი მალამო. როგორც კი მიიღებ მამაჩემისაგან დასათესად გველ-ეშაპის კბილებს, დაუყოვნებლივ შავ ტანსაცმელში გამოეწყვე და ტანის დასაბანად მდინარეზე წადი.“

როცა ბანაობას მორჩე, მდინარის ნაპირას ამოთხარე დიდი ორმო, დაკალი ბატკანი, სისხლი ორმოში ჩაასხი, ხოლო ხორცი კი ყოვლად შემძლებელ ღმერთებს შესწირე.

თუ გინდა, რომ ღმერთებმა თქვენ მიერ დაკლული ბატკანი მსხვერპლად შეიწირონ, ქალღმერთის ჰეკატას მოკრძალებით ზედაზე დაუქციე და ნავსადგურში დაბრუნებისას, თუ ვინიცობაა გზაში ძაღლებმა შემოგიყუფონ, უკან არ მოიხედო.

დილით, როცა ბრძოლის ველზე წასვლას დააპირებ, მთელი სხეული ამ სასწაულმოქმედი მალამოთი დაიხილე და შენს სხეულს ისეთი ძლიერება მიენიჭება, რომ თუნდაც ყოვლად შემძლებელ ღმერთებს გაუმკლავდები.

როცა ხნულებში ჩათესილი გველეშაპის კბილებიდან ამოვლენ შეიარაღებული დევგმირები და შენს წინააღმდეგ გამოილაშქრებენ, დაუყოვნებლივ აილე უზარმაზარი ქვა და საბრძოლველად გამზადებულ დევგმირთა რიგებში გადაისროლე.

დევგმირები იმ ქვას შემოერტყმიან და მათ შორის საშინელი ბრძოლა გაიმართება.

გახსოვდეს, ერთი წუთიც არ დაახანო, ისარგებლე ამ მოხერხებული შემთხვევით და ჩემ მიერ გადმოცემული მალამოთი მოწამლული ისრები დაუშინე დევგმირების რიგებს. შეუბრალებლად ამოწყვიტე ყველანი, ვინც კი ერთმანეთთან ხელჩართული ბრძოლის დროს სიკვდილს თავი დააღწია.

ამრიგად პირნათლად შეასრულებ მამაჩემისაგან დავალებულ სამძიმო საქმეს და მიიღებ ოქროს საწმისს, რომელიც შეგიძლია თავისუფლად წაიღო შორეულ ელადაში*.

საბრალო მედეას ამ სიტყვებზე ცხარე ცრემლები წასკდა.

სათუთი ბუნების ქალწული ვერ შეპრიგებოდა იმ აზრს, რომ მისი სათაყვანო გმირი, მისი ასე ანაზღეულად მომხიბვლელი იაზონი შორეულ ელადაში გაემგზავრებოდა და მედეა ამიერიდან მის ვარსკვლავივით მოელვარე პირისახეს ერთხელაც ვეღარ იხილავდა.

გამოსალმებისას მედეამ ოდნავ გასაგონის ხმით მწუხარედ წასჩურჩულა ძლევაამოსილ გმირს: „დიდებულო გმირო, როცა სამშობლოში დაბრუნდები, საბრალო მედეას ნუ დარიფიყებ! შენ მიერ მოხიბლული მედეა სულ შენს ფიქრში იქნება, შენს ხსოვნას. მედეა გულში მაგრად ჩაიმარხავს და შარავანდის სხივებით შემოსავს!“

საბრალო მედეას ამ გულგამგმირავმა სიტყვებმა დიდებულ გმირს ელექტრობის ნაკადივით დაუბრინა მთელ სხეულში.

მხურვალე სიყვარულით აღგზნებულმა გმირმა ასე უპასუხა მეფის მშვენიერ ასულს: „მშვენიერო მედეა! დაარწმუნე შენი მგრძობიარე გული, სანამ პირში სული მიდგია და ცოცხალი ვარ, შენი

შარავანდით მოსილი სახელის ხსოვნას შარადის გულში ვატარებ დედამიწაზე უმშვენიერეს შენს ბრწყინვალე სახეს გულში აღვიბეჭდავ! რა ბედნიერი ვიქნებოდით, რომ შენ ჩემ სამშობლო იოლკენი გიხილავდე!

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დიდის აღტაცებით შეეგებებოდნენ იმ მშვენიერსა და კეთილშობილ ქალწულს: რომლის დახმარებით ჩვენ სიკვდილს თავი დავალწიეთ და მშვიდობიანად დავბრუნდით სამშობლოში! დაარწმუნე შენი გული, მეფის მშვენიერო ასულო, შენ რომ ოდესმე ჩემ სამშობლოში გიხილავდე, უბედნიერეს კაცად ჩავთვლიდი ჩემ თავს! ჩვენ შორის დაიდებოდა ის მეგობრული კავშირი, რომელიც მიუვალ ციხე-სიმაგრეებზე უფრო მტკიცე და მძლავრია!"

როცა ამ სიტყვებს ისმენდა მედეა, თავისთავს უბედნიერეს ქალად თვლიდა დედამიწის ზურგზე და, სიხარულით აღსაყვს, ნეტარების ცრემლებს აფრქვევდა.

მშობლების მოშორება მედეას თუმცა ემძიმებოდა და შეუძლებლადაც მიაჩნდა, იაზონასაგან დატყვევებული გული მაინც შორეული ელადისაკენ ეწეოდა.

ქალღმერთი ჰერა ძლიერ მოწადინებული იყო მშვენიერი მედეა ძლევაშოსილ იაზონს გაჰყოლოდა შორეულ ელადამი.

ყოვლად შემძლებელი ქალღმერთი ჰერა ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მედეა, როგორც კი იაზონის ოჯახში კანონიერი მეუღლის სახით შევიდოდა, იაზონის ცბიერ ბიძას პელეასს სასტიკად დასჯიდა.

მზე უკვე დასავლეთისაკენ გადაიხარა, როცა მედეა და იაზონი ქალღმერთის ჰეკატას სამლოცველოში ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

იაზონი ნავსადგურში დაბრუნდა ამხანაგებთან. მედეა ჩაჯდა სწრაფმავალ ეტლში და მხიარულად გაემართა სასახლისაკენ.

იაზონმა ამხანაგებს აჩვენა სასწაულმოქმედი შალამო და დაწვრილებით უამბო ამ მალამოს გამოყენების ხერხები, მშვენიერი მედეას რჩევა-დარიგების მიხედვით.

ამ სასიხარულო ამბით გამხნეებული არგონავტები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ძლევაშოსილი იაზონის ბრძოლის ველზე წასასვლელად მომზადების თადარიგს.

ელინთა გმირებმა ორი ამხანაგი გაგზავნეს სასახლეში გველეშაპის კბილების ნავსადგურში მოსატანად.

მეფე აეტესი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ელინთა გმირების წინამძღოლი ვერ შეასრულებდა იმ სამძიმო საქმეს, რომელიც მან დააეალა, და ამიტომ დაუბრკოლებლივ გადასცა გამოგზავნილებს გველეშაპის კბილები არესის ველზე დასათესად.

ძლევა მოსილმა იაზონმა იმავე ღამეს უკლებლივ შეასრულა მშვენიერი მედეას რჩევა-დარიგებანი.

ქალღმერთმა ჰეკატამ სიამოვნებით მიიღო იაზონისაგან შეწირული მსხვერპლი. მთელი თავისი საშინელი ამალით დაიძრა ქალღმერთი კლდეში ღრმად გამოქვაბული საცხოვრებელი ბინიდან.

ქალღმერთს ირგვლივ მოუძლოდნენ საზარელი გველეშაპები და უზარმაზარი ძაღლები, რომელთა საშინელი ყეფა მთელ არემარეს აყრუებდა.

დედამიწა ზანზარებდა ამ საშინელი ცხოველების ფეხთა მოძრაობით.

მდინარეების ფერიები ძრწოდნენ და საცოდავად გმინავდნენ. იაზონი შიშით თრთოდა, მაგრამ ძაღლების საშინელ ყეფაზე უკან მოხედვას ვერ ბედავდა და სწრაფი ნაბიჯით მისწრაფოდა ნავსადგურისაკენ, სადაც ძლევა მოსილი ელინთა გმირები მას მოუთმენლად მიელოდნენ.

მეორე დღით, როცა კოლხიდის ცხოველმოყველი მზის სხივები კავკასიონის მთების მალალ მწვერვალებს უზვად მოეფინა, მეფე აეტესი მეფურ ტანსაცმელში ბრწყინვალედ გამოეწყო და თავისი ამალის თანხლებით ეტლით გაემართა არესის ველისაკენ, რომ პირადად დასწრებოდა ელინთა გმირების წინამძღოლის შებრძოლებას სპილენძისფეხებიან ველურ ხარებთან.

ძლევა მოსილმა იაზონმა დილაადრიანად მთელი სხეული სასწაულმოქმედი მალამოთი მაგრად დაიზილა და თავისი საუცხოო ფარი, ბასრი ხმალი და შორსსატყორცნელი ისარი იმავე სასწაულმოქმედი მალამოთი მზის სხივებზე საკვირველად ააპრიალა.

სასწაულმოქმედმა მალამომ ელინთა გმირების სახელოვან წინამძღოლს ერთბაშად მიანიჭა არაჩვეულებრივი ძალღონე და ძლიერება.

როგორც ბრძოლის ველზე წასასვლელად გამზადებული მხედრის მერანი ჭიხვინით ტორებს მიწას სცემს და მოუთმენლად მოელის თავისი ერთგული მხედრის მათრახის ჰაერში შეტრიალებას, ასეთივე მოუთმენლობითა და გაბედულობით მისწრაფოდა ელინთა სახელოვან გმირთა წინამძღოლი იაზონი ბრძოლის ველისაკენ საშინელ მტერთან სამკედრო-სასიცოცხლოდ შესაბრძოლებლად.

არგონაეტებმა გემით მიაცილეს თავისი სახელოვანი წინამძღოლი არესის ველაძდის, სადაც მეფე აეტენის კარგახანია თავისი ამალით მისუღიყო.

ელინთა გმირების სახელოვანი წინამძღოლი თავმომწონედ გადმოვიდა გემიდან. დიდებული გმირის შეხედულება და ძლევამოსილება ღმერთის არესის ძლიერებასა და ქალღმერთის აფროდიტეს სიმშვენიერეს მოგაგონებდათ.

მძიმედ შეიარაღებული იაზონი თავმომწონედ გამოვიდა ბრძოლის მოედანზე, სადაც წინასწარ დაეწყით უზარმაზარი რკინის გუთანნი, სახნის-საკვეთი და გუთნის საწვევი უღელი.

იაზონმა ფარი გაიკეთა და საბრძოლველ მოედანზე მტრის გამოჩენას მოუთმენლად მოელოდა.

უეცრივ მიწის გულში გამართულ ბოსლებიდან მოედანზე შემოიჭრნენ სპილენძისფეხებიანი ველური ხარები, რომლებიც ნესტოებიდან ნაკვერცხლებს ისროდნენ და ტანზე ცეცხლის ბული ასდიოდათ.

იაზონის მხლებელი ელინთა გმირები შიშის ზარმა აიტანა, როცა ეს საშინელი ცხოველები დაინახეს.

იაზონი კლდესავით უძრავად იდგა და ფარჩამოფარებული მოუთმენლად მოელოდა საშინელი ცხოველების თავდასხმას.

ხარები საზარელი ღმუილით ეკვეთნენ ძლევამოსილ იაზონს. მაგრამ გმირის მკვიდრად შექედილ ფარს ოდნავაც ვერა დააკლეს.

სიბრაზით გააფთრებული ხარები კვლავ თავდავიწყებით ეკვეთნენ გმირ მეომარს და ცდილობდნენ ცეცხლის ალში გაეხვიათ სახელოვანი მებრძოლი.

ამ დროს ძლევამოსილმა იაზონმა სიბრაზით 'გაცოფებულ' ერთ ხარს რქებში მაგრად ჩასჭიდა ხელი და ფერდებში ფეხის მძლავრად ჩაკვრით მთლიანად გაბოროტებული ცხოველი ოთხივე ფეხზე წამოაჩოქა. მეორე ხარიც გმირმა ამრიგად დაიმორჩილა და დაუყოვნებლივ ორივენი გუთანში შეაბა.

ფარჩამოფარებული იაზონი კვალდაკვალ მისდევდა გუთანს, რომელშიც სპილენძისფეხებიანი ხარები შეაბა, და ღრმად აბრუნებდა ვეებერთელა ბელტებს.

მზე ჯერ კიდევ დასავლეთისაკენ არ გადახრილიყო, როცა ძლევამოსილმა გმირმა ღრმად მოხნულ კვლებში ჩათესა გველეშაპის უკანასკნელი კბილები.

სანამ ძლევამოსილი იაზონი ანხანაგებით გარშემორტყმული ისვენებდა, ღრმად მოხნულ კვლებში დათესილი გველეშაპის კბილ-

ბიდან წარმოიშენნ მძიმედ შეაიარაღებული დევგმირები, რომლებ-
მაც მთლად ააგეს თვალუწვდენელი მიწიერი.

ელინთა გმირების წინამძღოლმა სასწრაფოდ წამოავლო ხელი
უზარმაზარ ქვას და, როგორც გრძნეულმა მედიამ დაარიგა, შეი-
არაღებულ დევგმირთა შემქიდროებულ რიგებში გადაისროლა.

დევგმირები დაესიენნ იაზონის მიერ გადასროლილ საბედის-
წერო ქვას.

საშინელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. დევგმირები თავ-
დავიწყებით ეკვეთებოდნენ ერთმანეთს და შეუბრალებლად სიცოც-
ხლეს ასალმებდნენ. დაჭრილ-დახოცილთა გვამები ქარიშხლისაგან
მოტეხილი ხეებივით ეფინებოდა მიწაზე.

ელინთა გმირების სახელოვანი წინამძღოლიც ჩაერია ამ საბე-
დისწერო ბრძოლაში და თავისი ბასრი ხმლით უსპობდა სიცოც-
ხლეს ერთმანეთთან ბრძოლაში გადარჩენილებს.

საბედისწერო ბრძოლის ველი სულ მოკლე ხანში მოიფინა
დახოცილთა გვამებით.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ სახელოვანმა იაზონმა
ბრძოლის ველი დატოვა და თავმომწონედ გაემართა თავისი ამხანა-
გებისაკენ.

იაზონის მხლებლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

სიბრაზისაგან შეშფოთებული მეფე აეტესი თავისი ამალით
ბრუნდებოდა სასახლეში სწორედ იმ დროს, როცა არგონავტები
გარს ერტყნენ თავის სახელოვან წინამძღოლს და სიხარულით აღ-
ტაცებულნი გულში მხურვალედ იკრავდნენ.

მეფე აეტესი მთელი ღამის განმავლობაში გეგმებს აწყობდა,
თუ როგორ უნდა დაეღუპა არგონავტები და მათი წინამძღოლი
იაზონი.

მეფე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ელინთა გმირების წი-
ნამძღოლმა ბრძოლის ველზე ბრწყინვალე გამარჯვება ხალკიონსა
და მედეას დახმარებით მოიპოვა.

მრისხანე მეფემ გადაწყვიტა მოლალატენი სასტიკად დაესაჯა
და ამრიგად სამაგიერო გადაეხადა.

მედეა სულითა და ვულით იტანჯებოდა, იგი კარგად გრძნობ-
და, რომ მეფე აეტესმა უკვე ყველაფერი იცოდა, და ამიტომ გა-
დაწყვიტა თავი მოეწამლა.

მეფის გრძნეულმა ასულმა საწამლაეი მოამზადა და ის იყო
უნდა დაეღია, რომ უეცრივ ქალმერთმა ჰერამ ახალგაზრდა ქალ-

წულს გულში კეთილისმყოფელი აზრები ჩაუნერგა და საწამლავზე გადაქრით ხელი ააღებინა.

მშვენიერმა მედემამ გადაწყვიტა თავის სათაყვანებელ, გონებიდან განუყრელ გმირს შორეულ ელადაში გაჰყოლოდა.

მეფე აეტესის მშვენიერმა ასულმა ეს გადაწყვეტილება მართლაც შეასრულა.

მუდღეა ფრთხილად გამოვიდა საწოლი ოთახიდან. სასახლის კარები სასწაულმოქმედი ჯადოს წყალობით თავისთავად გაიღო.

ქალწულმა ფრთხილად ჩაუარა გვერდი სასახლის ლამის მცველებს, რომელთაც ჯეფის ასული ვერ იცვნეს.

მეღეა ვიწრო ბილიკებით მიისწრაფოდა ნავსადგურისაკენ. სადაც ამ დროს უცხოელ გმირებს ზღვის ნაპირას ცეცხლი აეგოზგიზებინათ და თავის საყვარელ წინამძღოლს, სახელოვან იაზონს ბრწყინვალე ზეიმს უხდიდნენ.

მშვენიერი ქალწული ფეხაკრებით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც უცხოელების გემი იდგა, და თავის დისწულს ფრანტისს, რომელიც ამ დროს ძღვეამოსილ იაზონთან იჯდა ზღვის ნაპირას, ფრთხილად გამოეხმაურა.

იაზონმა და ფრანტისმა ხმაზე იცვნეს მშვენიერი მეღეა და არგოსის თანხლებით დაუყოვნებლივ გაემართნენ იმ ადგილისაკენ, საიდანაც ქალწულის ხმა შემოესმათ.

საბრალო მეღეა თავის საყვარელ დისწულებს შემოეხვია და ცრემლების ფრქვევით მხურვალედ შეევედრა: „ჩემო ძვირფასო მეგობრებო! თვალცრემლიანი გემუდარებით, იწამეთ ყოვლად შემძლებელი მაღალი ღმერთები და დამიხსენით ზოსალოდნელი უბედურებისაგან! გაფიცებთ ყველაფერს, რაც კი ოქვენთვის წმინდათა წმინდაა, გადამარჩინეთ მამაჩემის აღვირახსნილ მრისხანებას! დაბეჯითებით გთხოვთ დაუყოვნებლივ დატოვოთ ეს საბედისწერო მხარე, სანამ მრისხანე მეფეს თავისი საშინელი განზრახვა განუხორციელებია! პირობას გაძღვეთ, რომ სამღვთო ქალაში მოდარაჯდ გველეშაპს მოვაჯადოებ და ოქროს საწმისს დაუბრკოლებლივ ჩაგაბარებთ შორეულ ელადაში წასაღებად. პირადად შენ, ჩემო ძვირფასო იაზონ, გთხოვ შემომფიცო, რომ უპატრონოდ დარჩენილ მეღეას დაიხსნი საქვეყნო სირცხვილისა და გაბიბრუებისაგან! გთხოვ, ჩემო გონებიდან განუყრელო სასიქადულო გმირო, ქვეყნის ყბად ნუ გამხდნი! გთხოვ მეც წამიყვანო შენს შორეულ საყვარელ ელადაში! დაარწმუნე შენი გული, რომ მე ყველგან და მარადის გულითად მეგობრობას გაგიწევ, კირსა და ლხინში მუდამ შენთან ვიქნები,

ჩემს ცხოვრებას შენის ძღვევამოსილების სადიდებლად მოვაწყობ! წინასწარ უნდა იცოდე, ჩემი აონებიდან განუყრელო იაზონ, რომ კოლხიდის ყოვლად შეუბრალებელი მეფე აეტესი შენს უსაზღვროდ მათაყვანებელ საბრალო მედეას ოდნავაც არ დაინდობს და სიცოცხლეს მოუსპობს!“

იაზონმა ფეხზე წამოაყენა მუხლმოყრილი მედეა და სრულიად გულწრფელად უპასუხა: „ჩემო საყვარელო მედეა! ვფიცავ ყოვლად შემძლებელ ოლიმპოს მბრძანებელს ზევსს და მის მეუღლეს ქალღმერთს პერას, რომ ჩემს შორეულ სამშობლოში წაგიყვან! ჩემ სახლკარში ზეგყვან როგორც კანონიერ მეუღლეს და გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას არ მოგაკლებ! დაარწმუნე, ჩემო მშვენიერო, შენი მგრძნობიარე და ყოვლად კეთილშობილი გული, რომ ყველგან და მარადის შენი ფხიზელი მცველი ვიქნები განა ჩემ თავს ნებას მივცემ საწამებლად შენ კოლხიდაში დაგტოვო! ეს ყოვლად შეუძლებელია! ჩვენს მჭიდრო კავშირს ამიერიდან ვერავინ გაწყვეტს! გარწმუნებ, ჩვენ ერთმანეთს ვერავინ დაგვაშორებს! პატიოსან სიტყვას გაძლეე, მარადის ჩემო სათაყვანებელო მედეა, რომ ძღვევამოსილი იაზონი თავის აღთქმას პირნათლად შეასრულებს და შენ განსაცდელში არ ჩაგაგდებს!“

მედეამ სიხარულით მოისმინა იაზონის რწმუნება და საბოლოოდ გადაწყვიტა თავის სათაყვანო გმირთან ერთად შორეულ ელადაში გამგზავრებულიყო და მშობლიურ კერას სამუდამოდ მოსცილებოდა.

მეფე აეტესის მშვენიერმა ასულმა ელინთა გმირებს უბრძანა გემი სამღვთო ქალის ნაპირებისაკენ სასწრაფოდ შეეცურებინათ, რომ საღამოზე მისი დახმარებით ოქროს საწმისი მოეტაცათ და კოლხიდის სახიფათო საზღვრებს დაუყოვნებლივ გაშორებოდნენ.

არგონავტებმა მოიმარჯვეს ხოფები და გემი სამღვთო ქალის ნაპირებთან მიაცურეს.

მედეა და იაზონი ფრთხილად გაემართნენ იმ ადგილისაკენ, სადაც მალალ ხეზე ჩამოკიდებულ ოქროს საწმისს საშინელი გველეშაპი ფხიზლად სდარაჯობდა.

როცა იაზონსა და მედეას მოჰკრა თვალი გველეშაპმა, ისეთი საშინელი შხივილი მორთო, რომ მთელი ცოცხალი და მკვდარი ბუნება შიშის ზარმა აიტანა.

გრძნეულმა მედეამ ჯიბიდან ამოიღო სასწაულმოქმედი მალამო და საზარელი გველეშაპი ერთბაშად მოაჯადოვა.

ოქროს საწმისის ფხიზელი დარაჯი ქარიშხლისაგან მოტეხილ ხეისავით მოსწყდა თავის სადარაჯოს და იქვე მუხის ძირას ღრმად ჩაიძინა.

იაზონმა სრულიად თავისუფლად ჩამოხსნა მალალი მუხის კენწეროდან ოქროს საწმისი და მედეასთან ერთად ფეხაკრეფით დატოვა სამღეთო ქალა.

მხესავით ბრწყინავი ოქროს საწმისის შუქი იაზონის პირისახესა და ლამაზად დახუჭუჭებულ თმას უხვად ეფინებოდა და გემისაკენ მიმავალ იაზონსა და მედეას ლამის წყვილიადში ჩირალდანივით გზას უნათებდა.

ელინთა გმირების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ოქროს საწმისი დაინახეს.

ყველანი გამოუთქმელი აღტაცებით შეჰყურებდნენ ამ დიდი ხნის სანატრელ საუნჯეს და ძღვევამოსილ იაზონს და მშვენიერ მედეას მხურვალე მადლობას სწირავდნენ.

მცირე დახანების შემდეგ იაზონმა ძღვევამოსილ ელინთა გმირებს მოუწოდა გემზე, თადარიგი დაეჭირათ შორეულ ელადში სასწრაფოდ გასამგზავრებლად.

გემი ის იყო ნავსადგურიდან გასვლას ეპირებოდა, რომ ძღვევამოსილმა იაზონმა მშვენიერ მედეას ხელი ხელში ჩასჭიდა და ამხანაგებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ძვირფასო ამხანაგებო! ახლა კი თავისუფლად შეგვიძლია დავბრუნდეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოში! აი, ამ მშვენიერი ქალწულის დახმარებით ჩვენ პირნათლად შევასრულეთ მეფე პელეასის სამძიმო დავალება ამ უცხო ქვეყანაში! საბოლოოდ გადაწყვეტილი მაქვს პირნათლად შევასრულო ის, რაც აღუთქვი ამ ჩვენს დიდად მოამაგე ქალწულს! მე მსურს ეს მშვენიერი ახალგაზრდა ქალი კანონიერ მეუღლედ შევიყვანო ჩემს ოჯახში და მასთან სამარადისო კავშირი შევკრა! ჩემო ერთგულო ამხანაგებო, გთხოვთ ყველგან და მარადის მფარველობა გაუწიოთ ამ ჩვენს დიდად მოამაგე ქალს! ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მეფე აეტესი ასე არ გვაპატიებს ოქროს საწმისის მოტაცებას! მრისხანე მეფე, უეჭველია, დაუყოვნებლივ გამოგვადევნებს თავის ძღვევამოსილ მხედრობას, რომელიც თვალუწვდენელ ზღვის სივრცეში სადმე წამოგვეწევა და მთლიანად გავგანადგურებს, ყველას შეუბრალებლად ძოგვისპობს სიცოცხლეს! ჩვენ მუდამყამს უნდა გვახსოვდეს, რომ სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნების საქმე სავესებით ჩვენს ხელთაა! ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი საბერძნეთის ყურადღება ჩვენკენაა მოპყრობილი! ვიმედოვ-

ნებ, ამ დიდ ყურადღებას ჩვენ სავსებით გავამართლებთ! კეთილი იყოს ჩვენი სამშობლოში გამგზავრება!“

ელინთა ძლევამოსილმა გმირებმა მძლავრად აამოძრავეს ხოფები, სასწრაფოდ მოსწყდნენ კოლხიდის თვალწარმტაც ნაპირებს და მხიარულად შეაცურეს სწრაფმავალი გემი ზღვის თვალუწედენელ სივრცეში.

მეფე აეტესის ფხიზელ თვლებს არ გამოეპარა არგონავტების კოლხიდიდან შორეულ ელადაში გაპარვა, იაზონთან მედეას ფარულად წასვლა და ოქროს საწმისის ასე ვერაგულად გატაცება.

მეფე აეტესმა დაუყოვნებლივ შეკრიბა კოლხიდის მთელი მოსახლეობა და სასტიკი ბრძანება გასცა საუკეთესო მეზღვაურები უცხოელებს დასდევნებოდნენ და მოლაღატე მედეა, იაზონი და მათი მზღებლები დაებრუნებინათ, რომ ყველანი სასტიკად დაესაჯა ოქროს საწმისის ასე ვერაგულად გატაცებისათვის.

მეფე აეტესის ახალგაზრდა ვაჟიშვილი აბსირტი და კოლხიდის საუკეთესო მეზღვაურები დაუყოვნებლივ ჩასხდნენ სწრაფმავალ გემებში და ელვის სისწრაფით დაედევნენ არგონავტებს ზღვის თვალუწედენელ სივრცეში.

ქალღმერთის ჰერას დახმარებით არგონავტები მცირე ხნის მოგზაურობის შემდეგ მდინარე ჰაპისის შესართავთან გადმოვიდნენ ზღვის ნაპირას, რომ ქალღმერთ ჰეკატასათვის საპაღლობელი მსხვერპლი შეეწირათ.

როცა მსხვერპლის შეწირვას მორჩნენ, არგონავტებმა. არგონის რჩევით, ააფრიალეს იალქნები და მდინარე ისტრის მიმართულებით მხიარულად შეაცურეს გემი.

მაგრამ კოლხიდელების სწრაფმავალმა მსუბუქმა გემებმა წინიდან შემოუარეს არგონავტების გემს, და როცა ელინთა გმირები ზღვის ყურეში შევიდნენ, კოლხიდელებმა სრულიად მოულოდნელად ზღვაში გასაველი გზა მოუჭრეს.

არგონავტები იძულებულნი შეიქნენ ზღვის ნაპირას გადმოსულიყვნენ და კოლხიდელებთან საზავო მოლაპარაკება გავმართათ.

ელინთა გმირები და კოლხიდელები ამ საზავო მოლაპარაკების დროს შემდეგნაირად შეთანხმდნენ.

ოქროს საწმისი ელინთა გმირებს უნდა დარჩენოდათ სრულ საკუთრებად. მეფე აეტესის ასული მშვენიერი მედეა ღმერთის არტემისის სამლოცველოში უნდა დაეპატიმრებინათ და მახლობელი სახელმწიფოს მეფეს უნდა გადაეწყვიტა გრძნეული მედეა კოლხი-

დაში დაბრუნებულიყო, თუ ძლევამოსილ იაზონს გაჰყოლოდა შორეულ ელადაში.

საზავო ხელშეკრულების პირობებმა მეტად შეაშფოთა მეფე აეტესის მშვენიერი ასული.

საბრალო ქალმა აღელვებულის კილოთი მიმართა: ელინთა გმირების სახელოვან წინამძღოლს: „მარადის ჩემის გონებიდან განუყრელო იაზონ! განა დავიჯერო, შენ ასე მალე დაგავიწყდა ჩემს წინაშე დადებული ფიცი? ნუთუ ასე ნაღვ დაივიწყე, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩემის დახმარებით შესძელი ოქროს საწმისის კოლხიდიდან მოტაცება! განა მე პირველმა არა გთხოვე შენს შორეულ სამშობლოში წაგეყვანე და შენც სიხარულით არ მიეგებე ამ ჩემთხოვნას?! ნუთუ დავივიწყდა, ჩემო ძვირფასო იაზონ, რომ უსაზღვრო და გულწრფელ სიყვარულს მეფიცებოდი! განა ასეთი ბოლო მოელოდა იმ ჩვენს ახლადგაფურჩქნელ გულწრფელ სიყვარულს! გვედრები, ჩემო მარადის დაუფიწყარო მეგობარო, ნუ დამტოვებოხლად, ყოვლად უმწეოდ ამ უცხო ქვეყანაში და ნუ ჩაუგდებ ჩემს საბრალო თავს უცხო ქვეყნის მეფეს! ვინ იცის, ეგების უცხო მეფემ სრულიადაც არ გამიკითხოს და ისევ კოლხიდაში დამაბრუნოს! ჩემო საყვარელო მეგობარო, იცოდე, რომ მრისხანე და ყოვლად შეუბრალებელი მეფე აეტესი არ დამინდობს, სამაგიეროს გადამიხდის, სიცოცხლეს მომისპობს!“

ელინთა გმირების სახელოვანი წინამძღოლი მეტად შეაწუხა მედეას მწუხარებით აღსავსე სიტყვებმა.

„ჩემო ძვირფასო მედეა, — სიყვარულის კილოთი მიუალერსა იაზონმა უსაზღვრო მწუხარებაში მყოფ მედეას, — საზავო ხელშეკრულება განზრახ ასე შეეკარით! ადგილობრივი მეფე აეტესის მხარეზე და, უეჭველია, კოლხიდელების მხედრობასა და მის წინამძღოლ აბსტრიტს დახმარებას გაუწევს. იცოდე, რომ ჩვენ ყველანი ამ საბედისწერო ქვეყანაში დავტოვებთ ჩვენს ძელებს, თუ რაიმე საშუალებით შენი ძმა აბსტრიტი არ ჩამოვიშორეთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, სიცოცხლაც კი არ მოვუსპვით! ცხადია, როცა კოლხიდელ მხედრობას მთავარსარდლის ხელმძღვანელობა მოაკლდება, კოლხიდელთა მხედრობის რიგებში, უეჭველია, უთანხმოება ჩამოვარდება და უხელმძღვანელოდ დარჩენილნი ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებას ვერ გაბედვენ! ამრიგად თავს დავაღწევთ დიდ უბედურებას და დაუბრკოლებლივ შეგვეძლება შევუდგეთ ჩვენს გზას. აი, ჩემო საყვარელო მედეა, რატომ დაგვჭირდა საზავო ხელშეკრულებაში შეგვეტანა ის მუხლები, რომელნიც შენ ასე გაშინებენ! იცოდე“

ჩემო ძვირფასო მედეა, რომ საზავო ხელშეკრულებაში ასეთი პირობა მხოლოდ საჩვენებლად, მტრის თვალის ასახვევად შევიტანეთ! მერწმუნე, შენი მარადის ერთგული და კეთილისმყოფელი იაზონი ცუდს არასდროს არ შეგამთხვევს! პირიქით, შენი მოსიყვარულე და მგრძობიარე გულის მესაიდუმლე იაზონი მუდამეამს შენზე ზრუნავს და მომავალშიაც იზრუნებს! მხოლოდ, ჩვენო ძვირფასო მოამაგევ, ამ მძიმე მდგომარეობაში შენის მხრითაც კიდევ დახმარებას არ მოგვაკლებ, ღრმად დარწმუნებული ვარ, მიზანს სავესებით მივალწვევთ და ყველანი ერთად მშვიდობიანად დავბრუნდებით შორეულ ელადში*.

მცირედი ყოყმანის შემდეგ მედეამ ელინთა ძლევამოსილ გმირს უპასუხა: „ჩემო ძვირფასო და გონებიდან მარადის განუყრელო იაზონი! ამიერიდან ჩემი კოლხიდაში დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია! იცი, რა უნდა გითხრა? კოლხიდელებთან შებრძოლებას დრომდის მოერიდეთ! ვფიქრობ ჩემი ძმა აბსტრიტი მოვიწვიო საიდუმლოდ ჩემთან მოსალაპარაკებლად. თუ ეს მოეახერხე და ამ მხრით შენც დამეხმარები, ყველაფერი კეთილად მოეწყობა. შენ შეგიძლია სადმე ახლოს ჩასაფრდე, ამ მოხერხებული შემთხვევით ისარგებლო და აბსტრიტს ისე გაუსწორდე, როგორც საჭიროდ დაინახავ!“

ელინთა გმირებმა იაზონის რჩევით აბსტრიტს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნეს და თავისი ღრმა პატივისცემა დაუდასტურეს.

მედეამ სწორედ ამ დროს ძმასთან საიდუმლოდ გაგზავნა შიკრიკი და აბსტრიტს სთხოვდა არტემიდეს კუნძულზე ფარულად მოსულიყო, რომ საიდუმლოდ მოელაპარაკათ და ოქროს საწმისის კოლხიდაში დასაბრუნებლად საჭირო ღონისძიებანი დაესახათ.

სალამოს ჟამს, როცა ზღვა ღამის წყვილიდმა მოიკვა, აბსტრიტი რამდენიმე მამაცი მეომრის თანხლებით არტემიდეს კუნძულის ნაპირებს გემით მიაღდა და დასთან საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად ქალღმერთის არტემიდეს სამლოცველოსაკენ მარტოდმარტო გაემგზავრა.

სწორედ იმ დროს, როცა აბსტრიტი და გრძნეული მედეა საიდუმლოდ თათბირობდნენ, სამლოცველოში ხმალამოლებული შეიქრა ძლევამოსილი იაზონი და აბსტრიტს გულმკერდი სასიკვდილოდ გაუგმირა.

არგონავტები დაუყოვნებლივ შემოფრტყნენ კოლხიდელებს, რომლებმაც აბსტრიტი კუნძულის ნაპირებამდის მიაცილეს, და ყველანი ერთიანად ამოწყვიტეს.

აბსტრაქტის ვერაგულმა მკვლელობამ დიდად განარისხა შურის-
მაძიებელი ქალღმერთები.

პელეასის რჩევით არგონავტებმა დაუყოვნებლივ ჩამოხსნეს
თოკები გემის ანძებს, ხელში მძლავრად მოიმარჯვეს ხოფები და
სასწრაფოდ გაშორდნენ ქალღმერთის არტემიდეს საბედისწერო კუნ-
ძულის ნაპირებს.

როგორც კი გაიგეს კუნძულზე დატრიალებული უბედურების
ამბავი, კოლხიდელები დაუყოვნებლივ დაედევნენ არგონავტების
სწრაფმავალ გემს და, უმეკველია, კიდევაც გზას მოუჭრიდნენ, რომ
ქალღმერთს ჰერას გამანადგურებელი ქუხილი არ მოეველინა და
კოლხიდელების სწრაფმავალი გემები გზაში არ შეეჩერებინა.

ამრიგად, ყოვლად შემძლებელი ოლიმპოს მბრძანებელის ზევ-
სის მეუღლის ქალღმერთის ჰერას დახმარებით, უშიშრად განაგრ-
ძეს გზა შორეული ელადის ნაპირებისაკენ.

კოლხიდელებმა მრისხანე მეფე აეტესის შიშით სამშობლოში
დაბრუნება ვერ გაბედეს და არტემიდეს კუნძულზე დარჩნენ სამუ-
დამოდ.

არგონავტების სწრაფმავალი გემი სხვადასხვა ქვეყნებსა და
კუნძულებს ელვის სისწრაფით უქცევდა გვერდს და დლითიღვე
უახლოვდებოდა ელადის საუცხოო ნაპირებს.

გემის ბაქანიდან უკვე გარკვევით მოჩანდა მშვენიერი ელადის
საუცხოოდ ამწვანებული მთის კალთები.

არგონავტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სიხარულით
ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ და სამშობლოში ასე ბედნიერად
დაბრუნებას მხურვალედ ულოცავდნენ.

სამწუხაროდ, არგონავტების ამ სასიხარულო ზეიმმა დიდხანს
არ გასტანა.

ქალღმერთმა ჰერამ, ყოვლად შემძლებელი თავისი მეუღლე ზევ-
სი რომ არ გაენაწყინებინა, მოგზაურებს ერთბაშად მოუველინა სა-
შინელი ქარიშხალი და სამშობლოს დანახვით გამოწვეული გულ-
წრფელი სიხარული განუსაზღვრელი მწუხარებით შეუცვალა.

ზღვა აბობოქრდა. ტალღები ტალღებს მრისხანედ ეხეთქე-
ბოდნენ. აბობოქრებული ზვირთები გემს ყოველ წუთს დალუპავს
ემუქრებოდნენ. ზღვა შფოთავდა და დელავდა. გააფთრებულმა ტალ-
ღებმა არგონავტების სწრაფმავალი გემი ელეხირის უდაბნო კუნ-
ძულის ნაპირზე გარიყა.

დალლილ-დაქანცულ მგზავრებს გემზე მეტად საგულისხმეო
დახილი შემცესმათ: „ყოვლად შემძლებელი ოლიმპოს მბრძანებელი

ზღვის იმ დრომდის არ შესწავლეს თავის მრავალხანებს, სანამ მეფე აეტესი და გრძნეული ქალღმერთი კირკე აბსრიტის მუხანათურ მკვლევლობას არ გაპატიცებენ და ამ მძივე დანაწაულისაგან საგებით არ გაგწმენდენ.

ამ წინასწარმეტყველებამ არგონავტები დიდად შეაშინა. ყველანი დუმლით შესცქეროდნენ ერთმანეთს და განუსაზღვრელ სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ.

როცა მოგზაურები ცოტათი დამშვიდდნენ და გულიდან კაემანი გადაეყარათ, პოლუქსმა და კასტორმა მოკრძალებით აღაპყრეს ზეცას ხელები და ყოვლად შემძლებელ ღმერთებს დახმარება შესთხოვეს.

ნიზნად ოლიმპოს მბრძანებლის წყალობისა, ზღვის თვალუწვდენელ სივრცეზე კეთილისმყოფელმა ნიაემა საანურად დაბერა.

არგონავტებმა მოიმაჯვეს ხოფები, სწრაფმავალი გემი მზიარულად შეატურეს ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში და ელვის სისწრაფით გაეწურნენ წორეული ელადის თვალწარჩაცი ნაპირებისაკენ.

არგონავტების სწრაფმავალი გემი დიდხანს გამალებით უქცევდა გვერდს უცხო ტომებით დასახლებულ ქვეყნებს და დაბოლოს ერთბაშად შეჩერდა გრძნეული ქალღმერთის კირკეს საუცხოო კუნძულის ნავსადგურში.

იაზონმა ამხანაგები ზღვის ნაპირას დატოვა და თვითონ კი მშვენიერი მედეას თანხლებით გრძნეული ქალღმერთის კირკეს სასახლისაკენ გაემართა.

იაზონი და მედეა მოკრძალებით შევიდნენ სასახლეში და დარბაზის შუა ადგილას გამართული კერის მახლობლად გაჩერდნენ.

ელინთა გმირების წინამძღოლმა თავისი ბასრი ხმალი წვერით მიწაში ჩააგო და მუხლმოყრილი მიწას თვალღოუშორებლივ მწუხარედ ჩასცქეროდა.

მედეამ გულზე ხელები ჯვარედინად ჩამოიწყო და შეწუხებული გამომეტყველებით თავდახრილი იცრემლებოდა.

გრძნეული კირკე, როგორც კი იაზონსა და მედეას თვალი მოჰკრა, ნაშინვე მიხვდა, უცხოელებმა, უეჭველია, რაიმე დიდი დანაშაული ჩაიდინეს და პატიების სათხოვრად მოსულანო.

ღმერთების მამამთავარი ყოვლად წმინდებელი ზევსი ყოველთვის დიდ მფარველობას უწევდა მძიმე დანაშაულის ჩამდენთ, თუ თავის დანაშაულს აღიარებდნენ და გულწრფელად შეინანიებდნენ.

კირკემ ყველაფერი ეს კარგად იცოდა და რომ ყოვლად მოწყალე ოლიმპოს მბრძანებელი არ გაენაწყენებინა, გადაწყვიტა შეესრულებინა ასეთი შემთხვევისათვის ღმერთებისაგან დადგენილი სამღვთო წესები.

გრძნეულმა ქალღმერთმა დაუყოვნებლივ დაკლა ცოდვებისაგან გამწმენდელ ზევსისათვის შესაწირავად შავი ძაღლი და კერაში დანთებულ ცეცხლში დაწვა სამღვთო ხმიადი, რომ ამით დაემშვიდებინა განრისხებული ქალღმერთები ერინიები და ყოვლად მოწყალე ზევსს უცხოელებისათვის დანაშაული ეპატიებინა.

ამ სამღვთო წესების შესრულების შემდეგ გრძნეულმა კირკემ დაწვრილებით გამოჰკითხა უცხოელებს, როდის და რა პირობებში ჩაიდინეს ის მძიმე დანაშაული, რომლის პატიებას ამჟამად ითხოვდნენ.

იაზონმა და მედეამ ყველაფერი გულახდილად უამბეს გრძნეულ კირკეს.

ამ გულწრფელი განცხადებით კმაყოფილმა ქალღმერთმა მედეას მიმართა შემდეგი გამაფრთხილებელი სიტყვებით: „ჩემო მახლობლო ნათესავო, მედეა! რადგან შენ პატიების სათხოვრად მოსულხარ, იცოდე, ამიერიდან ცუდს არას შეგამთხვევ! მაგრამ ისიც კარგად უნდა იცოდე, რომ დახმარებასაც არ გაგიწევ! ჩემო ნათესავო მედეა, გირჩევ დაუყოვნებლივ გაჰყვე ამ უცხოელს, როგორც ადამიანიც არ უნდა იყოს ეს, და შენი მომავალი ბედი ამ ადამიანის ბედს მკიდროდ დაუკავშირო“.

გრძნეული კირკეს ამ სიტყვებზე მედეამ პირისახეზე თეთრი მანდილი ჩამოიფარა და მეტის სიხარულისაგან მწარე ქვითინი მორთო.

იაზონი და მედეა დიდის მოკრძალებით გამოესალმნენ გრძნეულ ქალღმერთს კირკეს და სახახლიდან მორიდებით გამოვიდნენ.

ოლიმპოს მბრძანებლის მეუღლეს, ყოვლად მოწყალე ქალღმერთს ჰერას, შეებრაღა უცხო მხარეს გადმოხვეწილი მედეა და იაზონი და თავისი მოამბის პირით სთხოვა ქალღმერთ ფეტიდას უცხოელებისათვის ხელი მოემართა შორეულ ელადაში დაბრუნების დროს.

ქალღმერთის ჰერას თხოვნამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მართლაც, სულ მოკლე ხანში ზღვაზე საამურმა ნიავემა დაბერა. ელინთა ძლევა მოსილმა გმირებმა მოიმარჯვეს ხოფები, იალქნები მოხდენილად ააფრიალეს და შორეულ ნაპირას მღვბარე სირინოზების კუნ-

ქულის მიმართულებით მხიარულად შეაკურეს სწრაფმავალი გემი თვალუწვდენელ სივრცეში.

სირინოზების საუცხოო სიმღერა მოგზაურებს ყურში ტკბილად ეწვეთებოდა და გულში ღრმად სწვდებოდა.

ამ საუცხოო სიმღერით დატყვევებული ელინთა გმირები ის იყო კუნძულის ნაპირზე უნდა გადმოსულიყვნენ, რომ დიდად დახელოვნებულ მომღერალს ორფევის თავისი ღვთაებრივი ჩანგი ტკბილად არ აეუღერებინა და თავისი მომხიბლავი ხმით სირინოზების საუცხოო სიმღერა მთლად არ დაეხშო.

ამრიგად არგონავტებმა დიდის გაქირვებით დააღწიეს თავი ამ საბედისწერო კუნძულს, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი საფრთხე მოელოდათ გზაში.

ელინთა სახელოვანმა მოგზაურებმა მცირე ხნის განმავლობაში მიაღწიეს იმ სრუტეს, სადაც საშინელი სცილა და ქარიბდა ზღვაში მოგზაურებს გულში იხვევდნენ და სიცოცხლეს ასალმებდნენ.

ელინთა გმირები აუცილებლად დაილუპებოდნენ, რომ ყოვლად მოწყალე ქალღმერთის ჰერას ბრძანებით ზღვის ნიმფებს არგონავტების სწრაფმავალი გემი ამ საბედისწერო სრუტეში უვნებლად არ გაეტარებინათ.

სიხარულით აღესიღმა არგონავტებმა ყოვლად მოწყალე ქალღმერთს ჰერას მხურვალე მადლობა შესწირეს და თავისი სწრაფმავალი გემი სულ მოკლე ხარში ფეაკელების სახელმწიფოს ნაპირებს უშიშრად მიაყენეს.

ფეაკელების მეფე ალკინოესა და მის მეუღლეს დედოფალ არეტას თავისი გულკეთილობითა და კანონიერებით დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი მთელ სახელმწიფოში.

სახელმწიფოს მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ თავის გულკეთილ და სამართლიან მეფესა და დედოფალს.

სწორედ იმ დროს, როცა არგონავტები ნავსადგურიდან ზღვის ნაპირას ამოდიოდნენ, კოლხიდელებმა სრულიად მოულოდნელად შემოაკურეს იმავე ნავსადგურში თავისი სწრაფმავალი გემები.

კოლხიდელთა ძლევა მოსილი მხედრობა დაქინებით მოითხოვდა არგონავტებს ოქროს საწმისი ნებაყოფლობით დაეთმოთ და მშვენიერი მედეა დაუყოვნებლივ კოლხიდაში დაებრუნებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად ომს გამოუცხადებდნენ.

მედეას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ეს თავზარდამცემი ამბავი გაიგო. საბრალო დაუყოვნებლივ მეფე ალკინოეს

სასახლეში მიიპრა და გულკეთილ დედოფალს არეტას დახმარებდა სთხოვა ამ მძიმე წდგომარეობის შესამსუბუქებლად.

გულკეთილმა არეტამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო შექმნილი მდგომარეობიდან არგონავტების გაწოსახსნელად და თავის მხრით მეფე ალკინოეს სთხოვა სტუმრად მოსული ელინთა გმირები და მეფე აეტქისის ასული, მშვენიერი მედეა, მოსალოდნელი უბედურებისაგან გამოეხსნა.

ნეფე ალკინოემ დედოფალს მოახსენა: „ჩემო ძვირფასო და მარადის გულკეთილო არეტა! დიდის სიამოვნებით შევასრულებდი შენს თხოვნას და კოლხიდელებს ჩემი სახელმწიფოდან განვდევნიდი, რომ ღმერთებისაგან დადგენილი სტუმართმოყვარეობის წესების დარღვევა არ მათეკრებდეს. ვშიწობ, ღმერთების მამამთავარი ზევსი არ გავანაწყენო, რომ ჯცხოელებს უმართებულოდ მოვექცე და ამრიგად დავარღვიო ოლიმპოს მბრძანებლის მიერ დადგენილი სტუმართმოყვარეობის კანონები. მეფე აეტქისის ასული, მშვენიერი მედეა, და ელინთა სახელოვანი გმირი, რამდენადაც გამიგია, ჯერ კიდევ კანონიერად შეუღლებულნი არ არიან. ამიტომ, ჩემის შეხედულებით, მედეა თავის მშობელ მამას, მეფე აეტქსს უნდა დაუბრუნდეს კოლხიდაში. მაგრამ თუ მედეა იაზონს კანონიერად შეუღლებდა, იგი სამუდამოდ იაზონთან უნდა დარჩეს და მისი კოლხიდაში დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია!“.

გულკეთილმა არეტამ დაუყოვნებლივ აფრინა კარისკაცი და ელინთა წინამძღოლს იაზონს შეუთვალა მედეას კანონიერად შეუღლებოდა და ამრიგად როგორც მედეა, ისე ელინთა მთელი მხედრობა მოსალოდნელი უბედურებისაგან გადაერჩინა.

იაზონმა ეს ამბავი თავის ამხანაგებს შეატყობინა.

ელინთა საუკეთესო გმირებმა მოიწონეს დედოფალი არეტას ბრძნული რჩევა და იმავე დღეს გააჩაღეს ბრწყინვალე ქორწილი რომელზედაც ორფევის ჩანგის სიმთა ჟღერა და მომღერლის საუცხოო ხმა მსმენელების ყურთასმენას ატკბობდა და ერთიანად ხიბლავდა.

არგონავტების მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ ძღვევამოსილი იაზონისა და მშვენიერი მედეას ბედნიერებას და გულმხურვალედ ულოცავდნენ ამ ღირსშესანიშნავ ბრწყინვალე დღეს.

მეფე ალკინოემ, როცა გაიგო იაზონისა და მედეას შეუღლება, გადაწყვიტა მედეა იაზონისათვის არ დაეშორებინა:

კოლხიდელებს არ მოეწონათ მეფე ალკინოეს გადაწყვეტილება და ისევ დაჟინებით მოითხოვდნენ მეფეს მშვენიერი მედეა კოლხიდაში დაებრუნებინა და არგონავტები სასტიკად დაესაჯა.

მეფე ალკინოე დიდად შეაშფოთა კოლხიდელების უმართებულო მოთხოვნამ. უსაზღვროდ განრისხებულმა მეფემ გადაქრით უარყო კოლხიდელების კანდიერი მოთხოვნა.

კოლხიდელების ასალაგმავად მეფე ალკინოემ სასტიკი ბრძანება გამოსცა: „უცხო სახელმწიფოში იოსულმა სტუმრებმა სრული მშვიდობიანობა და წესრიგი უნდა დაიცვან. თუ კოლხიდელებს არ ჰსურთ დაემორჩილონ საუკუნოებით განმტკიცებულ ამ საერთაშორისო ჩვეულებებს, ფეაკელების სახელმწიფოს საზღვრები დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალდატანებით იქნებიან განდევნილი“.

მეფის ასეთმა სასტიკმა ბრძანებამ მეტად შეაშინა კოლხიდელები, მაგრამ რადგან მეფე აეტესის შიშით კოლხიდაში დაბრუნებას ვერ ჰბედავდნენ, ისევ ფეაკელების მიწაწყალზე დარჩენა ამჯობინეს და ამ მიზნით მეფე ალკინოესთან მოლაპარაკებაც კი გამართეს.

არგონავტებმა მეფე ალკინოესა და დედოფალ არეტას დახმარებისათვის დიდი მადლობა შესწირეს, გულთბილად გამოეთხოვენ ფეაკელების ადგილობრივ მოსახლეობას და მხიარულად შეაცურეს სწრაფმავალი გემი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში.

ელინთა ძლევამოსილი გმირები ცხრა თვის განმავლობაში თავდადებულად ებრძოდნენ ზღვის ამობოქრებულ ტალღებს, ბოლოს დიდის გაკირვებით მიაღწიეს აფრიკის სანაპიროებს და გემი გააჩერეს ერთერთ მივარდნილ ნავსადგურში.

არგონავტები დილაადრიან, სანამ მზის სხივები დედამიწას მოეფინებოდა, ზღვის ნაპირას გადმოვიდნენ.

მოგზაურების განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თვალუწვდენელ სივრცეზე გაშლილი უზარმაზარი უდაბნო დაინახეს. სამწუხარო სანახაობას წარმოადგენდა ქვეყნიერების ეს მივარდნილი ადგილი.

მთელ უდაბნოს აღმურა ასდიოდა. არსად სიცოცხლის ნიშნები არ ჩანდა. დედამიწის გული აუტანელ გოლვას დაელარა, და გზის გაკვლევას ადამიანი ძლივსლა ახერხებდა.

საბრალო უცხოელები უგზოუკვლოდ დაძრწოდნენ ამ გადამბუჯულ ადგილებში და ყოველ წუთს დაღუპვის მოლოდინში უზომოდ იტანჯებოდნენ.

ერთ დღეს იაზონი და მისი ამხანაგები ზღვის ნაპირას იწვნენ და მწუხარედ გასცქეროდნენ ზღვის თვალუწვდენელ სივრცეს.

უეცერივ ძლევამოსილ იაზონს მიუახლოვდნენ ამ ქვეყნის მფლობელი ქალღმერთები, ჩამოიხადეს პირბადე და ასეთი სიტყვებით მიმართეს ელინთა გმირების წინამძღოლს: „დიდებულო იაზონ! მართალია, მრავალი უსიამოვნება და გაჭირვება გამოიარე ამ საბედისწერო მოგზაურობის დროს, მაგრამ გულს ხუ გაიტეხ, ნუ შეგეშინდება! როცა ზღვის ქალღმერთი პოსეიდონ ღმერთის ეტლიდან ცხენებს გაშობსნის, შენ და შენმა ამხანაგებმა მადლობა შესწირეთ დედას, რომელმაც ასე დიდხანს მუცლით გატარათ; თუ დედას ისე მოეპყრობით, როგორც ის თქვენ გეპყრობოდათ, სამშობლოში ყველანი უკლებლივ დაბრუნდებით“.

ამ სიტყვებთან ერთად ქალღმერთები სადღაც გაქრნენ.

არგონავტებს ვერ გამოერკვიათ ქალღმერთების წინასწარმეტყველება და განცვიფრებულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ.

ამ დროს ზღვის აბობოქრებული ტალღებიდან ამოცურდა ოქროსფაფრიანი ბედაური, რომელიც ჭიხვინითა და ტორების ცემით შემოიჭრა ზღვის ნაპირას და ქენებით გაეკრა უდაბნოს ერთიანად გადაბუგულ ფართობზე.

პელეასმა, როგორც კი თვალი მოჰკრა ზღვის ნაპირას შემოჭრილ ოქროსფაფრიან ბედაურს, სიხარულით შეჰყვირა: „აი, ქალღმერთების წინასწარმეტყველება კიდევაც შესრულდა! შემძლია დანამდვილებით გახაროთ, ეს ის ბედაურია, რომელიც ზღვის ქალღმერთმა პოსეიდონ ღმერთის ეტლიდან გამოხსნა! დედა, რომელმაც ჩვენ მუცლით გვატარა, ეს ჩვენი სწრაფმაჟალი გემია! ჩვენც იმრიგად უნდ მოვეპყრათ ამ გემს, როგორც თვით ეს გემი ჩვენ გვეპყრობოდა: ჩვენ უნდა გავყვებ ბედაურის ნაკვალევს და ჩვენი საკუთარი ზურგით უნდა გადავზიდოთ დედის მსგავსად ნაამაგდარი გემის ნაწილები ზღვის უფრო დასამხარ ადგილას! ქალღმერთების წინასწარმეტყველების სხვანაირად გაგება შეუძლებელია!“

არგონავტებმა მოიწონეს პელეასის ახსნა-განმარტება და ყველანი დაუყოვნებლივ შეუდგნენ გემის ნაწილ-ნაწილად დაშლის თადარიგს.

თორმეტი დღის განმავლობაში ელინთა გმირები შეუსვენებლივ ეზიდებოდნენ უზარმაზარი გემის დაშლილ ნაწილებს თვალუწვდენელი უდაბნოს სიციხისაგან პირდაპირად ადგილებში და ყოვლად მოწყალე ქალღმერთი ჰერა რომ არ დაჰხმარებოდათ, თავის ძვლებს ყველანი აუცილებლად ამ საშინელ უდაბნოში დატოვებდნენ.

დალილი-დაქანცულმა გმირებმა დიდის გაჭირვებით გადალახეს სიცხით გადაბუჯული უდაბნო ადგილები და ტრიტონის ზღვის ყურეში ნაპირზე გამართული გემი წყალში ჩაუშვეს.

ელინთა თავდადებული გმირები, სანამ შორეული სამშობლოსაკენ იალქნებს ააფრიალებდნენ, აუტანელი სიცხისაგან დასებულთ რომ გული წყლით გაეგრილებინათ, ზღვის ნაპირა ადგილებში წყაროს საძებნელად გამოვიდნენ.

უდაბნოს დიდი ნაწილი საშინელი გაჭირვებით შემოიარეს, მაგრამ წყლის ნაკვალევიც ვერსად იპოვეს.

უეტრივ ელინთა გმირებს მიუახლოვდა ჰესპერიდების ბაღში მცხოვრები ქალი, სახელად ჰელე, რომელმაც მოგზაურებს ამ სიტყვებით მიმართა: „უცხოელო მოგზაურებო! კარგად ვხედავ, რომ თქვენ წყურვილის მოსაკლავად ამ სიცხით გადაბუჯულ უდაბნოში წყაროს დაეძებთ! ყური დამიგდეთ, აი რა უნდა გითხრათ: ამ უდაბნო მხარეში ჩამოიარა ერთმა მამაცმა გმირმა, რომელმაც მოჰკლა ჩვენი ბალის ფხიზელი მცველი ლადანი და ჩვენი ბალიდან გაიტაცა ოქროს ვაშლები.

გმირის ცეცხლივით ანთებული თვალები, ფართოდ გაშლილ მხრებზე წამოფარებული ლომის საუცხოო ტყავი, ხელებში მძლავრად მომავგრებული უზარმაზარი ხის კომბალი და შორსსატყორცნი შშვილდ-ისარი ყველას შიშის ზარს ჰგვრიდა.

ეს დიდებული გმირიც ამ სიცხით გადამწვარ ქვეყანაში წყალს დაეძებდა, წყურვილი რომ მოეკლა, მაგრამ აბა სად იპოვინდა!

დიდებულმა გმირმა დაჰკრა თავისი უზარმაზარი კომბალი კლდეს და გამოკვეთა საუცხოო წყარო, საიდანაც მარგალიტებრ გადმოჩუხჩუხებდა ანკარა ცივი წყალი.

თუ გამოძევებით, ახლავე გაჩვენებთ ამ საუცხოო წყაროს.“

ელინთა გმირები დიდის აღფრთოვანებით გაჰყვნენ ჰელეს იმ კლდისაკენ, რომელშიაც უცნობმა გმირმა ასე საუცხოო წყარო აღმოკვეთა.

უცხოელი მოგზაურები ხაზად დაეწათნენ ანკარა ცივ წყალს და დიდი ხნის მწვავე წყურვილი მოიკლეს.

„უეტველია, ის სახელოვანი გმირი, რომელმაც ეს საუცხოო წყარო კლდეში გამოკვეთა, — უენიშნა ერთერთმა ელინთა გმირმა, — ძლევა მოსილი ჰერკულესი იყო! ქეშვარიტად, თუმცა დიდი ხანია, რაც ჰერკულესი ჩამოგვშორდა, მაინც არ გვივიწყებს და ჩვენგან შორს მყოფი ისევ ჩვენზე ზრუნავს და გაჭირვების დროს გვაპატრონობს!“

არგონავტები მზიარულად დაბრუნდნენ ზღვის ნაპირას და გემი გაამზადეს, რომ სასწრაფოდ დაეტოვებინათ ეს საბედისწერო ადგილი.

ელინთა დახელოვნებულმა მეხოფეებმა მძლავრად აამოძრავეს ხოფები, მაგრამ ტალღები ზღვის ვიწრო ყურეში ისე ბობოქრობდნენ, რომ სწრაფმავალი გემი ერთსა და იმავე ადგილას ჯარასავით ტრიალებდა და ზღვაში გასასვლელ გზას ვერ პოულობდა.

ორფევის რჩევით არგონავტები ისევ საბედისწერო უდაბნოს ნაპირებზე გადმოვიდნენ და ამ ქვეყნის ღმერთებს შესაწყნარებელ მსხვერპლად რკინის საუცხოო სამფეხი შესწირეს.

ძღვეამოსილმა გმირებმა მსხვერპლის შეწირვა ძლივს მთასწორეს, რომ ზღვის ნაპირას უეცრივ ამოვიდა ზღვის ღმერთი ტრიტონი და არგონავტებს შემდეგი გამამხნეველი სიტყვებით მიმართა: „პოსეიდონ ღმერთმა მე ამ ქვეყნის მბრძანებლად დამნიშნა. გულწრფელ მადლობას გიძღვნით მსხვერპლის შეწირვისათვის. სამაგიეროდ დახმარებას აღმოგიჩენთ. დაუყოვნებლივ შეაცურეთ გემი იმ ადგილისაკენ, სადაც ზღვის ტალღები ერთმანეთს შავად ეხლებიან. აი, სწორედ ამ ადგილას დაინახავთ ზღვის ყურედან უშიშარ გასავალ გზას, გაბედულად შეაცურეთ ზღვის გაშლილ სივრცეში თქვენი სწრაფმავალი გემი და დარწმუნებული იყავით, რომ მგზავრობის დროს არ მოგაკლებთ კეთილისმყოფელ ქარს!“

ამ სიტყვებთან ერთად ტრიტონი გულთბილად გამოესალმა ელინთა გმირებს და მშვიდობის მგზავრობა უსურვა.

არგონავტებმა მოიმარჯვეს ხოფები და, ზღვის ღმერთის ტრიტონის დარიგების თანახმად, გაბედულად შეაცურეს გემი იმ ადგილისაკენ, სადაც ტალღები შავად ბობოქრობდნენ.

სწრაფმავალი გემი უვნებლად გასცდა საბედისწერო გასავალს და, გაშლილი ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში ელვის სისწრაფით მიაქროლებდა ელინთა თავდადებულ გმირებს შორეული ელადისაკენ.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ არგონავტებმა თავისი სწრაფმავალი გემი კუნძულ კრეტას ნავსადგურში შეაცურეს.

კუნძულ კრეტას იმ ხანად განაგებდა ყოვლად შემძლებელი ზევსის მიერ დანიშნული გიგანტი ტალი, რომლის უზარმაზარი ტანი და სპილენძის მალალი ფეხები ყველას შიშის ზარს ჰგვრიდა.

გიგანტის ძღვეამოსილება მთელს კუნძულზე განთქმული იყო. უბრალო მოკვდავი გიგანტის წინაშე თრთოდა და მის წინააღმდეგ წასვლას გულშიაც კი ვერ გაივლებდა.

გიგანტის დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ვინმე მისწვდებოდა იმ ერთადერთ ცოცხალ უჯრედს, რომლიც გიგანტს დაფარული ჰქონდა სხეულში სისხლის გამტანი ძარღვები.

ტალმა, როგორც კი დაინახა ზღვაში მომავალი არგონავტები, საშინელის ძლიერებით დაუშინა გემს კლდის უზარმაზარი ლოდები და ჯოჯოხეთის გენია დაატრიალა ელინთა გმირებს შორის.

შეშინებული არგონავტები ის იყო ზღვის ნაპირას უკანვე უნდა დაბრუნებულყვნენ, რომ მედეას მეხოფეები არ შეეჩერებინა.

„ძღვევამოსილო გმირებო!—მხნელ შეჰყვირა მედეამ: გემი ზღვის სივრცეში იმსიშორეზე დაიჭირეთ, რომ მძლავრად ნატყორცნი ლოდები არა სწვდებოდეს! მე ახლავე მოვუღებ ბოლოს კუნძულის მბრძანებლის თავხედობას!“

მედეამ გრძნეული ქალღმერთების პარკების დახმარებით დაუყოვნებლივ აამუშავა თავისი გრძნეული ხელოვნება და კუნძულის ზარისდამცემი გიგანტი ერთბაშად მოაჯადოვა.

ტალი მთელი თავისი სიმძიმით მოსწყდა მაღალი მთის მწვერვალიდან და სხეულის ცოცხალი უჯრედი სადგისივით წვეტიან კლდის ქიმს მძლავრად დაჰკრა. დაქრილი უჯრედის ქსოვილებიდან სისხლის შადრევანმა ამოხეთქა.

საშინელი ტკივილებისაგან გონებადაკარგულმა ტალმა თვალეზი გაახილა და ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, გიგანტს ძველებური ძალა არ შესწევდა. სიმწარისაგან გააფთრებული ტალი ერთი მძლავრად შეტორტმანდა და ზღვის უფსკრული-საკენ გრიალით მოსწყდა მთის მაღალ მწვერვალზე მოხეთქილ კლდესავით.

არგონავტებმა ახლა-კი უშიშრად შეაკურეს გემი ნავსადგურში და რამდენიმე დღე კუნძულზე დარჩნენ დასასვენებლად.

როცა ელინთა გმირებმა საკმარისად დაისვენეს და საჭირო ძალღონე მოიკრიბეს, გემი დაუყოვნებლივ ზღვის სივრცეში შეაკურეს მხიარულად და ელადის მიმართულებით ტალღებს ტალღებზე აგორებდნენ.

უეტრივ ზღვაზე კუნაპეტივით შავი ღამე ჩამოწვა. მთვარესა და ვარსკვლავებს შავი სუდარი ჩამოეთფარა. ყველაფერი საშინელმა წყვდიადმა მოიცვა.

ზარდაცემული მოგზაურები ერთმანეთს აწყდებოდნენ და შიშისაგან ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდნენ.

ელინთა გმირების სახელოვანმა წინამძღოლმა ცისაკენ აღაპყრო ხელები და აპოლონ ღმერთს მხურვალედ შეევედრა არგონავტებისათვის დახმარება აღმოეჩინა.

აპოლონ ღმერთმა შეისმინა ელინთა გმირების წინამძღოლის მხურვალე ვედრება და დაუყოვნებლივ ჩამოეშვა ოლიმპოს მწვერვალიდან ელინთა გმირების მისაშველებლად.

ყოვლად მოწყალე აპოლონ ღმერთმა თავისი ოქროს ისრით გააშუქა ზღვის თვალუწვდენელი სივრცე და ამრიგად გაუკვლია არგონავტებს საიმედო გზა შორეული ელადისაკენ.

დილაადრიან, სანამ მზის სხივები დედამიწას მოეფინებოდა, სიხარულით აღტაცებულმა არგონავტებმა, კუნძულ ეგინის ნაპირებზე მცირედი, დახანების შემდეგ, თავისი სწრაფმავალი გემი მხიარულად შეაჯერეს იოლიის ნავსადგურში.

ელინთა გმირების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავისი საყვარელი სამშობლოს საუცხოო მიწაწყალი დაინახეს. ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ და სიხარულის ცრემლებს აფრქვევდნენ.

ძლევა მოსილმა იაზონმა თავისი სწრაფმავალი გემი „არგო“ რომელმაც უცხო ქვეყნებში მოგზაურობის დროს ესოდენი სამსახური გაუწია, აპოლონ ღმერთს შესწირა, ხოლო ოქროს საწმისი კი თავის ბიძას მეფე პელეასს გადასცა.

უკვე ღრმად მოხუცებული ეზონი დიდის აღტაცებით შეხვდა თავის რძალს—მედეას.

ახლო ნათესაეები და მეგობრები ულოცავდნენ ეზონს ძლევა-მოსილი იაზონის მშვიდობიანად დაბრუნებას და მედეაზე დაქორწინებას.

მშვენიერი მედეა დატრიალდა ოჯახში და მთელი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით გულწრფელად ცდილობდა ქმრისა და მამამთილისათვის ლამაზი ცხოვრება შეექმნა.

მედემამ მთელი გულისყური მოხუც ეზონს მიაპყრო და მისაგასაჯანმრთლებლად თავისი სასწაულმოქმედი ხელოვნება სავესებიტ გამოიყენა.

გრძნეულმა პატარძალმა საკუთრნალო ბალახები მოხარშა სპილენძის დიდ ქვაბში და მოხუცი მამამთილი ცხელი აბაზანების მისაღებად ქვაბში ჩააწვინა.

ქვაბში ჩაწოლილი ეზონი ერთიანად გამოიცვალა. მის დანაოქებულ პირისახეს ახალგაზრდობის ელფერი დაედვა. პირის ღრუ

თეთრი და მაგარი კბილებით მოექცა, ქალარა თმა და წვერულ-
ვაში წაბლისფრად შეეღება.

ეზონი სიცოცხლითა და ჯანმრთელობით აღსაესე ამოვიდა
აბაზანიდან და მთელი სიცოცხლის განმავლობაში საჯაროდ აქებდა
და აღიღებდა სასწაულმოქმედ მშვენიერ მედეას.

მეფე პელეასმა, კ მოისურვა ახალგაზრდობის დაბრუნება და ამ
მიზნით მედეას დახმარება სთხოვა.

გრძნეულმა მედეამ, ვერაგი მეფე რომ ღირსეულად დაესაჯა,
თვალთმაქცურად გაცხელებულ წყლით სავსე ქვაბში უბრალო ბა-
ლახები ჩაყარა და ვერაგ მეფეს სთხოვა ქვაბში საბანებლად ჩამ-
ჯდარიყო.

შურისძიებით გატაცებული მედეა გულმოდგინედ უკეთებდა
ქვაბს ცეცხლს.

ვერაგი მეფის დასუსტებულმა გულმა ვერ აიტანა აღუღებული
წყლის სიცხოველე და პელეასმა ზედმეტად გაცხელებულ აბაზანაში
განუტყვა ბოროტი სული.

მეფე პელეასის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტს კანონით
ეზონი დაეუფლა.

ამრიგად, უშედეგოდ ჩაიარა ძლევაშოსილი იაზონის ცდამ მეფე
პელეასის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტს დაუფლებოდა.

ეზონის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი პელეასის ვა-
ჟიშვილმა აკისტიმ ძალმომრეობით ჩაიგდო ხელში.

ძლევაშოსილი იაზონი და მშვენიერი მედეა იძულებული იყ-
ვნენ სატახტო ქალაქი იოლკი დაეტოვებინათ და კორინთში გადა-
სახლებულიყვნენ საცხოვრებლად.

კორინთში იაზონი და მედეა შედარებით კარგად მოეწყვნენ
და ბედნიერადაც ცხოვრობდნენ. სამ შვილს, რომელნიც მათ კო-
რინთში შეეძინათ, სიხარული შეჰქონდა მშობლების ოჯახში.

მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერს დასასრული აქვს, და აი ია-
ზონისა და მშვენიერი მედეას ბედნიერ ცხოვრებასაც დასასრული
მაცა.

ღრო გადიოდა, და მედეას თანდათანობით აკლდებოდა სი-
ლამაზე. იგი დღითიდღე კარგავდა იაზონის მხრით იმ თბილ თანა-
გრძნობას, რომელიც ასე საჭიროა გულითადი მეგობრებისათვის.

ბოლოს იაზონმა სამუდამოდ აიცრუა გული ოდესღაც მშვე-
ნიერ მედეაზე და თავისი გულის საიდუმლო კუნძულები მეფე კრეო-
ნის ასულს მშვენიერ გლავკას გადაუშალა.

ძლევამოსილმა იაზონმა გადაწყვიტა მედეას განშორებოდა და სიცოცხლით სავსე გლავკას შეუღლებოდა.

მედეას მრისხანებასა და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა იაზონის გადაწყვეტილება შეიტყო. მან მოაგონა თავის ჯერ კიდევ სათაყვანო შეუღლეს ის. სამსახური, რაც მან გაუწია არგონავტებს კოლხიდაში ლაშქრობის დროს, მოაგონა ისიც, რაც სიყვარულით აღზნებულმა იაზონმა აღუთქვა. საბრალო მედეა თვალცრემლიანი ევედრებოდა თავის მეუღლეს საბედისწერო ნაბიჯი არ გადაედგა და უმწეოდ არ დაეტოვებინა ცოლშვილი.

მაგრამ მშვენიერი გლავკას სიყვარულით მოხიბლული იაზონი თავის ვერაგულ ზრახვებს გულში იმარხავდა, საბრალო მედეას კი არწმუნებდა: მართალია, მეფის ასულს კანონიერად უნდა შეეუღლდე, მაგრამ ამ საშუალებით მსურს ჩემი საყვარელი შვილების მღვთმარეობა გვაუზღოვბესო და მომავალში, შესაძლებელია, სამეფო ტახტიც კი დაუემკვიდროო.

მედეას თვალცრემლიანმა ვედრებამ არ გაჭრა. ცბიერი, მოლალატი იაზონი კანონიერად შეუუღლდა მეფე კრეონის ასულს, ახალგაზრდა გლავკას.

მედეას მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავზარდამცემი ამბავი შეიტყო.

სამი შვილის დედა, ქმრისაგან ვერაგულად მოტყუებული საბრალო მედეა ქუჩა-ქუჩა დაძრწოდა და ცხარე ცრემლებით მოთქვამდა: „ყოვლად შემძლებელო ღმერთებო, რატომ მომასწარით ამ სამარცხვინო დღეს! გთხოვთ შემობრალთ და ჩემს წამებას ბოლო მოუღოთ! საბრალო მამაჩემო, რარიგ უსირცხვილოდ, ვერაგულად ჩაგწიხლე და საქვეყნოდ მოგჭერი თავი! ჩემო ძვირფასო ძმაო აბსტირტ, განა შემიძლია ოდესმე ჩემ თავს ვაპატიო, რომ ასე ვერაგულად მოგისპე სიცოცხლე! უმპველია, ყოვლად შემძლებელი ღმერთები სამაგიეროს მიხდიან! დე, აღსრულდეს ღმერთების ბრძანება! უსიტყვოდ, უხმოდ დავემორჩილები ყოვლად შემძლებელი ღმერთების უსასტიკეს განაჩენს! ყოველგვარ დამცირებას. ყოველგვარ შეურაცხყოფას ზოთმინებით ავიტან, მაგრამ იმ შეურაცხყოფას, რომელიც იაზონმა მომაცუნა, ვერასგზით ვერ შევეურიგდები! მატყუარა, სინდისზე ხელალებული იაზონი სასტიკად უნდა დაისაჯოს! დიად, ვერაგი იაზონი, რომელმაც თავისი ოჯახი შეუბრალებლად დაანგრია და შვილები აეე გაიმეტა, თავის ახლადდაქორწინებულ მეუღლესთან ერთად უნდა დაიღუპოს! გრძნეულ მედეას თავისი ფარხმალი ჯერ კიდევ არ დაუყრია! ჩემი სათუთი გრძნობების ასე

უსირცხვილოდ შელახვისათვის ყოველგვარად შევეედები ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება განვახორციელო და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დაემშვიდდები!"

ასე მოთქვამდა საბრალო მედეა და ერთ წუთსაც არ ივიწყებდა იმას, რასაც იგი მოლაღატე იაზონს უმზადებდა.

მეფე კრეონმა, ახლადდაქორწინებულ სიძესა და ქალიშვილს რომ რაიმე ხიფათი არ შემთხვეოდათ, მედეა სასახლეში მიიწვია და გადაჭრით უბრძანა: „გრძნეულო ქალო! შენ და შენმა შვილებმა ჩემი სახელმწიფო დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ! ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი მოსაზრება! შენი და შენი შვილების ჩემს სახელმწიფოში დარჩენა ყოვლად შეუძლებელია! იცოდე, ესაა ჩემი შეურყეველი გადაწყვეტილება და გიბრძანებ კიდევაც შეასრულო!“

მედემამ გულში უხმოდ ჩაიკლა უცეცხლოდ ანთებული მწუხარება და კრეონის თვალების ასახვევად მეფესა დამშვიდებულის კილოთი მოახსენა: „დიდებულო მეფეო! ვფიცავ ყოვლად შემძლებელ ღმერთებს, რომ მე უაჰჰ შევურიგდი ჩემს შავ ბედს! რაც მოხდა, მისი შეცვლა ყოვლად შეუძლებელია! დე, ბედნიერად და სრულის თანხმობით იცხოვრონ ახლადდაქორწინებულებმა! მერწმუნეთ, დიდებულო მეფეო, რომ ჩემს მწუხარებას გულში ჩავიკლავ, ჩემ ბედს უსიტყვოდ დავეპოვრილები და შენის სიძისა და ქალიშვილის წინააღმდეგ გულში ცუდს არააოდეს არ გავივლებ! ამიტომ, ყოვლად მოწყალეო მეფეო, გთხოვ ისევ კორინთში დამტოვო, რომ შვილებს ყური ვუგდო და ღირსეულად აღვზარდო! მაგრამ, დიდებულო მეფეო, თუ ამას შესაძლებლად ვერ დაინახავ რაიმე მოსაზრებით, გთხოვ ერთი დღით ქალაქში დარჩენის უფლება მომცე, რომ წასასვლელად თადარიგი დავიჭირო და საბრალო ჩემს შვილებს სადმე ბინა გავუჩინო!“

მეფე კრეონმა მცირედი ყოყმანის შემდეგ ნება დართო მედეას ერთი დღით კორინთში დარჩენილიყო და ქალაქიდან წასასვლელად დაუყოვნებლივ თადარიგს შესდგომოდა.

მედემამ გადაწყვიტა სასაჩიკად დაესაჯა მოლაღატე იაზონი.

შურისძიებით გაბოროტებულმა მედემამ იმდენი მოახერხა, რომ იაზონი მოტყუებით სახლში მიიწვია.

მედემამ მიუალერსა მოლაღატე ქმარს და თავი ისე მოაჩვენა, თითქო კიდევაც შეურიგდა თავის ბედს.

გრძნეულმა მედემამ დამშვიდებული კილოთი მიმართა იაზონს: „ჩემო მაინც კიდევ საყვარელო იაზონ! ყველაფერი, რაც შენ ჩაიღინე, დარწმუნებული ვარ, ჩვენი შვილების საკეთილდღეოდაა მოწ-

ყობილი! შენ ხომ კარგად იცი, ჩემო ძვირფასო იაზონ, რომ ან ათი წლის წინათ სრულიად უმწეოებმა, ყოველგვარ ნივთიერ სა-შუალებას მოკლებულებმა შემოვაფარეთ თავი ამ უცხო ქვეყანას! ვინ მოთელის, რამდენი მწარე დღე გამოგვივლია, რამდენი უკიდუ-რესი გაჭირვება გამოგვიცდია ამ ხნის ვანმაელობაში! მაგრამ შვი-ლების გულსითვის ყველაფერს დიდის მოთმინებით ვიტანდით! შენ თავს დასტრიალებდი ოჯახს და განსაკუთრებით ჩვენს საყვარელ შვილებს! მწამს, რომ მომავალშიაც არ მოაკლებ მზრუნველობას ჩვენს შვილებს! ღრძად დარწმუნებულნი ვარ, რომ მეფე კრეონთან შენი დამოყვება ერთგვარი საშუალებაა ჩვენი შვილების მომავალ-ში უზრუნველსაყოფად. ის რწმენა, რომ ჩვენი საყვარელი შვილები შენთან ბედნიერი იქნებიან, დიდად მამხნევებს და ყველაფერს მა-ვიწყებს, ამიტომ მეგობრულად გიწვდი ხელს და, ვფიქრობ, ჩვენი შვილებიც ჩემს მაგალითს მიბაძვენ. აბა, ჩემო ძვირფასო შვილებო, მოეხვიეთ მამას ყელზე და მხურვალედ დაუკოცნეთ ტუჩები! გახ-სოვდეთ, რომ მამა ერთ წამსაც არ დაგტოვებთ უმწეოდ!”

ამ სიტყვებით აღფრთოვანებული იაზონი ნეტარების ცრემ-ლებს ღვრიდა და შვილებს გულში მხურვალედ იკრავდა.

„ჩემო ძვირფასო იაზონ!—აღერსიანი კილოთი მიმართა მე-დემამ თავის ყოფილ მეუღლეს: იცი, რა უნდა გითხრა? შენ რომ ბავშვებს სასახლეში გადაიყვანდე, ვფიქრობ, შენს ახალი მეუღლის დახმარებით უფრო მეტ ყურადღებას დაიქვრ, უფრო მეტ მზრუნ-ველობას გაუწევ შვილებს. მე კი სადმე შორს გადავიხვეწები იმ იმედით, რომ ჩემი საყვარელი შვილები სასახლეში ღირსეულად იზრდებიან. შენს მეუღლეს გლავკას, ნიშნად ჩემი კეთილგანწყობი-ლებისა, მიუძღონი ამ ოქრომკერდით ნაქსოვ ძვირფას კაბას, რო-მელსაც შენთან ერთად ჩემი მსახურის ხელით ვაახლებ!“

სანამ ამ ძვირფას საჩუქარს მსახურს გადასცემდა, შურისძიე-ბით გაბოროტებულმა მედემამ კაბის ქსოვილები საწამლაგით ისე გაქლენთა, რომ ვინც ამ კაბას ჩაიცვამდა, მყისვე მოიწამლებოდა და სიცოცხლეს გამოესალმებოდა.

იაზონი თავაზიანად გამოემშვიდობა მედეას და მსახურის თან-ხლებით სასახლისაკენ გაემართა, რომ მედეას სახელით თავისი საყ-ვარელი მეუღლისათვის ეს ძვირფასი საჩუქარი მიეძღვნა.

მედეა თავისი შვილებით შინ დარჩა. საბრალო ქალი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა და მოუთმენლად მოელოდა მსახურის დაბ-რუნებას, რომ დანამდვილებით გაეგო, როგორ შეხვდა მეფე კრეო-

ნის ახლადდაქორწინებული ასული მის მიერ მიძღვნილ ძვირფას საჩუქარს.

შიშისაგან გაფითრებული მსახური მალე დაბრუნდა სასახლიდან და აღელვებული კილოთი მოახსენა მედეას: „პატივცემულო მედეა, გირჩევ დაუყოვნებლივ თავს უშველო! მეფე კრეონი და შენი ოჯახის დამნგრევეი გლავკა აი ეს არის დაილუპნენ! მეფის ასულს შენ მიერ მიძღვნილი კაბა ისე მოეწონა, რომ მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. უსაზღვროდ აღფრთოვანებულმა გლავკამ, როგორც კი იაზონი ოთახიდან გავიდა, დაუყოვნებლივ ჩაიკვა საბედისწერო კაბა და კოპწიად გამოწყობილი სარკის წინ ტრიალებდა და თავის მოხდენილ ტანადობას შესტრფოდა.

ძვირფას კაბაში ლამაზად გამოწყობილი მეფის ასული უეცრად შეტორტმანდა და მძლავრი ქარიშხლისაგან მოტეხილ ალვისხესავით იატაკზე უგონოდ გაიშხლართა.

ერთი წუთის წინათ ჯანსაღი, სიცოცხლით აღსავსე მეფის ასული პირისახეზე ერთიანად შეიცვალა და სხეულის კრუნჩხვით საზარლად გმინავდა.

მეფე კრეონი, როგორც კი ეს საშინელი გმინვა შემოესმა, დაუყოვნებლივ შეშლილივით შეიქრა თავისი საყვარელი ასულის ოთახში.

შემფოთებული საბრალო მამის თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა. მეფის ასული ოდნავ გმინავდა და სიცოცხლის ნიშნები არც კი ემჩნეოდა.

მეფე კრეონმა მხურვალედ ჩაიკრა გულში უკვე ნახევრადგაცივებული თავისი საყვარელი ასული და საზარელი ქვითინი მორთო. საბედისწერო შხამი მეფეს ელექტრობის დენივით გაუჟდა. მთელ სხეულში და საბრალო მამაც თავის საყვარელი ასულის გვერდით საშინელი ტანჯვით გამოესალმა სიცოცხლეს.

მედეას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა თავისი დამლუპველი გლავკისა და ვერაგი მეფე კრეონის სიკვდილი შეიტყო.

შურისძიებით გატაცებული მედეა ახლა უფრო სხვა საშინელი გეგმის შესრულების თადარიგს შეუღდა.

გონებადაკარგული და მთლიანად გაბოროტებული მედეა შეშლილივით შეიქრა შეილების ოთახში. საბრალო ბავშვებს ტკბილად ეძინათ და აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ასე ტკბილსა და უდარდელძილ ასე სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა.

„საბრალო მედეა, ერთი წუთით დაივიწყე, რომ შენ ამ უმანკო ჩვილი ყმაწვილების ღვიძლი დედა ხარ!—საზარლად შეჰყვირა გონებადაკარგულმა მედეამ: მე რომ ჩემის საკუთარი ხელით არ მოვუჟსპო სიცოცხლე ჩემს პირშო შეილებს, სულ ერთია, მეფის

“შეუბრალებელი ჯალათები და თვით იაზონიც კი ჩემ შეილებს არ დაინდობენ, შეუბრალებლად ყელებს დასჭრიან, სიცოცხლეს გამოასალმებენ! განა არა სჯობია თვით მშობელმა დედამ მოუსპოს სიცოცხლე თავის პირმშო შეილებს და უდიერი ჯალათების ხელში არ ჩააგდოს?! დიაღ, მე ვერ შევურიგდები იმ აზრს, რომ ჩემი ღვიძლი შეილები მეფის ჯალათებმა ან სინდისგარეცხილმა იაზონმა ტანჯონ და აწაძონ!”

შურისძიებით გაბოროტებულმა მედეამ სამართებლით სასწრაფოდ დასჭრა ყელები თავის პირმშო შეილებს და შემოლილივით გარეთ გამოიჭრა.

საყვარელი მეუღლის მკვლელობით აღშფოთებული იაზონი მხეცივით შეოქრა მედეას ოთახში, რომ სასტიკად დაესაჯა მეფისა და მეფის მშვენიერი ასულის გლავკის მკვლელი.

საზარელი სურათი გადაიშალა იაზონის თვალწინ: ყელებდაჭრილი უმანკო ბავშვები სისხლის მორევეში ცურავდნენ. იაზონმა ერთი საზარლად შეჭყეირა და შემოლილივით გაემართა ქუჩისაკენ.

სრულიად ფერმიხდილი, გონებდაკარგული იაზონი ამიერიდან ყოველდღე უმიზნოდ, უაზროდ დაძროდა ქალაქის ქუჩებში და ქუჩის ხან ერთ მხარეს, ხან მეორეს საცოდავად თავს აფარებდა.

ერთხელ, დაღლილსა და დაქანცულს, ნახევრად გონებამიხდილ იაზონს, როცა ქალაქის განაპირა ქუჩაში მწუხარედ იჯდა, ზეციდან რალაც საშინელი ხმაური შემოესმა.

იაზონმა უნებლიედ თვალები ზეცას მიაპყრო და ცის მალალ სივრცეში დაინახა გველეშაპშებმული ფრთებიანი ეტლი, რომელშიაც იჯდა საბრალო მედეა და სამუდამოდ ეთხოვებოდა საბედისწერო კორინთს და მის მთავორიან მიდამოებს.

საბრალო იაზონი თვალმოუშორებლივ დიდხანს, დიდხანს მწუხარედ გასცქეროდა ცის სივრცეში სწრაფად მიმფრინავ ეტლს და უნებლიედ იგონებდა იმ ბედნიერ დროს, როცა იგი და მშვენიერი მედეა სიყვარულით აღგზნებულნი ერთმანეთს თავდავიწყებით შესტრფოდნენ და შეჭხაროდნენ.

ამ სანეტარო ხანის მოგონებაზე იაზონს თვალთაგან ცხარე ცრემლები წასკდა და საბრალო დიდხანს, დიდხანს გულამოსკვნით ქვითინებდა.

ოდესღაც ძლევაშოსილი გმირის ცხოვრება ამიერიდან კიდევ უფრო უარესი და აუტანელი შეიქნა. საბრალო სრულიად განმართოვებით, უმიზნოდ და უაზროდ დაეხეტებოდა ხალხით ავისილ

კორინთის ქუჩებში და გულში უხმოდ იკლავდა თავის დიდსა და აუტანელ მწუხარებას.

ასე მწუხარედ იტანჯებოდა ეს ოდესღაც სახელოვანი გმირი, და არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა ერთხელაც მაინც ჩაეხედამდულარებით აღესილ მის გულში და ოდნავ მაინც შეენელებინა ის დიდი ტკივილები, რომლებიც საბრალოს მძიმე ლოდივით აწვა.

დაღლილი, დავრდომილი გმირი ზოგჯერ პოსეიდონ ღმერთის სამლოცველოში შევიდოდა და მთელი საათობით თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა მის მიერ შეწირულ გემს.

საბრალო გმირი ამ დროს სიამოვნებით იგონებდა იმ ბედნიერ წუთებს, როცა იგი, ძლევაშოსილი ელინთა გმირებით გარშემორტყმული, შორეული კოლხიდიდან ბრუნდებოდა და მშვენიერი მედეას სიყვარულით აღგზნებული ნეტარების ფიალას ეწაფებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ცხოველმყოფელი მზე კორინთის ქუჩებში გამვლელ-გამომვლელს საამურად ჰკბენდა, იაზონი პოსეიდონ ღმერთის სამლოცველოში ჩვეულებრივ შევიდა და მის მიერ შეწირულ გემისაგან იატაკზე გაწოლილ ჩრდილში მოიკალათა და თვალს არ აშორებდა ამ ნაამაგდარ გემს.

უკვე მოძველებულმა გემმა უეცრივ საშინლად იგრიალა და სამუდამოდ დაასამარა ელადის ოდესღაც სახელოვანი გმირი.

ბოლოსიტყვაობა

უძველეს დროში, როცა ხალხის გონებრივი განვითარება მეტად დაბალ საფეხურზე იდგა, ხალხს მთელი ხილული ბუნება. ყველაფერი, რასაც იგი ხედავდა, წარმოდგენილი ჰქონდა ღვთაების სახით.

მზე, დედამიწა, მთები, ვულკანები, მდინარეები, ღელეები და ხეები ადამიანის ჯერ კიდევ განუვითარებელ გონებას წარმოდგენილი ჰქონდა ღმერთებად, რომელთაც ხალხი მოკრძალებით ჰატივსა სცემდა და აღიღებდა.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის გონებას მზე წარმოდგენილი ჰქონდა ბრწყინვალე ღვთაებად, ვულკანები— ბუმბერაზ ადამიანებად, რომლებიც ყოველად შემძლებელი ღმერთების მეტოქეობასაც კი ბედავდნენ, ქარიშხალი—პოსეიდონ ღმერთის მრისხანების განსახიერებად ჯა სხვა.

მეორეს მხრით, პირველყოფილ ადამიანს დიდი ენერჯია უნდა დაეხარჯა, რომ თავისი პრიმიტიული ცხოვრების პირობები გაეუმჯობესებინა და გაეადვილებინა.

სახნაგ-სათესი მიწები ხშირად სრულიად დაუმუშავებელი რჩებოდა, თვალუწვდენელი ტყეები და ველები წყლით იფარებოდა, ქვემძრომებით სავსე ჰაობებს აუტანელი სუნი დაეყენებინათ.

ამ აუტანელი ცხოვრების შესამსუბუქებლად იღვწოდნენ უცნობი მებრძოლნი, რომელნიც, დროთა განმავლობაში, თანდათანობით ცალკეული ზეკაცების, ცალკეული გმირების სახეს იღეადნენ.

ხალხი ამ გმირებს შესტრფოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ უბრალო მოკვდავს, უბრალო ადამიანს არ შეეძლო იმ საქმეების შესრულება, რომელთაც გმირები ხალხის საკეთილდღეოდ ეწეოდნენ.

უძველეს დროში ხალხმა, როცა იგი ჯერ კიდევ პრიმიტიული ცხოვრების ფერხულში იყო ჩაბმული, მხატვრული, პოეტური ენის

აშუალებით გამოთქვა თავისი შეხედულება ღმერთებსა და გნირებზე.

იმ მხატვრულ თქმულებებს, რომლებშიაც ხალხი გამოთქვამს თავის შეხედულებას ღმერთებსა და გმირებზე, მითები ჰქვია.

მეცხრამეტე საუკუნის გერმანიის სწავლულები ფრ. შლეგელი, შელინგი და კრეიციერი, რომლებიც მეცნიერულად იკვლევდნენ ძველი დროის ადამიანების ყოფაცხოვრებას, ფიქრობდნენ, რომ მითებს საფუძველი ჩაეყარა ინდოეთში, ეგვიპტესა და ზემო აზიაში, საიდანაც ეს მითები, ქურუმების საშუალებით, ევროპის კონტინენტზე გავრცელდა, განსაკუთრებით კი ძველ საბერძნეთში, სადაც ხალხის ამ პოეტურს შემოქმედებას ნოყიერი ნიადაგი აღმოაჩნდა.

ძველი საბერძნეთის მკვიდრთა მკვირცხლმა გონებამ და ფართო გაქანების ფანტაზიამ თავისებურად გადააკეთა და გაალამაზა ჯცხო ქვეყნებიდან გამოტანილი მითები.

მითების გარეგანი მოცულობა და შინაარსი, დროთა განმავლობაში, იცვლებოდა და უფროდაუფრო დამთავრებულ, საკითხავად მიზიდველ სახეს იღებდა.

გერმანიის გამოჩენილი მკვლევარის კ. ო. მილერის მოწმობით, ძველი საბერძნეთის მითები ღმერთებსა და გმირებზე მხატვრული ენით მოცემული თხრობაა, რომელსაც ძალიან შორეული კავშირი აქვს საბერძნეთის ნამდვილი ისტორიის ფაქტებთან.

მიუხედავად ამისა, მითებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რადგან უძველესი დროის ადამიანმა მითებში ჩააქსოვა მთელი თავისი მსოფლმხედველობა, მთელი თავისი ცოდნა და აზროვნება.

ცხადია, მითები თავისი შინაარსით ბევრ რასმე ზღაპრულს შეიცავს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს მხატვრულად მოთხრობილი ხალხის გონების ნაწარმოებნი მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად წარმოვიდგინოთ.

პრეისტორიული ხალხის ყოფაცხოვრების, მისი გონებრივი განვითარებისა და შემოქმედების სურათის მთლიანად აღსადგენად მითები იძლევა მდიდარ მასალას, რომლითაც ყველა დროისა და ქვეყნის კულტურის მაძიებელნი ფართოდ სარგებლობდნენ და ნაყოფიერადაც იყენებდნენ თავის ნაწარმოებში.

ყველა დროისა და ქვეყნის გამოჩენილი მწერლები, მგოსნები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები დაუშრეტელ წყაროს პოულობდნენ მხატვრულად მოთხრობილ მითებში და უხვად სარგებლობდნენ ამ მითებში მრავლად გაბნეული ჭვირფასი მარგალიტებით.

ჰომიროსმა, ძველი დროის ამ დიდბუნებოვანმა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესმა მგოსანმა, მითებში შთაბერა თავისი ეპოქის სულისკვეთება და არსებული მითების ფონზე შექმნა ის დიდი ეპოპეა, რომელიც, „ილიადასა“ და „ოდისეას“ სახით, ხით, ძველი საბერძნეთის უტყუარი სარკეა, ძველი საბერძნეთის მხატვრული ენციკლოპედიაა, რომელშიაც სრული სინამდვილით ასახულია ისტორიის წინახანების ძველ ელინთა სულისკვეთება, მათი მსოფლმხედველობა და სარწმუნოებრივი კულტი, მათი მთელი კულტურა.

ჰომიროსმა თავის მხატვრულ თხზულებებში გააცოცხლა მითოლოგიურ ფონზე აღმოცენებული ძველ ელინთა შეხედულება ღმერთებზე და ძველი ელადის სარწმუნოებრივ კულტს მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა.

ასეთია ჰომიროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ უდიდესი მნიშვნელობა და ამიტომ ეს პოემები თითქმის ყველა ერის ენაზეა მთლიანად გადათარგმნილი.

სამწუხაროდ, ქართველ ერს ჯერჯერობით არ მოეპოვება ამ პოემების მთლიანი თარგმანი.

სანამ ასეთი თარგმანი ჩვენს სინამდვილეში გაჩნდებოდეს, ჩვენ საჭიროდ მივიჩნით ქართველი მოზარდი თაობისათვის და აგრეთვე მშრომელთა ფართო ფენებისათვის მიგვეწოდებინა „ილიადასა“ და „ოდისეას“ პროზად მოთხრობილი შინაარსი.

ამ მიზნის პირნათლად შესასრულებლად ჩვენ გამოვიყენეთ მასალად პოემების ტექსტი და აგრეთვე ამ პოემების საკმაოდ მცოდნე მწიგნობრების ფ. შმიდტის, ვ. შტოლის, გ. შვაბის და სხვათა საუცხოოდ მოთხრობილი ნაწერები და შევადგინეთ, რაც შეიძლებოდა, გასაგები ქართულის ენით, ორი მოზრდილი ტანის წიგნი — „ტროადის ომი“ და „ოდისეა“.

ეს წიგნები, რომლებიც წარსული წლის გასულს სახელგამმა გამოსცა, შეიცავს ჰომიროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ შინაარსს, იმრიგად და თითქმის იმ მოცულობით დალაგებულს. როგორადაც ეს თვით ჰომიროსს აქვს მოცემული თავის უკვდავ პოემებში.

ვფიქრობ, ეს ჩვენს მიერ შედგენილი წიგნები მცირეოდენ სამსახურს მაინც გაუწიებს მოზარდ თაობასა და მშრომელთა ფართო მასებს, რომლებიც დღევანდელ პირობებში ესოდენ სიყვარულსა და ინტერესს იჩენენ კლასიკური მწერლობის გაცნობისა და შესწავლის საქმეში.

ჰომიროსის თანამედროვე ეპიკურმა პოეტმა ჰეზიოდემ, რომელიც ძველ კლასიკურ ლიტერატურაში კოსმოგონიური და თეოგონიური მითოლოგიის ბუმბერაზ წარმომადგენლად და მჩინელი, მოგვცა მთლიანი კონცეპტია, მთლიანი სურათი იმისა, თუ როგორ წარმოიშვნენ ბუნების წიაღიდან ტიტანები, თუ როგორ წარმოიშვა ღმერთების გვარეულობა, რა ცვლილებები განიცადა ღმერთების ოჯახმა კაცობრიობის განვითარების სარბიელზე.

ჰეზოდეს თხზულებები „საქმენი და დღენი“, „თეოგონია“ და „ჰერკულესის ფარი“ მთლიანად აღმოცენებულია ძველი ელადის მითოლოგიურ ფონზე; ავტორი ცდილობს შეაგროვოს ერთი-მეორის საწინაღმდეგო მითები და მკითხველს მისცეს მთლიანი წარმოდგენა ქვეყნიერებისა და ღმერთების წარმოშობაზე, ღმერთების დანაწილებაზე მნიშვნელობის მხრით და მათ ნათესაურ კავშირზე.

ღირიკული პოეზიის წარმომადგენელი პოეტები თავისებურად იყენებდნენ მითოლოგიურ მასალას, ამრავლებდნენ, ასხვაფერებდნენ და თავისი ეპოქის მსოფლმხედველობას, თავისი ეპოქის სულისკვეთებას ჩააქსოვდნენ ხალხმე ხალხის მიერ მხატვრულად შემუშავებულ მითებში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდის მეექვსე საუკუნის დიდბუნებოვანი პოეტი პინდაროსი, მართალია, მითების ფაქტიურ მხარეს არ უარყოფს, მაგრამ, საჭიროების მიხედვით, როცა მითის შინაარსი არ შეესაბამება პოეტის ზნეობრივ შეხედულებას, როცა მითების შინაარსი ამათუიმ სახით ღმერთების ღირსებას ამცირებს, მითების შინაარსსა ცვლის, თავის შეხედულების მიხედვით ამოკლებს და ამრიგად იყენებს არსებულ მითოლოგიურ მასალას თავისი შემოქმედებისათვის.

ასეთია, მაგალითად, პინდაროსის ეგრეთწოდებული „ეპინიკიები“, ანუ სადღესასწაულო ლექსები, რომლებშიაც მხატვრულად მოცემულია ელინთა დღესასწაულების დროს საზოგადო თამაშობებში მონაწილეთა გამარჯვების ან დამარცხების ამბავი.

იმპერატორ აუგუსტოს თანამედროვე პოეტმა ოვიდიუს ნაზონმა ქრონოლოგიურად დაალაგა და დაამუშავა ის მითები, რომლებშიაც მოცემულია ხალხის დამოკიდებულება ბუნებასა და მის მოვლენებთან.

ამ მითების მიხედვით, ბერძნებისა და რომაელების წარმოდგენით, უსულო საგნები, ადამიანები და თვით ყოვლად შემძლებელი ღმერთებიც კი სასწაულებრივ იცვლიან თავის გარეგან სახეს, თავის გარეგან შეხედულებას.

პოეტმა სავსებით გამოიყენა ეს მითოლოგიური მასალა და საფუძვლად დაუდგა თავის ეგრეთწოდებულ „მეტამორფოზებს“, რომელიც ნიჭიერი პოეტის მიერ იშვიათი მხატვრობითა და საუცხოო ლექსთაწყობითაა აკინძული.

გამოჩენილმა რომაელმა პოეტმა ვირგილიუსმა თავის შესანიშნავ პოემას „ენეიდას“ საფუძვლად დაუდგა ბერძენთა თქმულებანი ტროადის ომის შესახებ, და პოემის ექვსი წიგნი თითქმის მთლიანად ამ ძვირფას მასალაზეა აგებული.

ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ტრაგიკოსები ესხილე, სოფოკლე და ევრიპიდე თავის თხზულებათა სუჟეტებს უმთავრესად უძველესი დროის მითოლოგიიდან იღებდნენ.

ესხილეს ტრაგედიები: 1) პრომეთე, 2) ტრილოგია, ორესტეა, 3) ევმენიდები, 4) შვიდნი თების წინააღმდეგ და სხვა მისი ტრაგედიები უმთავრესად ემყარებიან ჰომეროსის თხზულებებში მოცემულ მითოლოგიურ თქმულებებს და მხატვრული თხრობით, შინაარსის ფართოდ გაშლითა და განვითარებით მსოფლიოს კლასიკურ დრამატიულ ლიტერატურაში უდიდესი მნიშვნელობის ადგილი უჭირავთ.

ესხილეს ტრაგედიებში, ისე როგორც ძველი ელადის მითოლოგიურ თქმულებებში, ბედისწერა შეუბრალებლად ეუფლება თითოეულ მოქმედ პირს და ჩადენილი დანაშაულისათვის სასტიკად სჯის.

მეორე უდიდესი ტრაგიკოსი, სოფოკლეც, გვერდს ვერ უხვევს ელინთა მხატვრულ მითებს და თავისი შემოქმედებისათვის ფართოდ სარგებლობს მითოლოგიური მასალით.

ამ დიდბუნებოვანი ხელოვანის ტრაგედიები: „ანტიგონა“, „ოიდიპოს მეფე“, „ოიდიპოსი კოლონში“, „აიაქსი და ფილოქტეტესი“ აღებულია უმთავრესად არგოსის მითების ციკლიდან, ხოლო თუ პატრიოტული მოსაზრება მოითხოვდა, ატიკის მითოლოგიური თქმულებებითაც სარგებლობდა ხოლმე.

ძველი საბერძნეთის მესამე გამოჩენილი ტრაგიკოსი ევრიპიდე, ადამიანის სულისა და გულის შეუდარებელი მესაიდუმლე, თუმცა ფართოდ სარგებლობდა უძველესი დროის მითოლოგიურ თქმულებათა მასალით, თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ახგარიშს უწევდა თანამედროვე ეპოქას და ცხოვრებას გადმოგვცემდა იმ სახით, როგორც მისი დროის სინამდვილეში მიმდინარეობდა იგი.

სწორედ ამ თვისებით ხასიათდება ევრიპიდეს ტრაგედიები: „ჰეკაბა“, „ფინიკიელი ქალები“, „ორესტე“, „იპოლიტი“, „მედეა“,

„ანდრომახე“, „იფიგენია ავლისში“, „იფიგენია ტავრიდაში“, „ელექტრა“ და „ციკლოპი პოლითენე“, რომლებიც ავტორის მიერ შევითებულია და პოეტის ეპოქის მსოფლმხედველობასთანაა შეფარდებული.

ძველისა და ახალი დროის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა ფართოდ გამოიყენეს ხალხის მიერ შექმნილი და შემდგომი პოეტებისაგან თავისებურად დამუშავებული მითები და კაცობრიობას მიუძღვნეს უდიდესი მნიშვნელობის ხელოვნების ძეგლები, რომლებიც დღესაც შარავანდის სხივებითაა მოსილი.

ტაძრების შინაგანი და გარეგანი მხატვრობა, ქურკლებისა და საოჯახო სამკაულების დეკორატიული სურათები და წარწერები მითოლოგიურ მასალებზე აღმოცენებულ ხალხის შემოქმედების მხატვრულ შედეგებად უნდა ჩაითვალოს.

უუდიდესმა სკულპტორმა ფიდასმა, რომლის მსგავსი სკულპტორი დედამიწას ჯერ არ მოვლენია, მოგვცა ორი შესანიშნავი ნაწარმოები - ათინა პართენოსი (ქალწული ქალი) და ოლიმპიელი ზევსი.

პირველი ქანდაკება გაკეთებული, სპილოს ძვლისა და ოქროსაგან. ქალღმერთი ფეხზე დგას და მარჯვენა ხელში „გამარჯვება“ უჭირავს, ხოლო მარცხენაში—შუბი. ქალღმერთის თვალები ძვირფასი ქვებისაგანაა გაკეთებულია ტანის შიშველი ნაწილები კი—სპილოს ძვლისა და ოქროსაგან.

ოლიმპიელი ზევსი უფრო მშვენიერი და უფრო განთქმული ძეგლია.

თითოეული ბერძენი თავის მოვალეობად თვლიდა თავის სიკოცხლენი ერთხელ მაინც ენახა ეს შესანიშნავი ნაწარმოები.

ღმერთების მამამთავარი ზევსი ზის ტახტზე, რომელიც გაკეთებულია ოქროს, სპილოს ძვლისა, მარმარილოსა და შავი ხისაგან. ყოვლად შემძლებელ ოლიმპიელს ერთ ხელში სკიპტრა უჭირავს, მეორეში — „გამარჯვების“ ქალღმერთის სურათი. ზევსის მრისხანე პირისახე ცოცხლად გამოხატავდა ერთსა და იმავე დროს ოლიმპიელის მრისხანებას, დიდებულობასა და ყოვლადშემძლებლობას.

უძველესი დროის გამოჩენილმა მხატვარმა ტიმანთმა მოგვცა მედეის საუცხოო სურათი. დიდებულ ხელოვანს აღებული აქვს არგონავტების მითიდან ის მომენტი, როცა იაზონის მოლაღატეობით გაბოროტებული მედეა შეუბრალებლად ასალმებს საცოცხლეს თავის პირმშო შვილებს.

პარპაზიმ და ევფრანორმა მოგვეცეს ათინის გამოჩენილი გმირის თეზევის საუცხოო სურათები. ევფრენონი ამ დიდებულ ნაწარმოებთა შესახებ ამბობდა: პარპაზის თეზევი ვარდებით იკვებება, ჩემი თეზევი კა—ხორცითაო.

ალორძინების ეპოქის საუკეთესო მხატვრები თავისი შემოქმედებისათვის ხშირად იყენებდნენ ძველი საბერძნეთის მითოლოგიიდან აღებულ სუვეტებს და შეუდარებელი ყალბით გვისურათებდნენ ძველი ელადის ფართო გაქანების სულისკვეთებას. ასეთია, მაგალითად, რაფაელის საუცხოოდ შესრულებელი სურათები: სამი გრაცია, მედეა და ვატიკანის დარბაზების ერთი ნაწილის მხატვრობა; რუბენსისა—ამაზონელი ქალების ლაშქრობა, აფროდიტეს დღესასწაული და პარისის მსჯავრი; ტიციანესი—აფროდიტეს დღესასწაული, აფროდიტეს და ამური, მადრიდელი აფროდიტე და ხელოვნების მრავალი სხვაწარჩინებული ნაწარმოები.

მეცხრამეტე საუკუნის მხატვრული ხელოვნების დიდმა ოსტატმა ეჟენ დელეკრუამ არგონავტების შესახებ მითოლოგიური თქმუბიდან მოგვეცა საუცხოო ტილო, რომელზედაც იშვიათის ხელოვნებით მოცემულია მრავალტანჯული მედეას სურათი.

საბრალო ქალის პირისახე საშინელ ტანჯვას განიცდის. შეილების უსაზღვრო სიყვარული და ამავე დროს შურისძიების სურვილი საბრალოს მთელ არსებას იპყრობს და აუტანელ ტანჯვასა ჰგვრის.

გამოჩენილი ისტორიკოსები ჰეროდოტე, პოლიბი, თუციდიდე, დიოდორე სიცილიელი, პლუტარხი, სტრაბონი და პავზანი ძველი ელადის მთლიანი სურათის აღსადგენად თავის ისტორიულ გამოკვლევებში დიდად აფასებდნენ ძველი საბერძნეთის მითებში მოცემულ მასალას და ამ ძვირფასი მასალიდან იღებდნენ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებს.

ახალი დროის ისტორიკოსები—გროტი, კურციუსი, დროიზენი, დიურუი, ფუსტელ დე-კულანჟი, ჟირარი, ბუშე-ლეკლერკი და სხვანი—დაუშრეტელ მასალას პოულობენ უძველესი დროის მითებში და დიდი ერუდიციით გვითვალისწინებენ ძველ ელადის მთლიან სურათს.

ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლებმაც ვერ აუხვიეს გვერდი იმ ძვირფას მასალას, რომელიც ასე მრავლად მოიპოვება ძველი ელადის შესახებ არსებულ მითებში.

ძველი და ახალი ფილოსოფიური სკოლების კორიფეები—პლატონი, არისტოტელე, პირონი, ეპიკური და ზენონი—ამათუიმ

ფილოსოფიური სისტემის დადგენის დროს სხვადასხვა სახით იყენებდნენ მითებში მოცემულ მასალას.

მეტად საგულისხმიერო და დამახასიათებელია ზენონის ფილოსოფიური სისტემის კონცეპცია, რომლითაც იგი საკუთარი სამშობლოს მაგიერ კაცობრიობის საერთო სამშობლოს პრინციპის განხორციელებას აღიარებს. ეს დიდი ფილოსოფოსი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდის მეოთხე საუკუნეში, გმობდა მონობას და გაბედულად, მოურიდებლად ქადაგებდა ხალხთა თანასწორობასა და სოლიდარობას.

ამ მხატვრულ ნაწარმოებთა ფონზე აღმოცენდა და ფართოდ გაიშალა მწერლობა, ხელოვნება, ისტორიული კვლევები და ფილოსოფიური აზროვნების სისტემები.

კიდევაც ამიტომ, რომ მითების ლირებულება მეტად საგულისხმიერო და მნიშვნელოვანია.

მითები გარკვეულად და ხაზგასმით გვითვალისწინებენ ძველი საბერძნეთის მსოფლმხედველობას, მის სარწმუნოებრივ კულტს, მხატვრულად მოგვითხრობენ ძველი საბერძნეთის შეხედულებას გმირებისა და საზოგადოდ ადამიანის დანიშნულებაზე.

მითების საშუალებით ჩვენ ვეცნობით ძველი ელინის იმ დაუშრეტელ ფანტაზიას, რომელმაც შექმნა უდიდესი კულტურა.

მითების საშუალებით ჩვენ ვეცნობით ძველი საბერძნეთის მიერ წამოყენებულ უდიდეს პრინციპებს—პრინციპს ადამიანის თავისუფლებისა და პრინციპს კანონის წინაშე ყველას თანასწორობისას.

ძველი საბერძნეთის შეუღარებელმა გენიამ იმდენი კეთილშობილური და დიდმნიშვნელოვანი აზრი შეიტანა კაცობრიობის სალაროში, რომ ეს აზრები დღესაც გზას გვინათებს და ადამიანის პიროვნების საბოლოოდ განთავისუფლებისაკენ მოგვიწოდებს.

წინამდებარე წიგნი, რომელშიაც შეკრებილია საბერძნეთის საგმირო ეპოქის მითები, უმთავრესად განკუთვნილია მოზარდი თაობისათვის და აგრეთვე მშრომელთა ფართო მასშტაბისათვის.

ძველი ისტორიის სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებო, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, უეჭველია, წარმატებით გამოიყენებს ამ მითებში მოცემულ მასალას და ძველი საბერძნეთის ისტორიის შესწავლას უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაამყარებს.

ჩვენ ამ წიგნში შევიტანეთ საბერძნეთის საგმირო ეპოქის ის მითები, რომელთა ვარიანტები ამჟამად მაინცდამაინც სადაოდ არაა მიჩნეული.

კლასიკურ ლიტერატურაში მითების ამგვარ ვარიანტებად მიღებულია: ოვიდიუსის, ვ. შეაბის, გ. შტოლის. და ლუბკერის მიერ მოთხრობილი მითები, და ჩვენც ამ წიგნის შედგენის დროს ზემოხსენებული ავტორების ვარიანტებით ვისარგებლეთ.

ვფიქრობთ, მოსწავლე ახალგაზრდობა ამ მითებში მოცემული მასალის გამოყენებით საკმარისად გაიცნობს ძველი საბერძნეთის საერთო კულტურას, მის სარწმუნოებრივ კულტასა და იმ რჩეულ გმირებს, რომლებმაც მრავალი სიკეთე, მრავალი კარგი საქმე დათესეს ცხოვრების სარბიელზე კაცობრიობის მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად.

პრომეთეს ხალხისათვის თავდადებისა და მეგობრობას, ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტით აღსავეს მებრძოლ ბუნებას, ჰერკულესის შრომასა და ენერგიას, მის ცივილიზატორობას, მაშვრალთა და დაჩაგრულთა მოსარჩლეობას, თეზევის კეთილშობილებასა და სიმართლიანობას, გაჰირვებულთა და უმწეოთა შებრალებას, ორფევის მტკიცე და შეურყეველ ნებისყოფას, ეფიქრობთ, მკითხველი ღრმად ჩაიწერს გულში და ყოველდღიურ საქმიანობაში სახელმძღვანელოდ გამოიყენებს.

აღ. მიქაბერიძე

1. პრონეთე	3
2. დევკალიონი და პირა	11
3. ფათონტი .	15
4. ორფევი და ევრიდიკე	20
5. დედალე და იკარე	24
6. კადმოსი და თებეს დაარსება	31
7. არაქნე	36
8. ლოკიის მკვიდრნი	39
9. მეფე მიდასი . . .	42
10. ცეისი და ალკიონა	46
11. ეაკი	51
12. მინაისის ქალები	55
13. ფილომენა და პროკნა	57
14. კალიდონიაში ნადირობა	62
15. ფილემონი და ბაუკილი	67
16. პირამე და თისბე	70
17. კიპაროსი	75
18. აქტეონი .	78
19. ნარგიზი და ეზო	83
20. პიკი .	88
21. პიგმალიონი	92
22. პერსევი . . .	95
23. მეხომალდეები .	101
24. კეფალე და პროკრიდი	104
25. ტანტალოსი	111
26. პელოპი	114
27. ჰერკულესი	119
28. თეზევი .	158
29. სალმონევისი	172
30. ბელეროფონტი	174
31. სიზიფე	180
32. ნიობე . . .	183
33. ოიდაპოს მეფე	188
34. არგონავტების ლაშქრობა	201
35. ბოლოსიტყვაობა	263